ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა



2

1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირში დიდად
აფასებენ და უყვართ
ქართული ხელოვნება—
საბჭოთა კულტურის
ერთ-ერთი მძლავრი
ნაყოფიერი ნაკადი.
ქართული მუსიკა, პოეზია,
თეატრი, კინო ამდიდრებენ
საბჭოთა ადამიანების
შინაგან სამყაროს,
მოუწოდებენ მათ
სიკეთისათვის, ნათელი
იდეალებისათვის,
აღანთებენ საბრძოლველად
ყოველივე იმის წინააღმდეგ,
რაც ხელს უშლის ბედნიერ,
სიხარულით აღსავსე
ცხოვრებას.

ლ. ი. ბრეჟნევი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სვეტი

273

გამოცემის ოცდამეცხრამეტე წელი

2

თებერვალი

1980

თბილისი

სსრ. კკ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ბორის ფოფხიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა აბიბეჯიბი,
გიორგი ბეგლარიშვილი,
გურამ გვერდწითელი,
რისდან გორდეზიანი,
გიორგი გუგნი,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
იოსებ ორჯონიკიძე,
ედუარდ მენაბდე,
მთავარი რედაქტორის
მოადგილე
ოტია ჯაჯანრია,
გურამ ფანჯიკიძე,
ნუგზარ შუბითიძე,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
გიორგი ქინლაძე,
ნუგზარ ნერეთელი,
თამაზ წიკვიშვილი,
ტარიელ ქანტარია,
რეზო ჭეიშვილი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

პოეზია, პროზა

3. ზაურ გოლეგაკა — საბაბიული სიმფონია. ლექსი
5. კონსტანტინე ლორთკიფანიძე — ეს ლამეც გათენდება... მოთხრობა
43. დალილა ბედიანიძე — ლექსები
45. ავთანდილ ცვანი — ლექსები
48. ავთანდილ ჩხაიძე — ლექსები
50 დავით ასურაპა — გადასასვლელი. მოთხრობა
56. გივი გოსტოლანაშვილი — მოთხრობები
70. ქორნა მიშველაძე — შეცდომა. ფანტასტიკური მოთხრობა
76: ბაუბალა ბონაშვილი — ლექსები
78. ალუდა არაბული — ლექსები
80. ფრიდონ ხალვაში — ლექსები
83. შალვა საბაშვილი — ლექსები
86. ილია ბეგიანშვილი — ლექსები
88. იოსებ აფციაური — ლექსები
90. ლევან სანიძიძე — უკარჩაშო ხმლები. გაგრძელება

ლენინიანა

102. ზოთა რევიშვილი — ლენინის სახე გერმანულ ლიტერატურაში

წერილები

112. შალვა ამბისულაშვილი — კოპეტის სიუჟეტიანი კიბეზელი
113. ბეთიკო ზარიძე — ალბანიანის ბაბეგრული ასახვა ქართულ ენციკლოპედიაში

ახალგაზრდა მეცნიერი „ცისკარში"

121 ეკა ჯოხაძე — კოროფესიონალები კოროფესიონალებისა ბინაზე!

მეცნიერება

130 გურამ ფანჯიკიძე — ბიპასიო-ფიზიკა — XX საუკუნის აბრაკადაბრაკა.

160. ბაბარეული იუმორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაურ ბოღქვაძე

სამამულო სიმფონია

მამული არის ჩვენი ღმერთი და
იმას ეკუთვნის სიცოცხლე ჩვენი!
დიდი იმედის ვცოცხლობთ ცეცხლითა,
დიად მომავალს შევყურებთ
რწმენით!

ახალ მიღწევებს ვუხსნით მწვანე
გზებს!
მაიაკოვსკის სტრიქონებს ვფიცავთ:
„ნათება ყოველ მიზეზგარეშე! —
აი დევიზი ჩემი და მზისა!“

მამულისათვის ვანთივართ, ვიწვით
და უიტმენის ქუხილი გვესმის:
„ჩვენ ცოცხლები ვართ! დღეს ჩვენი
სიხლი
დაუხარჯავი ძალების ცეცხლით!“

პირდაპირ გეტყვით ამიტომ აქვე:
არვის ვემონოთ ცოცხალი თავით! —
დაღუპულია იმისი საქმე,
ვინაც მონობას ზეიმობს თავისს!

„პოეტი ახლა, გამდგარი განზე,
დროგადასული და მოხუცია!“ —
გალაკტიონი ბრძანებდა ასე,
ამ სიბრძნეს აზრი არ შეუცვლია!

ყოველი დღით და ყოველი წუთით
ვადიდოთ დედა — ქართული მიწა!
მისი გენია — მეტყველიც, უტყვიც,
სიმაღლე მისი ფირუზი ცისა!

ყოველი დღით და ყოველი წუთით
ვახაროთ დიდი ქართველი ხალხი,
მისი ბედისოვის რაც არის ცუდი, —
არ ავაშოროთ ცცხლსა და მახვილს!

ვინაც მოქმედებს ავი ზრახვებით
და გვისაფრდება დუშმანის
დაშნით, —
მომხრე ვარ მისი თავის გახეთქვის, —
ეგება ჭკუა შეუშვას თავში!

ყველა სიძნელეს უნდა გავუძლოთ!
უკანონობას აცხადოთ ფარდა!
ბოროტებაზე, დანაშაულზე
თვალის დახუჭვის უფლება
არ გვაქვს!

ჩვენმა მშობელმა ქართველმა ხალხმა
გულით ტკივილი ატარა ბევრი!..
დიდ ვაჟკაცობას მოითხოვს ახლა —
ჩვენგან — შვილობა პატარა ერის!

რამდენი გვმართებს! რამდენი
გვმართებს!
მამული ჩვენგან რაოდენს ელის! —
სიტყვა უთქმელი არ უნდა დაგვრჩეს
მიწა — მოუჯელე-დაუთესველი;

განუახლები — დაბა-სოფელი,
ჩამქრალი კერა — აუნთებელი,
მტრის გული — ლახვარდაუსობელი,
ტკივილი — წამალდაუდებელი;

გადაუგდები — შურის ულელი,
მიტოვებული — წმინდა საფლავი,
ნაკლოვანება — აღმოუფხვრელი,
დადაფვნის ღირსი — დაუდაფნავი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუკიცხავი — ერის შემრცხვენი,
უსაქმური და მუქთამჭამელი,
ბოროტმოქმედი, ბელისშემშლელი —
დაუსჯელი და დაუძღეველი;

წაუკითხავი — ძვირფასი წიგნი,
დაუწერელი — ახრი ახალი,
გაუმსჯელელი — ნათელი ფიქრი,
გული მართალი, გრძნობა მაღალი;

დაუმარცხები — ანტიქართველი —
ჩვენთან მყოფი და ჩვენი მგმობელი!
ყველა მეტოქე — დაუჯაბნელი,
ყველა მწვერვალი — დაუპყრობელი!

დაუპყროლელი არ უნდა დაგვრჩეს
არც წელიწადი, არც დღე, არც წუთი!
გამრუდებული გავმართოთ საჭე!
ვადიდოთ ერის ნაღვაწ-ნასულთქმი!

უპირველესად გვჭირდება საქმე! —
დღეს ჭარტო სიტყვა საქმეს
არ შველის!
დასაზრდელი გვყავს ლუკვები
ალგეთს —
მემკვიდრედ ჩვენი ნაკვდავ-ნაშენ.ს!

დავიძრაო უფრო მღელვარ
ტალღებად!
ვუსმინოთ მშობელს და გვესმას
მშობლის!
სოფელს ვაშოროთ გაპარტახება!
ხალხისგან დაცლა აღვკვეთოთ
სოფლის!

იფეთქოს ჩვენი ძალ-ღონის
დენთმწ —
მეტი ცეცხლის და ელვის მოდებით!
ჩვენ თვითონ უნდა მიეხედოთ ჩვენს
თავს! —
ვის ველოდებით?! რას ველოდებით?!

ერს უკვდავების მოაფენს ნათელს
ჩვენი გონება, ჩვენი მარჯვება!
უფრო მედგარი შეტევა გვქართებს,
მეტი მიღწევა და გამარჯვება!

მაშ, გაუმარჯოს ჩვენს აღმოჩენებს
და ვაჟკაცურად გატანილ ღელოს!
რა დაადუმებს, რა შეაჩერებს
მზისაკენ დაძრულ დიდ
საქართველოს! —

დიდ საქართველოს,—ხვალ რომ
იქნება
უფრო დიდი და უფრო ძლიერი!
დიდ საქართველოს, — უკვდავ
დიდებად
საუკუნეთა სვლა რომ მიელის!

მარადისობა ქართველი ერის
გულთა ფცრებზე ფიცად
დავწეროთ! —
სანთლად ჯვუნოთთ სიცოცხლე
ჩვენი
დიდ საქართველოს! დიდ
საქართველოს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ეს ღამეც გათენდება...

მოთხრობა

თავი პირველი

სანამ სამსახურში წავიდოდი, ქალბატონმა ვარდოფინამ ერთხელ კიდევ გამაფრთხილა, კედელზე ლურსმანი არ მიაჭედო, თორემ სახლიდან დაგითხოვო...

— პირსაბანი დერეფაწში დაგიდგი და პირსახოცის ადგილიც იქ არის! მეყოფა, რაც წინა მდგმურებმა საახალწლოდ შეთეთრებული კედლები დამიჩიჩქნეს! — შეიცხადა მან.

რაღა თქმა უნდა, პირსახოცის ადგილი პირსაბანთან იყო, და მეც დავუჯერე ქალბატონ ვარდოფინას, ჩამოვკიდე პირსაბანთან გაქთქთებული პირსახოცი. საღამოს კი ეს ჩემი თეთრი ანგელოზი ისეთი გაზუნზლული დამხვდა, უცბად ვეღარ კი ვიცანი. ასე მეგონა, პირსახოცის კუუჭზე ზაქის ტყავი ეკიდა.

მაშინ აბა რა ვიცოდი, რომ ქალბატონ ვარდოფინას ახალი მდგმურები ჩემზე უფრო საწყლები იყვნენ, — საბნად ოღასკურას თავსაბან მიწას ხმარობდნენ და პირსახოცად — ძადლიან ქუთათურ მზეს. რაწამს ოთახიდან გავედი, დაესივნენ თურმე ამ უფნო მიტკალს და შავი დღე დააყენეს.

არ გასულა დიდი ხანი, კარი გაიღო და ოთახში ჯანო შემოვიდა. მეც ბევრი ალრ მიფიქრია, დავავლე ხელი სკამზე მიყრილ სამუშაო ტანსაცმელს და კარადაში შეეუქახე. ძველი წუღები დერეფანში გავკარე, შუა ოთახში გარხეული სავარძელი ფანჯარასთან მივდგი...

ჯანომ მიყურა, მიყურა და მერე წამჩურჩულა:

— ის გოგო უნდა მოვიდეს?

თავი დავუქნიე.

— აქამდეც უნდა მოსულიყო! არ ვიცი, რატომ დაიგვიანა. კიდევ კარგი, ოთახის ძიღაგებას მაინც მოვასწრებ, — ვეუთხარი და ოთახი ხელდახელ გამოვცოცხე, მერე ფარდას წავეტანე, — ჩემი ოთახი თითქმის მიწის პირას იდგა და გამკლულ-გამომკლულს საჭვრიტინო არსად დაკუტოვე.

ეს კი უკვე უტყუარი საბუთი იყო.

— ლამაზია? დამანახეკ ერთი და მაშინვე წავალ! — შეუბნება იგი და ცალი თვალი ჩემი ბუშლატისაკენ უჭირავს.

ვარეთ ჰყინავს. დრო და დრო რიონიდან ისეთი ქარი ამოვარდება, წითელ კრამიტებს სულ ბათქა-ბუთქი გააქვს ქვაფენილზე. როგორც სჩანს, დღესაც უნდა ვათხოვო ჩემი დაძენძილი, აგურისფერი ბუშლატი ამ ყაზილარს, თორემ გახდება ავად და მერე მტრისას, — ჩამრჩება ოთახში... ავადმყოფ მეგობარს ქუჩაში ვეღარ გავაგდებ.

არადა, მეცოდება ჩემი ბუშლატი. რაც ამ სამოსელმა წეწვა-ბლეჯა გადაიტანა

მჭადისა და ნავთის რიგებში, — პირდაპირ მიკვირს, სული როგორ შერჩა დღემდე.

— რას ჰქვია დაგანახვო! იცი, ის გოგო რანაირი მორცხვია? მერე არასოდეს ამ ოთახში ფეხს არ შემოდგამს...

— კაი, წადაო ახა! გავხდები შენი სიყვარულის მსხვერპლი და გავიყინები ქუჩაში!

ღიმილს ძლივს ვიკავებ და ტკბილად ვეუბნები:

— ჯანდაბას შენი თავი, ჩაიცვი ჩემი ბუშლატი და, სანამ ეს ფარდა გადაწეული არ დაინახო, კარზე ტყუილი არ დამიკაკუნო, იცოდე!

ჩაიცვა და წავიდა.

რა იცის მაგ სულელმა, რომ სინამდვილეში არავითარი გოგო ჩემთან არ დადის; ტყუილი მხოლოდ იმიტომ მოვიგონე, რომ ეს შეჩვენებული ბიჭი კვირაში ერთხელ მაინც გავაღდო ოთახიდან, კვირაში ერთხელ მაინც დავრჩე მარტოდ-მარტო საკუთარ თავთან, რომ ჩემი ნაფიქრალი და ნოოკნეპარი ქაღალდზე გადავიტანო. ჯერ კიდევ იმ შემოდგომაზე ერთი მოთხრობის წერა დავიწყე და ჯანუკის გადამკიდემ დღემდე ვერ დავამთავრე. დილიდან საღამოძდე მე არ მცალია, ფოსტალიონად ვმუშაობ მწვანე-ყვავილაზე, საღამოს კი ჯანო გამოშეცხადება და მისი ტანგენს-კოტანგენსი და სინუს-კოსინუსი პირდაპირ ჯვარზე გამაკრავს. გამწარებული იზეპირებს ტრიგონომეტრიის გაკვეთილს.

ერთხელ ვცადე და მოვკიდე ხელი კალამს, — წავედი ჩემი გმირების ზესკნელ-ქვესკნელში, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ეს ოთახი ლამის წალეკოს მისმა ბუტბუტმა. ჩემი საწყალი მუზა კი სადღაც კუთხეში მიყუჟულა და მოუთძენლად ელოდება, როდის მორჩება ზუთხვას ეს რიონელი კაჭკაჭი.

— გაჩუმდი ცოტა, შე უღმერთო, ორი სიტყვა ვერ გადავაბი ერთძანეთს ამ ზუზუნში, — ვეხვეწები, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი... უცოდველად იცინის და მეუბნება:

— ასე ვარ, ბიჭო, შეჩვეულია ასეა ვქნა! თუ ხმამაღალა არ ვიზეპირე, ისე თავში არაფერი შედის, ერთი სიტყვა არ დამამახსოვრდება!

ის გოგო ამიტომ გამოვიგონე, იქნება კვირა დღეს მაინც გავაგდო ოთახიდან ჩემი შორეული ნათესავი ჯანო მამრიკიშვილი და სულდათქმული მივუჯდე მაგიდას. ამ ეშმაკობამ გასჭრა და ცოტა მოვისვენე.

ჯანო შარშან ზომის სასწავლებელში აბარებდა გამოცდებს და რაღაც საუბდურად გაზაფხულზე ოთახში ჩამომასალდა. ჩამოიტანა სოფლიდან სამი ბათმანი თეთრი მჭადის ფქვილი, ერთი პარკი კაკაბა ლობიო, რიყის ქვასავით მაგარი ორი წველა ხალმის ყველი და სპარსული ფირმანივით დახვეული ტყემლის ტყლაპი, — მომადგა კარზე და მითხრა:

— ე, ბიჭო, ზურიკო, მაცხოვრე შენთან ოთახში! სანამ ეს ხორაგი ვვეყოფა, მანამდის გამოცდებსაც ჩავაბარებ და მერე ქე დადავალ საერთო საცხოვრებელში...

გამიწყრა ღმერთი, გავბრიყვდი და ოთახში შემოვუშვი. ჯერ იყო და პირველსავე გამოცდაზე ჩაიჭრა, მერე ის ლობიო და მჭადის ფქვილიც გაგვითავდა... ამ ბიჭმა კი ფეხი ჩემს ოთახში მოიტეხა და საშველი აღარ მომცა — ავროკურსებზე მაინც უნდა შევიდე, თორემ ისე სოფელში ვეღარ დავბრუნდები, მაძახრები დაფქვილს კი არა, ყორეადან გადმოვარდნილ ქვას არ გამომატანსო...

არადა, ჩემი დისახლისიც ჩხუბობს და ილანძღება, შენმა ნათესავმა საპირფარეშო გამიოხრა. სოფელში ძაგ უბედურს წნელისგან მოღობილი ფეხსალაგიც არ უდგას, ყოველ საჭიროებაზე ტყესა და ბუჩქებში გაობიან: ამისთანა გაწყობილ ოჯახში ეს მუტრუკი როგორ შეძოიშვება! წყალიც მეტი იხარჯება, ნავთი მეტი იწვება, იატაკი უფრო ისერება.. სკამზე ჯდომა მაინც იცოდეს, ყველს ფეხები მოურყია და მოუღრიცია...

რა ვიცი, რამდენი მიუტეველი ცო-

დვა არ ჩამოთვალა იმ საღამოს ქალბატონმა ვარდოფინამ. თუმცა გამოვტუ-დები და, მეც ძალიან გაბიზარდა ეს ამ-ბავი. ახლა კი იოკრავს გუდა-ნაბადს ჩემი არამკითხე სტუმარი-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ეს რიონელი ბიჭი ჩემზე ეშმაკი გამოდგა.

გასულ კვირას შეაღო კარი თურმე ქალბატონ ვარდოფინას ოთახში და პირ-დაპირ გულზე დაახალა:

— იცი, დედაჩემო, რაფერ გადაგიხ-დი ამდენ პატივისცემას?

— კართან რომ ჩვარი აგდია, იგი თუ დეინახე ახლა? — შეატეხა პირზე სიტ-ყვა ქალბატონმა ვარდოფინამ.

— დევინახე. — მიუგო ცოტა დაბ-ნეულმა ჯანომ.

— ჰოდა, იმ ჩვარზე შეიწმინდე კარ-გად ფეხები და ეს იქნება ჩემი პატივის-ცემა! გეიგე?

— მართლა გეუბნები, ქალბატონო ვარდოფინა, დედა ნუ წამიწყდება! — აუდუღდა გული ჯანოს: — ჩვენებური ნესტორა კახიანი ხომ გაგიგონია? ნახე-ვარ სოფელს ეყოფა, იმდენი ღვინოა სიმინდი მოსდის წელიწადში. ამბაირ შეძლებულ ოჯახს მარტო ერთი ვაჟი ჰყავს, ერთი სანთელი უნთია კერაზე! ისიც აგროკულტურაზე აპირებს შესვლას. წინეებზე ქუთაისში რომ მოვდიოდი, ნესტორამ დამიძახა და მითხრა, ერთი კარგი დიასახლისი მიშოვე და რა გინ-და ჩემგან... ბინის ქირას წინდაწინ გადა-ვუხდი, თუნდაც მთელი წლისა იყოს! სასმელ-საჭმელს არ მოვაკლებ, ოღონდ ბიჭი კარგად მიმყოფოსო. ა, ეს ბიჭი უნდა მოგიყვანო, დეიდა ვარდოფინა, ამ გაზაფხულზე! არადა, ჩემი ლანდი არ გაიჭაჭანებს ამ არემარეზე, ასე მით-ქვამს მე, ჯანო მამრიეშვილს და ღმერ-თო, შენ გაიგონე შენი კარგი ყურით!

ქალბატონი ვარდოფინა წამოეგო ამ ანკესზე და იმ საღამოს მერე სულ ჭირი-მე-გენაცვალეს ეძახის იმ ტურას .

მაგრამ სინამდვილე? ეს გაზაფხულიც მალე მოგვადგება კარზე.

თავი მეოთხე

ქალბატონმა ვარდოფინამ სინათლე გადამიჭრა, დამტოვა სიბნელეში ჩემი მოთხრობის გმირებთან ერთად. ასე მექ-ცევა ბუდამ, როდესაც ბინის ქირას დრო-ზე ვერ გადავუხდი. ჯერ სინათლეს წა-მართმევს, მერე ოთახიდან ნელა-ნელა გაიტანს ყველაფერს, რაც მანამდე სულ-გრძელად მათხოვა: მუთაქას, სარკეს, წიგნების თაროს, თეფშებს, დანა-ჩანგ-ლებს, თუმცა დანა-ჩანგალი რა ოხრად მინდა, — ყველი, მჭადი და ლობიო ხელ-ითაც კარგად იჭმება.

მე მაინც ბედს არ ვემდური, რადგან ბორიტი დიასახლისების ჯიბრზე ამ ქვე-ყნად, ელექტრონის გარდა, კიდევ არსე-ბობს ნავთი, კარტოფილის სანთელი და, თუ ესეც გამომელია, მაშინ გაუმარჯოს ქუთაური შემოდგომის კაშკაშა მთვა-რეს, — იმას ხომ ვერავინ წამართმევს... და როდესაც მისი მომწყენი შუქი ჩემს პატარა ოთახს გაავსებს, თითქმის გათუ-ნებამდე ფანჯრასთან ვზიავარ და ჩემი დაუმთავრებელი მოთხრობის მთავარ გმირს ვეჩურჩულები.

ნუთუ ანგელინას დავარქმევ ამ ლა-მაზ გოგოს?

„დაარქმევ“ — მეუბნება მეექვსე გრძნობა. დიაკონის ქალზე შეკვარებულ ფოტოგრაფს, პარმენ პაპიძეს, მხოლოდ ამგვარი სახელები მოსწონს...

არიადნა
ანგელინა
დიანა
მიმოზა
მადონა
ლუკრეცია
ავგუსტინა
კლეოპატრა...

ჩემი სახლი რიონის ფერდობზე სდგას,

კოლხანგინი ლორთქიფანიძე
ეს ლამაზი გათენდება...

ფრანგების ეკლესიის მეზობლად. წყალგაღმა მოსჩანს ჭომისაკენ მიმავალი გზა და მაღალი კლდე — უქმიერიოხი კლდეზე — ბაგრატის ტაძარი და ცოტა ხელქარაჯვნივ — ციხე-დარბაზის ნახვრეგები. ახლა ისინიც ძთვარის მწკვანე შუქში გახვეულნან და ისე უდაბნოთად ლამაზები არიან, რომ აღარ ვიცი, უქმიერიოხს ვუცქერო თუ პაპიეს პაპიეს სახლიდან გამოვიყვახო და დიაკოხის, დავით ჩიხლაძის ქალს შევახვედრო.

დიდხანს ვერ შევეჩვე ამ ოთახს. ქალბატონ ვარდოფინას ერთი საოცარი ზნე სჭირს: კვირა-დილას ოთახს რომ დამილაგებს, ყველაფერს უეჭველად ადგილს შეუცვლის. წიგნების თაროს ამ კუთხიდან იმ კუთხეში გადადგამს, ბუხართან მიყუჟულ პატარა ძაგიდას შუაგულ ოთახში გამოაბრახახებს; ხან კიდევ დაავლებს ხელს კედელზე ჩამოკიდებულ სარკეს და მეორე მდგმურს გაუტანს, — რაღაც-რაღაცეებს ისე შეაბრუნ-შემოაბრუნებს, რომ ძერე იქაურობას ვეღარ ვცნობ. თითქოს ამ-თავ მაგრამ ნობრიბენებს, — აქ ძე ვარ ბატონ-პატრონი და ყველაფერი ჩემი სურვილის მონა-მორჩილი უნდა იყოსო...

ძალიან მაწუხებს ეს ამბავი. არ შემიძლია ვწერო იმ ოთახში, სადაც ნივთები და სიგნები ასე მოუსვენრად აროან და შუდმივ ადგილს კეღარ პოულობენ.

ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს ყოველ კვირას ახალ ოთახში გადავყავდი ქალბატონ ვარდოფინას და კიდევ ვატყობდი: ჩემი გამგებლობიდან გამოსული ნივთები უკვე მტრულად მიცქერდნენ და არაფერში არ მეხმარებოდნენ...

ერთხელ კედელზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც პატარა ლამაზი ნოხი ეკიდა, მოვარაყებული თაბაშირის ჩარჩოში ჩასმული სურათი დამიხვდა. სურათზე გამოსახული იყო შაფვერი, თვალებგადმოქაჩული, მრისხანე შეხედულების მღვდელი, ერთი ფაშფაშა დედაკაცი და პატარა ქალ-ვაჟი.

— ეს ჩვენი ოჯახია, — მომახარა ქალბატონმა ვარდოფინამ: — ეს პატარა გოგო მე ვარ, აღბათ მიცნობ. შინაც ასეთი პუტკუნა ვყოფილვარ. რა ხანია, ამ სურათის გადიდება მინდოდა, მარა ვერა და ვერ მოვიცალე. ახლა კი პატივი მცა ჩემმა უფროსმა ძმამ. ამოდენა სურათი გამომიგზავნა!

ის დღე იყო და სულის ამშვიდობაც დაეკარგე. ამ მრისხანე მღვდელმა საშველი აღარ მომცა, იმის გადმოქაჩულ თვალებს ვერსად გავექეცი. სულ მეჩვენებოდა, თითქოს ოთახში არასოდეს მარტო არ ვიყავი. საიათაც არ უნდა ნიგბრუნებულიყავ, მისი თვალები თაკკისერს მიწვავდა, მიდაღავდა... მობრუნდი და მიცქერიო, — მეძახდა. რამდენჯერ დავთქვი და ფიცი დავდე, მისკენ აღარ გამეხედა, მაგრამ ერთი-ორი წუთი და —ისევ იმ მღვდელს მივჩერებოდი გამოთაყვანებული.

ერთხელ იმ სურათს გაზეთი ჩამოვაფარე და ქალბატონ ვარდოფინას ვუთხარი, — ბუზები ისხდებიან და შეიძლება ლამაზი ჩარჩო გასვარონ-მეთქი.

დიასახლისმა დამამშვიდა, რამდენი სურათი მიკიდია ამ ოთახში და ბუზნის ნაჯდომი ჯერ არსად დამინახავს, რაღა ამ სურათს დაეხვევიანონ...

მაშ, მე და ეს შეშლილი მღვდელი ისევ ერთად უნდა დავრჩით ამ ოთახში!

და რაღა დაგიმალოთ, ვუშინწერ იმ თვალებმა მძინარე კაცი ისე გამომაღვიძა, თითქოს ოთახში ვიღაც უცნობი შემოსულიყოს და თაზზე დამდგომოდეს...

მეტი რა გზა მქონდა. ახალი ბინა უნდა მეძებნა, მაგრამ ისევ იმ ამბავმა მიშველა, — ქალბატონ ვარდოფინას უზნეობამ: საღდგომოდ სახლი რომ დაალაგა, ის წყეული სურათი მეორე მდგმურის ოთახში გაიტანა.

თავისუფლად ამოვისუნთქე, მაგრამ გახარებულმა გულმა ზუსტი ანგარიში არ იცის, ადვილად მოტყუვდება ხოლმე. მეც ასე დამემართა. არ გასულა ერთი კვირა და... ჯანმ მაპრიკიშვილი შევიკედლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალამო ხანი იყო. ბულვარში ვიჯექი და ებრაელის ბიჭს მოხარშულ სიმინდს ვეკაჭრებოდი.

— არ მინდა, ვადა, შენი მილიონი! ერთი კოლოფი ასანთი მომეცი და ორი ტარო წაიღე, — მეუბნებოდა იგი და კალთას ხელს აფარებდა.

უეცრად ბიჭების ხარხარი გავიგონე. მოვიხედე. ბაღში ქუთაისელი „იმპერატორიცა“ ანა მიხაილოვნა შემოვიდა.

რომელ ქუთაისელს არ უნახავს ასეთი სურათი: აგერ, ბაღის კიდეზე მოდის და მოირხევა თხელი, საშუალო ტანის, შუახანს მიღწეული ქალი. მიმკჭვნარ ლოყებზე ერთი შავი ხალი უყვარის მხოლოდ. სხვა ყველაფერი, — თვალები, ტუჩ-პირი, ოდნავ დაღარული შუბლი სულ არაფერს ეუბნება ნაცნობ-უცნობებს. მოდის, როგორც დედოფალი, ქვეყანაზე უკვე აღარ ეგულება თავისი ტოლი და საფერი.

ზამთარ-ზაფხულ თეთრებში დადის, ვერცერთი თუში ქალი ქსოვა-ქარგვაში ვერ აჯობებს; კაბა, ფარაგი, მოსასხამი, წინდები, — ყველაფერი თვითონ მოიქსოვა თეთრი მატყლის ნართისაგან. ქუდიც, ხელის ჩანთაც...

კვირა-სალამოს გამოჩნდება თუ არა ბულვარის ალიზმაყრილ ბილიკზე, წინ შეეგებვიან ლაზღანდარა ნოქრები, დაბახანის შეგირდები, ავარა ბიჭები... მხედრულად მიესალმებიან, ანიკო-დედოფალ გაუმარჯოსო და ისე მიაცილებენ მთავარანგელოზის ეკლესიამდე, როგორც დედოფლის ამალას ჰბრძანებს და ეკადრება.

პირდაპირ მოიცებს, ეს გამოყრუებული დედაკაცი რა ლამაზად შეიფერებს ამ პატივსა და დიდებას...

ბიჭების დამცინავი კილო და მანჭვა-გრეხა ნაბიჯს ვერ შეუცვლის, მხრებში გაიმართება, კისერს მოიღერებს და ისე ღირსეულად ჩაათავებს ბაღის ბილიკს, რომ ხანდახან თვითონ ეს ბიჭებიც გაოცებული მისჩერებიან ამ მერეკილ დედოფალს.

და რა საოცარია, — სწორედ იმ წუთებში არ იყო იგი სასაცილო, არც საბრალო... ჭქონდა რაღაც იდუმალი ჯადო ანიკოს ურყევ რწმენას, რომ დედოფალი ვარო.

ხანდახან ბაზრის ბიჭებუბებიც აედევნებიან ანიკოს, ხან ჩახთას გამოსტაცებენ ხელიდან, ხან კიდევ თეთრ მოსასხამის კალთებს აუფრიალებენ. ერთხელ ცინდალიც კი ესროლეს ბეწვის საყელოზე, მაგრამ არ ეახლოვს, ერთი სამდურავი სიტყვა დასცდენოდეს ოდესმე. ან შველა-დახმარება ეთხოვოს.

ფეხს არ მოუჩქარებს, ისე გაივლის ამ ალაიაში...

ყველას მოუთმენს, ყველაფერს მოითმენს, მხოლოდ ერთი რამ დაუკარგავს სულის სიმშვიდეს: თუ მთავარანგელოზის ეკლესიის ეზოში ლამაზი, მდიდრულად ჩაცმული ქალი დაინახა.

ეკლესია დაკეტილი იყო, მაგრამ მიესი ხეების ჩრდილში სულის მოსათვმელად ხშირად ჩამოჯდებოდა ხოლმე გამგლელ-გამომგლელი ქალი და კაცი.

სხვას არავის, — ანიკო მხოლოდ ლამაზ ქალს ეტყოდა უკმეხად:

— წადი, მოშორდი აქედან, ამ ეზოში შენი ლანდი არ დავინახო!..

— რატომ, ანიკო, რა დაგიშავე! — ეტყოდა შეძცბარი მანდილოსანი.

— საქმრო გინდა წამართვა? დედოფალი გინდა გახდე! — დაუცაცხანებდა იგი და თუ ეკლესიის ეზო-ბაღის სტუმარი კიდევ შეუბრუნებდა სიტყვას, ეს ყოველად უწყინარი ქალი ისე გაეცხლდებოდა, — კაცი ხელებს გაშლიდა, ეს ვინ ყოფილაო.

— მეფე ეკვი ჩამოსულა ქუთაისში, რომ ჯვარი დაიწეროს ჩემზე! რას უტრიალებ ამ ეკლესიას, თუ შენ წმინდა სული ხარ! — და, როგორც პატარა ბაღანას, ისე დაიფრენდა ეკლესიის

ეზოდან ხან წერეთლის, ხან ნიკარაძის ქალებს.

ერთხელ ბაღის კიდის ბიჭებმა მოილაპარაკეს და ანიკოს შიკრიკი გაუგზავნეს, — მეფემ შემოგითვალა, „ბევრი საქმე მაქვს და ჩამოსვლა ვერ მოვახერხე, თქვენებურ კაცს ჩემი სურათი გამოვატანე და ჯვარი იმ სურათზე დაიწეროო..“

მეორე დღესვე ის უპატრონო ეკლესია გააღეს, დამტვრიანებულ შანდლებზე მამასისხლად ნაყიდი სანთლები დაანთეს და საქორწინოდ მორთულ-მოკაზმულ ანიკოს მეფის სურათზე ჯვარი დასწერეს.

ამ ქორწინებას მეც დავესწარი. მეგონა, იქნებოდა სიცილ-ხარხარი, ხორხოცი და ყრიამული... ამ შერეკილმა ქალმა კი აქაც ისე შეიფერა დედოფლობა, ისე მადლმოფენილი იდგა მეფის სურათის გვერდით, რომ ეს თვალის სასეიროდ გამოგონილი ამბავი ნამდვილ ქორწინებას დაამგვანა.

გასართობად მოსული ბიჭები ცოტა გულნაკლულნი გამოვიდნენ ეკლესიიდან. ამჯერად ჭერი მაღლა ვერ ასწიეს.

ასე გადედოფლდა ანიკო ჩიხლაძე, თუმცა ქალების შიში და სიძულვილი დღესაც უფორიაქებს სულს.

ოცი წლისაც არ იყო ანიკო, ერთხელ შუადამისას დედა რომ გაეღვიძა ნუმად კკითხა:

— გაიგონე, დედა?

— რა, შვილო!

— წეღან დიდი მეფე იყო ჩემთან, სიყვარული შემომფიცა და მითხრა, ახლა მეჩქარება, მალე ისევ ჩამოვალ და ჯვარი დავიწეროთო!

ვერც ექიმებმა და ვერც ექიმბაშებმა ანიკოს ვეღარ უშველეს.

იმ დღიდან მოკიდებული, იგი ყოველდღე მიდიოდა მთავარანგელოზის ეკლესიაში, რომ თავზე დედოფლის გვირგვინი დაედგა.

გავიდა ხანი, მეფე ტახტიდან ჩამოავდეს, მერე მთავრობა ერთი-ორჯერ კიდევ შეიცვალა, მაგრამ ანიკომ დრო შეაჩერა, — იმ ეკლესიას მაინც არ შორდებოდა.

●

...უეცრად გონება გამინათდა: სწორედ ეს ქალი იქნება ანგელინას მამიდა, — მისი გულის მესაიდუმლე... მაშინ უფრო მკაფიოდ გამრონდება დავით ჩიხლაძის ოჯახის სულიერი უბადრუკობა.

თავი მეოთხე

ებრაელი ბიჭი იქვე იდგა და უცოდიდა, როდის გადავაგდებდი ცარიელ ნაკოტარას. ბიჭს ორი კალათი ჰქონდა. ერთში მოხარშული სიმინდი ეწყო, მეორეში ნაკოტარებს აგროვებდა და ღორების საჭმელად მწვანე-ყვავილაზე ყიდდა.

უეცრად ის კაცი დავინახე. რაღაც ისეთი შეწუხებული ნაბიჯით შემოვიდა ბაღში, თითქოს ფეხსაცმელი უჭერდა.

მოვტყუვდი. ფეხზე რომ დავხედე, ძალიან სრული, მოფლაშული, შავად გადაღებილი ტილოს ქომები ეცვა. თურმე სიარული სცოდნია ასე გამოტანჯული.

გრძელი საწვიმრის კალთები თითქმის კოჭებზე ურტყამდა მხრებზე გამოხუნებულ მოლურჯო ქსოვილს წითელი ფერი დაჰკრავდა. თავზე ოდნავ ჩაცცილი დაბალი ბოხოხი ეხურა. ამნაირ ბოხოხს იმ წლებში მეწუმეკეების გვარდიელები ატარებდნენ.

პირთხელი, უფერო კაცი იყო. შესახედავად ოცდათხუთმეტი-ოცდათექვსმეტი წლისა იქნებოდა, თუმცა ის ნაჭი უკვე დასჩენოდა პირისახეზე, ყველაზე მკაფიოდ რომ ლაპარაკობს, —

ჩემი დღევანდელი ცხოვრება არც ისე მოლხენილი არისო...

ეს კაცი სადღაც მინახავს, მაგრამ სად?

ვერ გავიხსენე, თუმცა გონების თვალმა უკვე მოირბინა რამდენი ქუჩა და რამდენი სახლი, სადაც ჩემი ნაცნობ-მეგობრები ცხოვრობდნენ.

უეცრად გულმა დამკრა:

მინახავს რომელიღ?!

ამ კაცს არაერთხელ შევხვედრივარ ბაგრატის მთაზე... ჯაჭვის ხიდთან.

„ახლა გამარჯობა ,რომ არ ვუთხრა, უზრდელობად ჩამეთვლება!“ — გავიფიქრე და წამოვდექი.

მოდიოდა თავჩაქინდრული, მოწყენილი... მხოლოდ დროდადრო მარჯვენა მხარს შეატოკებდა ანაზდად, თითქოს საყელოში ჭიანჭველა ჩაუძვრაო.

— გამარჯობა, ჩემო ბატონო! — მივესალმე და წინ დავუდექი.

— იცოცხლეთ! — თავაუღებლად მითხრა და გვერდი ამიარა. მერე უკვე უკან მოიხედა, დამაკვირდა, ეტყობოდა, ვერ მიცნო, მაგრამ არ შეიმჩნია, წყნარად გაიმეორა:

— იცოცხლეთ, ჩემო კარგო!

ხმაც, „ჩემო კარგოც“, უსხივო თვალების ნაფეხელიც შუახანს გადაცილებულ ადამიანს უფრო შეეფერებოდა. ვიდრე ამ ახალგაზრდა კაცს.

— მე თქვენ დიდი ხანია დაგეძებთ, თქვენი ნახვა მინდა! — ვუთხარი მე.

— ჩემი? — გაიკვირვა მან.

— თუ არ გეჩქარებათ, ცოტა ხანს სადმე ჩამოვსხდეთ.

— კი, ბატონო.

ეკლესიის ეზოში შევედით. შუადღე უკვე გადასული იყო და ცაცხვების ჩრდილში კაცი არავინ ჯაჭანებდა.

— თუ არ გეწყინებათ, ერთი რაღ უნდა გკითხოთ!

— კი, ბატონო.

მომკლა ამ „კიბატონომ“.

ი მ კ ა ც ს ასეთი მორჩილი ხასიათი არ უნდა ჰქონდეს.

— ძალიან გიჭირთ ცხოვრება?

თვალებში შემომხედა, მხარზე ხელი შეატკა და ჩუმად მკითხა:

— თქვენ ვინ ბრძანდებით!

— ვერ მიცანით? ჩვენ ერთმანეთს კარგა ხანია ვიცნობთ.

— საიდან?

— ამას ვერ გეტყვით. არ მახსოვს, მაგრამ მე ვიცი, თქვენ ახლა რა გიჭლავთ გულს!

დაბნეულად შემომხედა. ეტყობა, არ დამიჯერა.

— მე ისიც ვიცი, თქვენ ახლა საიდან მოდიხართ! მე... მე ვიცი, თქვენ ვინ გიყვართ!

— ნუ მაშინებთ, თუ ღმერთი გწამთ! — მითხრა და კრძალვით გამიღიმა.

— რა კარგი ღიმილი გქონიათ, მხოლოდ ძალიან კეთილ ადამიანს შეუძლია ასე გაუღიმოს ამ უსამართლო ქვეყანას!

ჭკუიდან გადასული თუ ვეგონე, ისე დაფეთებული მომაჩერდა. ორჯერ ზედიზედ შეატოკა მხარი და წასვლა დაპირა, მაგრამ რაღაცამ ისევ შეაჩერა.

ცნობისმოყვარეობამ? თუ ზრდილობამ?

— თქვენ ნურაფერისა გეშინიათ, ჩემო ბატონო, — ვუთხარი და მხარზე ხელი დავადე: — მე ვიცი, თქვენ გუშინ თავის მოკვლა გინდოდათ! ძალიან გთხოვთ, ეს მეორედ აღარ გაიფიქროთ! თქვენი სიცოცხლე ჯერ კიდევ მჭირდება!

— ვინა ხარ, კაცო, რას გადამეკიდე! — ხმას აუწია ჩემმა თანამოსაუბრემ. აღელვება იმითაც შეეტყო, რომ მოულოდნელად „შენობით“ დამიწყო ლაპარაკი. მინდოდა ტკბილი სიტყვა მეთქვა, მაგრამ არ დამაცალა, მიტრიალდა და მისი გრძელი მოსასხამი სწრაფად მიიმალა ბზის ბუჩქებში.

სანამ მიიმალებოდა, ერთხელ მაინც მოიხედა.

ვიცოდი, რომ მოიხედავდა.

 კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ეს ღამეც გათენდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მეტიც: ვიცოდი, აგერ იმ ბუჩქთან რომ მივიდოდა, სწორედ მაშინ მოიხედავდა...

საღამოხანს, საწერ მაგიდას მივუჯექი თუ არა, ისევ და ისევ გამიელვა

თავი მეხუთე

თვალის უნახავი გაზაფხული იცის ქუთაისში, უბრალო ქვაც კი აყვავდება უქიმერიონის ფერდობზე თუ კიბულას კალთებზე.

მაგრამ მტრისას აქაური შემოდგომა! ასეთი უგემური, გულის გამაწყალებელი წვიმა ნეტავი კიდევ თუ სადმე მოდის ამ ქვეყანაზე!

წვიმდეს მაინც...

დილიდან საღამომდე გადაუღებლად ჟინჟღლავს, ისეთი ცივი და წვრილი თქორი იყრება ციდან. თითქოს მერდინში გაატარესო. კარგად თუ არ დააკვირდი, ვერც კი მიხვდები, როდის წვიმს და როდის ემხადება სწვიმარაღ ნესტი და სიცივე ძვალ-რბილში გატანს. ქუჩაში კაცი გაწყდება, მხოლოდ მობუხული მეეტლეები ჩუმად სხედან კოფოზე და თვლემენ: ძველ დროს ივიონებენ, როდესაც ბირჟაზე დადგომას ვერ მოასწრებდა, რომ უკვე გესმოდა ძახილი: „იხვშჩიკ!“ ახლა კი რაღაა!, ვისაც ფული და ცხოვრების ლაზათი ჰქონდა, დაბალ თაროზე ჩამოაბრძანეს და კუდის რიკამდე გაატყავეს, ესენი კი ფაეტონს მხოლოდ მაშინ დაუძახებენ, როცა ცნობილი ექიმი გველესიანი ან პოლუმორდკინოვი მიჰყავთ შინ ავადმყოფის გასასინჯად.

არის ქალაქში მხოლოდ ორად-ორი ადგილი, სადაც ამისთანა თქორს კი არა, ციცხლის წვიმას არ შეუშინდება კაცი. ერთია ფურნე და მეორე — აფთიაქი.

ხანდახან ფურნესთან დღე-დამის გაყრამდე დგებიან რიგში და მეორე დილამდე დგანან, იქნებ ხეთში გამომცხვარი მშადი თუ არა, თუჯის უთოსავით მაგარი და ჟანგისფერი კოპტონი მაინც შეხვდეს მთელი ღამის უძილო ადამიანს.

იმას კიდევ რა უჭირს, ვისაც ხელში გაშლილი ქოლგა უჭირავს... სდგას ამ წვიმიან ღამეში უშიშრად, ვითარცა ბრინჯაოს ქანდაკება. იკითხოს ის ხალხმა, ვისაც არც ქოლგა გაიჩნია, არც საწვიმარი... მაგრამ გაჭირვება ფარხმალს არ დაჰყრის, — გამოსავალს მაინც გაპოვნინებს. აგერ ვიღაცამ ფურნის კართან პატარა ყუთი დასდო, მეორემ — დაბალი სამფეხა სკამი მიუდგა იმ ყუთს, მესამემ — დაჭყლეტილი სანავთე, მერე ნაქურჩალას კალთი, ფიცრის ნაჭერი, ძირგავარდნილი კალოში, პირმოტეხილი დოქი, შელანქიული ფოხალი, — ათასგვარი ხარახურა, დასაკარგავად და გასატეხად რომ არ გვნანება.

ჩაამწკრივებდნენ ფურნესთან შინიდან წამოღებულ ძაქვლებს და თავად პატრონები იქვე ახლო-მახლო რაიმე თავშესაფარს იპოვიდნენ: ან სადარბაზოს, ან კიდევ გადახურულ ალაყაფს; ვისაც უფრო თბილად ეცვა, ისინი აივნების ქვეშ შეიჭუჭკებოდნენ და სულს მაინც მიიტანდნენ ფურნის გაღებამდე.

მაგრამ იმ დაღუბულ შემოდგომაზე აფთიაქს უფრო მეტი ხალხი ესეოდა, ვიდრე ფურნეს. ქალაქს საშინელი ავადმყოფობა, „ისპანკა“ მოდგა. ფოსტის უფროსმა მითხრა, — პირველმა მსოფლიო ომმა ათი მილიონი ადამიანი იმსხვერპლა, ამ ჩამოთვლებმა ჯირმა კი ორჯერ მეტი ქალი და კაცი შეიწირაო. ქუთაისში სახლი არ გამოტოვა ამ ესპანურმა სენმა. ხშირად მთელი ოჯახი, დიდი თუ პატარა, ლოგინში ბორგავდა

სიცხისაგან გათანგული, წამლის მიმწოდებელი კაცი არავინ ჰყავდა.

ერთხელ ჩემი ჩანთა ადროიანად დავაცარიელე და მაშინვე შინისაკენ გავქანდი, იქნება ჯანის დაბრუნებამდე ერთი-ორი სტრიქონის დაწერა მოვასწრო-მეთქი.

გზა შევიმოკლე და ბაღი გადავეჭერი. ძალიან მიყვარდა მისი ალიზმოყრილი ბილიკები და გრილი ხეივნები. ეს ბაღი საოცრად მამშვიდებდა. შევიდოდი თუ არა, ყველა სიხარულივი და საწუხარი ბაღის კართან დამრჩებოდა და ამ ვეებო ჭაღრების ძირში ისე ლაღად და თავისუფლად ვსუნთქავდი, თითქოს ნახევარი წლის ბინის ქირა წინასწარ მქონდა გადახდილი.

ბაღის განაპირას პატარა ლამაზი სადგომი იყო ბანძორული, სადაც რევოლუციამდე, ყოველ შაბათ-კვირას, სამხედრო სასულე ორკესტრი უკრავდა. თვეში ერთი-ორჯერ ჯამბაზები და ცირკის მსახიობები წარმოდგენას გამართავდნენ. ბაღში მისეირნე ხალხი თავს მოიყრიდა სადგომის წინ და ზეზეულა უყურებდა იშვიათ სანახაობას. მერე მაყურებლებში ჩამოვლიდა ოქროსთმიანი ლამაზი გოგონა, ხელში ვერცხლის ლანგარი ეჭირა, ლანგარზე წკრიალი გაუდიოდა სპილენძის ხურდას, შიგადაშიგ ვერცხლის ფულიც გაიელვებდა. რევოლუციის პირველ დღეებში ეს სადგომი ორატორებმა დაისაკუთრეს. მოელი ქალაქი მოაწყვდებოდა დაბურულ ხეივნებს, იყო ერთი გამიშვი და გამოუშვი. მერე მიტინგებიც თანდათან მიჩუმათდა და მხოლოდ ზოგჯერ საიდანღაც გადმოხეეწილი უსახლკარო ბიჭები თუ შეეხეხნებოდნენ ამ სადგომს, ან კიდევ ზარის სათამაშოდ თუ შეიყრებოდნენ ბალახგნული ჯიბეკრები.

ახლა კი ამ ადგილს, ჭაღრის ძირში, ხმალშემართული ჯარისკაცები იდგნენ და სურათს იღებდნენ.

გული ბამეცინა, ისე დაძაბული მისჩერებოდნენ სამფეხა სადგარზე გამართულ ფოტოაპარატს.

ეიცრად თვალი კინალამ წამგლეჯა ფოტოგრაფმა შავი სატინის ნაჭერი თავზე გადაიძრო და... ხელში შემრჩა, თუ იცი ვინ, ჩემო ჯანუკი?! ჩემი მოთხრობის გმირის ორეული თუ პირველსახე, ამ წინეებზე ბაღში რომ გავიცანი. აი, თურმე ვინ ყოფილა იგი! მოხეტიალე ფოტოგრაფი. სწორედ ამგვარი ხელობის კაცი უნდა გადაპყოროდა ანგელინა ჩიჩლაძეს.

მოვიცადე, სანამ ჯარისკაცებს გაისტეტრებდა, მერე ქუდი მოვიხადე და მივესალმე. მაშინვე მიცნო და თვალებში შიში გამოეხატა.

— სურათის გადაღება მინდა, — ვუთხარი და გულჯიბიდან სავარცლის ნატეხი ამოვიღე, თმაზე გადავისვი. — ბაღში მუშაობთ? მე აქ ჭშირად დავდივარ, რატომ აქამდე ვერ ვნახეთ!

— აქ მხოლოდ გუშინ დავიწყე სურათების გადაღება. მანამდე ნებართვა არ მქონდა, ხონის ბირეასთან ვმუშაობდი!

— ეს კარგი ადგილია, მუშტარი არ შემოგაკლდებათ!

— კარგია, მაგრამ... ამ სადგომში პატარა კუნჭულსაც რომ დამითმობდნენ, ავდარში თავს შევაფარებდი და არ გაგცდებოდი, უარი მითხრეს, ჯერ ეს იკმარე და მერე ვნახოთო!

კარგად მოწყობული კაცი იყო, ჩაფეთქილ ლოყებზე კომშის ფერი დასდებოდა.

— სურათი ახლავე გინდათ?

თავი დავუქნიე, მინდა-მეთქი, რა მეჩქარებოდა, მაგრამ გამეპირდა მასთან დამორება.

სურათი გადამიღო. წამლებისაგან შეყეთლებული ლამაზი თითები ოდნავ უკანკალებდა, მაგრამ როდესაც რაიმე საგანს ხელს მოჰკიდებდა, კანკალი მაშინვე გაუქრებოდა.

— ბოდიში, — მითხრა და ფირფიტას გამეღავნებას შეუდგა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ეს ღამეც გათენდება...

ჩუმად ვიჯექი და თვალს არ ვაშორებდი ჩემი მგრის პირველსახეს.

ყოველი მოძრაობა, ყოველი გამოხედვა ძალიან თვიხიერი და საწყალი კაცისა ჰქონდა.

წამითაც არ შეჩერებულა, შეუფერხებლად აკეთებდა თავის საქმეს, თუმცა ეტყობოდა, რაღაც საგონებელში იყო ჩავარდნილი, რაღაც აწუხებდა. ერთი-ორჯერ თვალის ჩინი დაეკარგა, პირისახე გაუქვავდა, ხელები მაინც არ გაუჩერებია.

— როგორ ფიქრობთ, თქვენ იმ ქალს უყვარხართ? — ვკითხე უეცრად.

არეულად გადმომხედა, ხელები ტილოს ნაჭერზე შეეწშინდა, მერე მომიახლოვდა და წყნარად მითხრა:

— თქვენ რა გინდათ ჩემგან, ყმაწვილო?!

— მე-ე? მე მინდა თქვენი ცხოვრება აეწერო, — მივუგე გაუბედავად, რადგან მისმა ნაღვლიანმა ხმამ სითამამე წამართვა.

— ასეთი რა დავაშავე, ბატონო ჩემო?

— არაფერი, სრულიად არაფერი. მე მინდა უფრო ახლოს გაგიცნოთ, მინდა შევისწავლო თქვენი ხასიათი. რა გიყვართ, რა გძულთ!

იგი ჯერ შეშინებული მიყურებდა, მერე ჩუმად შეტრიალდა, ჩემი სურათები ლანგრიდან ამოკრიფა. ქაღალდში ფაქიზად შეახვია და მომაწოდა.

— რამდენი მოგართვათ?

— არ მინდა თქვენი არაფერი, ოღონდ თავი დამანებეთ. მე თქვენი მოთხრობის გმირად არ გამოვდგები. ჩემზე უფრო მოცლილი და ბედნიერი კაცი მონახეთ!

სადგამს ხელი დაავლო და მეორე ხელვაზში გადაიტანა. მეც მივყევი ფანჯარასთან. ფანჯარა დაფდექი, იქნებ გული მოუბრუნდეს-მეთქი, მაგრამ რა მე და რა ჯირკი! ერთხელაც არ გამომხედა.

ჯიბიდან ბანდანის დასტა ამოვიღე, ორმოცი მილიონი გადავთვალე, სკამზე დავაწყვე. ზედ აგურის ნატეხი დავდე და უხმოდ გავეცალე.

ეს იყო და ეს. იმ დღიდან ჩემი ფოტოგრაფი ბულვარში აღარ დამინახავს.

„გამექცა, ნამდვილად გამექცა!“

მწვანე-ყვავილადან მოყოლებული პატარა ყაფნამდე ერთი ქუჩა და ბაღი არ დამიტოვებია, — ყველგან შევიხედე, ყველას გამოვკითხე, — ფოტოგრაფის კვალს მინიც ვერ მივაგენი. ყოველ საღამოს მუხლებდაწყვეტილი მივჩანჩალებდი შინ.

რამდენჯერ გადავწყვიტე, ხვალიდან საქებრად აღარ წავალ-მეთქი, მაგრამ გათენდებოდა თუ არა, ფეხები თავისთაად გამომიყვანდა სახლიდან.

მგონი, სამუდამოდ დავკარგე ჩემი მოთხრობის გმირი.

ჯანოს არაერთხელ ავუწერე ჩემი ფოტოგრაფის გარეგნობა, ჩაცმა-დახურვა, საქციელი... იგი უკვე ჩემი პირველი მკითხველი და მრჩეველი იყო. სწორედ ჯანომ შემაგულიანა, ის შერეკილი დედოფალი ანგელინას მამიდა იყოს, დიაკონის ქალის საწყალი ხასიათი მაშინ უფრო გასაგები იქნებაო.

— როგორ ფიქრობ, ასეთმა კაცმა რა უნდა მოიმოქმედოს, რომ ახალგაზრდა ქალის გული მოიგოს? — შევეკითხე ერთხელ.

ი ნ: — ჯერ ის ქალი გამაცანი, ასე ზეპირად ვერაფერს გეტყვი!

მ ე: — სახელად ანგელინა დავარქვი.

ი ნ: — ანგელინა რა სახელია, შე კაცო?

მ ე: — რა ვქნა, ფოტოგრაფმა მთხოვა და უარი არ იქნებოდა,

ი ნ: — გოგო ლამაზია?

მ ე: — ძალიან ლამაზი არც მინდა იყოს, მხოლოდ ისეთი ტან-ფეხი უნდა ჰქონდეს და ისეთი ეშხიანი უნდა იყოს, რომ ტროტუარის ქვებიც კი წამოკვეცდნენ და უკან გამოეკიდონ!

ი ნ: — მოიწონს... შეძლებული ოჯახიდან არის?

მ ე: — სწორედ ეს ვერ გადავწყვიტე. შეძლებული იყოს თუ ღარიბი!

ი ს:—ჯერ ეს უნდა გადაწყვეტო, თორემ ისე ქალს როგორ გაათხოვებ!

მ ე:—მამამისი დაეთი ხიხლაძე დიაკონი იყო წმინდა გიორგის ეკლესიაში, გორაზე ცხოვრობდნენ, ცაცხვების ქუჩაზე. სანამ ეკლესიაში წირვა-ლოცვა იდგა, დიაკონს ოჯახის შენახვა არ გაუჭირდებოდა... მაგრამ იქუხა რეკოლუციამ და მღვდელ-დიაკვნებმა მაზახდა დაკარგეს.

ი ს:— და, რა თქმა უნდა, დიაკონის ქალსაც ფასი დაკლდა, როგორც საპატრიარქოლოს...

მ ე:—მართალი ხარ, ჯანო, მეც როგორ გამოპარჩია ეს ამბავი! ახლა უფრო გამიადვილდება ანგელინას გათხოვება.

ი ს: — ნასწავლია?

მ ე:—აბა როგორ გითხრა! ანგელინა სამი წლისა იყო, დედა რომ გარდაეცალა. ადრე დაობლებულ გოგოს მამამ დედინაცვალი არ მოუყვანა, უდედოდ გაზარდა. სამეელი, სარეცხი, საკერი — ყველაფერი კაცის კისერზე გადადიოდა. ბავშვი ძილსა და ბანებაში იზრდებაო, ამბობდა დიაკონი და გოგოს თავს დაჩანკალებდა. მისი ობოლი ანგელინა მუდამ გამოძინებული და დაბანილ-დავარცხნილი დარბოდა ეზოში.

წერა-კითხვა მარტვილის დედათა მონასტრის სკოლაში ისწავლა. საღვთო სჯულისა და ქართულის გარდა, მონასტერში ასწავლიდნენ ჭრა-კერვას, ქარგვას...

ათას ცხრაას ოცდაერთ წელს მონასტერი გააუქმეს. დიაკონმა ანგელინა ქუთაისში ჩამოიყვანა და შინ ჩაკეტა.

ი ს:—როგორ თუ ჩაკეტა?! რამდენი წლისა იყო მაშინ ანგელინა?

მ ე: — ოცისა იქნებოდა...

ი ს:—მერე და შე კაი ადამიანო, ამოდენა ქალაქში გასათხოვ გოგოს თვალი არავინ დაადგა! ან თვითონ ანგელინას არავინ შეუყვარდა?! გვერდზე არავის გაჰყვა? მართალია მონაზონი ხომ არ იყო! აბა მაჩვენე ისეთი ქალი, ერთი შეყვარებული კაცის ხელში მაინც არ გიგვლოს, ერთი-ორჯერ პაემანზე არ ყოფილიყოს!

მ ე:—რას ამბობ, ჯანო! პაემანი კი ბევრ მამამისი სულს ამოხდის, ბიბლიანა-ფანელაშვილი პარაკებული რომ დაინახოს! ახლა დიაკონს ერთი იმედი ასულდგმულებს, — ანგელინა ისეთ კაცს გაატხოს, ოჯახსაც რომ გაუძღვება და სიმამრსაც უპატრონებს. ოცი წელი შეუსრულდა გოგოს და ჯერ თეატრში არ ყოფილა! არავითარი გართობა, არავითარი თვალის სეირი. მხოლოდ ხანდახან სასაფლაოს თუ მიაკითხავს, რომ დედის საფლავს ბალახბულახი მოაშოროს, ან კიდევ მზის გადასვლისას ჩვენი უბნის ქალებს რიონზე საბანაოდ წაჰყვება. გაუვლის მამიდას და შეეხვეწება, ჩაიცვი და წამომყევიო...

ვორაზე წყალი მუდამ სანატრელი იყო, მეტადრე გვალვიან თვეებში, როდესაც ჭაში წყალი ისე დაიკლებდა, ფსკერზე ბაღიის ხრიგინი ისმოდა. ყველაწმინდის წყარო კი ნახევარ გორას არ ემხრობოდა.

ამ ზაფხულზე ცაცხვებში მომრავალდგნენ კოკებაკიდებული სახედრები, მაგრამ რად ვიხდა, — მათი ამოტანილი რიონის წყალი მამასისხლად ფასობდა. ღარიბი ხალხი კვლავაც მდინარეს ეტანებოდა. ყოველ შაბათ-კვირას ჩვენი უბნის ქალები ჩაჰკრიფდნენ კალათებში სარეცხს, თავსაბან მიწას, ბზის წმინდა საკარცხლებს და ხორხების დაღმართზე დაეშვებოდნენ.

წითელ ხიდთან იყო ერთი მოფარებული ადგილი (წისქვილის ყურეს ეძახდნენ), სადაც კაცის თვალი ათასში ერთხელ თუ შეაწუხებდა მობანავე ქალებს.

დაღამებამდე სარეცხს მორჩებიან და რიონის გახურებულ ქვებს მიაფენენ. მერე კი, მდინარეს ლურჯად ჩაგუბებული ბინდი რომ დაეცემა, ქალები ხელდახელ ტანისამოსიდან ამოფრინდებიან. ტანზე ქვედა-საცვალსაც კი არ დაიტოვებენ, მთლად შიშველ-ტიტველნი

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ეს ღამეც გათენდება...

ჩაკვივდებიან წყალში და მათი სიცილ-კისკისი ძაღლებს უშლის ხიდის თავში დაყუდებულ დარაჯს.

„ეს ქვეყანა მარტო თქვენია, ხო! გაწყდა თქვენი ჯილაგი და სახსენებელი!“ — ბუზღღუნებს იგი და ჯიხურშიც სიმინდის ნაკოტარას ეძებს. მობანავე ქალების დაფრთხობას რა დიდი ზარბაზანი უნდა!

კარგა ხანს ბანაობენ. მერე, როგორც ფერიები, ქვებზე დასკუბდებიან და თმას ივარცხნიან, თავსაბანი მიწის ნარჩენებს იშორებენ.

თბილი და მშვიდი წყალი, ხენტრუტცი და სიცილ-კისკისი... მარტო დარჩენილმა ქალებმა კაცებზე უარესი ნართაულები და გადაკრულ-გადმოკრული ლაპარაკი იციან... უყვიესი გართობა და დროს ტარება ღმერთმა შეარცხვინოს. და ანგელინასაც არაფერი ისე არ უყვარდა, როგორც ზაფხულის მთვარიან ღამეში რიონზე ბანაობა. ეს იყო მისი თეატრიც და ბულვარიც...

ანეკო-დედოფალმა კარგი ცურვა იცოდა. მის გაშლილ, ბიჭურ მხარეულს წისქვილის ყურე უკვე აღარ ჰყოფნიდა. გული იმ თეთრი ქვების გადალმა მიუწევდა, საიდანაც დიდი რიონის ჩქერი იწყებოდა. მაგრამ, როგორც კი მამიდას თვალი იქითკენ გაექცოდა, ანგელინას წივილი ქვეყანას შეჰპარიდა:

— არ გაბედო, მამიდა, არ გაბედო, თორემ იცოდე, მეორედ აღარ წამოგყვები რიონზე! დადგიწყდა, შარშან ფეი ნი რომ გადგეკვეთ!

გაზაფხულზე ამ გადარეულმა ჩქერმა ერთი ხამი ბიჭი მოიტაცა და ბალიახვნის რიყეზე ჩაიტანა. მაშინვე გადაჭეკა თურმე აბუთია, მაგრამ ცოცხალს ვეღარ მიუსწრო.

უყვარს წიგნების კითხვა.
„ეზა“,
„შოთა ბროლიძე“,
„მარგარიტა გოტიე“,
ყაზბეგის მოთხრობები...

დიაკონს ერთი უშვილო ცოლ-მეუღლე ჰყავდა მეზობლად. სასულიერო სემინარიის მასწავლებლები იყვნენ. ლოტო იყო მათი მხსნელი იმ მოწყენილ ღამეებში. დასხდებოდნენ მეზობლები ანგელინას ოთახში და კოჭების პარკში გვიან ღამემდე ურევდნენ ხელს.

ი ხ: — საწყალი გოგო!

მ ე:—თვითონ დიაკონმა ხომ შეიძულა და შეიძულა ეს ახალი ცხოვრება, ახალი წესწყობილება, თავიანი შვილიც სიახლეებს! ერთი მოქალაქე დაუკარგა ახალი ქვეყნის მშენებლებს, ვინახავს მეტი სიძულვილი?!

ი ხ:—დაუკარგა ვითომ? სამუდამოდ?

მ ე: — თუ ამ ფოტოგრაფს გავაყოლე ცოლად, რა თქმა უნდა, სამუდამოდ...

ი ხ: — შენც ადექ და ნუ გაიყოლებ!

მ ე: — არ შეიძლება. ასე მოითხოვს ჩემი ჩანაფიქრი, — ცოტა მაღალფარდოვნად ვუთხარი ჯახოს, რომ ჩემთან ბევრი დავა და კამათი არ დაეწყო: — შენ ოღონდ ერთ რამეში დამეხმარე! მიარჩიე, ისეთი რა გავაკეთებინო პარმენ პაპიძეს, რომ ანგელინას თავი მოაწონოს და დიაკონმაც დასტური მისცეს!

— იცი, რა ვქნათ? — გაიცინა ჯანმა, — ამ შენმა ფოტოგრაფმაც რადაც იმგვარი ჯადო გაუკეთოს ბოლშევიკებს, რომ წმინდა გიორგის ეკლესიას ბოქლომი ჩამოხსნან და წირვა-ლოცვა დაიწყონ.

— მე არ მეხუმრება, ბიჭო!

— აბა მაშინ... დამიგდე ყური: ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობები ხომ წაგიკითხავს? რას გვასწავლის მისი ყოველი მოთხრობა? რომ ქალს, უპირველეს ყოვლისა, ვაჟკაცი კაცი მოსწონს, უშიშარი გმირი! გაიგე? შენც ადექი და იმ შენ ფოტოგრაფს ერთი მაგარი ყანაღი დაატერინე, გაბაწყრული ჩამოაყვანინე ქუთაისში... არ ივარგებს?

— რას ამბობ, ბიჭო! პარმენ პაპიძე ყანაღს დაატერს კი არა, უ-უ-ო, ერთი რომ შეუძახო, სული კოჭებში ჩაუვა!

ჯანო ჩაფიქრდა.

— ცურავ თუ იცის იმ შენმა ფოტოგრაფმა?

— ვაცოდინებ, ჩემი ნება არ არის?

— მაშინ ასე მოვაწყოთ საქმე: მოღლებულ რიონში პატარა ბიჭი გადავარდა და იხრჩობა. ნაპირზე დარბიან კაცები, ქალები... ყვირიან, წივიან, მაგრამ მდინარეში შესვლას ვერავინ ბედავს. არადა, ბიჭი უკვე მიექცა მდინარეს. ამ დროს ხიდზე ჩამოიელის შენი ფოტოგრაფი, გაიგონებს ხალხის წივილ-კივილს და წამითაც არ დაფიქრდება... თვალს დახამხამებაში გადაიძრობს ნაღლათს, გაპყრის ქოშებს და ბოლოდროს წყალში გადახტება.

— არც ეს გამოდგება, ჯანო; გადახტომა კი არა, პარმენ პაპიძე ხიდზე რომ მიდის, წყალში არ იყურება, თავბრუ ეხვევა!

— აბა არ ვიცი, ამისთანა გლახაკს რაფერ შეიყვარებს დიაკონის გადაბრალებული გოგო!

იმ საღამოს ვერა და ვერ გავხადეთ გმირად ჩემი პარმენ პაპიძე.

თავი მეექვსე

ჩემი ოთახი მუდამ სავსეა რიონის ტალღების ჩქაფუნით. ამ ხმას ისე შეეჩვევი, რომ ხანდახან გვალვიანი ზაფხულის ღამეებში ძილი მიტყდება და მოუსვენრობა მიპყრობს. მდინარეში წყალი დავარდება თუ არა, მერე სიჩუმე აღარ დამაძინებს. რიონმა საოცარი მოდგება იცის და საოცარი დაკლებაც.

დადამბებულში გავიღებ ფანჯრის და მთლად შემოეუშვებ რიონს ჩემს პატარა ოთახში... და ჰა, უკვე მიმფრენს ჩემი ოცნება-წარმოსახვა ანგელინას სახლისაკენ.

ასეთ წუთებში ყველა ჩემი გაკვრვება მავიწყდება. ისიც კი მავიწყდება, რომ ადერ კარამან ორი საძულველი ხის ქოში მიცდის. სანამ წერილებს და გაზეთებს ჩამოვარიგებ, ერთი ათჯერ მაინც გადამიბრუნდება ფეხი. მერე მთელი ღამე აღარ მაძინებს ნაღრძობი კოჭი. დაგკბარდნენ, ფოსტალიონებს ტყავის წუღებს დაგრიგებთო, მაგრამ ტყავის ფეხსაცმელი ჩვენ კი არა, ანგელინას ვერ შეუკერა მამამისმა.

პირველ წელიწადს დიაკონს ძალიან გაუჭირდა ოჯახის შენახვა. ერთი-ორჯელ უთხრა ანგელინამ, გაიხადე, მამავ, ანაფორა და ბუშაობა დაიწყე, ან მე გადამიმვი ეზოდან, სადმე სკოლაში დამლაგებლის ადგილს მაინც მომცემენო. დიაკონმა ყურიც არ ათხოვა. უღმერთო ბოლშევიკებს ერთხელ რომ გადაუდგა, მერე რჯული ველარ შეიცვალა. ამ გაუგებარ ცხოვრებას არც თვითონ მიენდო და არც ქალიშვილი გააკარა. მალე სამწელიც გამოჩნდა. დიაკონმა სადღაც ძველი კარაბადინი იშოვნა და სხვადასხვაგვარი ავადმყოფობის წამლობის წესები გადმოიწერა. მერე იმ წესებს ანგელინა ჩაუჯდა, ერთი ათად, ერთი ოცად გაამრავლა... ამ რეცეპტებს თავისი მუშტარი და მახვეწარი მუდამ ჰყავდა და ჩვენი დიაკონიც ნელა-ნელა წელში გაიმართა.

ი ხ: — ეს კარაბადინი ძალიან მოიგონე, ბიჭო! ბიძაჩემის სოფელში, როდინოულში, ცხოვრობს ერთი ექიმბაში. ისიც მაგისთანა რეცეპტებს ჰყიდის.

მ ე: — მაშ რა გგონია, ყმაწვილო! მე ყველაფერს ცხოვრებიდან ვიღებ...

ი ხ: — აბა შენ მწერლობაში ნატურალიზმის მიმდევარი ყოფილხარ!

მ ე: — არა, ჯანო, მასალას ცხოვრება მაძლევს, მაგრამ მერე არც ერთ ხასიათს, არც ერთ ამბავს, არც ერთ გრძნობას თუ მოვლენას თავის ნებაზე არ გავუშვებ. ყველამ და ყველაფერმა ჩემი საქმე უნდა აკეთოს, ჩემი სათქმელი უნდა სთქვას. მწერალი ღმერთი-

ვით არის: როგორსაც მოისურვებს, ისეთი ქვეყანა უნდა შექმნას...

არ დაგვაცალა საუბარი ჩემმა დიასახლისმა. თვალებაცმაცმეტებული შემოკერიალდა ოთახში და გამომიცხადა:

— კარგი ბიჭი ხარ, ჩემო ზურია, კაცმა ინატროს შენისთანა მდგმური, მარა მეტი გზა არა მაქვს, ოთახი უნდა დამიცალო!

— რა მოხდა, ქალბატონო ვარდოფინა! — დავიზაფრე მე.

ქალბატონმა ვარდოფინამ ჩუმად ჩაიკისკისა:

— ბედი გამომიჩნდა, ბიჭო, ეთხოვდები!

არავითარი გათხოვება. ეს მისი ნაცადი ხერხი იყო, რომ დარბი მდგმური სახლიდან გაეგდო და უფრო მდიდარი მოეყვანა. ქალბატონი ვარდოფინა დედმამაშვილს არ დაინდობდა, თუ სადმე ჯიბესქელი მუშტარი ეგულებოდა.

ვიცოდი ჩემი დიასახლისის მზაკვრობის ამბავი, მაგრამ თავი ისე დავიჭირე, ვითომ ვერწმუნე მისი მონახრამახი.

— ღმერთმა გაბედნიეროს, ქალბატონო ვარდოფინა. მომილოცავს! თქვენისთანა მშვენიერი ქალი ან აქამდე როგორ არ გაგლიჯეს შეაზე მაჭინკლებმა! — შეეძახე და თეატრში რომ მინახავს, ისე დავიგრიხე, დავიკვანწე და ხელზე ვეამბორე: — მარა თუ ქალი ხარ, ნუ მოიკიდებ ჩემს ცოდვას! ერთი-ორი თვე კიდევ მადროვე, დავამთავრებ ამ მოთხრობას და მერე, თუ გინდა, წყალში გადამაგდე.

— არა, ბიჭო, ხვალვე დამიცალე-მეთქი, როდის გითხარი! ცოტა ხანს გადროვებ, აბა რას ვიზამ! მარა იცოდე, ის კაცი არ გამიქცეო, მერე ჯანჯალი არ დამიწყო...

— როგორ გეკადრება, ქალბატონო ვარდოფინა.

ისევ ჩაიკისკისა და, დედავ, როგორ მიტრიალდა, რა ეკლუცად! თითქოს კარსუკან მართლა საქმრო უცდიდა.

● ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მოუთმენლად მოელოდებ ხელები რიონის მოდდებას! როგორც კი წყალს მოყვითალო ფერი გაღაჰკრავს, მდინარის ორივე ნაპირს კაცი და ქალი მოეფინება. მოიმარჯვებენ კაუჭიან ჯოკებს და ზოგჯერ დილიდან საღამომდე უცდიან, როდის ჩამოტარებს მდინარე რაჭა-ლეჩხუმიდან გამოტაცებელ ნადავლს... რაღა არ მოაქვს მოდდებულ რიონს! მოჰქუხს და მოაქროლებს დაშლილი ტივის მორებს, კუნძებს, ნაპობ შეშას, ფიცრებს, — ყველაფერს, რაც მამასისხლად იყიდება სიცივისაგან გაოგნილ ქუთაისში.

ქალაქში შეშა არ არის, და რაღაც ბედად, ეს წყალდიდობაც გახშირდა, — რიონის პირას მცხოვრებმა ხალხმა ცოტა სული მოითქვა.

უეცრად გამახსენდა, — ჩემი ფოტოგრაფიც ჩამ რიონის პირას ცხოვრობს, სადღაც ბალახვაწში... აჯამეთის ტყე, დახერხილ-დაპობილი, არც პარმენ პაპიძეს ექნება შინ! ერთი უნდა დავკრა თვალი იქაურობას, — გადავწყვიტე და, როგორც კი რიონს მომატება დაეტყო, გავეხეთე ბუშლატში და ბალახვნის წისქვილებს დავუყევი.

გუშანი არ გამიწმენდილა.

შორიდანვე ვიცანი კოჭებამდე ჩაფართხუნებული საწვიმარი და ოღნავ ჩაკეცილი დაბალი ბოხოხი.

ერთი ხანი შორიახლო დავდექი და თვალყური მივადევნე წყლისპირას დაყუდებულ ფოტოგრაფს: გამიკვირდა, რომ ხელში არაფერი ეჭირა, მერე აშკარად დავინახე, როგორ იყიდა ბიჭებისაგან ნაპირზე გამოტანილი კუნძები. სად შეეძლო იმ უდღეურს ცოფიან ტალღებთან ბრძოლა და ორსაქნიანი ჯოკის ქნევა-ტრიალი!

— გამარჯობა, პარმენ!

თვალებზე ჩამოწეულ ბოხოხს ხელი აჰკრა და გაოცებულმა შემომხედა. მიცნო.

— ა-ა, ეს თქვენა ხართ? გამარჯობათ. დღესაც სხვაში შეგეშალეთ! მე პარმენი არა ვარ, მე ყარამანი მქვია!

— არა, არა თუ კაცი ხარ, არავითარი ყარამანი! — შეეძახე და მაჯაში ხელი წავაკარე: — თქვენ ჩემი მოთხრობის ვმირი ხარ! თქვენ მე უკვე დაგარქვით პარმენი, პარმენ პაპიძე! ეს გვარი და სახელი უფრო შეეფერება თქვენს ხასიათს!

— თავი დამანებე, თუ ძმა ხარ, მე ჩემი გაჭირვება მეყოფა! შენ შენი გმირები სადმე სხვაგან მოძებნე. ძალაზე ხომ არა ხარ, შე კაი კაცო! — შემომწყრა ფოტოგრაფი, მერე დაიღუნა, კუნძებს ბაწარი გამოაბა, ზურგზე მოიკიდა და ცივად გამშორდა.

კარგა ხანს მივჩერებოდი ნაპირ-ნაპირ მიმავალ ფოტოგრაფს და ისევ იმ საფიქრალს ვფიქრობდი: რადაც არ უნდა დამიჯდეს, ეს ორი ადამიანი ერთმანეთს უნდა დავუახლოვო-მეთქი.

...ზეცა გამეხსნა.

არც ყანაღის დაჭერა, არც ბავშვის გადარჩენა, არც ფეხმძიმე ქალის გამოყვანა ცეცხლმოკიდებული სახლიდან.. არა, ახლა კი ნამდვილად ვიცი, რა ნახტომის გაკეთებაც შეუძლია პარმენ პაპიძეს...

გახარებულმა მოვუსვი სახლისაკენ. ჩემი ქოშების პაკაპუკმა კისერი მოუღრიცა გამვლელ-გამომვლელს, — ეს გადარეული ვინ არისო. შინ მივედი თუ არა, დავჯექი და მოთხრობის გაგრძელება მოვიფიქრე: ქუთაისში კვლავ იფეთქა ის საშინელმა სახადმა. ლოგინად ჩავარდა ჯერ დიაკონი, მალე ანგელინაც ჩაწვა და სიცხისაგან ჩანკვერჩხლებულ მამა-შვილს მომგელელი არაკინ გამოუჩნდა. ანიკო-დედოფალმა ისევ აურია, დილიდან შებინდებამდე მთავარანგელოზის ეკლესიის ეზოში ტრიალებდა, გვირგვინოსან საქმროს ელოდა...

გამოცვლებულ ოთახში, მშიერ-მწყურვალნი, გონებამიხდილნი, ჩამხობილან საწოლში და უცდიან მშველელს, მაგრამ მშველელი არა სჩანს...

ვითომ არა სჩანს?

სანამ ავად გახდებოდა, დიაკონმა გარდაცვლილი ცოლის სურათის გადაღება ხახოვა მოხეტიალე ფოტოგრაფისგვიდა ერთი-ორი კვირა, სურათს აღარ მიაკითხეს და აგერ თვითონ ფოტოგრაფი მოადგა კარზე გულმავიწყ მუშტარს, გადიდებული სურათი მოუტანა. გაუბედურებული მამა-შვილი რომ დაინახა, ერთიც არ დაფიქრებული, — გაიხადა საწვიმარი და იმ დღიდან ფეხი არ მოუცვლია დიაკონის სახლიდან. თუმცა, როგორ არ მოუცვლია! მაშ ვილას მოჰქონდა ბედის ანაბარად დაგდებულ ავადყოფებთან საშველ-სასმელი, წამალი, ნავთი და შაშა! კაცმა არ იცოდა, სად და როგორ შოულობდა პარმენ პაპიძე ან მშადს, ან წამალს, ან ნავთს, მაგრამ შოულობდა კი და ყველაფერს უკლებლად მოარბენინებდა დიაკონის ოჯახში. ერთხელ სოფელ გეგუთში წაიყვანეს მეზობლებმა, მიცვალებულს სურათი გადაუღეო, ქელეხიდან ცოტა ნასვამი დაბრუნდა და ნამდვილი ლობიანი პურები ჩამოიტანა.

ფეხზე ჩამოდნა ქუჩა-ქუჩა წანწალში ისედაც ჩამოშმხმარი ფოტოგრაფი და მაინც უთვედა ღამეებს ამ გაჭირვებულ ადამიანებს, როგორც საკუთარ დედმამაშვილებს, ისე თავდაუზოგავად უვლიდა ორივეს.

ხუთი ძიძა რომ ჰყოლოდა ანგელინას და ხუთი მოჯამაგირე დიაკონს, იმდენ სიკეთეს ვერ მოუტანდნენ მამა-შვილს, რამდენსაც ამ ერთმა, ფეხზე ჩამოწყალებულმა კაცმა შესძლო. პარმენ პაპიძემ იმთავითვე ჩაიდო გულში, ეს ორი ადამიანი სიკეთილს უნდა გადავარჩინოო...

სამახსოვრო წიგნაკიდან:

1. დავხატო რაც შეიძლება დამჯერებლად პარმენის თავდადება: დიაკონი ცოტა რომ გამოკეთდა, ფოტოგრაფმა მოიარა ახლომახლო სოფლები და რაც კი იშოვა სურათების გადაღებაში — ლობიო, დაფქვილი, კვახი თუ

ნიგოზი, ყველაფერი დიაკონის ოჯახში მიიტანა.

2. გამოკითხო დედაჩემს და მამიდა ვერა, იქნება გაიხსენონ: გორაზე მცხოვრებ პროვიზორს ბეგლარა ოყრეშიძეს რამდენი ვარაა მიუყვანეს სიცხის დასაწყევ წამალში.

3. გვიგო, საიდან შოულობს პარმენი ამდენ ფოტოქაღალდს.

დიაკონმა პირველმა შეამჩნია, რომ ბოლო ხანებში პარმენ პაპაიძეს არა მარტო თანდაყოლილი გულის სიკეთე ამოძრაგებდა, არამედ გაუჩნდა უფრო ძლიერი გრძნობა, ვიდრე გაჭირვებული ქალის შებრალება და შეცოდება იყო. ავადმყოფები უკვე ჩადგნენ ქვეყნ ცხოვრების კალაპოტში. მაგრამ ფოტოგრაფმა ახლა უფრო მოუხშირა სიარულს დავით ჩიბლაძის ოჯახში.

მათი ეზოს გადაღმა ქვეყანა ბობოქრობს, ახალი ცხოვრება იწყება, ახალი რწმენა და იმედი ასულდგმულებს ქალაქს — ეს სამი ადამიანი კი მთლად გამოეთშა სინამდვილეს. საღამო ხანს მიუსხდებიან ლუღუნა ბუხარს, დიაკონი კარაბადინს ფურცლავს და ბოლშევიკებს წყევლა-კრულვას უთვლის, პარმენი და ანგელინა ხან ლოტოს თამაშობენ, ხანაც რეცეპტებს ამრავლებენ, თუმცა ფოტოგრაფს ძველი და მოსაკითხი მაინც დაჰქონდა ჩიხლაძის ოჯახში. ერთხელ პარმენმა ვარდების თაიგული კი მოართვა ანგელინას. მეორედ კი დიაკონმა თვალი მოატანა, როგორ ჩაჰქონა და ჩაიფარფლა სტუმარი იმ საღამოს, როდესაც ანგელინა შინ არ დახვდა. მამიდას წაეყვანა სოფელში. ანგელინაც ისე შეეჩვია ამ ღვთისნიერ ადამიანს, რომ ზოგჯერ კიდეც მოიწყენდა, თუ მოხეტიალე ფოტოგრაფი საღმე სოფელში ჩაარჩებოდა.

პარმენ პაპაიძე არ იყო დიდი ენაჭიკჭიკა კაცი, ხშირად მთელი საათი გულჩახვეული იჯდა ბუხართან და ცეცხლის ალს მისჩერებოდა. რაღაც უცნაური მეტყველება ჰქონდა პარმენ პაპაიძეს, თითქოს კი არ ლაპარაკობდა, არამედ შიშინებდა, როგორც ტაფაზე დაღებული ერბო. მაგრამ [illegible] ქალს რატომღაც უხარიოდა [illegible] ეს. [illegible] ეს მათი დადუმებული სახლის კარს შემოაღებდა. ბუტუსენა კაცი იყო, ცოტა უცხვირპირო და უგუნებო, მაგრამ რაღაც ხალისი და სიცოცხლე მაინც შემოჰქონდა მამა-შვილის უდიდესმო ცხოვრებაში. ოჯახში ფეხი შემოდგა ახალმა კაცმა. ესეც არ იყოს, ანგელინას რა დაავიწყებს ამ კაცის უანგარო ამაგსა და ლაღობას.

მალე მოხდა ერთი ამბავი, რამაც დიაკონს ის ეჭვი უფრო გაუძლიერა, იგი ჯერ კიდეც ფეხზე მაგრად ვერ იდგა და წყაროზე ანგელინა მარტო დადიოდა. წყაროო ხევში იყო, იქიდან სავსე კოკის ამოტანა კაცსაც კი უჭირდა. ამიტომ იმ საღამოს დიაკონს ძალიან გაუკვირდა, — გოგო წყაროზე წასული არ ეგონა, რომ იგი უკვე მობრუნებულიყო და კოკას პირზე ტელოს ფარებდა.

— ასე ჩქარა ნუ დადიხარ გოგო, ნაავადმყოფარი ხარ! — დატუქსა მამამ.

„გაფრინდა და გამოფრინდა, თუ რა ბოხდა!“ — გაოცდა პარმენიც. იგი იმ წუთას შემოვიდა ეზოში და გული დაწყდა, რატომ ცოტა ადრე არ მოვედი, წყაროზე მაინც წავყვებოდიო...

ანგელინამ რაღაც სხვანაირად ჩაიცინა და მამას უთხრა:

— ნუ ვეშინია, მამიკო, მე სულაც არ დავდღიღავარ, კოკა შალიკომ წამომიღო!

ქალი უფრო მოცოცხლებული და აღელვებული სჩანდა.

— ეს შალიკო ვინღაა?! — მკითხა ჩემმა მრჩეველმა.

— ჯერ მეც არ ვიცი, ვინ არის!

— აბა რად გინდა, კაცო, ამდენი გმირი?!

— ერთი ქალი ერთდროულად ორმა კაცმა თუ არ შეიყვარა, ისე მოთხრობა საინტერესო არ გამოვა. არ იქნება მიწევ-მოწევა და წყწა-გლეჯა, ცრემლი და ღალატი! ცხოვრებაშიც ასე ~~არ~~ ხდება?

— შენ წარმოიდგინე, მომწონს შენი განზრახვა, — ისევ შემაქო ჯანომ.

დავით ჩიხლაძეს ვიღაც მეზობელი მოადგა, ბუასლის რეცეპტი მინდაო. მასპინძელმა ბოდაში მოიხადა, მეორე ოთახში გავიდა. პარმენმა მაშინვე კარი მიხურა და ანგელინას წასჩურჩულა:

— თუ არ გეწყინება, ერთი რამე უნდა გითხოვო, ძვირფასო!

— შენგან არაფერი მეწყინება, ჩემო პარმენ, შენ ჩვენი ღმერთი ხარ! — მხიარულად მიუგო ქალმა.

იგი წყაროდან ისეთ გუნებაზე დაბრუნდა, რომ კარგი სიტყვები უკვე ალარ ენანებოდა. ეს უეცარი გულუხვობა პარმენმაც შეამჩნია და კოპები უფრო შეიკრა, ჩმაც აუკანკალდა.

— შენ ერთი მიბრძანე და დღეში ხუთჯერ გაგეკეხვენები წყაროზე, ოღონდ...

— რა „ოღონდ"!.. — ისევ ჩაიკისკისა ანგელინამ. იგი ჯერ კიდევ ვერ ხედავდა, რა დღეში იყო სტუმარი.

— ოღონდ იმ შალიკოს ნუ შეხვდები და ხურაც დაელაპარაკები! — უთხრა პარმენმა.

უზომოდ გაოცებულმა ქალმა თავდაპირველად საპასუხო სიტყვაც კი ვერ იპოვნა, თვალებში მიაჩერდა ფერდაკარგულ ფოტოგრაფს და მხოლოდ ესღა წაიდუდუნა:

— რაო, რა მითხარი?! ვის ნუ დაველაპარაკები?

— ნუ გამიჯავრდები, ანგელინა, არ მინდა იმ შალიკომ შენი კოკა ათრიოს!

— ნუ გადამრეე ქალი! რატომ არ გინდა?!

— არ ვიცი, ნუ მკითხავ, გეევედრები!

ამ უცნაურმა თხოვნა-ხვეწნამ კი არა, ანგელინა მისმა ფერისცვალებამ ჩაიფიქრა. პარმენს ქვეყა ყბა უცაცახებდა, თითქოს ავი ზნე ეჩეფა. მთლად წახდა და მოიკუნტა კაცი. ანგელინას რატომღაც არ უნდოდა, რომ ახლა მიმისი საკოდაობა დაენახა.

— შალიკო გებრალება? ნუ გეშინია, წელი არ მოწყდება! — კეკლუცად უთხრა და მხარზე ხელი მოუთათუნა.

ამას კი ვეღარ გაუძლო პარმენ პაპიძემ. იგრძნო, რომ ქალმა სასაცილოდ აიგდო მისი გულის ძახილი. უსიტყვოდ მიბრუნდა და წავიდა.

ანგელინა სახტად დარჩა. რა ადვილად გაუშვა სახლიდან მათი ოჯახის სალოცავი კაცი. სხვა დროს შუაკაცში ჩადგებოდა, კალთას ჩამოახევდა... მაშ ახლა რა მოხდა?!

ამ კითხვაზე არამცთუ ანგელინამ, მგონი მეც ვერ გავცე პასუხი მკითხველს.

— პარმენი სად არის? — იკითხა ოთახში მობრუნებულმა დიაკონმა.

— წავიდა.

— როგორ თუ წავიდა?! ან მოსვლა რა იყო, ან წასვლა!

— არ ვიცი... მგონი რაღაც ეწყინა.

— რა მოგვიდა, შვილო, სხვა ვერავინ მონახე, რომ გეწყენინებინა!

— არ ვიცი, მამა! დამიჩემა, შალიკოს ნუ დაელაპარაკები, არ მინდა შენი კოკა ათრიოსო...

— მერე?

— მერე მე გამეცინა, მეტი არაფერი...

დიაკონმა ნიკაპზე ხელი მოისვა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

— ეს ამბავი მეც შევატყვე ერთიორჯერ!

— რა ამბავი, მამავ!

დიაკონს თვალებში სინათლე მოემატა.

— უყვარხარ, შვილო, ნამდვილად უყვარხარ!

— რას ამბობ, მამა!

— მერე იცი, გოგო, ამისთანა უენო და პატიოსანმა კაცმა რა კარგი სიყვარული იცის?!

— გაჩერდი, მამავ, მეორედ ალარ მითხრა...

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ეს ღამეც გათენდება...

— რა არ გითხრა, გოგო?! ეგეთი კაცი სიძედ არ დაიწუნება! კარგი ხელობა, კარგი კაცობა... ჩხუბი მაგას არ უყვარს და ღვინის სმა! უკეთესი ქმარი ღმერთმა შეარცხვინოს. ისიც ნუ დაგავიწყდება, შვილო, რომ პარმენი თუ არა, ახლა ჩვენი ბუნდოვა არ იქნებოდა ამ არემარეზე. ნეტავი კი მთხოვოს შენი თავი. არც დავფიქრდები!

ანგელინას უკვე ცრემლი ახრჩობდა, მაგრამ თავი მაინც შეიკავა. ცრემლი ურჩობის ნიშანი იყო. იგი კი ისე აშკარად მამას ურჩობას ვერ გაუბედავდა.

— როგორც შენ მიბრძანებ, მამავ! ენა ძლივს ამოიღეა გარეტიანებულმა გოგომ.

თავი მეშვიდე

ანგელინა შორიდან იცნობდა ამ ყმაწვილს. შალიკოს ეძახდნენ. ბიცოლა საშურასთან ცხოვრობდა, ყველაწმინდის წყაროს მახლობლად. მეზობლები ამბობდნენ, შალიკო ზენკლად მუშაობსო აბრეშუმის ქაფსახვევ ფაბრიკაში.

შუა ტანისა, გამხდარი, მზეზე დამწვარი პირისახე და ისეთი თამამი, ცოტა დამცინავი გამოხედვა, თითქოს ვისაც უყურებდა, თვალში ყველა ეპატრავებოდა. ძალიან ნელი სიარული იცოდა. ნუთუ არასდროს არსად არ ეჩქარებოდა, არც შიოდა, არცა სწყურდა, არც რაიმე სადარდელი ჰქონდა?!

„რა ბედნიერი კაცია!“ — ფიქრობდა მისი შემყურე ანგელინა. — სადაც მოისურვებს იქ შეჩერდება, სადაც მოუნდება, იქ ჩამოჯდება, ვინც მოეწონება, იმას გამოელაპარაკება..

დადის და სულმუდამ ღიღინებს ან უსტვენს ერთსა და იმავე სიმღერას — — „ნინას ჰყავდა ერთი შაშვი!“

ამ სტვენა-ღიღინის გამო იყო, თუ არ ვიცი რატომ, — დიაკონს ეს ბიჭი დასანანებავად ეჯავრებოდა.

— მოხუერე, გოგო ფანჯარა, — იტყოდა იგი, ქუჩიდან ნაცნობ სტვენას რომ გაიგონებდა: — რას უფშვიტინებს ეს ღმერთგამწყრალი, რა ნახა, თუ იცი?

— ქვეყანა მაგენს დარჩა და რატომ არ დაუფშვიტინებს! — შეეხმიანებოდა პარმენი.

... ზაფხულის დილა იყო. სახლის წინ ანგელინა ქუჩას ჰგვიდა. მშრალმა ცოცხმა ბუღი დააყენა. სწორედ ამ დროს ჩამოიარა ახალგაზრდა ზენჩალმა, ანგელინას გამარჯობა უთხრა და იქვე დაერუნო ყორესთან.

ანგელინას გაუკვირდა, ამ მტვერსა და კორიანტელში რატომ გაჩერდაო. ასე გაიფიქრა და შალიკოსაც ასეევე უთხრა.

— ეს მტვერი ცოტა მეც უნდა გადავყლაპო, თორემ მარტო შენ ცოდვა ხარ, გოგო! ფილტვები დაგისნეულდება და ჯლექი დაგემართება! — გულღიად მიუგო ბიჭმა.

ანგელინა წელში გაიმართა, თვალებზე ჩამოშლილი თმა გაისწორა, ჩუმად ჩაიცინა და ეზოში შევიდა. შეიძლება არ შესულიყო, მაგრამ თვალი მოატანა სახლიდან გამოსულ მამას.

მხიარული, დარდიმანდი ყმაწვილი სჩანდა ბიცოლა საშურას მდგმური.

ანგელინა მონატრებული იყო ამგვარ ადამიანებს. გაცინებულ მეზობელს რომ დაინახავდა, დადგებოდა და კარგა ხანს უყურებდა, როგორც ღამაზ ბაღს ან ტყისპირას მოულოდნელად გამოსულ ირემს უყურებენ.

ანგელინას გარშემო მხოლოდ დაღონებული, ცხვირჩამოშვებული ადამიანები ტრიალებდნენ: ბუდიდან ამოვარდნილი მამა, ზეზეურად ჩამომხმარი ფოტოგრაფი პარმენ პაპაიძე, სემინარიის ყოფილი მასწავლებელი, მათი კარის მეზობელი დიომიდე ტყეშელაშვილი... ისინი არასდროს არ იცინოდნენ, მუდამ დაფეთებული იცქირებოდნენ და ისე ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, თითქოს უგემურ ლუკმას ღეჭავდნენ.

ამ ხარხარა ბიჭთან გამოლაპარაკებამ ანგელინას მთელი დღე გუნება გაუქეთა, თითქოს ორი კვირა გადაუღებლად წვიმდა და უეცრად ღრუბლებში ზზეგ გამოხეხდაო...

მეორე შეხვედრა

იმ დღესაც წამოუღო კოკა ყველაწმინდის წყაროდან.

— არ გეშინია, გოგო, რომ გაკოცო? — გაელაპარაკა ზალიკო ხევში ჩამოსულ ქალს.

— არ მეშინია, — თამამად მიუგო ანგელინამ.

მართლა არ ეშინოდა და სწორედ ეს ახარებდა ქალიშვილს, რომ არ ეშინოდა.

მესამე შეხვედრა

იმ წელიწადს არა მარტო ჩემი ოთახი, — ნახევარი ქუთაისი მთვარის ანაბარა დარჩა. გაზის ფარნები მხოლოდ ბულვარის ახლომახლო ქუჩებში თუ ენთო. ნავთის ფარნები კი ყველგან ჩამატებრივ მთვრალმა დეზერტირებმა. ლამპის შუშები არ იშოვებოდა, მთელი გორა — უქმეროინიდან გოჭოურამდე — ბნელში ფუთფუთებდა.

დაღამებულში ცაცხვების ქუჩაზე მთვრალები დაეხეტებიან. ჩვენი უბნის გოგოს ქალაქში რომ დაღამდება, მარტო ირსაღროს შინ არ წამოვა, წითელ ხიდთან დადგება და თანამგზავრს მოუცდის და, როდესაც ხუთი-ექვსი კაცი მოგორავდება, მერე თამამად შეუდგებიან ხორხების აღმართს.

სარწმუნოდ ამბობდნენ, რამდენიმე დეზერტირი დათვშიძის მამულში იმალებაო. გორაზე ასასვლელი ხორხები და საცალფეხო ბილიკი სწორედ ამ დათვშიძის მამულს გასდევდა. ამიტომ გორაზე მაცხოვრებელი კაცი ღამიანში სიარულს ერიდებოდა, თუ ძალიან საშური საქმე არ ეძახდა.

ქალები გვიან ამოვიდნენ რიონიდან. ანგელინამ მამიდა მიაცილა და შინისაკენ მოპკურცხლა. ჩქარობდა, პარმენი და სემინარიის ყოფილი მასწავლებლები ლოტოს სათამაშოდ უცდიდნენ ეკლესიას რომ გაუსწორდა, ვიღაც ბიჭი წინ გადაუდგა, მდაბლად თავი დაუკრა და ცოტა გატყლარჭულად უთხრა:

— ნება მომეცი, ქალიშვილო, სახლამდე მიგაცილო!

ღამის ბინდბუნდში ანგელინამ ვერ შეამჩნია, ასე მოულოდნელად საიდან გამოძვრა ეს ბიჭი. დაილაპარაკა თუ არა, რახის მჭახე სუნმა სული არ მოთქმევინა ქალს.

შიშისაგან გული გადაუქანდა. გვერდზე შებრუნდა, თითქოს ეს რამეს უშველიდა და ძლივს ამოილუღლუღა:

— გმადლობთ, ნუ შეწუხდებით, მეაგერ, მეორე სახლში ვცხოვრობ!

— ხა-ხა-ხა! — უტიფრად გაიცინა არამკითხე გამცილებელმა: — ვიცი, ჩემო ცუკგრუმელა, თქვენ ყველანი მეორე სახლში ცხოვრობთ!

და სანამ ანგელინა ნაბიჯს გადადგამდა, ბიჭმა მკლავში ხელი გამოსდო და ეკლესიის ჭიშკრისაკენ მიაბრუნა. ქალმა მკლავი გამოსტაცა, სიბნელეს არ შეუშინდა, ადგილიდან მოსწყდა და გაიქცა. შიშისაგან ყურთასმენა დაკარგა. ალარ იცოდა, ის ბიჭი მოეშვა თუ უკან დაედევნა. დაზაფრული მირბოდა ბნელში. მერე ყვირილიც კი დაეპირა, არამცთუ დაეპირა, ერთი-ორხელ უკვე ეგონა, რომ ყვიროდა და მშველელს ეძახდა, მაგრამ მერე მიხვდა, ეს ხმა კი არა, ელდანაცემი სისხლი ეხეთქებოდა გულის ძარღვებს. მერე ისევ გაიგონა აჩქარებული ფეხის ბაკუნი.

თვალი მოატანა, თუ როგორ გამოვარდა სიბნელიდან შავი ლანდი. მაშინ კი იწივლა ანგელინამ:

— გაჩერდი, ნუ მომსდევ! გაჩერდი, ნუ მომსდევ!

— რა მოხდა, გოგო, რა გაკვლებს? — ანგელინას მხარში ამოუდგა ნაცნობი ზეინკალი. საიდან გამოტყდა ასე დაბარებულივით!

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ეს ღამეც გათენდება...

— მიშველე, შალიკო, მთვრალი კაცი მომსდევს! — ეს უთხრა და მდევარიც იქვე გაჩნდა. ხმამაღლა ქოშინებდა, ბანდალებდა. რახის სუნმა წამში მოწამლა იქაურობა.

შალიკო გოგოს აეფარა.

— რა გინდა, ბიჭო, ამ ქალთან?

— შენი გოგოა? — შინაურულად ჰკითხა მთვრალმა.

— ჩემია თუ სხვისია, შენ ვინ გეკითხება, ტუტუცო! აქედან მოუსვი, თორემ..

სიტყვის დასრულება ვერ მოაწერო, მთვრალმა ხელი მოიქნია და ისეთი სილა გაუშალა ანგელინას ქომაგს, თითქოს აგერ ღობის გადაღმა ფანჯარა ჩალეწესო.

შალიკოს ხელში რაღაც ჩანთა ეჭირა. ის ჩანთა იქვე დაღო მიწაზე, მერე ბუშლატი გაიხადა და ისიც იქვე მიაგდო. ეს ყველაფერი ისე ჩუმად გაკეთა, თითქოს მუნჯი იყო. ერთი ხმა არ გაუღია, და ასევე უხმოდ ეძგერა ‹მაჩხუბარს.

ისიც მაგრად დაუხვდა, დაერივნენ ერთმანეთს და...

ი ხ: — ნამეტანი ნასვამი ნუ იქნება ის ბიჭი, თორემ მთვრალი კაცის გალახვა არც ანგელინას მოეწონება!

მ ე: — მართალი ხარ, ჯანო, ცოტას გამოვაფხიზლებ, მარა ამ ჩხუბში მაინც შალიკომ უნდა გიმარჯვოს. ასე მოითხოვს ჩემი ჩანაფიქრი, თორემ, პირუკუღმა თუ მოხდა, მოთხრობას ვეღარ გავაგრძელებ. ისინი კარგად დაბეგავენ ერთმანეთს, მერე ის ტუტუცი ბიჭი თავის გზას გაუდგება, შალიკო კი ანგელინას სახლამდე მიაცილებს. ივარგებს ასე?

ი ხ: — რა უჭირს, მარა, როგორ გითხრა, ცოტა დაცვეთილი ამბავია! მასეთი რამეები ბევრჯერ წამიკითხავს წიგნებში.

მ ე: — მაგასაც მართალს ამბობ, მაგრამ ჯერ ბოლომდე დამიდგე ყური! ახალი და მოულოდნელი ამბავი მერე მოხდა, როცა ანგელინამ ერთხელ კიდევ გადაუხადა მადლობა შალიკოს და ხელი გაუწოდა გამოსათხოვრ[illegible]ლიკომ ჩამორთვა ხელი, მაგრამ ვაი ამ ჩამორთმევას! ერთბაშად ქალი თავისკენ მიიზიდა, მოეხვია და ლოყაზე აკოცა.

— შე უსინდისო, ამაზე მეტს რას მიზამდა ის ბიჭი?! — ჩუმად უთხრა ანგელინამ და ლოყაზე ხელი ჩამოისვა.

— იმდენი მირტყა, გოგო, იმ ბიჭმა, ერთ კოცნად არ ღირს?! — ჩაიცინა შალვამ, კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ანგელინამ ჭიშკარი მიუხურა.

ისე გულმოსულად მიუხურა, კაცი იფიქრებდა, ქალი ახლავე სახლში შეეარდება და შალიკოს მეორედ თვალითაც აღარ დაენახებაო... მაგრამ ანგელინა იქვე ჭიშკარს მოეფარა და გაყუჩდა. უეცრად ის უდარდელი სტვენა გაიგონა. უდარდელი, უშფოთველი, თითქოს ქვეყანაზე არაფერი მომხდარიყოს. გოგოს გული დასწყდა; არ ეგონა, რომ ახლა, იმ კოცნის მერე, შალიკო ასე უცბად მოშორდებოდა ამ ჭიშკარს და ასევე უდარდელად გაბამდა სტვენას, როგორც იცოდა ცაცვების ქუჩაზე გავლისას.

ეწყინა და თვითონაც ვერ იტყოდა, რატომ ეწყინა, რომ ეს თავხედი ბიჭი ასე სწრაფად გაეცალა აქაურობას. თითქოს უნდა გახარებოდა ეს ამბავი, მაგრამ არ გაუხარდა, და ერთხელ კიდევ მათქმევინა ამ სტრიქონების დამწერს. ქალს გული გამოუცხონი რამ არისო.

— სადა ხარ, შვილო, ამდენი ხანი, ძღიეს გავაჩერე პარმენი, წავალ, ჩავაკითხავო, — უთხრა მამამ.

— მამიდასთან შევრჩი, მამავ! მისი სარეცხი სველი იყო და გავფინე. — იცრუა ანგელინამ პირველად თავის სიცოცხლეში.

პირველ კოცნას პირველი სიცრუე მოპყვა.

წეღან ანგელინას შინ იმიტომ მიუხაროდა, შალიკოს ვაჟკაცობის ამბავს მამას და პარმენს მოეუყვებიო. „მთვრალ კაცს არ შეეშინდა და ისე ჯიქურ გამომესარჩლა, თითქოს მისი ალალი დედ-

მამიშვილი ვიყავი!“ ასე ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ მერე რატომღაც ჭირში წყალი ჩაიგუბა და შალიკო ორივეს დაუმალა. მამასაც და პარმენსაც.

ანგელინას რატომღაც სჯეროდა, რომ ჰაპაძეს არავითარი ანგარება და ფარული ზრახვა არ ამოძრავებდა. ის სავსე კალთები მისი კეთილი გულის ნაჩუარჩულეკი ეგონა და მეტი არაფერი. შალიოს გაცნობის მერე კი ეს გულუბრყვილო რწმენა გაუნელებელ ნატვრად გადაექცა — ნეტა პარმენი ჩვენი სახლის კარს დაივიწყებდეს, ბედნიერი ქალი ვიქნებიო.

ამ პოლო დროს ერთი რამ დასჩემდა: ხანდახან, თავის ოთახში მარტო რომ დარჩებოდა, მისდაუნებურად ამ ორ კაცს ერთმანეთს ადარებდა. ორივეს ერთად თვალწინ დაიყენებდა და მისი მსინჯველი მზერა უკვე ვეღარ შორდებოდა ახალგაზრდა ზენინკოს, და ნერე თვითონვე წოთლდებოდა სირცხვილისაგან: ღმერთო ჩემო, რა შემართება, ამ უცხო ადამიანს რას გადავეკიდეთ... მაგრამ „ეს უცხო ადამიანი“ სწორედ ამ ბიწიერმა ფიქრებმა დაუახლოვა დიაკონს ქალს, — იმდენად დაუახლოვა, რომ ერთხელ ანგელინას თვალზე ცრემლი მოადგა...

ეს მოხდა, მგონი, ნამარიობევს: პაპანება დღე იყო. ფაბრიკიდან მომავალმა შალვამ ისე ჩაუარა ჩიხლაძის კარმიდამოს, როგორც მგზავრი ჩაუვლის ხოლმე უცნობ მოსახლეს. თვიც არ აუწევია, არც ნაბიჯი შეუნელებია, ჩაარა და ეკლესიის გალავანს მიეფარა. შინ მიიჩქარაოდა თუ საფიქრალს წაეღო მისი გულისყური, მიხედები განა! მაგრამ ამ უყურადღებობამ რატომღაც ააფორიაქა ანგელინა. იგი თვითონაც არ ეღოდა, რომ ვაჟის ეს პატარა დაუდევრობა ასე მწარედ მოხვდებოდა გულზე. სხვა დროს შალვა ისე არ გასცდებოდა ანგელინას სახლს, რომ ახალგაზრდა ქალი რამეთი არ გაეხარებინა. ეზოში გამოსულს რომ დინჯავდა, ან ხმას აუწევდა და თავის საყვარელ სიმღერას გააგონებდა, ან კიდევ ღობეზე გაბარდნილ ბუჩქებს წასწვალებოდა, გარეული ვარდის ტოტს მოტეხდა და ეზოში ჯადაოსნებდა... არადა, უბრალო „გამარჯობას“ მაინც ეტყოდა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მხოლოდ მაშინ ხდებოდა, თუ ეზოში ქალის გარდა, სხვა არავინ სჩანდა. შალვამ იცოდა დიაკონის უყმური ხასიათი და მუდამ ცდილობდა, თვალში არ მოხვედროდა ანგელინის მამას. ეს იყო ქალ-ვაჟის ერთი პატარა საიდუმლო და, როგორც ყველა საიდუმლო ქვეყანაზე, ეს უთქმელი შეთანხმებაც უნებურად აახლოებდა ახალგაზრდებს.

იმ დღეს კი რა მოხდა! იქნებ რამე ეწყინა ჩემგან? ანგელინა სწრაფად მიტრიალდა, საჭაზადში შევიდა და თუნეს წამოუსვა ხელი.

— სად მიხვალ, გოგო? — ჰკითხა მამამ.

— წყალს მოვიტან...

დიაკონს გაეცინა.

— დგავიწყდა, შვილო? ამ დილას ეურიც გავაპიპინე და დიდი კოკაც.

— იქნებ ვინმე შემოვიდეს, იყოს ახალი წყალი დასალევად, — უკან არ დაიხია ანგელინამ.

წავიდა.

„მთლად დავკარგე სირცხვილი მე სასიკვდილეკ!“ ფეხი უკან რჩებოდა, ერთი-ორჯერ კიდეც შეუყოვნდა. დავბრუნდებიო, იფიქრა, მაგრამ გული მისდაუნებურად იმ ფუტკვენია ბიჭისაკენ მიეწევდა.

ბილიკზე ჩაირბინა და... შალიკოც მაშინვე ეზოდან გამოვიდა.

— მოგენატრე, გოგო? — უთხრა და კრიალა კბილები გამოაბრწყინა.

— ვინც წყაროზე დადის, ვითომ ყველას შენ ენატრები?! — ღიმილითვე მიუგო ქალმა.

— აბა რიდის იყო, ამისთანა გაგანია სიცხეში წყალზე გამორბოდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართალი ხარ, შენი ნახვა მინდოდა! — წამსვე გამოუტყდა ანგელინა.

— რა, წავიდეთ ეკლესიაში?

მისმა უდარდელმა კილომ, აგდებულად ნათქვამმა სიტყვამ გული ატკინა ანგელინას. სათქმელი პირზე შეაწყდა, გაჩუმდა.

შალიკო მიხვდა, რომ ცოტა გადაამლაშა. ახლო მივიდა, ჯიბიდან პატარა დასაკეცი დანა ამოიღო და ქალს გაუწოდა.

— ჰა, გოგო, მომჭერი ენა! მეორედ წინ აღარ გამისწრებს!

ქალმა ღიმილი ვერ შეიკავა, ისეთი წრფელი სინანული და მეგობრული გრძნობა ახლდა ამ სიტყვებს.

— ენა შენ არა და, მგონი, მე კი უნდა მოვიჭრა! — მიუგო ანგელინამ და თავი განზე წაიღო, — რასაც ენა არ ამბობდა, თვალებს რომ არ გაეთქვა.

— ასეთი რა მოხდა?

— ახლა ვერ გეტყვი.

— დაგიჩოქო?

ბიჭი მუხლებზე დავარდა.

— მე არ მეხუმრება, შალვა! მართლა უნდა დამუნჯდე, თორემ ცუდად იქნება ჩემი საქმე.

ბილიკზე ვიღაცეები გამოჩნდნენ. ანგელინამ თუნგი წყაროს ღარს შეუდგა.

— წადი. მერე გნახავ და გეტყვი.

ქალი წავიდა თუ არა, შალვამ პერანგი გადაიძრო, გულმკერდზე ცივი წყალი შეისხა, გამურულ მკლავებზე სილამიწა დაიყარა და, სანამ კანი არ დაიწითლა, ხელი არ გაუჩერებია. ბიცოლა საშურამ ტილოს ნაჭერი გამოუტანა.

— არ მინდა, დედა, ცოტახანს გრილად ვიქნები. — უთხრა შალვამ.

— გულის გაგრილება მართლა კი მოგიხდება ახლა, მზესავით გაანათებ ბელ გოგოს ელაარაკეებოდი! ძალიან კი ეკურკურები, ბიჭო, ანგელინას. არ გაგიგოს დიაკონმა, თორემ...

— რას ამბობ, დედა! — შეიცხადა შალიკომ: — მასეთი რამ ფიქრადაც არ მომსვლია! შენ რომ იცოდე, რა კარგი და ჭკვიანი გოგოა ეგ საცოდავი, და რა დღეში ჰყავს იმ ცოფიან დიაკონს! დილიდან საღამომდე ოთახში გამოკეტილი უზის, წელიწადი ისე გაივლის, ქალაქში ფეხს არ გაადგმევინებს. ძალიან მეცოდება. ამიტომ ხანდახან გაკვეხუმრები, გაკვეთამაშები, ვითომ ვეარშიყები, იქნებ გოგო სახლიდან გამოვიტყუო და ქვეყანა ვაჩვენო! ან ისწავლოს, ან სადმე იმუშაოს, თორეკ სხვა რაჭ! მე სოფელში საცოლე მყავს, დედა საშურა, ამ შემოდგომაზე ხელი უნდა მოვაწერო.

ცოტა გაოცებული კი უსმენდა ბიცოლა საშურა თავისი მდგმურის გულწრფელ აღსარებას. არ ეგონა, თუ ამ ფშტვენია ბიჭს ასეთი გული ექნებოდა.

— კი მარა, მართლა რომ შეგიყვაროს? არ გეშინია? წეღან იმისთანა თვალებით გიყურებდა... ცოდვაა გოგო!

— არა, დედა, ხალხში რომ გამოვა და გაიხედ-გამოიხედავს, ჩემისთანაც ბევრი. შეხვდება და ჩემზე უკეთესიც. გზაზე რომ დავაყენებ, მერე მეც განზე გავდგები და, როგორც თვალი შორს, ისე გულიც შორსაო, — ასე დამთავრდება ჩვენი საქმე.

— რა ვიცი, რა ვიცი, ღმერთმა გისმინოს.

თავი მერვე

— მოდი ანგელინა, ერთი პატარა აჯანყება მოვაწყოთ მე და შენ! — უთხრა ერთხელ შალიკომ დიაკონის ქალს.

— რა აჯანყება, ადამიანო! — დაფეთდა ანგელინა.

ეგი ჯერ კიდევ ვერ შეეჩვია შალიკოს ნართაულებსა და იგავებს და მისი ყო-

ველი სიტყვა მხოლოდ ერთი შინაარსის მატარებელი იყო.

— დავამსხვრიოთ მონობის ბორკილები და ხვალ გათენდება თუ არა, სახლიდან გავიპაროთ! — უთხრა შალიკომ.

— გავიპაროთ?! მე და შენ?

შაში, გოოცება, სიხარულის ელდა... ისევ შაში და ეჭვი, — ყველაფერი ერთად აირია ანგელინას თვალებში. და შალიკოც მიხედა, — რაღაც ვერ იანგარიშა, სიტყვა ვერ მოზომა და სულ სხვა ტალღებს გაატანა ქალი.

სწრაფად დაუმატა:

— ჩვენი ფაბრიკის შაბათობაზე მინდა წავიყვანო, გაგაცნო ჩემი მეგობრები... ტუსაღი ხომ არა ხარ, ერთხელ გამოდი სახლიდან, გაეკარე ამ ქვეყანას! წამოხვალ?

„სიკვდილში წამოვალ!“ — უნდოდა ეყვირა გულდამწყვარ ქალს, და მერე სამუდამოდ გასცლოდა იქაურობას, არასდროს აღარ შეხვედროდა ამ უგულო ბიჭს, მაგრამ ქალურმა გრძნობამ შეაჩერა: „ნაფიქრალს მიმიხვდება და უფრო სასაცილო გავხდები!“

— წამოვალ... თუკი მიკადრებენ შენი მეგობრები! — მიუგო ანგელინამ და თვითონვე გაუკვირდა, რომ ასე ერთ წამში იპოვა საჭირო სიტყვები.

„რა კარგი ხარ, შე მაიმუნო! რა ვქნა, რომ შენზე ადრე სხვა ქალი შემახვედრა ბედმა, თორემ იცოდეს ღმერთმ., შენს გარდა არავის ვინატრებდი ცოლად?“ — გაიფიქრა შალვამ. ხმამაღლა კი მხოლოდ ეს უთხრა:

— გაგონილს დანახული სჯობია, ანგელინა, შენ ოღონდ შენი ციხიდან გამოსვლა მოახერხე!

ი ხ: — შენ თუ ანგელინას სახლიდან გამოიყვან, მართლა მწერალი ყოფილხარ! მამამისი შაბათობაზე კი არა, დუქანში ნავთის მოსატანად არ გაუშვებსო, შენ არ მეუბნებოდი წინეებზე!

მ ე: — ყური დამიგდე, ჯანო! მოთხრობაში ერთი გმირი მყავს, თუ გახსოვს, ანიკო-დედოფალი! ანგელინასავ მამიდა... იგი მთლად უსაქმოდ ჩამრჩა სტრიქონებში, ჯერ არაფერში გამომდგომია! ქვეყანა არ დაიქცევა, რომ ახლა მოჭიდოს ხელი თავის ძმიშვილს და ერთი პატარა საიდუმლო შეუნახოს!

ი ხ: — ვერ გავიგე, რას ამბობ?

მ ე: — წავიდეს და სთხოვოს ამ საღამოს დიაკონს, ხვალ დიდი სარეცხი მაქვს და ანგელინა მომახმარეო. მერე გააღოს კარადა, ერთი თავისი ლამაზი კაბა იმ საწყალ ბოგოს ჩააცვას და შაბათობაზე გაისტუმროს.

ი ხ: — მერე ანგელინა იკადრებს ასეთ ტყუილს?

მ ე: — სიყვარულს ხელში სასწორი არ უჭირავს. იგი ბრმა არის.

ი ხ: — მართალი ხარ. ალბათ იმიტომ არის ცხოვრებაში ამდენი ცრემლი და გატეხილი გული, ამდენი სიმწარე!

მ ე: — და ამდენი სიტკბოც... შეე! რომ იცოდე, რა გახარებულს დავაბრუნებ შაბათობიდან ანგელინას! როგორ მოვაწონებ იქაურობას! გავაცნობ ცეცხლოვით ბოგო-ბიჭებს, — და ისინიც, შეამჩნევენ თუ არა ანგელინას მოკრძალებას, მეგობრულად დაავლებენ ხელს და ისე სწრაფად ჩაიხვევენ შაბათობის ფერხულში, რომ დიაკონს ქალს ცრემლი წასკდება.

სიხარულის?

თუ სინანულის, — რომ დღემდე არ ეგონა, თუ ქვეყანაზე ამდენი გახარებული კაცი ცხოვრობდა.

ამ დღეს შაბათობაზე საერთო საცხოვრებელი სახლის საძირკველს სჭრიდნენ. ჯგუფებად რომ დაიყენენ და საშუშაო გაიხაწილეს, ანგელინა ვერც ერთ ჯგუფში ვერ მოხედა. დიაკონის ქალმა არც ბარი იცოდა, არც ღომი და წერაქვი. სხვა უფრო ადვილი სამუშაო კი ამ შაბათობაზე არ იყო. მაგრამ ან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელინა მაინც არ დატოვეს უსაქმოდ. ერთმა ხნიერმა მუშამ ჯიხურიდან ტენ-მოტეხილი დოქი და ყურინინი ჭიქა გა-ბიიტანა, ანგელინას ხელში მიაჩეჩა და უთხრა:

— ე, გოგო, ხედავ ეგერ ჭას? იქი-დან ხანდახან წყალი მოგვიტანე, მისი გამჩენის მადლი შეგეწევა!..

გახურდა მუშაობა, მზემაც შეიმაღლა და თანდათან გაფიცხდა, ანგელინას შუშტარიც მომრავლდა. წერაქვების ჩახაჩუხში და ლომების წკრიალში წამ-დაუწუმ ისმოდა: „წყალი, ანგო!“

ზოგიერთს მისი სახელი ეუცხოვებო-და და ანგოს ეძახდა, — და ისიც დაუ-ზარებლად დარბოდა ჭიდან სამუშაოს მოედნამდე — და ისევ ჭისკენ.

ხანში შესული მუშები ლოკავდნენ და ქალობას უქებდნენ ანგელინას, ჯე-ელი ბიჭები კი თვალებს უძუძუნებდ-ნენ და გაიძახოდნენ, ამისთანა გემრი-ელი წყალი ჯერ არ დამილევია, ერთი ჭიქა კიდევ გამიესეო...

მეტადრე ერთმა ცუღლუტმა ბიჭმა არ მოასვენა ანგელინა. ჯერ შუადღეც არ მოსულიყო და ერთი ხუთჯერ მაინც მოატანინა წყალი, ქალებმა სიცილი მოაყარეს, ვეყოფა ბოჩია, წყალმანკი გაგიჩნდებაო...

— ამისთანა გოგოს ხელიდან წყალ-ნანები კი არა, შავი ჭირი რომ შემეყა-ჩოს, არ დავეძებო! — სთქვა ბოჩიამ.

ამ სიტყვების გაგონებაზე ერთმა ჭუტკუნა გოგომ (სახელად ნათელის ეძახდნენ) თოხი ხელიდან გაიგდო, იქვე ფრიალზე ჩამოჯდა და ისე მოიღუ-შა, — ანგელინას სიწითლემ გადაჭარა. მაგრამ გავიდა ხანი და ის ეშმაკი ბიჭი ისევ შეეხვეწა ანგელინას, მიშველე, ყელი გამიშრაო...

ანგელინამ უარის ნიშნად თავი გაა-ქნია და ხმამაღლა უთხრა, ნათელის ჰკითხე და თუ ნებას მომცემს, წყალს ჭიდან კი არა, უკვდავების წყაროდან მოგიტანო...

ნათელის, ეტყობა, მისი პასუხი მო-ეწონა, წყენა გულიდან გადაჭყარა.

— არ მოუტანო, თუ ჩემი გოგო ხარ, მოოლატე უნდა დაისაკოს! — სთქვა და ბოჩიას თითი დაუქნია.

ბოჩიამ მაშინვე თვალები გადაატუა, ნელ-ნელა ჩაიკეცა და მიწაზე უოლოდ დაეკარდა, ვითომ წყურვილმა მომკლაო. იგი ისე კოტტად და ლამაზად ოინბა-ზობდა და ისე უხდებოდა ეს მანჭვა-გრეხა, რომ თავად ნათელმაც კი სიცი-

ვეღარ შეიკავა. მერე ანგელინასთან მიირბინა, სავსე დოქი ხელიდან გამოსტაცა და მომაკვდავი ბიჭი ვითომ მოასულიერა, — ისე გაწუწა, გასაწუ-რავად მოაქცია. იყო ერთი ხორხოცი და სიცილ-კისკისი...

... და მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა ანგელინას. — რომ შალიკო სადღაც ეზოს გადაღმა მუშაობდა, ურიკათი კირქვას ეზიდებოდა გვირაბიდან. მან მხოლოდ ერთხელ მოირბინა ყელის გასასველებლად, ანგელინას თვალი ჩა-უკრა და ისევ იმ წმასვე გაჭრა.

იგი თითქოს გაურბოდა ანგელინას...

— მომიყვანა და მომატოვა უცხო ხალხში! — ფიქრობდა ქალი და სწყინ-და მისი უყურადღებობა. მერე უეცრად ზეცა გაეხსნა: ალბათ არ უნდა, რომ ხალხი აალაპარაკოს, შალიკოს და ან-გელინას ერთმანეთი უყვართო! ამი-ტომ მერიდება...

მერე კი დიდი კაკლის ჩეროში აბ-რეშუმის ამომხვევმა ქალებმა ჭილო-ფები გაშალეს, ჯიხურიდან აბები და თავმოკრული კალთები გამოიტანეს და ჯგუფ-ჯგუფად სადილად დასხდნენ. ანგელინას სახლიდან ცივი ჭადის ნა-ტეხიც არ წამოუღია, შალიკოს არაფუ-რი უთქვამს, — დიაკონის ქალმა კი ისიც არ იცოდა, შაბათობა რა ბედის-კვერი იყო, მაგრამ მასპინძლებმა თავი არ შეირცხვინეს. იმ პუტკუნა გოგოს ყველა სუფრას ჩამოუარა და, თუ სად-მე გემრიელ საშველს წაეწყდა, წამოა-უსვა ხელი და ანგელინას მოუტანა. ანგელინა წითლდებოდა, ბოდიშს იხ-დიდა, ასე ხელცარიელი მოვედიო, და თვითონვე უკვირდა, რა უცბად გაუშინ-აურდა ამ უცხო ადამიანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მუშაობ სადმე? — ჰკითხა ნათულამ.

— არსად. — მიუგო ანგელინამ.

— მდიდარი მამა ყოლია!

— რა მდიდარი! — გაეცინა ანგელინას: — ნათხოვარი კაბა მაცვია!

ანგელინა თავმოყვარე ქალი იყო და სხვა დროს ალბათ არ გათქვამდა საკუთარ თავს, მაგრამ დიდა სიხარულმა ერთბაშად დიდი [illegible]ულწრფელობა მოაწყურა... ნათულისაც გაეცინა და ეტყობა, ეს ლამაზი უცნობი ქალი კიდევ უფრო მოეწონა.

— არ გინდა ჩვენთან მუშაობა?

— მიმიღებენ? მე რომ შავსიელის შვილი ვარ?!

— შალიოს ყველაფერი შეუძლია. ჩვენი კომკავშირის უკრედის მდივანია

— ძალიან მიყვარს ქსოვა, — სთქვა ანგელინამ.

ახლა ყველაფერი უყვარდა დიკოონის ქალს, ყველაფერი, რაც კი ხელს შეუწყობდა ამ საოცარ გოგო-ბიჭებთან დაახლოვებას.

— მოვალ, უეჭველად მოვალ...

ანგელინა ისე დაჯერებულად ლაპარაკობდა, თითქოს თვითონ იყო თავისი ბედის გამგებელი. უკვე დაავიწყდა, რომ მამიდას წყალობა თუ არა, იგი ამ დილას ეზოდან ფეხსაც ვერ გადმოდგამდა. აღარც ამის სრბაცრა აშინებდა და აღარც პარმენ პაპაიძის მაჭანკლები.

შედამდა თუ არა, შაბაშიც დაჰკრეს. სანამ იქაურობას მიალგებდნენ და ხელ-პირს დაიბანდნენ, მთვარეც ამოვიდა.

მთვარე იმიტომ მშვირდება რომ ძალიან ბნელი ღამე თუ იქნა, შეიძლება მათი პატარა შეთქმულება გამოაშკარავდეს. გზაში გოგო არ შემოშინდესო. აწრიალდება ანგელინას მამა და პარმენას გაგზავნის თავის დასთან. ღმერთმა დაგვიფაროს, მარა თუ ეს ამბავი მოხდა, მერე გორაზე არც ანიკო-დედოფალს ეცხოვრება და აღარც ანგელინას.

ეზოდან ჯგუფად გამოვიდნენ. [illegible]ულინას ერთი სული ჰქონდა, როდის ჩამოგვშორდებიან გამცილებლები და შალიოსთან მარტო დავრჩებიო, მაგრამ წითელ ხიდთან მოულოდნელად შალიოს და ანგელინას ვორაზე მცხოვრები გოგოები დაემგზავრნენ, — მაკა და ნათული.

სანამ ხორხების ალმართს აივლიდნენ, გორელებს ერთი ბიჭი კიდევ შემოუერთდა;

— გიგუშა, — რიხიანად გაეცინა ანგელინას და ხელი ჩამოართვა.

ამ ამბავმა ცოტა კი წაართვა მადლი დღევანდელ სადამოს... ყელთან მომდგარ სიტყვებს უკვე ვეღარ აკავებდა აფორიაქებული ქალი. რამდენი რამ ჰქონდა სათქმელი და სანატრელი, რა გაბედული ფიქრი და ოცნება არა სწვავდა ანგელინას გულს, მაგრამ ამ ტლეკინა გოგოებს შენ გაიჩერებ! ჩამოკიდნენ ძმკავზე შალიოს და სულმოუთქმელად უამბობენ რაღაც-რაღაცეებს, — ვითომ სასაცილოს? რა ვიცი, ანგელინამ წყდან ყური მიუგდო და... სულაც არ გასცინებია.

ის რიხიანი ყმაწვილი კი ანგელინას გვერდში ამოუდგა და მაშინვე ლექსების კითხვა დაიწყო; კითხულობდა, ხმამაღლა, როგორც სკოლაში მოწაფეებმა იციან:

ჩუმად, ვიდაც მღერის მთაზე... რა ძალაა
ამ ტკბილ ხმაში!
არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ
ქვეყანაში,
არსად, არსად არ არსებობს ბრძოლის
ფინი, ბრძოლის ქარი,
არსად ისე არ გადმოხეთქს უკმარობის
ნიაღვარი.
და არსად მთელ ქვეყანაზე არ ჰკოცნიან
ისე ენებით,
ისე ცეცხლით, ისე ენინი და იმგვარი
გატაცებით.
ვერსად ისე ვერვინ გ-ახვევს გამოუცნობ
ცეცხლის ალში,
როგორც ლერწამქალწულები ა?. ამ
წარმტაც ქვეყანაში...

ეკატერინე ლორთქიფანიძე

ეს ლამაზ გათენდება...

ცხენის თქარათქურივით შემოიჭრა ლამის სიჩუმეში ეს სტრიქონები და ისედაც აფორიაქებულ ქალს გული აუტრიდა, რომ უკვე მიილია დღევანდელი დღე, — ყველაზე ლამაზი სიზმარი მისი ყმაწვილქალობისა...

ცაცხვების გადასახვევს რომ მიუახლოვდნენ, ანგელინა უცბად წათამამდა, თითქოს შელოცვილი ქვა შეაბესო. „ვეტყვი, ყველაფერს ვეტყვი, როგორც კი მარტო დავრჩებით!“

ამ უეცარმა გადაწყვეტილებამ ქალი თანდათან დაამშვიდა და ქარს გაატანა მისი ყველა შიში და ეშვი. ეს ქვეყანა უკვე ისე ბრუნავდა, როგორც ანგელინას უნდოდა: მამა უფრო კეთილი კაცი იყო, ვიდრე დღემდე ეგონა და შალიკოსაც მზე და მთვარე ამოსდიოდა დავით ჩიხლაძის ქალზე.

მაგრამ ეტყობა, ეშმაკს არ ეძინა: გზის გასაყართან ყველანი ერთად შეკუჭდნენ და გიგუშამ იკითხა, სახლამდე პირველი ვინ მივაცილოთო...

— მაგასაც კენჭისყრა უნდა?! — სთქვა ნათულიმ და ანგელინას გადახედა.

— არა, არა! მე სულაც არ მეჩქარება! — სწრაფად წაილაპარაკა ანგელინამ. იგი დარწმუნებული იყო, რომ შალიკოსაც უნდოდა მასთან პირისპირ დარჩენა.

— შენ ჩვენი სტუმარი ხარ და პირველობა შენ გეკუთვნის! — შესძახა გიგუშამ. სტაცეს ხელი ანგელინას და ცაცხვებისაკენ მიაბრუნეს.

ელდანაცემმა ქალმა ხმა ვერ ამოიღო, მხოლოდ ერთი კი მოხედა შალვას, — ვამოიქცევა და ამ არამკითხე გამცილებლების ხელიდან დამიხსნისო... მაგრამ, როგორც სჩანს, იგი ანგელინას გულში არ იჯდა, ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია.

შეუვარებული ბიჭი რას არ ბოიკნებს ასეთ დროს, რომ გოგოსთან მარტო დარჩეს... შალვას კი ისიც არ უთქვამს, ჯერ სხვა გ-ვაცილოთო.

აქ მარტო მთვარე არ იკმარებს. ერთი ნაკოთს ფარანი მაინც იქნება საჭირო, თორემ ანგელინა კარგად ვერ დაინახავს, თუ რა მშვიდად შემობრუნდება შალიკო მისი სახლისაკენ.

ამას კი ვეღარ გაუძლო მეტისმეტად მერძნობიარე გოგომ. ამ ფშვენენა ბიჭის ერთი გადაბრუნებული სტეკვა, ერთი უკეთური გამოხედვა ზოგჯერ ისე მწარედ ატკენდა გულს, რომ იმ დღეს ყველაფერზე ხელს ჩაიქნევდა, ჩაიკეტებოდა თავის პატარა ოთახში და სიკვდილს ნატრობდა.

— არ მინდა თქვენი გაცილება! არ მინდა თქვენი არაფერი! — იწივლა უეცრად, გოგოებს ხელიდან გაუსხლტა და გაიქცა.

— მოიცა, გოგო, რა დაგემართა?! — მიაძახა შალიკომ... და აღარ გამოუდევნა.

ამ გაქცევამ უფრო მეტი უთხრა შალიკოს გულს, ვიდრე თავად ქალი ეპირებოდა.

„მგონი ამიხდა ბიკოლა საშურას ნათქვამი! ცოტა კაზზე თუ არ გავდექი, ცუდად იქნება ჩვენი საქმე“. — გაიფიქრა და თანამგზავრებს გადახედა. ისინი ჩუმად იდგნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ, ნეტა რა ეწყინაო...

დავიჯერო, ვერაფერს მიხვდნენ?

თუ იმიტომ გაყუჩდნენ, რომ შალიკოს თავი უხერხულად არ ეგრძნო?..

თავი მეცხრე

პარმენი ასეთი მორთული და მოკაზმული ჯერ არ უნახავს დიაკონის ქალს. შავი სერთუკი, თეთრი ქაოქუთა პერანგი და ლამაზად გამოსაკვნილი აბრეშუმის ბაფთა. ორივე ხელი ლერწმის ჯოხზე დაეყრდნო და ისე თავმომწონედ იყურებოდა, ანგელინას სიცილი კინაღამ წასკდა. მერე მამას გადახედა. ისიც

გაფუყული იდგა ფანჯარასთან. ორიავეს — სტუმარსაც და მასპინძელსაც, რაღაც სალხინო ელფერი დაჰკრავდა.

ეს კი ადარ მოეწონა ანგელინას. გულმა მაშინვე უთხრა, ახლა კი ნამდვილად დავიღუპეო...

დიაკონი წამოდგა და თითქოს ეკლესიაში ლაღადებსო, ხმამაღლა აფუყა ქალიშვილს, — პატონმა პარმენმა შენი თავი მთხოვა და მეც დასტური მივეცი, რამეთუ ვიცოდი შენი გულის წადილი — პატონი პარმენი შენი თანამეცხედრე გამხდარიყო...

მერე რა მოხდა, ანგელინას ბუნდად ახსოვს. კიდევ კარგი, გული არ შეუღონდა. კიდევ კარგი, ენას კბილი დააჭირა და ავი სიტყვა არ წამოსცდა.

მერე რა პირით შეხედავდა მამას!

ისიც როგორ მამას!

„ჩემი დედაც იყო და მამაც!“ — და ქალი უსიტყვოდ დაჰყვა მის ნებას. თუმცა არა, — მარტო კარგი მამობა ურჩობის ძალას ვერ წაართმევდა ახალგაზრდა ქალს. რამდენი კარგი მამა ყოფილა ამ ქვეყანაზე, მაგრამ შვილებს იმათ ჭკუაზე არ გაუვლიათ. ანგელინას გული მოუკლა გზაბოძალში მომხდარმა ამბავმა. „მომიშორა, არ ვუყვარვარ!“ — ფიქრობდა იგი და თანდათან ერეოდა ერთი გიჟური სურვილი: კიდევ უფრო დაეტანჯა თავისი თავი, ჩაედინა რაღაც ისეთი ცოდვა, რაიც უფრო გაამწარებდა ისეთდაც გაწამებულ ქალს და სამუდამოდ დაეფუყებდა შალიკოს სახელს. შეიძლება სწორედ ამიტომ ან გაუძალიანდა მამას. მკვდარი გული უკვე აღარ დაეძებდა, ვინ წყეული იქნებოდა მისი ქმარი, — პარმენა-ფოტოგრაფი თუ ერთი ვინმე დანდრაზი მედუქნე...

ქორწილის დღეც დათქვეს: მარიამობისთვის მესამე კვირა, 1922 წელი.

მანამდე კი ანგელინას საქორწილო კაბა უნდა შეეკერა. ვინ დასთვლის, ამ საკოდავ გოგოს რამდენი ღამე თენრად უნდა გაეთენებინა, რამდენი რეცეპტი უნდა გადმოწერა და გაემარგლებინა, რომ დიაკონს ქალიც გამოეწყოთ, ... ტარა ქორწილიც გადაეხადა.

მერე კი მოხდა ერთი ამბავი, რამაც მომავალი სიძე-სიმამრი უფრო დაუმეგობრა ერთიმეორეს. პარმენი უკვე ვეღარ აუდიოდა ყელისჭრა სამუშაოს. ვეება ბოხჩა და მძიმე სადგამი არც ისე ადვილი სათრევი იყო სოფელ-სოფელ.

ხანდახან გზაზე მიმავალ ურემს თუ დაუდგებდა ამ ბარგი-ბარხანას, მაგრამ სიმინდის თოხნა რომ დაიწყებოდა, მერე ხონის გზაზე ურემი კი არა, კაციშვილი არსად ჭაჭანებდა. უკლებას დილაადრიან თუ წამოწეოდა ზოგჯერ. მაგრამ რად გინდა... ერთხელ გუბისწყალთან უკლებას ბიქმა ცხენები შეაყენა და ენაგადმოგდებული ფოტოგრაფი კოფოზე წამოასკუპა. ცეცხლის ფასად დაუკადა ეს მგზავრობა პარმენ პაპიძეს. ოთხი ხელი ბარგი ჰქონდა ფოტოგრაფს, — ოთხი კაცის მგზავრობის საფასური გადაახდევინა მედიდურად.

არადა, იმ წელ-წადს მუცლის ტიფმა სული არ მოათქმევინა სოფელს. გულდამწვარი ჭირისუფლები ხელებს უკოცნიდნენ ფოტოგრაფს, ამ მიწადასაყრელ თვალებს მ ი ნ ი სურათი მაინც დარჩესო...

არც გეეჭრებოდნენ. რასაც დაუფასებდი, იქვე დაგითვლიდნენ დასტა-დასტად ბონი არ გინდოდა? ქათამს მოგაკვლიდნენ, კინდა დაფქვილს, ლობიოს...

ერთსელ პარმენა-ფოტოგრაფი მეც ვნახე ჩემი შორეული ნათესავის დაკრძალვაზე სოფელ მაღლაკში. ვნახე და ეთაკვებული დავრჩი.

პარმენ პაპიძეს თავისი ვეება ფოტოდანადგარი სამოლოციარო ოთახში გაემართა და სანამ კუბოში ჩასვენებულ მიცვალებულს სურათს გადაუღებდა, ერთი ხუთჯერ მაინც შეუცვალა ადგილი ჭირისუფლებს. ჯერ კუბოს თავთან დაადგნა ორი მოხუცი ქალი და ორი პა-

---

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნა ფალეს ბაქანაზეა...

ტარა ბიჭუნა, მერე რაღაც არ მოეწონა და ერთი ქალი იქვე დასტოვა, მხოლოდ შავი თავსაბურავი გადაკაძრო და თმა გაამშლევინა; ის მეორე დედაბერი კი წამოიყვანა და კუბოს წელთან დააჩოქა, ორივე მხრიდან ბიჭუნები ამოუყენა და სწრაფად წასჩურჩული სამიოს:

— მეტი მწუხარება, მეტი მწუხარება, — და როგორც გამოცდილმა რეჟისორმა, ხელები ისე შეათამაშა ჰაერში.

მერე თვითონ მიცვალებულს დაუტრიალდა ფოტოგრაფი: თავი აუმაღლა, გულზე დაკრეფილ ხელებში შიშველი ხანჯალი ჩაუდო, მერე საიდანღაც მისი ახალგაზრდობის სურათი მოარბენინა და ყვავილებიან ვაზას მიაყუდა...

არ ვიცოდი, თუ პარმენ პაპიძეს ასე უსაზღვროდ უყვარდა მკვდრების გაწყობა და მათი სურათების გადაღება. ისე ლამაზად და მოხერხებულად ჩაამწკრივებდა ჭირისუფლებს კუბოსთან, და თავად მიცვალებულსაც ისე კოხტად მორთავდა და მოკაზმავდა, რომ ზოგი ბერიკაცი ანდერძად იბარებდა თურმე, მიწაში ისე არ ჩამიშვათ, რომ ჩემი უკანასკნელი სურათი პარმენისფოტოგრაფმა არ გადაიღოსო...

ჯერ ვიფიქრე, პარმენ პაპიძე ფულის გამო მართავდა ამ წარმოდგენას სამგლოვიარო ოთახში, — მაგრამ არა, იგი არ იყო ფულის მადევარი კაცი; იგი მხოლოდ სახელს ეძებდა, მაგრამ ცოცხალ ადამიანებში თავი ვერ გამოიჩინა, — ერთი კაცი ვერ შემოაბრუნა თავის ნებაზე. ეს საცოდავი მკვდრები კი უხმოდ ემორჩილებოდნენ ფოტოგრაფის ახირებულ სურვილებს და წარმოსახვას მისას უდიდეს გასაქანს აძლევდნენ.

პარმენს თავისი ბოღრა ჰყოფნიდა სათრევად. ხორაგს აღარ ეტანებოდა. მხოლოდ მაშინ იყო, ანგელინას ავადმყოფობის დროს, — წელებზე ფეხი დაიდგა და სამჯერ თუ ოთხჯერ მჭადის ფქვილი, ლობიო და მთელი ხალამი მწნილი ჩამოიტანა.

ერთი სანდო თანაშემწე სჭიროდა პარმენ პაპიძეს და მერე ძალიან კარგი დაპყეფდა იმის ბედს, ყელამდე ვაჭრებდა ოჯახს...

როგორც კი დიაკონს ყურში ჩაეწვეთა, ჩემი მომავალი სიძე დამხმარე კაცს ეძებსო, იმ დღესვე კარაბადინი გვერდზე გადასდო და მისი ბოღრა-სადგაში ზურგზე მოიკიდა. პირდაპირ სულზე მოესწორო ფოტოგრაფმა. იმ კვირას ჩვენი დიაკონი უბნის რწმუნებულმა გამოიძახა და გაიფრთხილა, ხალხის მოტყუებას თავი დაანებე და საქმეს ხელი მოჰკიდეო... ამ დღიდან ძირფესვიანად შეიცვალა ამ საძი ადამიანის ცხოვრება.

დიაკონი და ფოტოგრაფი ყოველ შაბათ-კვირას სოფელ-სოფელ დაეხეტებოდნენ, ჩკვდრებსა და ცოცხლებს სურათებს უღებდნენ. მერე ორშაბათიდან პარასკევამდე გადაღებულ ფირებს ამჟღავნებდნენ, ადიდებდნენ... ყაფანზე ნახმარ ჩარჩოებს ყიდულობდნენ, შეაკეთებდნენ იმ ჩარჩოებს, გასანთლავდნენ, მერე შიგ გადიდებულ სურათებს ჩასვამდნენ და ასე ხელდამშვენებულნი ისევ სოფელს მოევლინებოდნენ. ებგა და კალათი უკვე ვეღარ იტევდა მათ მონაგებ-ნაშოვარს და ერთხელ დიაკონმა სახედარიც კი დაიქირავა, რომ სავსე ხურჯინები ქუთაისში ჩამოეტანა. მოყვრები წელში გაიმართნენ, ჯიბეს კარგი ბარაქა მოჰკიდეს.. დიაკონმა სახლის სახურავს დამტვრეული კრამიტები და ჟანგისაგან შეჭამული საწვიმარი ღარი გამოუცვალა, პარმენმა კი საცოლეს ფარჩა უყიდა სადედოფლო... ოქროს ყელსაბამი აჩუქა დედის დანატოვარი.

რაკი შეამხანაგდნენ და უღელი ერთად გასწიეს, მერე დიაკონმა არაფერი აღარ დაიშურა: თავისი საძინებელი ოთახი გადატხრა და მეორე ნახევარში ისეთი სამუშაო „კაბინეტი“ მოუწყო ფოტოგრაფს, — არაცეთუ ფირების გამჟღავნება, წვიმიან ამინდში სურათების გადაღებაც კი შეიძლებოდა. მადლიერი პარმენი დილიდან საღამომდე გორაზე ტრიალებდა. იმ პატარა გალი-

ას ბალახვაწში მხოლოდ დასაძინებლად თუ ესტუმრებოდა. ძალიან ეზარებოდა ფოტოგრაფს ჩაბნელებულ ხორხებში სიარული, მაგრამ მეტი რა ღონე ჰქონდა! სანამ ჯვარს არ დაიწერდნენ, საცოლეს კარმიდამოში საქმრო ღამეს ვერ გაათევდა, — ოჯახს ვერ გაანძღვავდა.

ჯამიტლეკია დიაკონს უხაროდა, რომ ასეთი შემომტანი კაცი მისი ჭკუის ამაყოლი და გამგონი იყო, თუმცა ძალიან კი უჭირდა სოფლის ირღობეებში წოწიალი და ფოტოგრაფის ბოღჩა-ნაკრაულების წაღებ-წამოღება. ჭაპანწყვეტას მიუჩვეველი კაცი მალე იღლებოდა, ხანდახან ღონე ისე გაუწყდებოდა, წელში ვერ გაიშლებოდა ხოლმე, მაბანდალებდა ქარ-სიცხეში მაღლაკის ქვიან გზაზე და მხურვალე ფიცსა სდებდა, ამ ერთ-ხელ კიდევ გამაძლებინე ღმერთო და მერე, თუ აქეთკენ ჩემი ლანდიც დაგინახო, სული უზიარებლად ამომხადეთ. თან კიდევ ეშინოდა, ცალდაკარგულ ფოტოგრაფს ვაითუ სხვა ვინმე აეკიდოს და ქისის მოზიარე გამიხდესო. ძაღლუმადურ ცხოვრებას ისევ ეს ჭაპანი ამჯობინა.

ი ს: — საწყალი ანგელინა!

მ ე: — მიხვდი?

ი ს: — რა დიდი მიხვედრა უნდა! რაც უფრო მეტად ჩაეტკბობიან ერთმანეთს დიაკონი და პარმენა ფოტოგრაფი, უფრო და უფრო გაუჭირდება ანგელინას იმ დასტურის გადათქმა. უფრო შეეკვრება ხელ-ფეხი და ბოლოს და ბოლოს ბედს შეურიგდება.

თავი მეათე

უნდა გამოვტყდე, მეც ასე მეგონა. ცხოვრებას იმდენი მაცდუნებელი ანკესი უჭირავს ხელში, რომ ყველას ვერ გაექცევი; მეტადრე, თუ შენ მხოლოდ ოცდაერთი წლისა ხარ და ცხოვრების გზაზე ჯერ ერთი ღერძიც არ გაგტეხია.

ქვეყანაზე რამდენი ქალი გათხოვილა უსიყვარულოდ, მაგრამ მერე, დროთა განმავლობაში, სიყვარულიც მოსულა და სიმტკბილობაც.

ასე ფიქრობდა დიაკონიც და უკვე აღარ სწუხდა, რომ ისედაც შინშეკეტილმა გოგომ მთლად დახურა გული. თუ შენ არაფერს ეტყოდი, იგი თავად არც არაფერს კეთხავდა, არც არაფერს გთხოვდა. როგორც კი შეეძლო, უვლიდა ამ ორ კაცს, სადილ-ვახშამს უკეთებდა, ურეცხავდა... მხოლოდ ხანდახან უთონი ეხმარებოდა ფოტოგრაფი. ცალად ნაცხოვრებმა კაცმა ისეთი უთოობა იცოდა, იმის ნახელავს ანიკო-დედოფალიც ვერ დაიწუნებდა.

მოიწყინა ანგელინამ, გახდა, ლოყები ჩაეფეთქა. დიაკონი მიხვდა, რომ მისი გარიგებული საქმრო გულზე არ ეხატებოდა ქალიშვილს.

და სწორედ მაშინ იყო, — ცოტა რომ წაიშმაკა. ერთი ფანდი გააგდო, რომ ყოველგვარი მოულოდნელობა თავიდან აეცილებინა: უზომოდ ბედნიერი კაცის იერი დიდო დიაკონმა. ანგელინას გასაგონად ერთი წყევლა არ წამოსცდებოდა, ერთი სამდურავი... მთელი მისი ნაქეფურობა მხოლოდ და მხოლოდ კმაყოფილებას ამჟღავნებდა, — ვითომდა იმ დღის მერე, რაც პარმენ პაპიძემ ჩემი ქალი დანიშნა, ყველა ჭირი და გაჭირვება დამავიწყდაო... და იგი მრთლაც ისე კარგად გამოხატავდა ჭირმოხდილი კაცის სიხარულს, რომ სემინარიის ყოფილი მასწავლებელი გულდაწყვეტილი ლაპარაკობდა, რა ღმერთი გაუწყრა დავით ჩიხლაძეს, გუშინ ეკლესია დაუხურეს, მერე ხმა ჩამოართვეს და კაცების სათვალავს გამოაკლეს, ახლა რა უხარია მაგ უბედურს, ასეთი რა ნანაო!

ხალხში იყო თუ ოჯახში, დავით ჩიხლაძეს თავი ისე ეჭირა, თითქოს

ისიც კი ახარებდა, რომ ფოტოგრაფის მეკურტნე მუშა იყო. უკვე აღარ ახსოვდა, გუშინ და გუშინწინ ანიკოს რომ შესჩოდა. ნამდვილად ტრიკი ჩამომიგია, თუ ეს კურტანი არ მოვიშორეო...

ანგელინა ვერ ამჩნევდა, რომ ეს ყველაფერი მისი თვალის ასახვევად იყო მოგონილი. ამ ცრუ ბედნიერებას მხოლოდ ერთი ანგარიში ჰქონდა, ერთი მიზანი: რომ ანგელინას უარი ვეღარ ეთქვა პარმენ პაპიძის ცოლობაზე.

ამ ცრუ ბედნიერებას ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩაეკლა ქალის გულში ყოველგვარი გაუგონრობა, ყოველგვარი უკმაყოფილების გაცხადების უფლება. — ჩემი დასტური ნაჩქარევი იყო და შემხედე, შამავ, როგორ ვიტანჯებიო...

დიაკონმა მალე მიაღწია საწადელს: უზომოდ გახარებული მამა რომ დაინახა, ანგელინამ იმ წამსვე ფარ-ხმალი დაჭარა. ყელთან მომდგარი ოხვრა უკანვე ჩაიბრუნა და შუბლიც გაშალა. მაშ ამ სიხარულს როგორ წაამწარებდა ისედაც დაჩაგრულ და ცხოვრებისაგან გარიყულ მშობელ მამას!

ცოდვა არ იყო, რომ მისი გაბრწყინებული პირისახე, — თითქოს მთავარანგელოზის ეკლესია ისევ გაღეს და ზარების გუგუნი წრკვაზე უხმოსო, — კვლავ ჩაექრო და ჩაებნელებინა ანგელინას უდიერ სიტყვას...

შეიძლება შვილმა ასე გასწიროს მშობელი მამა?

და რაკი სულგრძელობამ უკან დაახვევინა, მერე ადგა და ამ უკანდახევას თვითონვე დაუწყო გათვითრება და გამართლება. ბოლოს და ბოლოს პარმენ პაპიძეს ისეთი რა დამშავა, რომ ავიბუე და გავიყიენ.

ანგელინას არ უყვარდა პარმენ პაპიძე. არავითარი სურვილი არა ჰქონდა, რომ მისი მეუღლე გამხდარიყო. მაგრამ ქალის გული ვინ გამოიცნოს...

სადღაც გულის სიღრმეში ანგელინას მაინც სიამოვნებდა, რომ პარმენი აღმერთებდა, ეთაყვანებოდა. მას ფოტოგრაფი სულს არ დაიშურებდა, ოღონდ საყვარელი ქალი გაეხადა.

„ჩემი ერთი სიტყვა და, — უკან არ მოიხედავს, წყალში ისე გადაკარდება!“

ასეთი მორჩილება, ასეთი თავდადებული სიყვარული ხიბლავდა ახალგაზრდა ქალს. ამაღლება ქალის თავმოყვარეობას, თუმცა პარმენის ცოლობა მაინც არ უნდოდა.

ჭრილობას კი მალამო სჭირდებოდა და ხანდახან ასეთი ფიქრიც წამოუშვებოდა ანგელინას:

„ის ფშტეენია ბიჭი მხოლოდ წამეთამაშა და უკვალოდ გაჰქრა. ამას კი ჩემი სახელი უსხენე და ცაში აფრინდება“!

ამ ტკბილმა საწამლავმა თანდათან შეტეხა დაჯავრებული ქალი და თითქოს გაუადვილა შალიკოსთან განშორება. თუ აქამდე მისი ერთი უბრალო სიტყვა, ერთი გამოხედვა უზომო სიხარულს ანიჭებდა ანგელინას, ახლა ამ საუნჯეს მხოლოდ დაცინვის ელფერი მისცა ქალს და ცოტა რაღაც შვება იგრძნო.

„გამეღლაბუცა და წავიდაო“, — ამ ფიქრს არ მოჰქონდა იმდენი სინანული; უფრო მწარე იყო, — „ეუფავრდი და რაღაც განგებამ დაგვაშორაო“.

და ვინ იცის, იქნებ ანგელინა კიდეც შერიგებოდა თავის ხვედრს, რომ იმ საღამოს დავით ჩიხლაძის ოჯახში ნათულის არ შემოვეკლო.

ცაცხვებთან მოსხდარმა უსიამოვნებამ ერთხელ კიდევ ჩაიფიქრა ახალგაზრდა ზვინკალი. ალალი ბიჭი მიხვდა, რომ იგი ცოტა წინდაუხედავად მოიქცა, თავისი კეთილი განზრახვა საჭირო ყალიბში ვერ მოიყვანა. იგი სულაც არ ფიქრობდა, რომ ანგელინას მიჯნური გამხდარიყო. უბრალოდ — შეეცოდა ტოლ-მეგობრებში გამოწყვეტილი, ცხოვრებისაგან ძალად გარიყული მეზობელი გოგო და ცოტა წაეთამაშა. მოეფერა, ტკბილი სიტყვა უთხრა, იქნებ ამაყვის და მეტი სითამამე მიეცეს. იქნებ თვალი გაახელოს და რაღაც

ისეთ საქმეს მოჰკიდოს ხელი, მისი ულიმლამ ცხოვრების დღეებს დიდი შინაარსით რომ აავსებსო.

„რკინის ბალიას მხოლოდ გატაცებული ადამიანები ამტრეკენ“, — ფიქრობდა იგი და დიაკონის ქალს ყურადღებას არ აკლებდა.

ავად იყო თუ კარგად, შალიკომ იმდენი უქარგა და უქსოვა ამ გამოუცდელ გოგოს, რომ ბოლოს და ბოლოს აფიქრებინა, ვუყვარვარო...

საქმე ისე არ წავიდა, როგორც ჩაფიქრებული იყო.

ეს ამბავი ჭკუაში არ დაუჯდა შალიკოს და რომ ანგელინა დროისად გამოეფიზიზებინა, ცაცხვების ქუჩაზე სიარულს თავი მიანება, ჩიხლაძის ქალს ღანდათან ჩამოშორდა. თანაც იმ დღეებში ახალგაზრდა ზენიკალი ხოშგაგზავნეს, ახალი მანქანების აწყობაში ეხმარებოდა აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკას. როგორც კი არტახიდან ხელი გამოიღო და ქუთაისში დაბრუნდა, ჯერ საამქროს გამგეს მოელაპარაკა, რომ ანგელინა ჩიხლაძეს საუკეთესო ოსტატს მიაბარებდნენ. მერე ნათელს დაუძახა და სთხოვა, ის გოგო ფაბრიკაში ჩამოიყვანეო...

შალიკოს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მან თავისი კაცური ვალი პირწმინდად მოიხადა ანგელინას წინაშე.

— ანგო?

დავითმა მოიხედა, ნაჯახი მორზე მიაყუდა და ჭიშკარს მიაშურა.

წითელთავსაფრიანი გოგო რომ დაინახა, შუბლი შეიკრა და უკმეხად ჰკითხა:

— ვის ეძებ? ანგო აქ არავინ ცხოვრობს!

— ჩიხლაძე... დიაკონის გოგო...

— მერე იმას ანგო ჰქვია?! ბოლშევიკებმა ყველაფერი კი შეცვალეს ამ ქვეყანაზე, მარა სახელები მაინც დაგვიტოვონ ჩვენ-ჩვენნი! — ჩაიბუტბუტა და ჭიშკარი გაიღო: — შენ საიდან ხარ!

საიდან ხარო...

გულმა მაშინვე გაიფრთხილა ნათელი, ამ უცხვირპირო მასპინძელს სიმარცლე არ უთხრა, შალიკო და ფაბრიკაც არ უხსენო, თორემ ჭიშკარში ვერ გაასწრებო.

— მე თქვენი ახალი მეზობელი ვარ. ამას წინათ ნავთის რიგში გავიცანი თქვენი ქალიშვილი. შემპირდა, ყაზბეგის მოთხრობებს გათხოვებო...

— მობრძანდი!

კიდევ კარგი, დიაკონი შინ არ შეჰყოლია სტუმარს და არ უნახავს, რა მოინტრიგებული გადეხეკვნენ ერთმანეთს ნათელი და ანგელინა... არ დაუნახავს, თორემ არ დაიჯერებდა, რომ ამ გოგოებს მხოლოდ ყაზბეგის წიგნი აკავშირებდა ერთიმეორესთან.

შალიკომ გამომგზავნანო?

ანგელინამ ჯერ უნდოდ გამოხედა სტუმარს, მერე უცბად მიხვდა, რომ ნათელის ასეთი ლაყბები არაფრად არ ესაჭირებოდა. წამოწითლდა, თვალები გაუბრწყინდა..

— ვახსოვარ! კიდევ ვახსოვარ? — თამამად გამოკითხა ანგელინამ თავისი სიხარული.

— რას ამბობ, გოგო, ყველას ახსოვხარ, ყველას! იორანგე ბიძამ გუშინაც კი მკითხა, ის კაი გოგო სად დაიკარგაო...

„ყ ვ ე ლ ა ს?“

ანგელინას გული დაწყდა, რომ მეგობარი ქალი გულისთქმას ვერ მიუხვდა, შალიკო „ყ ვ ე ლ ა შ ი“ შეურია და ხარებას ძალა დაუკარგა. ერთი ისეთი სიტყვა არ უთხრა, რაც იმ ბიჭს სხვებისაგან გამოარჩევდა.

თურმე ტყუილად ფიქრობდა ანგელინა, ყველაფერი სიზმარი იყო და სიზმარივით გაქრა.

ნათელის მოტანილმა ამბავმა გულმკვდარი ქალი უცბად გამოაცოცხლა, თვალებში სინათლე დაუბრწყინა. რა ცოტა რამ ჰყოფნის თურმე ადამიანს, რომ სული ჩაუდგა და აქეთკენ, ამ ქვეყნისაკენ მოახედო. ერთი გულთბილი მოკითხვა, ერთი პატარა მოფერება და —

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ეს ღამეც გათენდება...

ანგელინას პირისკანიც კი შეეცვალა: ლოყები შიგნიდან ისე გამოუბრწყინდა, — ოთახში შემოსულმა დიაკონმა პირჯვარი გადაიწერა, ამ გოგოს ჯადო გაუკეთეს თუ რა მოხდაო. აშკარა იყო, რომ ანგელინას ფერისცვლება ამ უცნობი ქალის მოულოდნელმა სტუმრობამ მოახდინა.

ნათულის პირისახე აუწყა ფოტოგრაფის ჩაცივებულმა მზერამ. შემოვიდა თუ არა, **უბრალო** სალამიც კი არ უთხრა **სტუმარ-ქალს** და მთელი ოთახი რაღაც **მტრული** სიჩუმით აავსო. ამ სიჩუმემ მაშინვე აგრძნობინა ნათულის, რომ იგი დაუპატიჟებელი სტუმარი იყო ამ ოჯახში, თუმცა ქალი პირველად ხედავდა ამ კაცს და მისი არც სახელი იცოდა, არც ვინაობა.

— დაბრძანდი, მამავ! — ანგელინამ სკამი მიაწოდა, მერე მაგიდას მჩვარი გადაუსვა და სამზადიდან მოხარშული კვაბი და სიმინდი გამოიტანა. მაგრამ ამ სიჩუმეს მაინც ვერ უშველა. დიაკონი ისევ ფეხზე იდგა, თითქოს რაღაცას უცდიდა.

„ნუთუ ჩემს წასვლას უცდის! ღმერთო ჩემო, ეს რა ურჯულო კაცი ყოფილა!“ — გულში შეიცხადა ნათულიმ. გარეგნულად კი გრძნობებს არ აჰყვა, შშვიდად წამოდგა და ისევე შშვიდად უთხრა ანგელინას:

— გამაცილე, თუ არ გეზარება...

დიაკონს თავი დაუკრა. კართან რომ მივიდა, მისი ხითხითი მოესმა.

— წიგნი დაგავიწყდა, ქალიშვილო!

— რა წიგნი? — შეიკვირვა ანგელინამ.

— წიგნი სიბრძნე-სი... ცრუ... ისა! — ჩაიქირქილა დიაკონმა.

ნათულის გულს შემოეყარა. ამ სიჩქარეში ანგელინას გაფრთხილება ვერ მოასწრო და მისი ტყუილი უკვე გამოაშკარავდა. რა უცბად დაპატარავდა იგი ამ უგუებელი კაცის თვალში! კიდევ კარგი, ნათულიმ უკან არ მოიხედა. არ გაუხარა გული დიაკონს და თავისი აღმოდებული ლოყები არ დაანახვა.

ანგელინამ გაყოლა მოინდომა. მამამ შეაჩერა, არ დაიკარგება, ჰიშკარს უშველ-ნოდაც მიაგებესო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სირცხვილია, მამავ!

— მაგან სირცხვილი რომ იცოდეს, ჩემი ხნის კაცს ტყუილს არ ეტყოდა! რაო, რა უნდოდა?

„რა ტყუილი! ან წეღან რა წიგნზე იყო ლაპარაკი?! რაიმე მახეში არ გავება!“ — დაფრთხა ანგელინა და მიკიბ-მოკიბვა აღარ დაუწყო, პირდაპირ უთხრა მამას, აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკაში მეძახიან, სამუშაოს მაძლევენო...

ზიზღით სავსე ღიმილმა ტუჩ-პირი მოუგრიხა დიაკონს.

— ვინ გეძახის, გოგო? ქრისტეს ფეხის მეჭამელი კომკავშირელები?! გესმის, მამაზეციერო, რა ამბავია ჩვენს თავს! მაგ ფაბრიკის კომკავშირელები იყვნენ, შარშან მოწამეთის მონასტერი რომ დაარბიეს... დავით და კონსტანტინეს ძვლები სამარხიდან ამოჰყარეს, მერე გამოტტა ვიღაც არამზადა ბიჭი, დაავლო ხელი თავის ქალას და ხალხს შესძახა:

— აბა თუ რამე ძალა გააჩნია ამ წმინდანს, აგერ ვარ და დამსაჯოსო...

უკივლა ერთმა დედაბერმა, — მეტი რაღა უნდა დაგსაჯოს, შვილო! ვერ ხედავ, უკვე გაუგიჟებიხარო!

დიაკონს ჩქარი ლაპარაკი არ უყვარდა, სასაცილოდ უცანცარებდა ხალათის გულისპირზე დაფენილი ეღალი წვერი, მაგრამ ახლა თავი ვერ შეიკავა და სულ-ნოუთქმელად ჩამოფქვა სათქმელიც და არსათქმელიც. ბოდმისაგან თვალ-ძაფი გაუწყდა თითქოს, დაკუსული იყურებოდა...

— არც ვისწავლო, არც ვიმუშავო, ხალხში არ გავერიო!. ცოდვა ვარ, მამავ, ყველაფერში ვერ გამოვწყდები ამ ქვეყანას! — ხმის კანკალით უთხრა ანგელინამ.

— ენა გააჩერე, გოგო! მე კარგად ვიცი, ვინც გეძახის და რატომ გეძახის! ღმერთმა ამისთანა საქმრო შეგახვედრა, შენ კიდევ სხვაგან იყურები! ნუ გადარევ იმ კაცს, ფაბრიკაში კი არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგავწყდა, წყაროზე არ გაგიშვა მარტო! ეს არის ნამდვილი სიყვარული და ოჯახშვილობა. აბა ისე კი არა, ის ბიჭი რომ რაღაცას გეღლაბუცებდა! სუ, გაჩუმდი! როგორ ფიქრობ შენ, მე თვალები არა მაქვს და ვერაფერს ვხედავ?! მე, თუ გინდა არაფერი. წუხლი მკარი და გაახარე ჩემი მოსისხლე მტრები. პარმენას რაღას ერჩი, ორივე მამაშვილი სიკვდილს ხელიდან გამოგეტაცა და დღესაც მხარში გვიდგას, რომ ნაწლოვანები არ გამოგვიჩნდეს! ის კაცმა მეც გამიჩინა ცხოვრებაში პატარა მიზანი. ნუ მოუკლავ გულს, შენს კანში დაიტიე, თორემ იცოდე, ნაცარში ჩაგაბერებს!..

და, როგორც ყოველთვის, ანგელინამ გაუგონა მამას, — ფაბრიკაში აღარ წავიდა.

ნასადილევს მამიდამ შემოსძახა, რიოზზე მივდივართო.

„ცოტა გაციებული ვარ და ვერ წამოვალო,“ — უთხრა ანგელინამ.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მან თავის საყვარელ რიოზს უარი უთხრა.

თავი მეთერთმეტე

ნიშნობის მერე ფოტოგრაფმა უფრო მოუხშირა სიარულს დიაკვნის ოჯახში. თანაც უფრო გათამამდა. შეადებს კარს და ჯერ სასამძრეოს ემოხვევა მკერდზე, მერე ნელა-ნელა დახუჭავს თავის გამოცვლილ თვალებს და საცოლეს გადაეხვევა, ხელზე ეამბორება. ქალს ტანში გაეზრიალება, მისი აბჟარებული სულისთქმა თავპირზე რომ შეეფრქვევა... დამძაღებული ფოტო-წამლების სული ასდის პარმენ პაპიძეს თავიდან ფეხებამდის და ხანდახან ანგელინას ეჩვენება, ეს აუტანელი სუნი მასაც კი დაჰკრავს ხოლმე...

... იმ საღამოს დიაკონი შინ არ იყო და გულმოცემულმა საქმრომ ქალი მკერდზე მიიკრა და ტუჩებში კოცნა დაუპირა.

საქმროს არ ეწყინოსო — და ქალმაც ბევრი ფხაკუნი აღარ დაიწყო. მორჩილად გაყუჩდა კაცის მკლავებში, მაგრამ მისი ცივი, სველი ტუჩების მოკარება რომ იგრძნო, უნებურად შეჰკივლა და კაცს ხელი ჰკრა.

პარმენი ვერც მაშინ მიხვდა, რომ ეს შეკოცვება მხოლოდ ზიზღი იყო, მხოლოდ სიძულვილი... და არა მისი ქალური კდემამოსილება, უმანკოება, მორცხვობა, როგორც ეგონა სიყვარულისაგან გაბეცებულ ფოტოგრაფს.

— მაპატიე, ჩემო ანგელოზო! ისე ძალიან მიყვარხარ, რომ ხანდახან მეც აშკვიცი, რას ვაკეთებ! — უთხრა დარცხვენილმა კაცმა და იმ დღიდან მისი ტუჩები ქალის მაჯას არ აშორებია.

თანაც უზომოდ უხაროდა, რომ მისი საცოლე ასეთი მორცხვი იყო, არ უწყოდა პარმენ პაპიძემ, რომ სიყვარულმა მორცხვობა არ იცის...

არა მხოლოდ მისი მიკარება, — ანგელინას ეზიზღებოდა მისი გაპრანჭული ლაპარაკი:

„თქვენ ჩემი ოცნების უმაღლესი წერტილი ხართ!“

ან კიდევ:

„დაგინახავ თუ არა, ჩემო ძვირფასო, გულში იმწამსვე ამურის ისარი შემერჭობა!“

ან კიდევ:

„უშენოდ ისე ვიტანჯები, როგორც ნაპირზე გამოგდებული თევზი!“

ამ სიძულვილს ისიც აძლიერებდა, რომ პარმენი არასდროს მარტო არ შედიოდა ანგელინას ოთახში. გაიჭრიალებდა კარი და, სანამ მისი საქმრო ნაბიჯს გადმოდგამდა, შალიკოს ლანდი უკვე ოთახში იყო და ხან წყაროდან ანგელინას კოკა მოჰქონდა, ხან კიდევ იმ ავარა ბიჭს ეზიზღებოდა...

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ეს ღამეც გათენდება...

ღადარში გაჩვეული ნაკვერჩხალი ისევ ლუოდა თურმე.

ქალი ისე ცხადად ხედავდა შალვას გაღიმებულ პირისახეს, რომ ერთხელ კინაღამ იყვირა: — გაჩერდი, პარმენ, ხელი არ მომკიდო, ოთახში მარტო არა ვართო!

ერთხელაც არ შეეკითხა პარმენი საკუთარ თავს, რატომ იყო იმ საღამოს ანგელინა ასე დამუნჯებული და ბოლომოღებული, რატომ მიყვებოდა ცოლად ვიღაც მოხეტიალე ფოტოგრაფს...

იგი ვერ ხედავდა, რომ ქალის მერჩილება — ეს იყო საზღაური და არა სიყვარული... საზღაური იმ კვერცხებისა და ლობიანი პურების გამო, სველი ტლოობისა და თეთრად გატეხილი ღამეების გამო — ყველაფრის გამო, რაც იმ საშინელი სახადის დღეებში ერთხელაც არ დაუთვალა პარმენ პაპიძემ გაურკვევაში ჩავარდნილ მამაშვილს.

ასე დაუმადლებლად, ასე დაუყვედრებლად მხოლოდ დედა თუ აწოვებს ძუძუს თავის ყრმას...

ასეთმა უანგარობამ ცოტა კი გაუნელა სიძულვილი ანგელინას, მაგრამ ქორწინების დღე რომ მოახლოდდა, ქალმა საოცარი სიმძაფრით იგრძნო, თავს მოვიკლავ და ძმა თანამესაფეცლე არ გავხდებიო.

ცივ ქვაზე იცოვრებს ანგელინა, იმ ტუჩმოტეხილ კოკუნას ხელში დაიგრეს და დილიდან საღამომდე ჭაზე ირბენს, ოღონდაც შალიკოს ახლოს იყოს, იმ თავისუფალი და გახარებული ეოგო-ბიჭების გუნდში იტრიალოს...

ერთხელ ანგელინას დაესიზმრა, ვითომ პარმენი უკვე მისი ქმარი იყო, ლოგინში გვერდზე მოსწოლოდა და მუცელზე ხელს უფათურებდა... ქალის წვიელ-კივილმა ძმინარე დიაკონი გამოაღვიძა და ფეხზე წამოაგდო.

ანგელინა საწოლზე წამომჯდარიყო და ისე კანკალებდა, ისეთი ელდა-ზარი ეწერა პირისახეზე, რომ დიაკონი თავადაც დაფეთდა, ეოგოს პირჯვარი გადაწერა და თვალები მაღლა ამოაბრიალა.

— ჯვარი აქაურობას! ჯვარი აქაურობას! ყოველდ-წმინდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ, შეგვინდე უსჯულოებანი ჩვენნი... რა იყო, შვილო, გული გამოხეთქე!

ფერხაცვალი ეოგო ერთი-ორი წამი კიდევ ჩუმად კანკალებდა, მერე თანდათან გონზე მოვიდა, აშლილი პირისახე დაულაგდა და ერთბაშად ისე გახარებული ეოგზეია მამას, თითქოს დიდხანს უნახავები იყვნენ.

— სიზმარძა შემაშინა! — სთქვა და ჩუმად ჩაიცინა. მეტი არაფერი სთქვა, თუმცა სათქმელი როგორ არა ჰქონდა! „რა ბედნიერი ვარ, რომ ის ყველაფერი სიზმარი იყოო!“...

ვერ გაბედა.

ანიკო-ედიოფალს უზომოდ ეცოდებოდა თავისი ძმისშვილი, მაგრამ ხმა ვერ ამოელო. ვინ ვინ და ანგელინას მამიდამ კი იცოდა, რა იმედს ამყარებდა დიაკონი ამ ქორწინებაზე.

მოფარებულში კი წამდაუწუმ ჩასჩიჩინებდა ანგელინას:

— გინდა, ჩემო ეოგო, იმ შენმა პარმენამ საძუღამიდ შეგიძულოს და თავი დაგანებოს?

— ძინდა, მამიდა, მინდა! ოღონდ მაგ დღეს მოვესწრო და მერე თუნდაც თქვენი ჭირის სანაცვლო ვიყო! — აუდუღდა გული ანგელინას.

— მაშინ ყური დამიგდე! კარგად დაიმახსოვრე, რასაც ეეტყვი: ამ საღამოს დაუძახე პარმენას და ეითომ გამოუტყდი — სირცხვილ-ნაძუსი ნებას არ მაძლევს, რომ ქორწინების წინ ჩემი აღსარება არ ეითხრა-თქო...

— რა აღსარება, მამიდ! — დაფეთდა ანგელინა.

— ასე უთხარი. შენაცდენი ეოგო ვარ, მონასტერში ერთმა ბერძა დამლუპა და ნამუსი ამხადა-თქო,

— რას ამბობ, მამიდ!

— თუ რამე კაცური ღირსება გაჩინია, ამის მერე ახლო არ გაგიკარებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი მარა, ჩემი პირით როგორ ვუთხრა ეს ამბავი?!

— აბა გაკმინდე ხმა და მოაწერე ხელი! მესამე კვირაც მალე გაიცნდება!

— გამწარებულ კაცს პირს ვერ გაუკერავ! გადარეულ მამაჩემს!

— ეგაც უთხარი, შვილო! ნამუსი შემინახე და მამასთან არ გამცე, თორემ ცხენის კუდზე გამომბამს და შარა-შარა მათრევსო... — გაამხნევა მამიდამ.

— არა, მამიდა, რაც არ შემიძლია, არ შემიძლია!

— გაწყდა შენი ჯილაგი! აბა რა შეგიძლია, ტირილი და თავში ხელების ცემა?

ანგელინას ცრემლი წასკდა, ჩემი, მდუღარე ცრემლი.

მამიდამ უკვირა, უკვირა გულამომჯდარ გოგოს და მერე სთქვა:

— აპა, აწი მე მაცალე, მე მოველაპარაკები იმ კაცს! კარგი?

კარგიო, თავი დაუქნია ანგელინამ. მეტი რა ღონე ჰქონდა სასოწარკვეთილ გოგოს.

ანიკო-დედოფალმაც აღარ დაახანა, მერე დღესვე შეუთვალა ფოტოგრაფს, ამ შაბათ-კვირას უეჭველად მნახე, საქმე მაქვსო...

საღამო ხანი იყო. შილიფად ჩაცმული ანიკო მაგნოლიის ძირში სართავ ჯარას უჯდა, შალის ძაფს ძახავდა. ვერ გაიგო, ეზოში ისე ჩუმად შემოვიდა პარმენი და საღამო-მშვიდობისა უთხრა.

— ღმერთო მომკალი, რასა ვგეკარ!— შეჰკივლა დიასახლისმა, წელზე თავშალი შემოიხვია და სახლში შევარდა. ცოტა ხნის მერე ფანჯარაში თავი გამოჰყო და მღელვარედ უთხრა ფოტოგრაფს:

— ახლავე, ბატონო, პარმენ, ახლავე! თუ ცოტა ადამიანს არ დავემგზავნე, თქვენისთანა პატივსაცემ პიროვნებას როგორ დავენახვები!

როდის-როდის სახლიდან გამოეტია, მაგრამ ვაი ამ გამოტეკას! პარმენ პაპაიძე გულჩახვეული კაცი იყო, ახლა კი მანაც ვერ შეიკავა ღიმილი. ასე ეგონა ცოტახალ ადამიანს კი არა, მაღაზიის ფანჯარაში გამოდებულ დედოფალს ხედავდა... რანაირად მორთულიყო ანგელინას მამიდა! ჭრელა-ჭრელა ძაფისაგან ნაქსოვი ფარაგა ტანზე ისე შემოეტმასნა, — მაღალი თეძოსთავები გარეთ ჰქონდა გამოყრილი. შემეკნარ ლოყებზე იმდენი ფერუმარილი დაედო, ქალის პირისკანს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა, თვალ-წარბიც მოესურმა, თმა ბულულად აეშალა და შიგ ლამბად მოშეშვილი სავარცხელი ჩაებნია.

ანიკომ იცოდა, ამ საღამოს მისი ძმაშვილის ბედი საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო და რატომღაც ასერგად აზავადა და მოიკაზმა. შეიძლება ფიქრობდა, ჩემი სიტყვა ასე უფრო დამაჯერებელი იქნებაო...

ანიკო-დედოფალმა შემწვარი წაბლი და ალუბლის ნაყენი გამოუტანა სტუმარს. და, სანამ იმ სიტყვას ეტყოდა, ერთი ათჯერ მაინც მოუბოდიშა:

— ამ საღამოს არ მოგელოდი, ბატონო პარმენ! გუშინ მთელი ყაფანი შემოვიარე, ერთი ჯამი დაფქვილი ვერსად ვიშოვე. ძალიან მინდოდა, რომ თქვენისთანა პატივსაცემ პიროვნებას ჩემი ნახელავი ხაჭაპური გაესინჯა!

— მადლობა, ქალბატონო ანიკო, დიდი მადლობა! ნუ შეწუხდები, თუ ქალი ხარ! — ეუბნებოდა პარმენი და ცოტა დამფრთხალი მისჩერებოდა ამ შერეკილ დედაკაცს, ნეტა რა უნდა, რატომ დამიძახაო....

— ერთი გლახა ამბავი უნდა გითხრა, ბატონო პარმენ! — წამოიწყო დიასახლისმა და ის ულამაზო ტყუილი სულმოუთქმელად უამბო პარმენ პაპაიძეს. თანაც გულზე მუშტებს იცემდა და წყევლა-კრულვას უთვლიდა იმ არაწმინდა ბერს. მერე ისიც უთხრა, დიაკონთან არაფერი წამოგცდეს, ქალის ცოდვაში ნუ ჩადგებიო....

პარმენ პაპაიძეს ერთი კუნთი არ შერხვია ტუჩ-პირზე. ერთი სიტყვა არ

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ეს ღამეც გათენდება...

უთქვამს, — სიტყვა გაოცების, ან სინანულის, ან კიდევ — წყენა-აღშფოთების.... თავიდან ბოლომდე ჩუმად მოისმინა ანგელინას შეცდენა-გაბასების ამბავი, მერე ასევე ჩუმად წამოდგა და ოთახიდან გავიდა. დიასახლისს არც კი დაეშვიდობა. დაადო თავი და აუჩქარებლად შეუდგა ცაცხვების ქუჩის აღმართს.

მისი სიჩუმე და უცნაური გაქცევა თავისებურად გაიგო ანიკო-დედოფალმა.

— მოვკალი კაცი! ისეთი ელდა ვაჭამე, ენა პირში ჩაუვარდა! — მიახარა ანგელინას, თუმცა ის დამე მაინც გულის კანკალში გათენეს შეთქმულმა ქალებმა, — რა გზას დაადგება პარმენი, რა პასუხს მოიტანსო...

გავიდა ორი დღე. პარმენ პაპაძეს ლანდად არ გაუვლია გორაზე. არც ანგელინა უნახავს, არც ანიკო-დედოფალს გაჰკარებია.

მამიდამ უკვე მიულოცა გადარჩენა თავის ძმისშვილს, მაგრამ შეყვარებული კაცის გული ვინ გამოიცნო!

მესამე დღეს ფოტოგრაფმა ისეთი ბარათი მოიწერა, ანიკომ წაიკითხა და იქვე ჩაიკეცა უღონოდ.

„ამ ვაჟბატონმა ყველაფერში რაფერ გვჯობა!“ — გაიფიქრა და ფოტოგრაფის განსაცვიფრებელი უსტარი იმავე საღამოს წაუკითხა ანგელინას.

„რა მოხდა მერე, ქალბატონო, ანიკო, — სწერდა პარმენი: — მაგის გამო ჩემი სალოცავი ანგელინა არ დაიწუნება! ჩავთვალოთ, ვითომ განათხოვარი ქალი შევირთე ცოლად, მორჩა და გათავდა! ზოგი დედაკაცი სამ ქმარს გამოიცლის და მეოთხეს მიჰყვება, უფრო უკეთესს... მუხლდაჩოქილი გევედრები, ქალბატონო ანიკო, დაამშვიდე ანგელინა! ხატზე დავიფიცებ, რომ არასდროს, არასდროს, სანამ პირში სული მედგმება, — მისი წარსული არ გავიხსენო და ერთი უკადრისი სიტყვა არ გავაგონო.“

— ეს რა მომწერა იმ დამთხვეულმა! მე კი მეგონა, მოვარდება და [illegible] ხავს, საფლავში მიცვალებულებს არ დამიტოვებს-მეთქი, რატომ აქამდე არ მითხარი, თუ შენი ძმისშვილი ბერების ნათრევი იყოო!.. — წოდა ანიკო და ცოცხალ-მკვდარ ანგელინას თვალებში ვეღარ უყურებდა.

— რა წარსული უნდა გამიხსენოს, მაგ უდღეურმა, რა წარსული! — სიმწრის სიცილი მოერია გოგოს: — ეს რა დღეში ჩამაგდე, ჩემო კარგო მამიდავ! მთლად მომეჭრა თავი და წავიბილწე! ხომ ხედავ, ყველაფერზე თანახმაა... მანამ არ გაგითენდა ხვალინდელი დღე, პარმენა პაპაძეკ, სანამ მე შენი ცოლი არ გავხდე!

ქორწილის დღეც მოახლოვდა, ეზოში საკლავი უკვე ბღაოდა. გუშინ ორი ვეება ტიკიდან ღვინო მოწნულ ბოცებში გადაიღეს. დურგალმაც უკვე დაჭკრა შალაშინი ფიცარს, საქორწილო სეფა დიდი კაკლის ძირში გამართეს.

ანგელინა მიხვდა, არსაიდან საშველი აღარ იყო. დარდისაგან გამშრალ გოგოს ახლა მხოლოდ ერთი სურვილი აკავშირებდა ამ ქვეყანასთან: მომკვდარიყო, თავი ჩამოეხრჩო ჩუმად სარდაფში, რომ მისი უდროო სიკვდილი მოუნანიებელ ცოდვად გადაქცეოდა ამ შეუბრალებელ ადამიანებს, — მამას, პარმენ პაპაძეს, შალიკოს...

რაღაც ავადმყოფურ სიხარულს განიცდიდა ერთი მაცდური ფიქრის გამო: ჩემი ტანჯვა მათაც დატანჯავს და სიცოცხლეს გაუმწარებსო. მხოლოდ მისი სიკვდილი მიუზღვავდა სამაგიეროს ამ გულცივ ადამიანებს. და საბრალო გოგოც უზომოდ მონატრებული ელოდა იმ წუთს, როდესაც მამა და შალიკო, პარმენი და მამიდა თავზე თმას დაიგლეჯდნენ, ეს რა მოგვივიდა, ანგელინას როგორ ვერ მოვუარეთო!!.

ასეთი უცნაური შურისძიების წყურვილმა მთელი მისი არსება დაიპყრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქალი ისე გააოგნა, რომ ხანდახან რაღაც წამოუვლიდა, — ერთი საათი, ორი საათი ენაჩავარდნილი იჯდა ანიკოდედოფლის პარმაღზე და უკვე აღარ ახსოვდა, მამიდასთან რა საქმემ მოიყვანა...

— შენ რაღაც სხვანაირად იყურები, გოგო! იცოდე, არაფერი შეამთხვიო შენს თავს, გული არ მოუკლა მამაშენს, თორემ მისი ბღავილი იმ ქვეყანაშიაც არ მოგასვენებს! შენი თავი თუ არ გეცოდება, ის ბებერი კაცი მაინც შეიცოდე, ნუ ათქმევინებ, ჩემი შვილი მე მოვკალითო, — უთხრა ერთხელ ანიკომ.

გოგომ ხმა არ გასცა, თუმცა გულზე მწარედ კი მოხედა მისი ნათქვამი. შინ რომ დაბრუნდა, თავის ტკივილი მოიმიზეზა, ოთახში ჩაიკეტა და დიდხანს ეჩურჩულებოდა თავის აშლილ ფიქრებს.

არ ათქმევინებს. ამ წამებას არ მიუსჯის მშობელ მამას. ანგელინა ისე წავა ამ ქვეყნიდან, რომ ხალხმა მისი სიკვდილი თათრიკას მიაწეროს. ანგელინამ უკვე მოიფიქრა ყველაფერი. ხვალ საღამოს ქალები რიონზე საბანაოდ მიდიან და...

ი ხ:—მე უკვე მივხვდი, ბიჭო, რა ჩაფიქრა ანგელინამ! ბანაობის დროს ისე მოიქცევა, რომ მეზობელი ქალები მოატყუოს, ვითომ ჩქერმა მომიტაცა და წამიღო, განგებ კი არ დავიხრჩვე თავი, — ძალ-ღონემ მიღალატაო...

მ ე:—ეგრეა! უბედური შემთხვევა მანც უბედური შემთხვევაა, ვინ არის მისგან დაზღვეული?! ბედშავ მამას ის ფიქრი მაინც არ ამოუჭამს გულღვიძლს, შვილის მკვლელი ვარო!

ი ხ:—რას ვიფიქრებდი, თუ ანგელინას ასეთი ფაქიზი და მდიდარი სული ექნებოდა!

მ ე:—ჯერ სადა ხარ, ბოლომდე დამიგდე ყური...

. . . . . .

იმ საღამოს ყველაფერი ჩვეულებრივად დაიწყო. ბინდი რომ მოახლოვდა, ქალებმა გასძახ-გამოსძახეს ეთს, სარეცხი გადაარჩიეს... და, როგორც ყოველთვის, ცაცხვებთან მოიყარეს თავი. აქ დაელოდნენ მამიდას, ანგელინას და ყველანი ერთად დაღმართზე დაეშვნენ.

წისქვილის ყურეში პატარა ბიჭები ბუჟუმპალაობდნენ. ქალებმა ჯერ სარეცხი მოათავეს და ქვებზე მოფინ-მოფინეს, მერე ბიჭებს დაუცაცხანეს და იქაურობას მოაშორეს.

და, როცა მდინარეს მარიამობისთვის ნათელი ბინდი დაადგა, ქალებმა ბანაობა დაიწყეს.

მამიდა გაოცებული მიაჩერდა წყალში ყველაზე ბოლოს ჩამოსულ ანგელინას. გოგოს პერანგიც ეცვა. ქვედა-საცვალიც... როდის იყო, ანგელინა ტანზე ამდენ ჭინჭებს იტოვებდა! იგი წელამდე წყალში იდგა და შუბლზე ჩამოშლილ თმას ივარცხნიდა. მამიდას მოეჩვენა, გოგო თითქოს პირისახეს მალავდა.

„ტირის თუ რა მოუვიდა!“

კაცმა არ იცის, იკრძნო თუ არა ანგელინამ მამიდას მოდარაჯეული მზერა. აუჩქარებლად წადგა წინ რამდენიმე ნაბიჯი და სწრაფად ჩაყვინთა, — ხამი წყალი მოიშინაურა. მერე წისქვილამდე მიცურდა, უკან რომ გამობრუნდა, ვიღაც გოგოს გაეთამაშა, წყალი შეაზიდა და გასძახა, აბა ვინ გაასწრებსო. მალე ისინი ხიდის ჩრდილში მიიმალნენ. ამ შეჩვეულმა სურათმა ანიკო მაინც ვერ დააწყნარა.

ისევ ის ფიქრი შეუჩნდა: „როდის იყო, ანგელინა ტანზე ამდენ ჭინჭებს იტოვებდაო!“ და უეცრად მახვდა... ყურებმა შხეილი დაუწყო... მართლა ქაჯი და ალქაჯი უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომ მისი გულისთვალი ამ საშინელ საიდუმლოებას ჩასწვდენოდა.

„საცავი არ გიიხადა! დამბრჩვალს რომ მიპოვნიან, სასირცხეილო შესახე-

---

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ეს ღამეც გათენდება...

დავი არ ვიყოო... შვილო, შვილო, შე ბედდამწვარო!“

ამის გაფიქრება ვერ მოასწრო, მდინარის ხმაური კვიდმა გაკვეთა:

— მამიდა, მამიდა, ანგელინა იხრჩობა!

სამი თუ ოთხი ქალი იმწამსვე ჩქერებში შეცურავდა და ხიდისაკენ გაიჭრნენ. ხიდს მალე მიატანეს, მაგრამ ახლო-მახლო ვერაფერი დალანდეს.

ბნელოდა.

ხიდისა და ვეება წისქვილის ჩრდილი შავად აჩენდა ბობოქარ წყალს. ცოტა უფრო ქვემოთ კი უჩინარი მთვარის ნათელი უზვად დაჰფენოდა მდინარეს. ქალებიც მაშინვე წყალში გაიშალნენ, ახლა თვითეულ მათგანს მეტი თვალსაწიერი მიეცა და უფრო თამამად მოუსვეს მკლავები.

ანიკომ სხვა ღონე იხმარა. ნაპირ-ნაპირ გამოუდგა წყალწაღებულ გოგოს, წვეტად ქვებზე ფეხისგულები დაისისხლიანა, მაგრამ დინებას მაინც გაასწრო და ვერცხლისფრად მოლივლივე ჩქერებს მაღლიდან დახედა. მაშინვე მოატანა თვალი, — მდინარეს თითქოს შავი ნაბდის ქუდი მოჰქონდა, — მხოლოდ თავი მოსჩანდა მისი, თავის ზემო ნაწილი...

ანიკო წყალში გადაეშვა და ისეთი სულმოუთქმელი მხარული დაჰკრა, ეგონა, მკლავები მოწყდებოდა. ანგელინას დაეწია, თმაში ხელი ჩაავლო, მისი ტუჩ-პირი წყალს აშორა და სარულზე დადვა. ამ ადგილზე მდინარე ორმა იყო და წყალქვეშა ქვებისა უკვე აღარ ეშინოდა. რაზომს გოგოს ხელი შეახო, მამიდამ იგრძნო, როგორ ჩააკვდა მის მკლავს ანგელინას თითები.

„ცოცხალია!“ — დარეკა გულმა.

ეტყობა, ამ საცოდავმა ცოტა მაინც გაიბრძოლა, ერთბაშად არ დანებდა რიონს...

ამასობაში ანიკოს ქალებიც წამოეშველნენ და ღონემიხდილი ანგელინა სამშვიდობოს გაიყვანეს. ნაყლაპი წყალი იმწამსვე გადმოაქცევინეს, მერე რიყეზე დაუწვინეს და მოსულიერება დაუწყეს. ამ ჭაპანწყვეტაში რომ [illegible] ერთმა ქალმა მიიხედა-მოიხედა, გაოცებულმა და ჩუმად ჰკითხა მეორეს, ანიკო სად არისო.

მეორეც მიტრიალ-მოტრიალდა, — ანიკო! — ერთი-ორჯერ გასძახა დათალხულ სიბნელეს.

პასუხი არ იყო.

ჩქერებში დაბეგვილი ქალები სულს ვეღარ ითქვამდნენ, მაგრამ ახლა ბევრი აღარ უფიქრიათ. ერთი — ანგელინასთან დარჩა, დანარჩენები კი რიყეზე აღმა-დაღმა გაიფანტნენ და დაკარგული ქალის ძებნას შეუდგნენ.

მისი კვალიც კი ვერსად იპოვნეს!

ძნელი სათქმელია, რა მოხდა და როგორ მოხდა. ეტყობა, ამ ფორიაქსა და ორომტრიალში ანიკოს რაღაც გაუჭირდა, — იქნებ ქანცი გაუწყდა და წყალმა დაჯაბნა, ან იქნებ ფეხზე ძარღვი გაეწასკვა. როგორც სჩანს, კარგმა მოცურავემ გული დაიმშვიდა, არაფერია, მაინც გავაღწევო, და ხმა არ გაიღო.

ქალებმა კი ვერაფერი შეატყვეს, ისიც ვერ გაიგეს, როდის ჩამორჩა ანიკო მაშველ გუნდს. მხოლოდ მაშინ მოიკითხეს, როდესაც ანგელინას მამიდას რიონის ჩქერები აგერ უკვე გეგუთის ვიწროებში მიაქანებდნენ. ამ ადგილას დინება ისეთი ჩქარი იყო, რომ დამხრჩვალი ქალის გვამი წყალში აღარ იძირებოდა.

ყალუზე შემდგარი ტალღები ხან ჩაიხვევდნენ ანიკოს, ხან კიდევ მაღლა ამოაგდებდნენ, თითქოს არ უნდოდათ რომ ანიკო-დედოფალი სამუდამოდ გამოთხოვებოდა ამ ულამაზეს ცას. ქვეყანა რომ შემოგვევლო, — ასეთი ცისფერი სასწაული მხოლოდ ჩვენი ქალაქის ქუჩებსა და ბაღ-მინდვრებს დაჰყურებდა.

მახსოვს, ოდესღაც ერთმა ახალგაზრდა პოეტმა ლექსი მიუძღვნა ჩხეიძის ქალს, მანანას...

ვინ მოგცა ასეთი
ცისფერი თვალები!
ნუთუ სულმოუთქმელ
ქუთაისის ცას შეჰყურებდი...

თბილისი, 1979.

დაიმახსოვრეთ ჩემი ცრემლები,
დაიმახსოვრეთ, რადგან ცრემლი,
რომელსაც წყალი არ ურევია,
რომელიც თვალებს კი არ ამშვენებს,
სინათლეს უშრობს,
ვინ იცის, იქნებ აღარც კი
შეგხვდეთ!
დაიმახსოვრეთ ჩემი ხელები,
დაიმახსოვრეთ, რადგან ხელი,
რომელიც შენკენ გამოწვდილია
არა იმიტომ, რომ რამეს ითხოვს,
არამედ მისთვის,
რომ გვირილა დაგანახოს,
ვინ იცის, იქნებ აღარც კი შეგხვდეთ!
დაიმახსოვრეთ ეს სიყვარული,
დაიმახსოვრეთ, როგორც ნაცნობი
მისამართი
და თუ ოდესმე უბინაოდ დარჩით
ამ ჩვენს უცხო ქალაქში,
თუკი ოდესმე გეტყვიან: „წადი!“,
თქვენც ნამობრძანდით და
გჯეროდეთ,
რომ შინ მიდიხართ.

დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები,
დაიმახსოვრეთ!

შემოქმედის მონოლოგი

მე საკუთარი თავის წინაშე
ვდგავარ შემკრთალი და დაბნეული...
ღილიდან ბღავის მოშიებული
ქალაქების ჭრელი ფარა
და მწყემსავს იმათ მაჯის საათი.
წადი! აანთე მზე, რომ ფარა
ომის კლდეზე არ გადაიჩეხოს!
მზე დავსვი კრუხად.
ისიც სინათლის წინილებს ჩეკავს.
ქალაქებს უყვართ წინილები და ერთმანეთს
ეცილებიან.
კიდევ კარგი, მზე იბუდებს
და ქალაქებს გააშველებს ხოლმე საღამო...
მე ვაშენებდი ამ ქალაქებს.
ისე გავერთე, საძოვარი არ დავუტოვე.
ისე გავერთე, მდინარე არ გამხსენებია
და ქალაქები ერთმანეთს ჭამენ
და ერთმანეთის სისხლით იკლავენ წყურვილს,
ხელებსაც ერთმანეთის სისხლში იბანენ.
მე შევქმენი ჩემივე თავი...
ისე გავერთე სხეულით, თავი გადამავიწყდა...
ცხვირი...
ტუჩები...
და თვალები ყველაზე გვიან...
აპა, თვალებიც!..
და საკუთარი თავის წინაშე
ვდგავარ შემკრთალი და დაბნეული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაში გავშვობის შემდეგ

გაიარა ბავშვობამ,
გაიარა სულ.
სიკვდილს ვეთამაშებით —
„ვისი სული გსურს?“

ისევ ხელჩაკიდული,
ისევ ერთად ვართ,
მაგრამ აღარ იქნება
ალბათ ასე ხვალ.

სად და როდის, ვინ იცის,
ვინ გიბრძანებს — „უუ,
აბა, გამოიქეცი,
ვისი სული გსურს?“

ჩვენ გამოლმა ვირჯებით,
ის კი გაღმა ჩანს.
ადგილზე არ გვიჩერებს
ჩვენს ანსა თუ ბანს.

ზოგის შვილი სურს,
ზოგის თვალი სურს,
ზოგის გული სურს,
ზოგის ხელი სურს...

შევთხოვ — „ყველას მაგიერ
მე ნამოვალ იქ!“
შენი რიგიც მოვაო,
დაელოდე რიგს!

ველოდები, აკლდება
ხმა — ხმას, წელი — წელს.
შეგობრების თვალებშიც
მოლოდინი წევს.

აღარა ვართ ბავშვები,
რიგში ვდგავართ სულ,
სიკვდილს ვეთამაშებით —
„ვისი სული გსურს?“
„ვისი სული გსურს?“

მოლალატე მეგობარს

ვიცი, იმიტომ კი არ მოსულხარ,
ნატყვიარისთვის დაგეხედა, თუ მოგირჩაო,
იმიტომ მოხვედ, რომ შენი წილი ტყვია მესროლო,
რომ არ თქვან შენზე, ლაჩარიაო.
მესროლე, აღარ მეტკინება!
პირველად იყო ძნელი, როცა
პირველმა ტყვიამ
მკერდი გაგლიჯა და გაღმა გახტა,
გულიც იმან გაიტანა.
ახლა? ახლა
გინდა გამჭოლ ქარს კარის ხვრელში გაურბენია,
გინდა — მაგ ტყვიას ჩემს საგულეში,
რაც აღარ არის, რაღას მატკენს!
ჩქარა, თორემ იციან რომ მეგობარი ხარ
და სიკვდილს ისე გაგვიყოფენ ერთი გასროლით,
ბავშვობაში კამფეტებს რომ ვინაწილებდით.
აი, ასე!
ჰო, გაპატიე! ახლა მშვიდობით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავთანდილ სვანი

საქართველოს ხვალინდელი დღის გალადა

— „მზე შინა და, მზე გარეთა“,
მზე გვინათებს გზა-კვალს...
ერთი მილიონი ქართველი დედა,
თავზე დადგომია
მილიონი ანგელოსის აკვანს.

ერის აღზევება ვადღეგრძელოთ,
არ გვქონია სხვა დღეები მსგავსი;
ფესვებძლიერ მუხა საქართველოს
ოთხმილიონიანი
ჰყავს მუშათა კლასი.

ერის ღონე და ფესვი სოფელია,
სალამი, მისი მიწის მკვიდრებს,
სამი მილიონი გლეხკაცი მოჰფენია
საქართველოს პლანტაციებს,
ზვრებს და მინდვრებს:

რა დიადი დღეები იჭედება,
დღეები ნათელი და საოცარი,
მილიონიანი ტირაჟით იბეჭდება
ჩვენი სალოცავი, „ვეფხისტყაოსანი“.

●

ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ, გუგუ, გუგუ,
კაფე, თესე, ტია-ტია,
ეს ჰანგები, მე მგონია,
(ბოდიშს ვუხდი!!)
თვით მოცარტზე დიადია!

შვიდთა ფერთა შემართებამ
ველ--მინდორი გადარია,
(უბოდიშოდ...)
მათ წინაშე დაიჩოქონ
ქვეყნად, ვინც კი მხატვარია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორი ლექსი რიონს

●

მთები გიმზერენ გორობად
ჯიბრით რომ გადაგრიონო,
მათ გახელებას ნეტავი,
რას აპყოლიხარ, რიონო?!

შეხუმრება

— „თან მოგაქვს მთა და ბარია“,
არც თავსა ზოგავ, არც ძალას,
ასეთი დიდი სიფიცხე,
რაჭაში, ქვე ვინ გასწავლა?.

გალოგანი სინანულისანი

რა წლები იყო... წაიყოლეს
  კონსტანტინე, გოგლა, სიმონი,
გალაქტიკებმა გამოგვტაცეს
  გალაკტიონი,
ჩემს თაობაზეც შემოდგომამ
  შემართა ცელი,
ირონიული მთიბლურის ხმით:
  „ვაპ, დრონი, დრონი“.

მიტოვებული სოფლის ელეგია

ქარი მეზობლობს მხოლოდ
  კარმიდამოებს დაცლილს,
საქონლის ზართა წკარუნს
  მონატრებულან გზები,
არსაიდან ხმა, არსით,
  არსით ძახილი კაცის,
სოფლის თვორ შარას შავი
  ლანდი აწუხებს მგლების.

  ჩანაცრებულო ბუხარო...
  რა უთვისტომოდ სნუხარო?!

ფერიცვალება

გაფიქრებამდე წარმავლობამ
  შთანთქა ეს ნამი,
ჟამთა უფსკრულში იჩეხება დღე
  დღევანდელი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ წინ მიხვალ და, ვით მოკრივე,
  დრო უკან გტყორცნის.

ერთი ფურცელიც დაიხურა
შენი ცხოვრების,
ერთი ფურცელიც ჩამოაკლდა
  შენს დათვლილ დღეებს...

სამაგიეროდ,
  მოახლოვდა დღე დაბადების
ბავშვის,
  რომელიც შენს შემდგომად
  მიწაზე ივლის...

ბავშვის,
  რომელშიც, ეჰა, ვისი სისხლი
                  იფეთქებს?!
იქნებ, ტატოსი?!
  იქნებ, ვაჟასი?!
იქნება კიდეც,
  (ვინ რა იცის ფერიცვალობის?!)
იქნებ, ღვთაება რუსთაველისა!

ᲛᲐᲮᲐᲤᲮᲣᲚᲘ

ვინ მეტს მიუზღავს სამყაროს
მშვენებას ათასნაირსა, —
გახელებული დავა აქვთ
მზეს,
  მიწას,
    წყალს და...
      ჰაერსა!

ᲖᲔᲠᲘᲙᲐᲪᲘ

წუთისოფლის სადღეგრძელოდ
კიდევ დავრგავ
    სამ...
        ოთხ ხეს
და ამ ქვეყნად დავიტოვებ,
იმქვეყნიურ სამოთხეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავთანდილ ჩხაიძე

ვ ო ც ო ნ ი

ცლდის თავზე
ხმელი ტოტებისგან
შეკვმენით ციცხლი
და ჩავწვით შიგნით
ჩვენი შიში —
სულის მაცილი.
თითქოს ველურად ახმიანდა
სულში ყივილი
და ნაღვერდალი
გადაჩხრიკა
დიდი სიჩუმის.

და შეშინებდა
შეტეხილი
ლურჯი ცის ტევრი
და ქვა იწვოდა,
იქნებ კლდეთა
დუმილი იყო...
ოდესღაც ასე!
ღმერთო ჩემო,
ოდესღაც ასე —
უძველეს ქართულ ციხეებზე
ენთო კოცონი!

თ ა ო ბ ა

საკუთარ თავში
დარწმუნება
ვერ მოვიშალეთ,
გვგონია ჩვენში გადმოვიდა
ყველა თაობა.
ვიდრემდის იგი
ხეკორძულას
წმინდა წყალს დალევს,
ქვა არის იგი,
არის მხოლოდ არარაობა!

ყინვიან ფსკერზე
ჩარჩენილი
ვეღარ მოიცდის,
აანაპერწკლებს ოცნება და
იმედად დასწვავს:
რომ კენჭი გახდეს
იმ უკვდავი
სვეტიცხოვლისთვის,
რომელსაც შემდგომ
საქართველო
დაარქმევს ტაძარს!

ჩ ე მ ი ო თ ა ხ ი

ჩემი ოთახი — ლოკოკინას
ვინრო ნაჭუჭი,
მყუდროა, როგორც სანაპირო
ქარიშხლის შემდეგ...
და მესმის მხოლოდ
ზღვის ტალღების
ნელი ტყლაშუნი,
რომელიც ჩემში
ასეთსავე სიჩუმეს
ეძებს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ ო ე ტ ი

ექვსთითა ბავშვი
  თავისთავთან
  თამაშობს წყნარად,
მზე ჩადის ზღვაში,
  უფსკრულიდან
    იწევენ მთები...

ერთი თითია,
  რაც სხვებისგან
  მას განასხვავებს,
მაგრამ იმ ხუთით,
  ხუთი თითით
    მსგავსია სხვების!

ო ც დ ა მ ე ე რ თ ე

რა არის, მამა, სიყვარული?
(შვილი გართულია ვიდეო-წიგნით)
და მამა იძლევა-ვიდეო-პასუხს:
— ეს წინაპრების
  ტერმინი იყო!

●

გაცვეთილია უკვე სიტყვები,
მძიმე ნაჯახით მივდგომივარ
  და უხმოდ ვჩორკნი.
და მასკდებიან ხელისგულზე
  ფიქრის ბებრები
და მეწურება იმედი ოფლით...
რამდენი მუხა,
ნეკერჩხალი,
თელა და
რცხილა,
შრიალებს წყნარად
ქართულ სიტყვის
უსიერ ტყეში!

რ წ მ ე ნ ვ

გულს კეთილშობილს,
  გულს უღალატოს,
დასაბამიდან
  ვეძებ მარადის.
ოფლად ჩამომდის
  მტკვარის ნაჟური
და მკერდზე უცნობ
  სითბოდ გადამდის.
ადამიანო!
  მე შენი მჯერა,
  დაბადებიდან
  ვუბოს კარამდის!

ჩ ი ტ ი

შემოჯდა ჩიტი
  ჩემი ფანჯრის წინ,
დიდხანს მიყურა
  ჭკვიანი თვალით
და ყველასათვის
  უბრალო ენით,
ფრინველის ენით
  მომთხოვა წყალი.

გამოვუტანე
  პატარა თასით
და როდესაც
  გავვოცდი კაცი,
როცა მადლობა,
  ჩიტის მაგივრად,
გადამიხადა
  ლიმილით ბავშვმა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ასკურავა

გაღასასვლელი

დილით, მზესთან ერთად ღრუბელიც თუ გამოჩნდებოდა აღმოსავლეთის ცაზე — ესტატეს დაკვირვებით, იმ დღეს ამინდი კარგი უნდა ყოფილიყო. დარი ორი რამისთვის უხარიდა ბერიკაცს. ერთი, რომ რევმატიზმები მოეშვებოდა, თორემ აგერ მთელი კვირაა ახლადკბილამოჭრილი ძაღლივით ღრღნის სახსრებს და ლამისაა სული ამოხადოს. მეორეც, გაქიანურებული წვიმებისაგან ბალახი მოერია გამოროდებულ ყანას. თოხი თუ არ შეაშველა დროულად, გაუჭირდება ტარო-ში შესვლა. ამ საქმის გასრულებას შეადღისას ფიქრობს ესტატე, მზე რომ ცვარს აიღებს, შემდეგ. მაშინ მატარებლებიც შეთხელებულია და არც მანქანებია ძაან მოძალებული.

ესტატემ გადასასვლელის ირგვლივ გაშენებულ პატარა ბაღნარს შეავლო თვალი, ჯავრიანი მტევნებით დახუნძული იზაბელას ჩარდახი და ხეხილი მისი ნახელავი გახლავთ. ხალხი დასასვენებლად მოდიოდა, ენის მოსაქავებლად, თვალის მოსაძოვებლად. საამბობიც ბევრი აქვთ აქ და საამზერიც. ორ სოფელს შორის ტაშტი რომ გაჩხაკუნდებოდა გადასასვლელზე, პირველი მოფრინდებოდა ავის თუ კარგის მაუწყებელი ჩიტი, იზაბელის ხშირლერწებიან თაღების ქვეშ მჯდომი კი ტელევიზორის ეკრანივით უყურებდა დამსვენებლებთან სავსე მანქანებს თუ ვაგონის ფანჯრებს. სწორედ ამიტომ იყო, ერთი პირობა უსაქმურებმაც უმატეს სიარულს საღლაბუღოდ, მაგრამ ესტატემ ფიცხლივ იფრინა ისინი.

დაგვა-დასუფთავებას რომ მორჩა, დილის მატარებელმაც მიაყვირა. დახურული ხარისების ზარები წკრიალებდნენ. ესტატე ყვითელი ალმით გაეგება მატარებელს. შემანქანე ხელის აღებით მიესალმა.

— როგორ ხარ, ესტატე? — ჩამოსძახა.

ესტატემ ალმინანი ხელი შეაქნია, გაუღიმა და თვალი გააყოლა ტკაცი-ტკაცით მბრუნავ თვლებს. მატარებელმა რომ ჩაიარა, ალმი ქამარში გაიჩარა და გადასასვლელის ხარისები ასწია. გზაგასხნილში შენგუებებ მდინარედ დაიძრა მანქანები. სპასუხო მისალმებებს ვერ აუდიოდა ესტატე.

— უჰ, რა ამბავი აქვთ კაცო ამ ავტომობილებს, ა?!

ეს ალიო იყო, ესტატეს კბილა, პირსახოცი ყაბალახივით მოეხვია თავზე ალიოს ერთი მიდი-მოგაყვება კაცად თვლიდა ესტატე, მთელი ცხოვრება

სხვისი ბუდისკენ რომ უჭირავს თვალი. ესტატეს ებრალებოდა ეს ყველას ძალად ჭირისუფალი და ცრუ გულშემატკივარი კაცი. მეტწილად იმისთვის ებრალებოდა, რომ თავადაც გრძნობდა უხერხულ მდგომარეობაში რომ იგდებდა თავს და ვერაფერი მოეხერხებინა ახირებული ხასიათისათვის. ენა უშლიდა ხელს, წიწაკაწუსმული ენა.

— რამ შეგაწუხა, ალიო? — თანგრძნობით ჰკითხა ესტატემ.

— ავტომობილებმა-მეთქი, კაცო, ვეღარ გამივლია შარაზე. დუქანზე მივალ აგერ, ხალვა ინატრა დედაბერმა და ვუყიდი. — ეს არავის უკითხავს, საკუთარი ინიციატივით თქვა ალიომ.

ესტატემ იცოდა, რომ ალიო არც ხალვისათვის მიდიოდა და არც შარშანდელი თოვლისთვის, მაგრამ ესეც იმისი ხასიათის ნაყოფია, ერთი სიმართლესწამგვანებული ტყუილი თუ არ შეაპარა ორ-სამ სიტყვაში, არ მოუსვენებს გული.

— ხალვა კი არა, ხიზილალა და დოში მოეტანია წუხელ ტერენტია ყრუს.

— კეისარს კეისრისა მიაგება ესტატემ, — დაბადება!..

— დასტურ? — ნერწყვი ყელში ებჯინება ალიოს.

— კარაქწასმულ პურზე გადალესილი წითელი ხიზილალა, ამას წინათ ერთმა გენერალმა მიწილადა, აქ ჩემს თალარქვეშ ინება სუფრის გაშლა.

— მაგას არ გეკითხები, კაცო, მართალა თუ მოიტანეს-მეთქი? რაღაც ძვირი სანახავი გახდა მაგგვარი სანოვაგე.

„სანოვაგე — შენიშნავს ესტატე, — რაღაც უცნაური ნიჭი კი გამოყოლია ამ ბედნავს ალიოს, საიდან გამოჩჩრიკავს ხოლმე ასეთ რაღაცებს“.

— კი მოუტანია და...

— დავბრუნდები აბა შინ, ფულს წამოვიღებ. — აფხაკურდა ალიო.

— ბევრი არ ჭამო, ალიო შეჩვენებულო, წირპლი იცისო მეტისმეტმა ხიზილალამ.

— ისე კარგად მეყოლე, მე მაგის სწავლება არ მჭირდებოდეს, ასტრანანის ჰოსპიტალში ყოფნისას რაც მეკითხ[illegible] ლალა მიჭამია, იქედან რომ თვეზეზ[illegible] გამოჩეკილიყო, არ დაეტეოდა კასპიაში ისე რა მაგის პასუხია. ესტატე ჩემი და, ვინ იყო წუხელ შუალამისას რომ აგაწრიალათ? — თვალების ჭუტვით იკითხა ალიომ

„ჰაი დედასავ, — გული ეკუმშება ესტატეს, — მაგ ყიამყრალთან წაქცლიკება სასაკეთოდ რომ არ დამთავრდებოდა, არ უნდა მცოდნოდა“.

— არ დავრჩებოდა შენ მაგი გაუგებელი. — მიუგო უცებ დადარდიანებულმა ესტატემ.

არ შეარჩინა ალიომ, ბებერაზე დაადგა ფეხი, ერთადერთი შვილის უხიგობაზე ჩაუნისკარტა. რა აქვს სათქმელი ესტატეს, რომ შეეპასუხოს. ისე მაღალი ღმერთია მოწამე, იმ ერთადერთი შვილის კაცურ ყაიდაზე გაზრდა კი უნდოდა. ცდა და მონდომება არ დაუკლია, მაგრამ შვილის აღზრდაში სიკეთის ნაცვლად ბოროტებამ წაშველა ხელი; ესტატე რომ აღმა უჩიჩინებდა, ეშმაკის ფრთებზე შემჯდარი ბიჭი დაღმა მიფრინავდა.

— ვანიჩქას ბიჭის საქმეც ვერ ყოფილა მთლად ლარშიგამოყვანილი — თქვა ალიომ. — უფაქტურო საქონლით დატვირთული ავტომობილით დაუკავებიათ. ეტირა დედა, ხვეტავდა მამაძღელი. ცაზე უნდოდა კიბის მიყუდება, ხეხოს აწი ვირის აბანო.

მომხვეჭი და მრუდე გზით მავალის მოყვასი არასოდეს ყოფილა დღენიადაგ გარჯით ხელებდაკოჟრილი ესტატე, მაგრამ ალიოს სიხარული მაინც უცნობი იყო მისთვის. ვანიჩქას ბიჭის წახდენას სხვაგვარად განიცდიდა ესტატე, კარგი მამის უღირს შვილად მიაჩნდა ვანიჩქას ბიჭი.

გადასასვლელთან მანქანა შეჩერდა. ზემომთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ხვლიკისფერი „კოლხზნიკი“,

---

საჭეს თავად ბიჭიკო უჯდა, თავმჯდომარე. ხალისიანად მოიკითხა ბერიკაცები, ამინდის ჭირვეულობაზე დაადო სიტყვა და გაუდგა გზას.

— მაგისი დროც დადგება. — თვალმოჭუტვით დაადევნა ალიომ. — ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად.

— ალიო! — ესტატეს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მატარებლის გამოსვლის მანიშნებელი ნათურა აციმციმდა და გადასასვლელს მიაშურა. ალიოც გამოვიდა ლიანდაგებიდან. სატვირთო მატარებელმა მძიმე გრუხუნით გადაიარა რელსებზე. ორთანაბარი რიტმით მიგორავდნენ სხვადასხვა სიდიდის ვაგონები, ხმასაც განსხვავებულს გამოსცემდნენ.

ამ ხმაურმა და კიდევ რაღაცამ მთლად გაუფუჭა გუნება ჯოჯოხეთის ღამეგამოვლილ და დარიანი ღილის ხელვით ძლივს დამშვიდებულ ესტატეს.

— არ წამოუკიდია მთელი ქვეყანა ამ შეჩვენებულს?! — კილდართული გაკვირვებით გაიცქინა ალიომ მატარებელი. — რაღაცას მეკითხებოდი, მვონი? — სხვათაშორის დაუმატა შემდეგ.

დაღლილი ესტატე ლასლასით გაემართა ჯიხურის გვერდით გამართულ ძელსკამისაკენ.

— მოდი, ჩამოჯექი აგერ.

ალიოს არ ეცალა ახლა მისთვის. მაღალი, მოდაზე ულვაშებდაყენებული კაცი და ჩითქვირებული ქალი უახლოვდებოდნენ. ალიო კი არ იყურებოდა, თვალებით ლოკავდა ორივეს.

მგზავრებმა სალამი დატოვეს და გაიარეს.

— აფსუს, რა არ ხდება ამქვეყნად, დიდი მესუსი კი სჩანს ეს ჩვენი ექიმი, ისე კოლიას ძმობას ეფიცება და მის ცოლს რავა ეფაფხურება, ხედავ?

ეხედავო, თავი დაუქნია ესტატემ.

— გეირყვნა ჩემო ესტატე, ქვეყანა. — იშეებოდა ალიო. — ადრე...

— როდის იყო, კაცო, ეს ადრე? — შეაწყვეტინა ესტატემ. — ახალგაზრდები რომ ვიყავით, თემსაბჭოს თავმჯდომარის ტარასი ღლონტის და მ[illegible] წაველოლის ამბავი ეს მოდეგი კუთხე-მუხუროს, გასაქანი რომ გქონოდა მთელი დღენიის გასაგონად შემოკრავდი ზარს. მაშინაც იძახდი, გეირყვნა ქვეყანაო. სიმართლე გითხრა, ცვდანი მეგონე.

— აბა, იგი ყაზირლები მამაზეციერმა ჩაუსახა ჩემს დედაკაცს, ხომ?

— მაცალე, თუ კაცი ხარ.

— ცუდად ხომ არა ხარ, ბიჭო? — ძლივს ეკუმარიტი თანაგრძნობის სიმი აკედერდა ალიოს ხმაში.

— კი ვარ, ალიო, ცუდად და ცოტა შენი ბრალი ქვა ხაგი. ძლივს მოვიშუშე წუხანდელი ღამე, ეჰ.

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს. — გაცინება სცადა ალიომ. რაღაცით არ ირწმუნა ესტატეს სატკივარი. — სადაა ახალგაზრდობა? რა ქალები მიდიმოდიან შარაზე?

— ნუ ცუნცრუკობ ალიო საჭურისო, ყური დამიგდე. შვიდი ათეული გავატარე შენთან და დღეს ეეტყვი ამდენი ხნის გულით ნატარებს. მეშინია, მოვკვდე იქნება და უთქმელი არ დამრჩეს-მეთქი.

— იჩქარე, იჩქარე, თორემ საგვარეულო განძის ადგილსამყოფელი დავრჩება გაუმხელელი.

— მაცადე-მეთქი, გთხოვე. — ხმას აუწია ესტატემ. — მე რომ კაცს ჭიქა წყალს მივაწვდი, მიხარია. პატარა, უმნიშვნელო ცნობას რომ მივცემ ვინმეს, ესეც მიხარია. უცნობ გზაზე მდგომი კაცი რომ ფიქრობს, სადმე ვიკითხავ და ვინმე მიმასწავლისო და ხელს მე გავუმართავ იმ კაცს, იგიც მახარებს. უფრო დიდი სიკეთე თუ გავაკეთე, არ დადიმალავ და მთელი ღამე სამოთხეში ვარ სიზმრად. ახლა შენ გეკითხები: რა სარგებელს გაძლევს...

— მოიცალე ხომ ჩემთვის? — ჩაფიქრებით თქვა ალიომ.

— ავადმყოფი ხარ, ბიჭო. შენ. ამან მატკინა გული იცოდე. ავ სიტყვას ისე

დაეჩვივ, როგორც სნეული ეჩვევა წამალს, წამლის ყოველი დოზა კი განკურნების ნაცვლად ბალლამით ავსებს შენს სულს, ცხვირის ნესტოებში სიმაღრალეს ვიგრძნობო, შემომჩივლეს ხოლმე, მაგის პასუხსაც გეტყვი, დამპალი სულის სუნია მაგი. ვიცი, შენდა უნებლიედ რომ ყიამყრალობ, თუმცა ეს თავიდან იყო ასე, მერე გაგიტკბა, ჩვეულებად გადაგექცა და იგესლები. დიდება უფალს, ფრთების გაწლის სახსარება რომ არ მოგანიჭა, თორემ წაბილწავდი ქვეყნიერებას.

— ახლა კი მივხედი, ჭეშმარიტად რომ გყვარებივარ, ესტატე ჩემო. — გულში ჩამწვდომი თანაგრძნობით თქვა ალიომ. — ისე ამოდ ირჯები, გვიანია აწი.

— ცალი ნეკიღა დაგვრჩა, კაცო, საფლავგარეთ! — შეუძახა ესტატემ.

— ყველა ის სახით უნდა ჩაძვრეს სამარეში, როგორითაც იქამდე მიჩანჩალდა. თეოლოგიაში სწერია...

— მოეშვი, თუ კაცი ხარ, მაგ გადაპრანჭული სიტყვებს! — გაწყრა ესტატე.

— აბა კარგად იყავი მაშინ.

ალიო ქუსქუსით გაყვა გზას. მძიმე ტვირთქვეშ მოკუნტული ესტატე მონისლული თვალებით გაყურებდა მიმავალს. „რავა დავიჯერო, რომ მაგის ურწმუნოებამ და ურჯუკობამ აჯობა ჩემს რწმენა-სიკეთეს? გასკდება მგონია ეგ ოხრადდასარჩენი გული“. — ფიქრის მდინარეს მიყვებოდა ესტატე. გაშმაგებული დინება აქაფებული მორევისაკენ ეწეოდა ბერიკაცს. უძალიანდებოდა ესტატე. ხან ფარხმალსაც დაყრიდა და ყოველგვარი შეგრძნების გარეშე მიენდობოდა ტალღებს, თუმცა ეს წამი ხანმოკლე იყო და უცბადვე ქრებოდა ხოლმე...

— რა მოხდენილად დატუქსეთ, პირდაპირ ნასიამოვნები დავრჩი.

ესტატემ ახალგაზრდა კაცს შეხედა, იგი ღიმილმორეული თვალებით მისჩერებოდა ბერიკაცს. ესტატემ გაიხსნა, რომ ეს კაცი ამ ნახევარი საათის წინ მოვიდა მანქანით. გადასასვლელის ხელმარცხნივ, სპეციალურ ბაქანზე მდგარნი მანქანა და საბურავის შეცვლას შეუდგა. იგი რატომღაც იმთავითვე არ მოუვიდა ესტატეს თვალში.

— რას ბრძანებთ, ბატონო? — კითხა.

— ძალიან მაგრად გამოჯორეთ-მეთქი, ის ენაკვიმატი კაცი. — გაიმეორა ახალგაზრდამ და შებლზე ჩამოშლილი თმა თავის გაქნევით გაისწორა.

არა, ნამდვილად არ მოსწონდა ესტატეს ეს გადაპრანჭული კაცი. ქლესა გამოხედვით და ხაზგასმული თავაზიანობით რომ გაჯგიმულიყო და მოოქროვილ ძეწკვზე ჩამოკიდებულ გასაღებს აჩხარუნებდა.

— ალიო დევიძე ვაჟკაცია, ბიძიკო, ენაკვიმატი კია მაგრამ, მაგი საქმე პროფესიაა მისი და რას იზამ, მე, ხმელ ხედავ, ათასტონიან შემადგენლობას თუ შემკეთებელთა ურიკას, ამ ლიანდაგებზე რომ ჩამოვლილს, ორივეს ერთნაირი სამზადისით ვხვდები, ასეა ივიც, სოფლის გლახაკს თუ ხელმწიფეს ერთნაირად ელაპარაკება ყველას, სათქმელს არ მალავს, ჭუჭყსა და ნაგავს არ იგუებს პირში.

— როგორ, აკი გამოლანძღეთ? — განაგრძეს ინტერესით თქვა ახალგაზრდამ.

— არ ვიყავი, ბატონო, სწორი, — ხმას აუწია ესტატემ, — უქნარა რომ ყოფილიყო, ცხრა შვილს გაზრდა არ უნდოდა? დათვალეთ ერთი ცხრა წყვილი...

ის გაქსუებული კაცი თავისი მანქანისაკენ წავიდა, საგონებელს მიცემული ესტატე კი ბნელში მომწყვდეული ჩიტივით ფართხალებდა, იქნებდა სინათლის მცირე ჭავლი გამოჩნდეს საიდანმე და ამოვისუნთქოვო. გული, მის დღეში რომ არ უგრძვნია სად ჭქონდა, ახლა გარკვევით ეძახდა — აქა ვარ ესტატე ჩემო, აქამდე თუ მე მოგიყვანე,

---

ლევიან ასკურავა
გადასასვლელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა სიკეთე შენც მიყავი და მომხედე, შე ულმერთოო.

— გამარჯობა, ესტატე, შენი!

ესტატემ თავი ასწია, გადასასვლელის ქვითა ხარიხასთან გაიანე იდგა, მისი კარის მეზობელი. ისე გაუკვირდა მისი დანახვა, თითქოს წკვარამი შუადამე ყოფილიყოს, სუსხიანი ზამთრის და რამ მოიყვანა ამ ყიამეთში ეს დედაბერი. თავი მაინც დაუქნია მისალმების ნიშნად და გაუღიმა კიდეც.

— მეველეს ჩემი უშობელი აუხსნია ვენახის ბოლოზე. აქეთ წამოვიდა, ბაწარს მოათრევდაო, მითხრეს. ბაწრით დაბმული ნახოს მისმა ცოლ-შვილმა ჯაბაიე ცხვირდაკუნტული. — სხაპასხუპით ამბობდა გაიანე.

— არა, არ დამინახავს, გაიანე, ღელისპირ თუ შეუყვა ნაწილქვილართან. — მიასწავლა.

— რა ექნათ, ესტატე, რაკა იქნება, განმკითხავი არ უნდა დაუჩრეს ჩვენს ასეთ მდგომარეობას? არა მგონის მთავრობაში იცოდნენ ჩვენი ამბავი და ამის მეტად ყურადღება არ მოგვაქცოო? — ლაპარაკ-ლაპარაკით წავიდა გაიანე ესტატესაკენ. — იცოცლე თქვა, კარგი ტყის გაშენება, ვენახი, ჩაის და დაფნის პლანტაციებიც კარგი რაშეა, მაგრამ პირუტყეს ვერც დაფნის ფოთოლს აჭმევ და ვერც ღვინოს დაალევინებ. არადა...

— მოითქვი სული, შე ქალო! — გაიანეს ჩქარი მეტყველებით გული კინაღამ შეუღონდა ესტატეს.

— ვტყუი, თუ? — იტყიცა გაიანემ.

— წაბრუნდი აბა, მონახე ის შენი სამგლე უშობელი და დეიბი ხელისგულზე.

თავგზაბნეული გაიანე სარგადაყლაპულივით იდგა — ვერასგზით ვერ მიმხვდარიყო ესტატეს ელაპარაკებოდა, თავის კარის მეზობელს, მუდამ იმედისმომცემ და ენადათაფლულ ბერიაკს, ხუ?...

— ესტატე?!..

ესტატემ მატარებელის მოსვლამდე მანიშნებელი ნათურა დაინახა და ხარიხების დასაშვებად შებრუნდა, გაიანემ აღარ დაუცადა. რაღაც ფარცაგი სჭირს ამ კაცსო, — ესღა წაიბუტბუტა და ჯაბა მეველის წყეველა-კრულვით გაჰყვა გზას.

ხარიხები რომ დაუშვა, ესტატე ძელსკამზე ჩამოჯდა, მიმოიხედა და გაუკვირდა, რომ ის თბადადგილესილი ახალგაზრდა და მისი მანქანა ვეღარ დაინახა. გადასასვლელის ორივე მხარეს იზრდებოდა მანქანების რიგი. დიდი სატვირთოდან ბიჭები ჩამობტნენ, პლასტმასის ჩაფხუტებიანი ახლადშეღებილი ბიჭები. ესტატე იცნობდა მათ, სტუდენტები იყვნენ, ხიდის მშენებლობაზე მუშაობდნენ და დღეში ორ-სამჯერ ივლ-ჩაივლიდნენ თავიანთი ვეზერთელა ფეიმძღვანელით. მოსწონდა ეს ბიჭები ესტატეს, ნამდვილ მშენებლებს სურთ დაემსგავსონო. — ფიქრობდა. ბიჭები ხმაურით ძიესალმნენ კეთილ მოხუცს, რაღაც ყაოსუნჯეს კიდეც ჩვეულებისაებრ. ესტატეს გაუკვირდა, რომ ადამიანები ნახატებს დაემსგავსნენ, ტელევიზორის ხმა რომ ჩაუწყდება და გამოსახულებები მაინც რომ დარჩენ, ისე ხედავდა ირგვლივ ახლა ოგიც. გადასასვლელთან გაჩერებული მანქანებიც და ხალხიც ერთიანად დადუმებულიყვნენ.

ერთ-ერთი მანქანიდან ავთანდილი გადმოვიდა, მისი ცოლის ბიძაშვილი, ესტატეს გაუხარდა მისი დანახვა, მისასალმებლად წამოდგა, რაღაც სათხოვარი საქმე ჰქონდა და რაკი ასე ხელდახელ ნახა, ეტყვის ბარემ. მაგრამ რატომ არის დღეს, რომ ყველა საფიქრალს და სათქმელს მისი ვაჟიშვილის, მისი ერთადერთი იმედის და უიმედობის, სახე ეფარება წინ. აგერ ავთანდილს ვეღარ ხედავს, ოტია კი გარკვევით დაინახა. ოტია ისევ ისე იდგა, რაგორც წუხელ, თუ ათას მანეთს არ მიშოვი ბავშს წაგართმევო, რომ ემუქრებოდა. ბავშვი ოტიასი იყო, მაგრამ

არც ოტიას და არც მის ნაცოლარს ღამე არ გაუთევიათ იმისთვის...

„ალიო ურჯუკის მტრულმა მოპყრობამ კეთილი ნაყოფი გამოიღო, მისი შვილები... ვიწამო ვითომ ჩემი დაცემა?..“

ესტატე ვეღარც ხედავდა და აღარც ესმოდა რამე, მაგრამ იგრძნო, რომ ავთანდილი მის სიახლოვეს იდგა, ისიც იგრძნო, რომ ავთანდილმა ხელები გაშალა და წაბორძიკებული ბერიკაცი ძელსკამზე მიაწვინა.

არ გაუბრძოლია ესტატეს, საოცარი სიდინჯით დანებდა ხვედრს, თვალები რომ დაუხუჭა ავთანდილმა, მიძინებულივით ჰგავდა. ხალხი აჩოჩქოლდა, მანქანებიდან გამოვიდნენ, ვიღაც ექიმს თხოულობდა, მაგრამ ამაო იყო ყველაფერი. ესტატე არავის შემწეობას არ საჭიროებდა ამქვეყნად.

გადასასვლელს მატარებელმა მიაკივლა, უჩვეულო ფაციფუცი რომ შენიშნა, მემანქანე გაოცებული იყურებოდა გადასასვლელთან თავშეყრილი ხალხისაკენ.

მატარებელი ბორბლების რიტმული ტკაცატკაცით მისრიალებდა მომავალ მოვერცხლისფრო ლიანდაგებზე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი ბოსკოლანაშვილი

ზრუნვა

ჩვენ პატარა დაბაში ვცხოვრობთ. ზამთარში ოღროჩოღრო გზები ისე ატალახდება ხოლმე, გავლა მესიკვდილება, მაგრამ, აბა, რას იზამ, როცა დედა ვეტყვის კი არა, გიბრძანებს, წამოდი ბაზარში, საახალწლოდ ინდაური უნდა ვიყიდოთო. მამაჩემს ვერაფრით ვერ გაახედებ იქით.

ოჯახში ორნი ვართ, ძმები — მე თხუთმეტის, თედო კი — ხუთი წლისა. გუშინ ამ ჯიბღერას გულისთვის მოგვხვდა. დედამ ცოტაოდენი თაფლი და ნიგოზი მოიტანა და საღამოთი გოზინაყი გააკეთა, დაჭრა და სინზე დაალაგა, მერე აივანზე დადგა, კარგად გაიყინოსო. თედომ ნარჩენები იუკადრისა, ბევრი იჭინჭყინა, და როცა არაფერი გაუვიდა, დაგვემუქრა, გოზინაყს ვეღარ ეღირსებითო. მისი მუქარისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, მაგრამ დილით, სინს რომ გადავხადეთ, პირკატა გვეცა: ზედ ერთი ნაჭერიც ვეღარ ვნახეთ. დიდი მსუნაგი და ღორმუცელა იზრდება ეს ბიჭი. ერთი მამაჩემისეული, დიდი ხნის გადაგდებული, ძველი ჩანთა აქვს სათამაშოების შესანახად. სინი იმაში მოპირქვავებინა და გოზინაყისთვის ნაბდის ნაჭერი გადაეფარებინა. არაფრად აღარ ვარგოდა. დედამ დაგვბოცა პირდაპირ. თუმცა მე, აბა, ხო შეაში ვიყავ. მასწავლებელია და რანაირად გვწყევლის: თქვენი სიკვდილია. არ გადარჩენაო და ათასი ამგვარი. ახლა უგზინაყოდ რა გვეშველება. არ ვიცი. იმაზედაც წუწუნით ავგიკლო, აქაოდა, საახალწლოდ აუცილებელია, თორემ მე ვიცოდი, როგორც მივცემდი კილო ნიგოზში თვრამეტ, თაფლში კი— შვიდ მანეთსო.

სკოლა-ინტერნატის ორ ოთახიან საუწყებო ბინაში ვცხოვრობთ, პირველ სართულზე. წინ, ეზოში, მეზობლების მსგავსად, ერთი ხელის დადება ადგილი გვაქვს მოღობილი. ცოტაოდენი ქინძი და ოხრახუში მოგვყავს. შიგვე გვიდგას მამაჩემის ნახჩირკედელავები მცირედი საკუჭნაო და პაწაწინა საკომე — ზოგჯერ ორიოდე ქათამს ვინახავთ ხოლმე. დანარჩენ პროდუქტებს ყიდულობთ. ჰოდა, როგორც დედა ამბობს, ასე ვცხოვრობთ, დღი-დღიურად. ამას წინათ, მამამ დაიჩივლა, ახალი პალტო მჭირდება, ძველი მთლად გადასაგდები გახდა, რაც უნდა იყოს, მასწავლებელი ვარო. რა უშავსო, დედამ. შარშან თბილისიდან ლექტორი ჩამოვიდა. ხალხის კეთილდღეობის ზრდაზე ლექცია წაგვიკითხა, შენზე შელახული საცმელი ეცვაო. არა, უნდა ვიყიდო, ძალიან დაძველდაო, ჯიუტობდა მამა. ადამიანის ცხოვრებას სულიერი ღირებულებანი ალამაზებს და არა მატერია-

ლური, შემიძლია უამრავი მაგალითის მოყვანა, როცა ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეები ათჯერ ჩვენზე უარესად ცხოვრობდნენ და ასჯერ მეტს აკეთებდნენ საზოგადოებისა და ერისათვისო. — მისგანვე მოავალჯერ გაგონილი სიტყვებით ჩაუხშო დედამ უდროო პრეტენზიები.

ის იყო, უნდა გავსულიყავით, რომ ბიძაჩემმა, დედაჩემის ძმამ, მანქანა ეზოში შემოახრიგინა და ჩვენი ფანჯრების წინ გაჩერდა. — ეგე, ერთი კვირაა დასვენებული ხარ, ეხლა კი ამოივსებთ სტომაქებს, მოგვიდა შენი ჭკუისა, — უთხრა დედამ ძმას.

— წადი, წადი, ინდაური მოიყვანე, დავკლათ. — თქვა მამამ და კმაყოფილი ღიმილით ხელები მოიფშვნიტა.

— ინდაური ხვალ უნდა დავკლათ და ახალ წელს შევხვდეთ, — ნიშნი მოუგო დედამ და მამაჩემს თვალები ერთბაშად გაუცივდა.

—აბა ახლა რა ვქნათ?

— გადაგატარებთ რამეზე. — დაამშვიდა დედამ.

მამაჩემი გარეთ გაეგება. ძია ძლივს შემოეტია ცალფად გაღებულ კარში. ვეებერთელა, ხეშპოიანი ხელებით ჩემი ძმა ატატა და დიდხანს ჩკოცნიდა. თედო კი ჯაგარა ულვაშს აწიწკნიდა. კისერზე ებღოტებოდა, თან გაუჩერებლად ხითხითებდა. საჩვენოდაც მოიცალა, ჩურჩხელები გვიწილადა. ჩვენი ამბავიც იკითხა, თავისიც გვითხრა. დედამ წვრილად გამოჰკითხა მშობლების ჯანმრთელობა. მოუბოდიშა, მოუცალობის გამო ხშირად ვერ ვნახულობო.

უბრალო სუფრა გაშალა: ცხიმმოხდილი ყველი, მწნილი, სიცივისაგან დამზრალ-გაყვითლებული, ჩვენს ბაღჩაში მოკრეფილი ერთი ბღუჯა მწვანილი და ერმო-კვერცხი მიართვა სტუმარს. ღვინოს ყოველთვის ბიძაჩემი გვაძლევდა. თვითონაც მასწავლებელია, მაგრამ კარგი ვენახი აქვს. სოფლის კვლერბაზე ყველაფერი მოეპოვება. პაპასავით მშრომელი კაცია. ცოტ-ცოტა სურსათსაც გვიგზავნის. ვიდრე პაპა კოლმეურნეობაში მუშაობდა, [illegible] გვეხმარებოდნენ პროდუქტებით. მერე პენსიაზე გავიდა, თანდათან დაბერდა და დახმარებამაც იკლო.

ჩვენ ბაზარში წავედით, ბაზარი პატარაა, მაგრამ რა სახის ჭირნახული გინდა, აქ არ იშოვებოდეს. ერთი ეგ არის, ისედაც ძვირადღირებულ პროდუქტებს, საღდესასწაულო დღეებში პირდაპირ ცეცხლი ეკიდება. დიდი ჩანთებით გამოსული დიასახლისები საათობით დადიან ათასგვარი სანოვაგით გადაუნძძლულ დახლებს შორის, ეგეც როგორმე კარგი საქონელი, მუქთად თუ არა, შედარებით იაფად მაინც ვიგდოთ ხელთო. ჩვენ შუა ბაზარში ჩავიარეთ. ხალხი უკვე შეთხელებულიყო. გამიკვირდა, რომ დედა არავის არაფერს აფასებინებდა. სხვა დროს, თუნდაც არა სდომებოდა, დაინტერესდებოდა ხოლმე, რა ღირდა, მაგალითად, ვაშლი, მსხალი, ყურძენი, ხურმა და ასე შემდეგ... ერთგან თეთრხალათაფარებული რამდენიმე კაცი და ქალი ყველს ჰყიდდა. უნებურად შევჩერდი. ზოგს ძროხის ახალი, ქათქათა ყველი გამოეტანა, ზოგსაც ცხვრისა, და ნახევრად დაცარიელებული გუდები პირდაპირ დახლებზე შემოეწყოთ. მამა, მე და თედო პირდაპირ ვგიჟდებით ცხვრის ყველზე. როცა დედაჩემმა იგრძნო, რომ აღარ მივდევდი, შემობრუნდა.

— მოდი, რას გაჩერდი, გვეჩქარება, — მკაცრად მითხრა.

— ნახევარი კილო ცხვრის ყველი ვიყიდოთ, რა? — დავეღრიჭე.

დედამ შუბლი შეიკრა, და სანამ პასუხს გამცემდა, ყველის გამყიდველმა კაცმა უთხრა:

—იაფად ეყიდი, შვილ მანეთად. აჰა, ინებეთ ნახევარი კილო. — თქვა და, ერთი პატარა ნაჭერი, ერთ ჯამაზე რომ არც გეეყოფოდა, სასწორზე დაადგო.

— რამხირდი, შე სასიკვდილევ, შე-

ბეჟი ბოსტოლანაშვილი
ბოთხოლოგი

ნა, — დამიტატანა დედამ, ხელი ჩამავლო და ინდაურებისაკენ წამათრია.

ერთიმეორის მაყოლებით თითქმის ყველას ვაფასებინებდით. ზოგი ხუთ-ექვს თუმანს გვთხოვდა. ბოლოს, კარგა ხნის ვაჭრობის შემდეგ, რაკი მუღამი გავუგეთ, ერთ დედაბერთან შევჩერდით.

— ქალბატონო, რას აფასებთ ამ ინდაურებს? — შეკითხა დედა.

— ი-ი-მე, ქა! — გაიოცა დედაკაცმ და მიეხვეი, რომ არც ისე მოხუცი იყო, როგორც პირველად მომეჩვენა. — ვაფასებ რა შეაშია, შვილო, როგორა ჰყიდოთქო, უნდა მკითხო. ვაჭრები აკეთებენ ეგრე, აფასებენ ერთნაირად, ჰყიდიან მორეულირად, ცდილობენ, მოგატყუონ. ამას ორმოცდახუთად, ამას კი (მცირეზე გვანიშნა) — ორმოცად მოგცემთ.

— ორმოცდახუთი ბევრია. — იძვირა დედამ მცირეოდენი ფიქრის შემდეგ.

— ისე შენი სახისა შემრჩეს ყველა, ვიყიდი და თან არც მემეტება. მაგრამ აბა რა ვქნა: ჩემი შვილი ცოლმა ქალაქში გააქცია, ქირით ცხოვრობენ, საცოდავად. — წუწუნებდა ქალი.

— ეგ ჩემი ნახევარი თვის ხელფასია. — არ უთმობდა დედა. თუმცა დანამდვილებით ვიცი, ოთხმოცდაათი კი არა, ასი მანეთი აქვს. ჩვენ რომ წამოგვცდება ტყუილი, ლამის დაგვხოცოს ხოლმე, თვითონ თუ დასჭირდა, უკან არ იხევს.

— შენც მეორე აიღე, შვილო, ორი გირვანქა ხორცი გინდა იქით და გინდა აქეთ.

ბოლოს, როგორც იქნა, პატარა ვიყიდეთ. ორივე ერთმანეთზე იყო გადაბმული ფიჩვით. ჩვენსას ფეხები გამოუხსნა, გულზე მივიხუტე და წამოვედით. მე წინ მოვდიოდი, ნაპირ-ნაპირ, დედა კი უკან მომყვებოდა. ვატყობდი, კმაყოფილი იყო ნავაჭრით. ყაირათიანი ადამიანის კვალობაზე, ბუტბუტებდა:

— მართალია, ძვირია, მაგრამ, რას იზამ. საცივს გავაკეთებდი, ნიგბოზი რომ მქონდეს. თუმცა, ცივად მოხარშულიც გემრიელია. ბუმბული ხომ ადამრჩა. ჭვენს შვენახსავ და ჩიხირთმას მეორედაც მოვადუღებ. ზამთარში ინდაურის ხორცზე ყუთიანი საქმელი არც არსებობს. ნეტავი იმას, ვისაც ხუთიოდე სულის გამოზრდა შეუძლიან. მთელ ზამთარს გაატანინებს ოჯახს. ითი რომ იყოს, იყიდდი მაინც. თითქოს ინდაურების ფაბრიკას აშენებდნენ. თუ ძართალია, რით ვერ მოაბეს თავი. ვითომ ჯიშიანი, თეთრი ინდაურები უნდა გამოზარდონ, თითო ფუთს აღწევს მათი წონაო. მალე რომ იქნებოდეს, რაღა გვეჭირდა...

ჩვენს სახლამდე თხუთმეტიოდე წუთის სავალია. ის უპატრონო ინდაური სულ ფართხალებდა და გვარიანად დავიღალე. ღამით თოვდა, დღისით კი თოვლი სულ მდნარიყო და წლობით შეუკეთებელ ბგერებე გაჩენილი ორმოები წუმპეებად ექცია. სახლს რომ მივუახლოვდით, მოსახვევთან ღორღის საზიდი დიდი მანქანა გამოვარდა. წინა თვლებით ღვარი სავსე ორმოში ჩაზანაყდა და ჭუჭყიანი წყალი შემაკვაპუნა. უნებურად შევკრთი, ღობისაკენ დავიწიე. ამ დროს ინდაური კიდევ ერთხელ შეფართხალდა და, უკვე დაღლილს უცბად გამეშვა. გამეშვა და პირდაპირ მანქანის უკანა თვლებში შევარდა. მანქანა გრუხუნით გავკილდა, იქაურობა კვამლით და საწვავის სუნით აივსო.

— გაგიხმა ხელები! რამ დაგადუნა ამხელა კაცი, შე სასიკვდილევ შენა! მიდი ახლავე დაიჭირე! — მომაძახა გაცოფებულმა დედამ.

ცოტა ხნის შემდეგ, კვამლი რომ გაიფანტა, ვნახეთ, იქ დასაჭერი ნამდვილად ალარაფერი იყო. მანქანას ლავაშივით გაებრტყელებინა საწყალი. დედაჩემს გავხედე. პალტოს მარჯვენა მხარე ისე ჰქონდა შეწუწული, თითქოს განგებ შეუსხიათ ტალახიო. მაგრამ ამას ვერც ამჩნევდა. მოულოდნელობისაგან ენა ჩავარდნოდა, ხმა ვერ ამოეღო. მიტკა-

ლივით გაფითრებულს დიდრონი, დალლილი თვალები დწვრილებოდა. მერე, თანდათან, თითქოს სული მოითქვაო, რისხვამ ნაცარში დარჩენილი ნაკვერცხლებივით გაუელვა თვალებში, ერთბაშად მომაყარა ქოქოლა და წყეველა-კრულვაც მოაყოლა.

— ცეცხლი და ღველფი დაგაყარე მაგ დონდღო თავზე, შე უნდილო და არგასაზრდელო...

არ დავბნეულვარ. მისი წყეველისთვის ყურადღება არ მომიქცევია, სახლისაკენ შურდულივით გავვარდი. რამდენიმე საფეხურიანი კიბე ავირბინე, სული მოვითქვი და ვითომც არაფერი მომხდარიყოს, არხეინად შევედი შიგნით.

— იყავით ბაზარში? — მკითხა მამამ.

— ვიყავით.

— იყიდეთ?

— ვიყიდეთ.

— რამდენად?

— ორმოცად.

მამამ ქმაყოფილებით გაიღიმა და ისეთი სიამოვნება აღებეჭდა სახეზე, ერთბაშად მივხედი: ერთის მხრივ, რაოდენ დიდი მოვლენა იყო ჩვენი ოჯახისათვის ინდაურის ყიდვა, ხოლო, მეორე მხრივ, რამდენად მნიშვნელოვანი ის დანაკლისი, ჩემი გამოისობით თავს რომ დაგვატყდა. ამ დროს დედაც შემოვიდა და წყეველთან ჩემკენ გამოიწია. მე გავერიდე. ბიძაჩემს ამოვეფარე. დედა კი იწყევლებოდა, ქოქოლს მაყრიდა და სიმწრის ცრემლები სცვიოდა. ახლა კი იკადრეს მისკენ გახედვა. ისეთი საცოდავი სანახავი იყო ჩემი საწყალი დედა. ნერვებაშლილი, მტირალი, ლაფში ამოსვრილი ძველი პალტოთი, რომ თვალი ველარ გავუსწორე და განგან დავიწყე ყურება. მამა, რომლისთვისაც ეს ყველაფერი მოულოდნელი იყო, მისკენ შებრუნდა და შეუტია:

— რა დროს ქოთქოთია, ქალო! დადგი წყალი, დავკლათ ინდაური. იქნება მოგვესწროს. — უკვე შეხარხარებულიყო.

— ისე ჩაგიწყდა ეგ სასაკვირველი ენა, შენ მაგას ველარ მოესწრო... სულ შენ ნი ბრალია. ბაზარში ქალები და ბავშვები კი არა, თუ სამართალია, კაცები ... და დადიოდნენ, მაგრამ...

— ადარ იტყვი, რა მოხდა? — ავის ძმასწავებლად კკითხა მამამ.

— გზაზე გაეშვა და მანქანამ გადასრისა.

— რაო, მანქანამ გადასრისაო?.. — მოულოდნელობისაგან გაოგნდა, — მართლა?.. — დანაღვლიანდა უცებ. — რატომ არ მითხარი? მომიბრუნდი.

— აბა ბოლომდე როდის მკითხე. — მხრები ავიჩეჩე.

— მართლა! არ იცი, რა უნდილი და უნიათო გაკავს? — უპასუხა დედამ სლუკუნით. — გვენახა მაინც, ვისი მანქანა იყო. იქნებ ეზიღო.

— მძღოლის ბრალი არ ყოფილა, უკანა თვლებს ჩაუვარდა... — გამოვიყენე ნორჩი ინსპექტორების წრეში მიღებული ცოდნა.

როგორც იქნა, ბიძაჩემიც მიხვდა საქმის ვითარებას და ისეთი როხროხი ატეხა, კარადაზე ჭურჭელი შეზრიალდა.

— ხა-ხა-ხა! მოიცა, მოიცა, ოთხი თუმანი მიეცით და მანქანამ გაიტანა, ჰა?... — ხარხარებდა ის.

— აბა! — დაღონებულმა თავი დაუქნია.

— მართლა, ჰა?.. — იცინოდა და იცინოდა.

— მერე რა ეშმაკი და ქაჯი გაციენებს?.. ერთი შენა ხარ კიდევ მამა აბრამის ბატკანი, — გამოლანძღა დედამ.

— ვაჰ, რა გემრიელად გამაცინეთ, — კვლავ სიცილით ამბობდა, — მერე მაგაზე კავრობთ? გადი ხვალ და მეორე ეყიდე, უფრო კარგი, — ურჩია.

— შენც ერთი, მაქვს და ვერ მომიფიქრებია, თუ! — დაიწუწუნა დედამ.

— ეჰ, ვერ მოგსვლია კარგი საქმე, — ჩაურთო მამამ.

— კარგად მოგივიდა. ახია შენზე, — ისევ გაანჩხლდა დედა.

ბეჟი ბოსტოლანავილი
მოთხრობები

ისე, საერთოდ, ამაყი ხალხია ეს მასწავლებლები. ჰოდა, ერთი ორმოცძანეთიანი ინდაურის გამო, ასე დაბოღმეა ნამდვილად არ შეეფერებოდათ, დარდით მაინც ხომ ვეღარაფერს უშველიდნენ.

— არა უშავს, ხვალ მაღაზიაში წადი და ორიოდე კილო ხორცი იყიდე, — უთხრა მამამ.

— თუ იქნა, კი.

— იქნება. საახალწლოდ გამოიტანენ, ეგ ერთი ქათამიც რომ გვკავს, ისიც დავკლათ და გვეყოფა...

ცოტა არ იყოს, შემეცოდნენ ჩემი მშობლები. და რაკი ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა, რატომღაც მათი კინკლაობა და დავა მომაგონდა. ხშირად, როგორც კი რაიმე ცხოვრებისეული დაბრკოლება წამოგვეჭრება, დედა შემთხვევას არ გაუშვებს, არ უსაყვედუროს:

— იმის მაგიერ, რომ ბავშვები მოამზადო, ზიხარ ამხელა კაცი და რაღაც სისულელეს ჯდები. შენს ხელში მე ხომ ვარ და ვარ გატანჯული, ეს ბავშვებიც წინასწარ არიან განწირულნი გაჭირვებისთვის.

მამა მათემატიკის მასწავლებელია, მეთოდისტი. რაიონის სკოლებში დაჰყავთ შემოწმებაზე. ხანდახან წერილებსაც აქვეყნებს მეთოდურ კრებულებსა და ჟურნალ-გაზეთებში. დედაც იმ წერილებს გულისხმობს „ნაჯიაბწში“.

— მე მომზადებაში შვიდას მანეთს ვერ გამოვართმევ ბავშვებს.

— რაიონის სკოლებში თუ არ იტანტალე და არ იღორმუცელავე, ვერ კი გაძლებ და...

— ავტორიტეტს ვერ შევილახავ, — ისევ მშვიდად მიუგებს მამა.

— შენი უბედურება სწორედ ეგ არის, რომ გგონია, „ავტორიტეტი“ შეიძლება შეჭამონ და ჩაიცვან ბავშვებმა...

მამას მართლაც კარგი სახელი აქვს რაიონში. შარშან ოქმასკომში დაიბარეს და უთხრეს, მანქანას გაძლევთ, აიღეთ.

— რა ღირს? — ეკითხნა.

— რვა ათასი.

— დიდი მადლობა, ბატონო, სიამოვნებით „ავიღებდი“. მაგრამ რვა ათასი კი არა, ათასი ძანეთიც არ [illegible]

—უთქვამს და გამბარუნებელა.

ეს რომ დედამ გაიგო, კინაღამ შეჭამა:

— შე მართალ ცოდვილო, ისესხე, გაპოიტანე და გაყიდე. ექვსი-შვიდი ათასი მანეთი მაინც დაგრჩება. ქვეყანა ასე აკეთებს.

— როგორ ქალბატონო, სპეკულანტად გინდა მაქციო? — იწყინა ძალიან.

დღესაც ვერ უპატიებია დედას „წყალში გადაყრილი“ ექვსი-შვიდი ათასი მანეთი. შემთხვევას არ გაუშვებს. არ წამოაყვედროს: დაიკადე ცოტა. ერთი ამ შენმა მსგავსმა დაამთავროს სკოლა. ვნახავ თითო საგნის მომზადებაში ათას მანეთს სიიდან გაიჩენ... შენს სიცოცხლეში ერთხელ მოგეცა შესაძლებლობა, ფიტი მოგეკრა და ისიც ხელიდან გაუშვიო.

მარტონი რომ ვყოფილიყავით, ეხლაც წაკინკლავდებოდნენ უთაოდ. ყველაზე ძალიან, რა დასამალია, მე განვიცდიდი. ვიდექ კუთხეში, ეკიდენ აყუდებული (ტანდ ახოხილი ვარ) და ჩემს თავზე ვბრაზობდი, რატომ დიდი არ ვარ. ერთის მაგიერ ორი ინდაური მომეყვანა, თანაც აი, ისეთები, წეღან რომ ვერ ვიყიდეთ სიმკვირისა თუ უფულობის გამო-მეთქი. იდექ ეხლა და ელოდე, როდის გამონელდება ეს წყეული წყენა.

მარტო თვდო დარბოდა უდარდელად აქეთ-იქით. ჩვენი განწყობილება თანდათან ბიძაჩემსაც გადაედო. მაგრამ დარწმუნებული ვიყავ, მაინც ის განმუხტავდა დაძაბულობას. ლაპარაკის საღერღელი რომ აეშლება, და მსმენელიც რიგიანი ჰყავს, მის მოსმენას არაფერი სჯობია. მართლაც, ისევ მან დაიწყო:

— რაც არის, არის. მომხდარს დარდი ვეღარაფერს უშველის. მით უმეტეს, შენ არ გეკადრება ასე დაბნეულ, სიძეკ ბატონო. ჩვენთან ერთი უშვილძირო მასწავლებელია, პენსიონერი. შენც იცნობ იმ კაცს. — დედას გახედა. ორი წლის წინ ცოლიც მოუკვდა. შარშან

სამოცდაათი წელი შეუსრულდა. სკოლამ შეხვედრა მოუწყო და ვახშამი გადაუხადა. თბილი სიტყვები უთხრეს. დასასრულ თქვა, მეგობა, ჩემს ცხოვრებას ზზრი ეკარგებოდა, ახლა ვხედავ, ეს ასე არ ყოფილაო. საჩუქრებიც მიართვეს. ერთი დედაცხვარი, მათ შორის. ადგა და ეს ცხვარი კოლმეურნეობის კერძო ბრიგადას მიაბარა. ამდენი დამსახურება მაქვს სოფლის წინაშე, როგორ არ შემინახავენო. გაზაფხულზე კი გადაწყვიტა, ის ჩემი ნერი ბატკანს მოიგებდა, წამოვიყვან, დავკლავ, მიცვალებულის სულს, მოვიხსენიებო. ჩავიდა იერის პირას, საზამთრო საძოვარზე. ხელკარიელი ხომ არ მიადგებოდა მინდორში მწყემსებს, ღვინო ჩაუტანა — ვენანი აქვს მცირედი — დასხდნენ და იქვეფეს მამა-პაპურად. მთისაცა თქვეს, ბარისაც. ბოლოს, წამოსვლისას, ბატკანი მოიკითხა, საფლავზე უნდა დავკლა, სხვა არც ყველი მინდა, არც მატყლი. იმ მადლაკაქა ბრიგადირმა კი, არც აცია, არც აცხელა. პირში მიახალა: რას ამბობ, შენი ცხვარი, როგორც მოიყვანე, მესამე დღეს მგელმა შეჭამაო. მართალი ამბობ თუ მეხუთრეებიო, არ დაიჯერა. ღმერთი, რჯული, ნამდვილადო, უპასუხეს. სხვა, მის ადგილზე, არ ვიცი, როგორ მოიქცოდა. ამან კი, ამ დარჯალმა კაცმა, ის საწყალი მგელიო, ჩაილაპარაკა. მგელი რაზეა საწყალიო, გაუკვირდათ მწყემსებს. როგორ არ არის საწყალი, უბედურს ალბათ: ქანცი გაუწყდა ამ ორი ათას ცხვარში ჩემი ცხვრის ძებნითო, უთქვამს და გაბრუნებულა. უკადრისი არაფერი წამოსცდენია. თქვენ რაღა დაგემართათო ისეთი, დარდს ზედ ხომ არ უნდა გადაჰყვეთ?

მე და მამას გაგვეცინა. დედას კი წარბიც არ შეუხრია, თუმცა უკვე წყნარად უთხრა:

— ეჰ, შენ რა გიჭირს, მარტო იმაზე ფიქრობ, ყველგან და ყველაფერში გასართობი და სასაცილო დაინახო, — თქვა და სამზარეულოში გავიდა.

თითქოს წელიწადლისა შერცხვაო, მამამ სცადა უზრუნველი გამომეტყველება მიეღო და ისევ ჰქონა წაყოლილი, თუმცა სახე კვლავ ჩამოსტირიოდა.

— ერთსაც ვეტყვი, სიძეე ბატონო, — ისევ წამოიწყო ბიძაჩემმა, — შეიძლება გაგიგონია კიდეც, ბევრ ბუზალაძე. ჩვენყენა ცხოვრობს. რადგან ხელფასი არა ჰყოფნის, ლეკვებს ამრავლებს და ჰყიდის. თვალს ვერ მოაცლიან, ისეთებსა ზრდის. ამ გაზაფხულზე, მეზობელი სოფლიდან მოსული მუშტარი. აურჩევნია და წაუყვანია. მაგრამ ნახევარი წლის შემდეგ ისევ მობრუნებულა, შენიეული ლეკვმა არც ყეფა იცის და არც კბენო. ბუზალაძემ შორს დაიჭირა, როგორ შეიძლება, ჩემი გამოზრდილი ლეკვი არ ყეფდესო. იდავეს, იდავეს, და ბოლოს წავიდნენ სანახავად. მივიდნენ და, რას ხედავს: ფართო, ხასხასა ბალახით დაფარულ ეზოში, ასწლოვანი კაკლების ჩრდილში, მავთულზე გრძელი ჯაჭვით გამოუბამთ ხალვათად. სიმსუქნისაგან კანი ასკდება. აქეთ უდგას მოხარშული ხორცი, ახალი თევზი, ხიზილალა. იქით — საცივი, თერმოსით ჩიხირთმა, ჭყინტი ყველი, გობით წყალი. ჰამაკში ფუმფული ბალახისაგან ისეთი საწოლი გაუმართავთ, ადამიანსაც შეშურდება. მართალია, ეს ძაღლი ნამდვილად არ დაიყეფებსო, უთქვამს ბუზალაძეს. მეც სწორედ მაგის პასუხს ველოდები, ვეტექმის ვაჩვენე, დაავადებულსა ჰგავსო. ახლავე მოგახსენებო. მოდი მე შემაბი ეგ ჯაშბარა, ამისთანა საშმელებს ნუ მომაკლებ და დაინახავ. ექვსი თვეს კი არა, ერთ წელიწადსაც ხმას არ ამოვიღებო. ძაღლი სახლითი უნდა დააბა და საშმელი მოაკლო, თუ გინდა, თავისი მოვალეობა შეასრულოსო...

როგორც ხედავ, ძაღლიც კი რაღაცით კმაყოფილია, რაღაცით უკმაყოფილო. ადამიანსა რაღაც გვიკვირდეს. ვისაც აქვს, კმაყოფილებით გატრუნულები და განაბულები არიან. ვისაც არა, ბუ-

ᲖᲘᲕᲘ ᲑᲝᲚᲥᲝᲕᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲝᲗᲮᲠᲘᲚᲔᲑᲘ

ზღუნებენ, ჯავრობენ, იბრძვიან... ამბტომაც, ვისაც კარგი ცხოვრება აქვს, უმძიმს მასთან განშორება, ვისაც ცუდი — უმძიმს მისი გათრევა...

— ეჰ, აბა რა ვიცი. ეს ბინა ხომ უფასოდ მივიღეთ. ცხოვრების ჭაპანსაც ვეწევით ნელ-ნელა. სიძნელეები, რა თქმა უნდა, გვაქვს. მაგრამ ბავშვების წინაშე ამდენი წუწუნი და დავიდარაბა სასურველი არ უნდა იყოს. არც მაინცდამაინც გოჭი და ინდაური უნდა იყოს სავალდებულო. — ჩაურთო მამამ.

— რატომაც არა? ბიერი ადამიანი, საკუთარი გამოცდილებით ვიცი, პურის ნაჭერზე ოცნებობს მხოლოდ და არა ჩაკვერცხილ დედალზე. იყო დრო, პური გვქონდა საფიქრალი. ახლა, რამდენადაც მშიერი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, აღარავინ არის, პუნებრივია, ინდაური, ხიზილალა, ზუთხი მოუნდა ადამიანს. გაჩნდა მოხთოვნილება? გვეძნება კიდეც. მით უმეტეს, რომ მოსახლეობას გარკვეული ნაწილი უკვე ყოველმხრივ უზრუნველყოფილია.

— რა ვიცი, შენს დაიას ყველაფერი ერთბაშად უნდა და... — ჩაიბურტყუნა მამამ, თანაც ისე, რომ დედას არ გაეგო.

— ახლა კი ჩემი წასვლის დროა, — წამოდგა ბიძაჩემი.

— მოიცა, კარტოფილს შეეწვავ, — გამოიხედა დედამ.

— არა, წავალ, — არ დაიშალა, — სოსია (ჩემზე უთხრა) თან გამაყოლეთ, დილაზე ერთ კარგ მამალ ინდაურს გამოვატან. პირველში და ორში კი ჩვენი სტუმრები იქნებიან.

— რა საჭიროა ინდაური, გავალთ ოიოლად როგორმე. — ზარდილობისთვის იუარა მამამ.

— შენ როდემდე უნდა შეგაწუხონთ, — ყასიდად თქვა დედამაც, [illegible] ბიძაჩემი სიტყვებისთვის ყურადღება არ-ვის მიუქცევია.

დედას საბოლოოდ გაეხსნა სახე, რაღაცის თქმა დააპირა.

— ნუ გეშინია, ბევრი არაფერი დამილევია. საუესთან ფრთხილად ვარ. ჩაიცვა, მრავალს დაესწარითო, თქვა და გავიდა. დედას გვერდით თამამად გავუარე, პალტოს ხელი დავტაცე და ბიძაჩემს გავედევნე.

— მეც წამიყვანე-ე-ეთ! — ჩხავილით აგვედევნა თედო. მაგრამ იქვე დაეკავეს. აბა ამ გვიანობისას ვინ გამოუშვებდა.

ჩვენ მანქანაში შევძვერით, ფანჯრიდან გადმომყურე გამცილებლებს ხელი დავუქნიეთ და ნელა დავიძარით.

— სოსი, პაპას და ბებიას არ უთხრა ინდაურის ამბავი, დაიდარდებენ.

— რას ვეტყვი, თავმოყვარეობის საკითხია, — დავამშვიდე.

ერთხანს გავჩუმდით.

— ნეტავ რაზე ფიქრობ, ქვეყნის საქმეზე თუ ოჯახზე? — ვკითხე, როცა ვიწრო ორდობეებიდან გზატკეცილზე გავედით.

— მერედა, ვინ გაჰყო ქვეყანა და ოჯახი?

ჩვენს წინ, მანქანის მინაზე თოვლის ბრტყელი ფანტელები ცვიოდა. ნელ-ნელა ვტოვებდით საახალწლო სამზადისში გართულ ჩვენს პატარა დაბას.

— ბიძაჩემო, დიდი თოვლი მოვა? — ვკითხე.

— ჰო, დიდი თოვლი მოვა. — თქვა მან.

— კარგი ახალი წელი დაგვიდგება, — გავიფიქრე სიხარულით.

ნაომარი ქვეყანა

მომცრო, მაღალტერიანი ქველებული დარბაზის დიდრონი ფანჯრები უბრალო, მწვანე ფარდებითურთ ბოლომდე გაეხსნათ. გაგანია ზაფხული იყო, ნელი სიო მაინც უბერავდა, თაროებზე შემდგარ, საგულდაგულოდ მოვ-

ლილ ქოთნებში გახარებულ ყვავილთა რტოებს რბილად ატოკებდა და მოპირდაპირე მხარეზე ღრეჩოდ დატოვებულ კარში მიძმეტაზოდა. ამ ორპირი ნიავის მიუხედავად, ბიჭი როგორღაც მოთენთილი იჯდა მაგიდასთან და ძველ, ნესტიან წიგნს ჩაჰკერკეტებდა. როცა დაღლილობა ზედმეტად დასძალადა, სკამზე მიესვენებოდა და მაღალ, ერთ დროს თეთრად გაქათქათებულ, ახლა კი უკვე ჩაყვითლებულ ჭერს მიაშტერდებოდა. მერე თვალებით კედელს ნელა ჩამოუყვებოდა და კუთხეში მჯდარ, დღენიადაგ ჟურნალ-გაზეთებზე თვალებდახრილ ბიბლიოთეკარ გოგონას შეხედავდა. გოგონა ისე იჯდა, რომ თითქმის მოუჩანდა ყალყზე შემდგარი მკერდი. ბიჭი ცოტა თვალს წყალს დაალევინებდა, და მერე ისევ გაკრძალებდა მუშაობას. კითხულობდა, მანამ ვიდრე შიმშილი ძალზე არ შეაწუხებდა, მერე კი თანდათან უძნელდებოდა კითხვა. თავიც წამოსტკივდებოდა, როცა ასობები ერთმანეთში გაებლანდებოდა, თვალს ხუჭავდა, მცირე ბინდი სადღაც გაჭრებოდა. სხვა დროს, როდესაც ასე ემართებოდა, რაც, რა თქმა უნდა, იშვათად ხდებოდა, ადგებოდა, ნელა, ტორტმანინთ ჩაივლიდა ბიბლიოთეკის ფართო კიბეს, გავიდოდა და ტაატით გაუყვებოდა ქუჩას მახლობლად მდებარე ბაღისკენ. სუფთა ჰაერი ოდნავ გამოაცოცხლებდა და უფრო მოაშივებდა. მოძებნილა მყუდრო ადგილს, დაჯდებოდა, თვალებ დახუჭავდა და ჩათვლებდა ნახევარი ან ერთი საათით. როცა გაღვიძებდა, თვალებს მოიფშვნეტდა, შადრევანთან მივიდოდა, წყალს სხეხე შეიხსმდა, გამოფხიზლებული, უკანვე გამოუყვებოდა ქუჩას და შეუდგებოდა მუშაობას. მტკიცედ სხეროდა, რომ ძალი შიმშილთან გამკლავების მარჯვე საშუალება იყო.

რომ უჭირდა, ეს არც უკვირდა. ნომარი ქვეყანა ჯერ ისევ იშუშებდა ჭრილობებს. მეორეც, თვითონაც, როგორც თავის თავს გამოუტყდებოდა ხოლმე, უყაირათოდ ხარჯავდა ანა ბა, რა უნდა ეწოდებინა იმ თავშეკავებლობისათვის, ხან თეატრში ... ამოჰყოფდა თავს, ხან წიგნის მაღაზიაში... ამნაირად, ისედაც არასაკმარისი ფული უკმარი ხდებოდა. დამსმარეც არავინ ჰყავდა. მამა ომში დაეღუპა, დედას კი მასზე პატარების გამოკვებაც უძნელდებოდა.

ამ ძველ წიგნსაც რა ობისა და შიმორის სუნი უდის. ასე თუ გაგრძელდა, დაიღუპება ეს ეროვნული სიმდიდრე, ილიას თობმა შემოწირებულებითა და ვაებით რომ ქმნილა. არც ახალ გამოცემებს დაადგებათ კარგი დღე.

ერთხანს ყოჩაღად მუშაობდა. მერე კი კუჭი აეწვა თანდათან. მოაგონდა სოფელი. იქაც გაჭირვებაა ჯერ კიდევ, მაგრამ უფრო იოლია. როცა ჩავა, აუცილებლად ქათამს დაუკლავენ ხოლმე, მოხარშული დედლის გახსენებაზე ნერწყვი მოადგა. კითხვა უძნელდებოდა. მაინც თავს ძალას ატანდა, მაგრამ შიმშილს თავისი გაჰქონდა და უფრო მაგრად უჭერდა.

დღეს დილით მხოლოდ ერთი ჭიქა ჩაი დალია. პურის ნატეხი დაძველებულიყო, გამხმარიყო და ვერ შეჭამა, გაკვძლები საღამომდე. ჯიბეში კი ჰქონდა ცოტა გროშები. ერთი-ორჯერ გაფიქრა კიდეც, გასულიყო და გემრიელად ეჭამა. მაგრამ თავს იკავებდა. იცოდა, საღამოთი პური უნდა წაეყოლებინა. დაჭირავებულ პატარა სარდაფში მოეხარშა აქნობამდე მხოლოდ მისი დაუდევრობით გადარჩენილი კარტოფილი და გემრიელად ეეახშმა. სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო. ეს იქნებოდა ჭკვიანური. მაგრამ იქამდე, საღამომდე, კიდევ ხუთი-ექვსი საათი უნდა მჯდარიყო და ემუშავა. კუჭი კი სწვოდა და ტკივილებსაც გრძნობდა. და თანდათან ძნელდებოდა ცდუნებასთან ბრძოლა. არადა, ახლა რომ ეჭამა, დღეს აღარფერი მოუნდებოდა. ხვალ დილით კი ჩაის დალევდა და იმ

დაობებულ, გამხმარ ნაჭერსაც დააყოლებდა. მერე კი მოიფიქრებდა რამეს... ეჰ, ჯანდაბას ხვალინდელი დღე. დღეს მაინც უნდა გაძღოს.

ბიჭი გრძნობდა, რომ მოთმინების ფიალა ევსებოდა. მაგრამ უნდა გაეძღო. ეხლა ადგება, ნელა გაუყვება გზას პარკსაკენ, მოძებნის ჩრდილში ნაცნობ ადგილს და ჩათვლემს ნახევარი ან ერთი საათით. გულის გასატეხი არაფერია. აი ცოტაც, ერთი წელიც, მორჩება ამ საქმეს, დაიკავს დისერტაციას, იშოვის კარგ სამუშაოს და შეძლებს ადამიანურად ცხოვრებას. მაშინ აუცილებლად მოეღება ბოლო ამ საცოდავ ჯახირს.

ცდილობდა, ცოტა კიდევ წაეკითხა, მაგრამ თვალებში ისევ და ისევ ეძალებოდა ბინდი, უტიფრად ეძალებოდა და სტრიქონები ბუნდოვანი ხდებოდა. ასეებიც ერთმანეთში ერეოდა.

ბოლოს და ბოლოს ვეღარ მოითმინა. ადგა. კიბეზე ჩატორტმანდა. გარეთ გავიდა და ცხელი ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა. ახლა უნდა წავიდეს პარკში, მოძებნოს წყნარი ადგილი... მაგრამ ნაბიჯი ვერა და ვერ წადგა. ბოლოს დადგწყვიტა, მოედნისაკენ წასულიყო, ფული კი არ დაეხარჯა, უბრალოდ გაევლო და იქიდან პარკში გაეხვია. ეჰ, ახლოს მაინც რომ ცხოვრობდეს... მთელი საათი მოუნდება იქ ფეხით მისვლას, უფრო მეტიც. თორემ ახლავე წაიღებდა პურს, კარტოფილს მოხარშავდა. ერთი გემრიელად ისადილებდა და მოვიდოდა ისევ.

მირაცრაცებდა ღონეგამოცლილი და შიმშილი მაჯლაჯუნასავით აწვა. უნებურად გახედა მაღალ წენობაზე დამაგრებულ საათს. მეოთხე იყო. მიდიოდა ხალხის ტალღაში. ეჯახებოდნენ ზოგჯერ, ერთხელ კინაღამ დაეცა კიდეც.

ანაზდეულად ღვეზელის მძაფრმა სუნმა საღერღელი მთლად აუშალა და ერთ ადგილზე გაჩერდა. იქ, შიგნით, დიდ დარბაზში ყიდდენ წყალგარეულ, ძმცრეულ ლუდს. ქვემო მხარეს სამზარეული იყო, მეორე ქაბაბს და ტენირო ხინკალს აკეთებდნენ. ... Sokoyoboli Mskavsa Mrmavrilebs Magidebis orgvlsa adamianebs Sajmelsi Šeeqcioqnenen, Sesamdenen ČuMad Šetanili araysi da lugdon grilebdnenen. Šesasvelebtan kai ґvezelsi iyidebodnen. ґvezelis dazeze mdafri suna aqvs, da dazeze, dazeze gemrieliena. gaenґri Šesasvelebsa umaravi xalxi eroeodnen. gamomsvelebs kmayofili saxe ačonodat, cxeґrisaxebebiT šuaelze da kisoґze momaZebulebi oplsi oWmenebdnenebi da gamisvelebisaTvis mcerdeli simovnebiTan uSeґrebdnenebi ґuCis orapirad mimonaberi cxelebi xaeris. adamianebi šedgomebdnenebi da gamoeroidebdnenebi. is kai idga ertoni suriґvelisaTvis šeparebrobili: ai, šeqa, aiRebili sam ґvezelebi, cxelebi-cxelebi gemrieleb ґvezelebi, daayoleqebi ertoni čiqa lugdi. daayoleqebi, aucilebelebi daayoleqebi. orma ґvezelebma kaRgna, magram ar kaxra. sami ґvezelebi kai rayaqaqebi niSnavdnen. niSnavdnen kai ara, iyoqpa, ґanebdaba. šinebi kai uqvemo fexebi gaeuyvebda gzas. dgomebi čaqi dacvebi iq ґveli, damebebuli pirsi nacxebiaqebi daayoleqebi. kiedeґ kaRgri, am dgomebi ar gadaagadem. xvali kai ґamaušebebi isevebi. asebi fiqrobdnenebi. xalxi kai šedgomebi da gamodgomebi. rayaqaqebi uSlebi xebi, mzisdenebaqebi šesulebiyo. ei rayaqaqebi ebiliyoqpis nacxebaqebi iyo, romelebiqebi ulebebiqebi pacxarebebebi da maqebi unda gamiRaqebiyo. gaeRra kiedeґ. bolos gamiRaqebi yeqebi nerwyeqebi gadaušebda da enerґgiuebi nabiґebi šeabiґebda šeґnebi.

rigši bebrebi idgebi, erTi TeoriTxalaTmianebi čaqebi yidebda ґvezelebi. ґvezelebi oxšebiebrebi aRebidebda. dadgebda rigši. mis šemdegebi kiedeґ bebrebi idgebi. rayaqaqebi šeeqcebda. magram mas xma ar gaeqcebda. alabaqebi čaqebi, bolos xarebi Tu arebi. čaqebi kai nebebi, čaqebi nebebi mešaobebda. rigši bebrebi idgebi, čaqebi bebrebi. rayaqaqebi uSebi uaxmaxebebi, gamxmar nacxebebebi daayoleqebda. mere kai mebebebi rayaqaqebda... eč, ґanebdaba xvalebebebi dgebi. dgebi maqebi unda gaeqcebi.

bebrebi grčebebda, rayaqaqebi mebebebi fiala ebebebebda. magram unda gaeqcebi. exebebebi adgebda, nebebebi gaeuyvebda gzas xaqebebebebi, mebebebebi črdebebebebi da nacebebebebi adgebebebebi da čaqebebebeb

ლოვდებოდა, დიდ, უზარმაზარ თასში ღვეზელი სულ უფრო ცოტავდებოდა. გათავდება, ისეთი ბედი აქვს, გათავდება, სანამ რიგი მოუწევს. მერე უცადე თბუთმეტი-იცი წუთი, სანამ ისევ გამოიტანენ. შეიძლება სულაც აღარ გამოიტანონ. არა, ამდენ ხანს ვერ გაძლებს... ანგარიშმოუცემლად მოსწყდა ადგილს და რაცრაცითა და ჯიკავით წავიდა თეთრხალათიანი ქალისაკენ. მიუახლოვდა და ჯიქურ მიაწოდა გრაშეში. გაოცებით შეხედეს რიგში მდგომებმა, მაგრამ მისთვის სულ ერთი იყო, მაინც არაფერი უთქვამთ. მოსთხოვა გამყიდველს სამი ღვეზელი. დარბაზი ზუზუნებდა და ბორგავდა. ქალმა სამი ცალი მიაწოდა, ხურდაც დაუბრუნა. წავიდა. მივიდა იქვე ცარიელ მაგიდასთან და ზედ შემოდგა თეფში. ლუდიც მოუსდა, ერთი ჭიქა. ლუდი. დარჩენილი ფულით ზუსტად ერთი ჭიქა მოუვიდოდა. მცირე ხანს იყოყმანა, მაინც გატრიალდა და ჭიქა აიღო. იქაც რიგი იყო. ჩადგა, მაგრამ უმალ მიატოვა და ურიგოდ მივიდა. ერთხანს იქაც იყოყმანა, ავიღო თუ არაო, ბოლოს მიაწოდა დარჩენილი ფული. გამყიდველმა ჭიქაში ჩამოუშვა ამდვრეული, მოყავისფრო სითხე. ჭიქა პირთამდე ავსო. ფრთხილად აიღო, და გამობრუნდა იმ მაგიდისაკენ. სადაც თეფში დატოვა სამი ღვეზელითა და შესაწმენდი ქაღალდებით, მაგრამ, ჰოო, საოცრებავ!.. მარმარილოს მაგიდაზე თეფში კი იდგა, მაგრამ ზედ ახლოოდ ერთადერთი ღვეზელი იდო. ჯერ ეგონა, მომეჩვენაო, თვალები მოიფშვნიტა და შეშინებული შედგა, თითქოს ჯიბრზე, ვიღაც გოლიათი ჩამოეფარა წინ. გულის კანკალით მიუახლოვდა მაგიდას. თეფშზე მართლაც მხოლოდ ერთი ღვეზელი იყო. იდგა გაშტერებული და თავი სიზმარში ეგონა. სიმწრის ოფლმა დაასხა. ამ დროს მეორე მხრიდან ნელა ამოძვრა ჭუჭყიანი, მაღლინელი ხელი და დუნედ გაიცურდა თეფშისაკენ. ბიჭს სიბრაზის ალმური აუვარდა. სწრაფად გადადგა დარჩენილი ორიოდე ნაბიჯი და იმ დროს წაეწყდა მათხოვრის უაზრო, გახარებულ თვალებს. როცა ის მესამე, უკანასკნელი ღვეზელს მთავრევდა აკანკალებული ხელით. მისი უფერული თვალები შიშმა ამოავსო და ელდა ეცა. დაგდებული ჭიქა ჭახანით გასცდა ქვის იატაკზე და ზეხეფებით გაწეწა ახლო-მახლო მყოფნი, რომლებმაც გაკვირვებით დაიწყეს აქეთ ყურება. მათხოვარი მაგიდის მეორე მხარეს იდგა, ქონიანი და დაგლეჯილი ხალათი ეცვა. წითლად გასივებული ცხვირი, შეშუპებული თვალები, გაჩენილი თმა და ყოლაფი წვერი ჰქონდა. ჩვეულებრივი მათხოვარი იყო. მათხოვრები ყველანი ერთმანეთს ეგვანან და ერთ ენაზე ლაპარაკობენ. ორგვლივ მყოფებმა მოიხედეს და გაირინდნენ. დარბაზი ზუზუნებდა და ხმაურში არაფერი ისმოდა. შეშინებულმა მათხოვარმა ჯიბისკენ წაიღო ხელი და ერთი ღვეზელი უკანვე გამოუწოდა. ამან მთლად გააოცა ახალგაზრდა კაცი. აიტაცა თეფშზე დაგდებული ღვეზელი, ხელი გიიქნია და სახეში სთხლიშა მათხოვარს. ორიოდე წამით ყველა გაირინდა. უზომოდ გაუკვირდათ, ალბათ. ვიღაცამ გაიცინა, მერე კიდევ ვიღაცამ. ბოლოს ყველას ერთბაშად აუტყდა სიცილი. გაიცინა მათხოვარმაც. მიხვდა, რომ იოლად გადარჩა: მეტს აღარ დაარტყამდა გაცოფებული ბიჭი. ბიჭი უცებ გამოერკვა. სიბრაზის მაგიერ სირცხვილმა დარია ხელი და ორგვლივ მყოფთა სიცილ-ხარხარსა კარისკენ წალასლასდა.

განადგურებული, შერცხვენილი, ბარბაცით გაუყვა გზას ბაღისაკენ. ძლივს მოძღენა მყუდრო ადგილი. სკამზე ჩიგდო და მილულა თვალები. დაღლილ-დაქანცულს მაშინვე ღრმად ჩაეძინა. მაგრამ მალე გააოცა მათხოვარმა თავისი უცნაური საქციელით. თურმე ასდევნებოდა, და როცა ნამძინარევს წაადგა, გაღვიძება დაუწყო.

გივი ბოსტოლანაშვილი
ბოიზრიებები

ანლა უფრო აშკარად დაინახა წელკა-ჯიანი, მხრებში გადატეხილი, თმა-წვერ გაბურძგნილი კაცი.

ბიშმა გაკვირვებით შეხედა.

— ბოდიშს ვიხდი, — უთხრა მათხოვარმა. — მიეხვდი, რომ უკანასკნელი ლუკმა აგაცალე. აი, შენი ფული.

ნახევრად მძინარე დისერტანტმა იუკადრისა მათხოვრისაგან განკითხული, წვრილი ფულის აღება და გადაჭრით, უარი უთხრა.

— ნუ გაიცდები, ძმობილო! აიღე, აიღე, არავინ გვხედავს. — აქეზებდა მათხოვარი. ბიჭი არ ირთმევდა. ის კი არ ეშვებოდა. ხან გაიფიქრებდა, რა იქნება, რომ ავიღოო. ბოლოს მათხოვარმა ფული ძალათი ჩაუყარა ჯიბეში და უმალვე გაეცალა იქაურობას...

გამოძინების მერე თვალები გაახილა. კაი ხანი გასულიყო. უნებურად ხელი მოისვა ჯიბეზე. ადგა, დასვენებული და დამშვიდებული, თვალებზე წყალი შეისხა. კუჭი ალარ ეწვოდა. თითქოს ჯან-ღონით აივსო. [illegible] თეკისაკენ ენერგიულად გაწია.

აუყვა ნაცნობ კიბეს. დარბაზში შეეღება და მაგიდას მიუჯდა. ისევ ეცა შმორისა და ობის სუნი. ნელა გადაფურცლა წიგნი. ბიბლიოთეკარმა გოგონამ ერთი წიგნი კიდევ მოუტანა — ისეც დანესტილი.

— მაინც სად ინახავთ ამ წიგნებს? — ჰკითხა.

— სარდაფში.

— დაიღუპება ასე...

— დაიღუპება, აბა, რა. — მიუგო გოგონამ და კოხტა თეძოების რხევით წაგოგმანდა თავისი მაგდისაკენ.

ბიჭი კი იჯდა და ისე უცქეროდა საუკუნის წინათ გამოცემულ ობმოკიდებულ, დანესტილ წიგნებს.

...ქვეყანა ოქით მოშუშებულ ჭრილობებს იშუშებდა.

ᲐᲠᲐᲛᲙᲘᲗᲮᲔ

ᲧᲕᲔᲚᲐ მეტყოდა, ახია შენზეო. დიახ. ᲧᲕᲔᲚᲐ, ᲞᲐᲞᲐᲩᲭᲘᲡᲘ ᲒᲐᲠᲓᲐ. ისიც იმ უბრალო მიზეზით, რომ დიდი ხანია, ცოცხალი ალარ არის. ᲮᲝ, ᲛᲘᲡ ᲛᲝᲒᲠᲔᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲮᲡᲘᲜᲔᲓᲐ: ᲐᲣᲢᲙᲘᲕᲐᲠ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲕᲘᲜᲪ ᲫᲐᲚᲝᲗ ᲘᲝᲢᲙᲘᲕᲔᲑᲡ, ᲡᲣᲚᲘᲔᲚᲘ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲣᲙᲣᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲑᲠᲘᲕᲘᲗᲘ ᲛᲘᲜᲪ ᲐᲠᲘᲡᲘᲜ, ᲐᲛᲑᲝᲜᲓᲐ. ᲠᲛᲚᲐᲓ ᲕᲐᲠ ᲓᲐᲬᲣᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲐᲛᲘᲡᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲣᲠᲘᲗᲔᲓᲐ, ᲐᲛ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲠᲝᲛᲘ ᲕᲘᲜᲐᲮᲐ, — ᲓᲐᲚᲘᲚᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ, ᲗᲐᲕᲘᲗ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲩᲙᲘᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ, ᲐᲡᲔᲗ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐᲡ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ, ᲙᲝᲛᲝᲪᲘᲝᲡ, ᲐᲜᲣ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲠᲐᲓ, ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲐᲓ, ᲩᲣᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲠᲩᲣᲚᲘᲗ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲑᲘ. ᲘᲡᲔ ᲙᲘ, ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲜᲘ ᲓᲐᲠᲘᲝᲒᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲒᲠᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲘᲪᲘᲗᲮᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲒᲠᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲞᲐᲩᲭᲘᲡᲘ. ᲓᲐᲯᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲧᲣᲓᲠᲝᲗᲖᲔ, ᲧᲐᲚᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲐᲬᲛᲣᲢᲣᲜᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲬᲘᲚᲝᲜᲓᲐ: ᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲔᲪᲐ ᲨᲔᲕᲘᲡᲬᲘᲚᲔᲑᲝᲓᲐ. ᲠᲐ ᲛᲘᲪᲘᲡ ᲛᲝᲒᲠᲔᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲮᲡᲘᲜᲔᲓᲐ: ᲐᲣᲢᲙᲘᲕᲐᲠ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲕᲘᲜᲪ ᲫᲐᲚᲝᲗ ᲘᲝᲢᲙᲘᲕᲔᲑᲡ, ᲡᲣᲚᲘᲔᲚᲘ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲣᲙᲣᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲑᲠᲘᲕᲘᲗᲘ ᲛᲘᲜᲪ ᲐᲠᲘᲡᲘᲜ, ᲐᲛᲑᲝᲜᲓᲐ. ᲠᲛᲚᲐᲓ ᲕᲐᲠ ᲓᲐᲬᲣᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲐᲛᲘᲡᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲣᲠᲘᲗᲔᲓᲐ, ᲐᲛ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲠᲝᲛᲘ ᲕᲘᲜᲐᲮᲐ, — ᲓᲐᲚᲘᲚᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ, ᲗᲐᲕᲘᲗ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲩᲙᲘᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ, ᲐᲡᲔᲗ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐᲡ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ, ᲙᲝᲛᲝᲪᲘᲝᲡ, ᲐᲜᲣ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲠᲐᲓ, ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲐᲓ, ᲩᲣᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲠᲩᲣᲚᲘᲗ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ

ერიან ასეთნი. ისე კი, ღმერთმა დამიფაროს, ეს შეცდომა მარტო წინდაუხედაობით მომსვლოდეს. ყველაფერი ჩემი საკმაოდ იშვიათი სპეციალობის ბრალია, რომელსაც კონკურტული სოციოლოგია ჰქვია, მე კი, უბრალოდ, სოციოლოგი გახლავართ და არც თუ ახალგაზა — ექვსი-შვიდი წელი ვმუშაობ ამ საქმეზე და მთელ შესაძლებლობასაც ვახმარ, თუმცა საყვედურის მეტი არაფერი მსმენია განყოფილების გამგისაგან: ასოკირატა ხარ, ანალიზის უნარი არ გაგაჩნია. ფაქტებისა და მასალების ტყვეობაში იმყოფებიო. სხვებთან კი ასე ამბობს თურმე: იმ კაცს რა პასუხი მივცე, ვინც მაგას შტატი გამოუყო და გამომიგზავნა, თორემ მე ვიცოდიო. მე შენ გეტყვი, ამბის მომტანი არავინ გამოჩნდება. ჩემს წლიურ საკვლევ თემებსაც დაახლოებით ამგვარ შეფასებას აძლევდნენ, და, ამას გარდა, რაც მართალია, მართალია, ერთ ფრაზასაც დააყოლებდნენ ხოლმე: ახალგაზრდაა, იქნება ისწავლოს წერა, მით უმეტეს, მადლობა ღმერთს, მარტო ჩვენ არა გვყავს ასეთი, მთელ ინსტიტუტში ნახევარი ხალხი ტყუილად იღებს ხელფასსო. ჩვენი განყოფილების წევრთა უმრავლესობა სოფლიდან ქალაქში მიგრაციის მიზეზებს სწავლობდა. მე თვითონ ამ მარილაც რთული და საჭირბოროტო პრობლემის ერთი ქვეყანაცხი უნდა გამომეკვლია. კერძოდ, ქალაქადან სოფელში მიგრაციის პროცესი. ვფიქრობდი, ამ მიზნით ზაფხულს შვებულება გამომეყენებინა, მაგრამ მოულოდნელად, ზემომდგომი ორგანოების განკარგულებით, ორიოდე კვირით მივლინებაში მიკრეს თავი.

როცა ჩანთაში ვალაგებდი მივლინებისათვის საჭირო ნივთებს, იქით, სამზარეულში, სიდედრი თავის ქალაშვილს ეჩურჩულებოდა: ესეა გაკლდა, მივლინების ფული ხომ არ ეყოფა სახლიდან გასულ კაცს. ესეც ახალი ხარჯი. უარი ვერა თქვაო... და სხვა ამისთანები. მაგრამ ყურადღება აღარ მიმიქცევია და სადგურისაკენ გავქანდი. მეორე დღეს, დილით, ჩავედი ბათუმში. ... რადგან სასტუმროში არ აღმოჩნდა ადგილი, პანსიონატ „ბათუმში“ მომიჩინეს პატარა, ორადგილიანი ოთახი.

დღის ორი-სამი საათის შემდეგ, ვიწვევ ქვაღორღიან სანაპიროზე და ვიხრუკებოდი. უამრავი დამსვენებელი იყო. მათ შორის ისეთებიც, ადვილად თვალს რომ ვერ მოაცილებდი. დაბინდების მერე კი ჩაბნელებულ სანაპირო პარკში განმარტებით ვსეირნობდი, შილიფად ჩაკმული. აი, აქ დამეცა მეხივით ის მხეცი. ეტყობა, დამიდარაჯდა... ახლავე მოგახსენებთ, რაც მოხდა.

ერთ ასეთ საღამოს, ხუთ-ექვს საათზე ვიწევენ სანაპიროზე და ერთ ახალგაზრდა ქალს, რომელიც წინა დღით გაეცანით, კარტს ვეთამაშებოდით, თანაც ესაუბრობდით. ამ დროს, ვხედავ, ერთი ორმოციოდე წლის კაცი დადის დიდი ჩანთით და ჭიქებით მზესუმზრახას ჰყიდის. თანაც, ყურადღების მისაპყრობად, ხმამაღლა გაპყვირის — „სუმიჩკა“, „სუმიჩკაო“. შევხედე. დიდი ხნის ჩამოსული არ უნდა ყოფილიყო, რამდენადაც, თუმცა გარუჯული გახლდათ, ზღვაზე მზემოკიდებულს არა ჰგავდა. იმ ადგილას რომ მორჩა ავჭრობას, სადაც მე ვიყავი, გაიარა და წავიდა. ჩემმა თანამოსაუბრემ, ცოტა არ იყოს, გაიკვირვა, ამხელა კაცი რაზე ცდებაო. მოულოდნელად დამებადა აზრი: რა იქნება, რომ ვკითხო, რით არის გამოწვეული ეს ამბავი. მეც ხომ სწორედ ეს მაინტერესებს-მეთქი. ისიც ვიცოდი, რომ კაცი ჯერ უბრალოდ გაეჩვევა ქალაქში, მერე კი, თანდათან, გადასახლდება კიდეც. რაკი ეს ბრძნული გადაწყვეტილება მივიღე, მეორე საღამოს გულისფანცქალით ველოდებოდი. მართლაც ისევ გამოიარა. მე მივუახლოვდი და ვკითხე, სიდედნა ხარ-მეთქი. კახეთიდან, ქუდზეც ხომ მეტყობაო, გაიცინა. საქმე მაქვს შენთან-მეთქი, ვუთხარი. რა გინ-

ეროვი გოსტოლანაშვილი
ნოუთბოოგეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაო. ახლავე ჩავიცვამ საცმელს, ხუთ წუთში, მერე წავიდეთ აქედან, უნდა გავარკვიო, რადა ჰყიდი მზესუმზრაასმეთქი. — ვუთხარი და ჩაცმა დავიწყე. ეცნობად შეშფოთდა, აქეთ-იქით გაიხედგამოიხედა და სწრაფად გამცილდა. მერე დღეს აღარ გამოჩენილა. როგორც იყო, მივხვდი, ალბათ განგებ აღარ მოვიდა იმ ადგილზე, სადაც მე ვეგულებოდი-მეთქი. ავდექ და, მესამე დღეს, ნახევარი კილომეტრით სხვა მხარეზე გადავინაცვლე. მართლაც, ისევ გამოჩნდა. მივუახლოდით და მივიკითხე, გუშინწინ რაზე გაიქეცი, ჩავიცვამ და გამომყევი ცოტა ხანს, ეს აუცილებლად უნდა დავადგინო-მეთქი. რას გადამეკიდეო, გაგიჟდა კინაღამ და გაიქცა. დიდი მხდალი კაცი ჩანს, ვიფიქრე, თუმცა სასტიკად შევცდი...

ნაბიჯების ხმა ტალღების გნიასში არ გამიგია. ცოტა ხანს მოიცადე, საქმე მაქვსო. რა გინდა-მეთქი. პირველად ვერც ვიცანი, მაგრამ ამ დროს პროკურატორმა გამოანათა და ენახე, ის იყო. ან რას არ ვიცნობდი, მოზეერავით იყო ჩამკვრივებული, თანაც ზორბა და წარმოსადეგი ჩანდა. მაშინვე საქმეზე გადავიდა: აი, ათი თუმანი, აიღე და გამანებე თავი. ერთი საწყალი კაცი ვარ, ხელს ნუ მიშლი, ნუ დამდეგ.

გამეცინა და ავუხსენი, რომ სულ სხვა კაცი ვიყავ. მინდოდა მეკითხა, რამ გაიძულა, კახეთის ბარაქიან სოფელს რომ მოწყდი და ჭიქობით მზესუმზრაას ჰყიდი-მეთქი. როცა დარწმუნდა, არაფერს ვერჩოდი, მითხრა: აჰ, თუ ეს გაინტერესებდა, მაშინვე გეთქვა, შე ღღინძალლოო. თან ცოტა უცნაურად გაიცინა, ახლავე აგიხსნი, რად ვიქცევი ეგრეო. ეს მითხრა და მეცა, კისრულით ფიტაცა, ჰაერში დამატრიალა და ქვეზე ქატოს ტომარასავით დამათხლიშა. თვითონაც ზედ დამეცა. მომდგა და მირტყა: თავში, გვერდებში. ზურგში. ეტყობოდა, ამ საქმეში კარგად იყო დახელოვნებული. მერე რა მოხდა, ძნელი მისახვედრი არ არის. გვარიანად მიბეგვილი იქვე მიმატოვა. რაკი გრძნობა მთლად არ დამეკარგავს, დამემუქრა, კრინტი **არავინ** დასძრა, თორემ აუცილებლად მოგკლავო. მეც ვიწექი. წამოდგომა არ შემეძლო. აუტანელი ტკივილებისაგან საცოდავად ვკვნესოდი და ვიძახებენოდი. მერე ფეხის ხმა გავიგონე. ორი ახალგაზრდა მოვიდა. ვიფიქრე, მეშველა-მეთქი. მათ კი, რატომღაც, ჯერ შარვლის ჯიბეები გამოსინჯეს, მერე ერთმანეთი ანუგეშეს, არ მოკვდებაო, გავიდეთ და სასწრაფოში დავრეკოთო და წავიდნენ. ისე მოვხვდი საავადმყოფოში. პირველად მაინცდამაინც დიდად არ შეწუხებულან. მერე კი, მილიციაში დარეკეს რომ დასჭირდათ ჯიბეში ზემდგომი ორგანოს მივლინების ბარათი მიპოვეს და დაფაცურდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მოვჯობინდი, გამომძიებელი მოვიდა. ახალ ხათაბალაში რომ არ გამეტა თავი, გადავწყვიტე, სიმართლე მეთქვა, თანაც იმ განსხვავებით, რომ ფაქტიურად ვერ შეძლებოდათ იმ კაცის დაჭერა, თორემ თუ დაიჭერდნენ, მეც ჩამრთავდნენ გამოძიებაში და ირბინე მერე თბილისიდან ბაათუმში! დაწერილებით მოვუყევი, მხოლოდ მზესუმზრაის მაგიერ, ბატიბუტი ვუთხარი: კაცი კი დაბალ-დაბალი იყო-მეთქი, ულვაშგაპარსული. დამპირდა, აუცილებლად მივიღებთ ოპერატიულ ზომებს და მოვძებნით დამნაშავესო. მერე მკითხა:

— ალბათ ძალიან გულდაწყვეტილი ხართ ამ სამწუხარო შემთხვევით?

— სრულებითაც არა, — ვანუგეშე.

— რატომ? — გაიკვირვა.

— მეცნიერება, ჩემო ბატონო, მსხვერპლს მოითხოვს. და რაც უფრო დიდი იქნება მსხვერპლი, უკეთესი იქნება შედეგი. გაიხსენეთ გალილეო გალილეი, ჯორდანო ბრუნო, კოპერნიკი... — აქ პატარა პაუზა გავაკეთე, რათა შთაბეჭდილება გამეძლიერებინა, და დავუმატე:

— მხოლოდ იმაზე მწყდება გული, რომ ვერ გავიგე, რა აიძულებს მშრომელ გლეხს, ალოობისას საქმე მიატო-

ვოს და ზღვაზე ბატიბუტი ყიდის? იქნებ თქვენ მიბრძანთო?..

— ეგ ჩემი სამსახურის მოვალეობით არ არის გათვალისწინებული. ჩემი საქმეა, მოვიქცენო დანშაულივ, გავარკვიო, რა მოტივებით სარგებლობდა უცნობი, როცა თავს დაგეცხოთ სრულიად უდანაშაულო კაცს: რა იყო ეს, უბრალო ხულიგნობა, მკვლელობის თუ ქრთამის მიცემის მცდელობა. იქნებ შურისძიების მიზნითაა ჩადენილი დანაშაული (აქ, რატომღაც, ჩემი სიდედრი მომაგონდა). ან შეიძლება, ქალი იყოს გარეული. (ქალს ხსენებაზე გავწითლდი და სწრაფად შეეშვა ამ საკითხს), მოკლედ, საქმე ფრიად სერიოზულია, და ყველა, ვინც კი შემჩნეულია ბატიბუტით სპეკულაციაში, უნდა შევამოწმოთ. მაგრამ...

— რა მაგრამ? — ვკითხე, რადგან შეჩერდა.

— მაგრამ თქვენ რაღაც გამართული პასუხები ვერ მომეცით. ეტყობა ჯერ არა ხართ მთლად გამოჯანმრთელებული. ცხვირიც ისევ ჩაშულეტილი გაქვთ. რაცა გამოგწერეს, ჩვენთან მობრძანდით, კიდევ ერთხელ იქნებ უფრო დაწვრილებით გიხსენოთ მისი გარეგნობა. მაგალითად, როგორი ცხვირი ჰქონდა, კეხიანი თუ სწორი. ბრტყელი თუ ნესტოებდაბერილი. თვალების ფერი, ასაკი და სხვა დეტალები. ვეცდებით, დამნაშავე აღმოვაჩინოთ და სათანადოდ დავსაჯოთ. ვფიქრობ, თქვენი დახმარებით მალე გავხსნით ამ საქმეს და უკმაყოფილო არ დარჩებით.

— არა, ბატონო გამომძიებელო, — ვუთხარი. — სრულებითაც არ ვარ დაინტერესებული იმ საცოდავის დაჭერით და დასჯით. არც ვჩივი არაფერს.

— თქვენ რა, მართლა არ ჩივით, როგორც ფაბარალებული? — გაოცდა ის.

— არა, ბატონო, ის საცოდავი და უბედური რომ დაიჭიროთ და დაპატიმრება მოუსაჯოთ, მორალურად მე უფრო დავისჯება.

— როგორ, თქვენ სისხლის სამართლის დამნაშავე, რომელმაც კინაღამ მოგკლათ, გებრალებათ, საცოდავსა და უბედურს უწოდებთ? რატომ?

— კაცი ბატიბუტის გაყიდვას რომ დაიწყებს, ანდა, რაღაც ამგვარს, ამაზე მეტი უბედურება და საცოდაობა რაღა უნდა იყოს? არც მეგულება ამაზე მეტი სასჯელი ადამიანი შეილისათვის. — ვუპასუხე.

— თქვენ იცით, რომ სხვა ვერსიებსაც ვერ გამოვრიცხავთ? მართალი რომ ითქვას, დაუჯერებელიც კი არის, ბატიბუტის გამყიდველს ჩაედინა ეს.

— რატომ? ცხოვრება სავსეა პარადოქსებით, — ჩავურთე.

— მართალი ხართ, მაგრამ მაინც ძნელი დასაჯერებელია. ხომ შეიძლება, გაძარცვის მიზნით მომზდარიყო? ჯიბეში ფული და ნივთები გაქვთ?

ამაზე ვერაფერი ვუთხარი. მომიტანეს ჩემი ტანსაცმელი. ოციოდე მანეთი უნდა იყოს-მეთქი. მართლაც არაფერი აღმოჩნდა. სანიტარმაც დადასტურა, სამივლინებო ფურცლის გარდა არაფერი ჰქონდაო.

— ა, ბატონო, ხომ გითხარით. ეს ყველაფერი ძალზე დასაჯერებელია. — ნიშნი მომიგო.

წასვლისას კიდევ ერთხელ დამპირდა, თუმცა თქვენ არ უჩივით, ჩვენ მაინც მივიღებთ ზომებს და დავიკავებთ. ოღონდ გამოსვლისას აუცილებლად შემოგვიარეთო...

ორი დღის შემდეგ თბილისისაკენ გამოვემგზავრე ისე, რომ იქ აღარ შემიფლია. საქმე კი, რომელიც ჩემი მიზეზით არც აღძრულა, ალბათ სულ გადაივიწყეს.

ყველაფერი თავისი გზით წავიდა. ერთი ზნე კი დამჩემდა: როგორც კი სადმე მზესუმზირის ჭიქობით გამყიდველს მოვკრავ თვალს, ცოტა არ იყოს, ამბარძგლავს და შორ-შორ ვერიდები.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲨᲕᲔᲚᲘᲫᲔ

ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ

ᲙᲚᲐᲜᲔᲢᲐᲗᲐ შემᲬᲐᲕᲚᲔᲚᲘ კᲝᲡᲛᲝᲜᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ.

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ „ᲐᲚᲤᲐᲡᲐ“ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ!

ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ! ᲩᲔᲛᲘ ᲛᲝᲒᲐᲚᲔᲠᲝᲑᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ, ᲣᲤᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲒᲘᲗᲮᲠᲝᲗ ᲒᲐᲚᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲨᲘᲕᲘᲓᲔ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲨᲘ ᲐᲛᲐᲡᲬᲘᲜᲐᲓᲒᲔᲚᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲐᲡᲠᲔᲥᲢᲔᲑᲖᲔ. ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲗᲐᲓᲐᲪ ᲛᲣᲨᲣᲠ ᲒᲔᲡᲐᲣᲑᲠᲝᲗ, ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲐᲠ ᲨᲔᲡᲣᲚᲐ ᲩᲔᲛᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲔ, ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲨᲘ, ᲐᲓᲠᲔᲕᲔᲒ ᲠᲝᲛᲚ ᲒᲐᲐᲮᲚᲔᲗ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲓᲘᲗ, ᲒᲐᲚᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲖᲔᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲨᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡᲐᲡ ᲐᲪᲘᲛᲝᲜᲐᲩᲘᲜᲗᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲘᲐᲠ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲐᲛ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐᲗᲐ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ. ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲛᲔ ᲡᲝᲚᲘᲐᲠᲘᲐ ᲐᲡᲐᲯᲐ (ᲝᲪᲓᲐᲮᲣᲗᲘᲐ ᲒᲐᲚᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲔᲚᲘ) ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲒᲕᲐᲫᲚᲔᲕᲓᲐ ᲒᲕᲔᲤᲘᲥᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲚᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲠᲫᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲡ ᲝᲪᲓᲐᲮᲣᲗᲯᲔᲠ ᲨᲔᲛᲝᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲓᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲮᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲘᲠᲩᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲘᲐᲠᲘ ᲒᲐᲚᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲠᲫᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲡ ᲝᲪᲓᲐᲮᲣᲗᲯᲔᲠ ᲨᲔᲛᲝᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲓᲠᲝᲡᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲞᲐᲠᲐᲒᲠᲐᲤᲘᲗ, ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡᲙᲔᲜ ᲐᲕᲘᲔᲗᲗ.

ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲗᲐᲜ ᲛᲘᲐᲮᲚᲝᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲓᲘᲡᲢᲐᲜᲪᲘᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡᲗᲐᲜ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐᲖᲔ ᲜᲐᲮᲣᲠᲘᲡᲮᲝᲜᲘᲡ ᲤᲣᲜᲓᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲦᲚᲝᲠᲐᲜᲘᲜᲘᲡᲮᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲚᲔᲙᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲡ, ᲔᲡ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐ ᲩᲕᲔᲜᲡᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲯᲔᲠ ᲐᲦᲔᲛᲐᲩᲜᲐ. ᲡᲐᲯᲣᲗᲐᲠᲘ ᲦᲠᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲑᲠᲣᲜᲕᲘᲡ, ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲓᲠᲝᲡᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲑᲠᲣᲜᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲘ, ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲛᲔ ᲗᲐᲜᲐᲑᲠᲐᲓ ᲗᲑᲔᲑᲐ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲗ, ᲠᲐᲪ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲩᲐᲡᲐᲮᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲛᲬᲧᲝᲑ ᲞᲘᲠᲝᲜᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲡ. ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲘᲡ ᲖᲔᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲡᲩᲘᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲬᲧᲚᲝᲗᲐᲐ ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚᲘ, ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲙᲘ ᲛᲘᲡ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲘᲠᲜᲘᲕᲐᲜ-ᲡᲘᲗᲮᲝᲗᲯᲐᲜᲘ ᲑᲘᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲪᲘᲪᲕᲔᲑᲣᲚ ᲭᲘᲠᲭᲚᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲡ. ᲔᲡ ᲭᲘᲠᲭᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲛᲙᲕᲠᲘᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐᲓ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲓᲐᲛᲨᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲐ. თუმᲪᲐ, ᲡᲘᲢᲧᲣᲯᲣᲚ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲐᲕᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲑᲜᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲩᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲣᲙᲐᲒ ᲒᲐᲛᲝᲒᲬᲐᲕᲜᲘᲚ ᲜᲝᲛᲔᲠ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲨᲘ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲓᲘᲗ, ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲘᲠᲘᲡᲗᲐᲜ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲚᲝᲠᲐᲜᲘᲜᲘᲡᲮᲝᲜᲘᲡ ᲓᲘᲡᲢᲐᲜᲪᲘᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡᲗᲐᲜ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐᲖᲔ ᲜᲐᲮᲣᲠᲘᲡᲮᲝᲜᲘᲡ ᲤᲣᲜᲓᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲦᲚᲝᲠᲐᲜᲘᲜᲘᲡᲮᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲚᲔᲙᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲡ, ᲔᲡ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐ ᲩᲕᲔᲜᲡᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠ ᲐᲦᲔᲛᲐᲩᲜᲐ. ᲡᲐᲯᲣᲗᲐᲠᲘ ᲦᲠᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲑᲠᲣᲜᲕᲘᲡ, ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲓᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲮᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲘᲠᲩᲘᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲘᲔᲠ ᲣᲙᲐᲒ ᲒᲐᲛᲝᲒᲬᲐᲕᲜᲘᲚ ᲜᲝᲛᲔᲠ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲨᲘ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲓᲘᲗ, ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲘᲠᲘᲡᲗᲐᲜ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲚᲝᲠᲐᲜᲘᲜᲘᲡᲮᲝᲜᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზებული მოლეკულების აღმოჩენა გვაუწყებს. ეს საშუალებას გვაძლევდა გვეკითხუდა, რომ პლანეტაზე სიცოცხლე იყო. ხანმოკლე თათბირის შემდეგ გადაწყდა: ვარსკვლავმფრენიდან პლანეტის მიმართულებით მცირე წევის მქონე ინოსურძრავიანი რაკეტა გაგზავნილ. ამ ექსპედიციის მიზანს ახლო მანძილიდან პლანეტის დათვალიერება და მასზე არსებული სიცოცხლის (თუკი სიცოცხლე მართლა აღმოჩნდებოდა) შესწავლა შეადგენდა. რაკეტა, ინსტრუქციის თანახმად, აღჭურვილი იყო აუცილებელი საბეკნიერო აპარატურით და, მათ შორის „ეფსილონს-2“ სისტემის რობოტით. რაკეტის ეკიპაჟი, როგორც ინსტრუქციითაა გათვალისწინებული, ორი წევრისაგან შედგებოდა: ხომალდს მე ვმეთაურობდი, ჩემი თანაშეშწე კი ელექტრიკოსისა და მექანიკოსის მოვალეობას ასრულებდა.

ალბათ არაა საჭირო, დაწვრილებით აღვწერო ჩვენი მარშრუტი. სანავიგაციო რუკის ასლი, რომელიც ჩემს ოფიციალურ ანგარიშს თან ერთვის, ნათლად გვიჩვენებს რაკეტის ტრაექტორიას. დარწმუნებული ვარ, მიხვდებით, რომ სწორედ ასეთი ფრენის რეჟიმის გამო იქნა მიღწეული საწვავის საკმაოდ შესამჩნევი ეკონომია, რაც, ჩემი აზრით, დღევანდელ პირობებში არცთუ მეორეხარისხოვან საკითხს წარმოადგენს, რადგან ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ მაღალხარისხოვან ინოსურ საწვავზე ამჟამინდელი ფასები...

ამას იმიტომ ვამბობ, რომ ხაზი გავუსვა ჩემი თანაშემწის დამსახურებას: ტრაექტორიის გაანგარიშება და ფრენის რეჟიმის დადგენა ხომ მის მოვალეობას შეადგენდა, თორემ საბორტო გამოთვლითი მანქანები ეკონომიას დიდად არ დაგიდევენ...

მცირე ხნის ფრენის შემდეგ პლანეტას საკმაოდ მივუახლოვდით და მის ორბიტაზე გავედით. ორბიტის სინაღლე ისე შევარჩიეთ, რომ ადვილად შეგვეძლო პლანეტის დათვალიერება, როგორც ხელსაწყოების დახმარებით, ისე მათ გარეშეც.

ბევრი რამ ვნახეთ საინტერესო ამ პლანეტაზე. იმდენად ბევრი, რომ, ეშინაშობ, ყველაფერის აღწერა ვერ შევძელით ნომერ მეორე დანართშიც კი, რომელიც სპეციალურად პლანეტის ფლორასა და ფაუნას მიუძღვნინთ და, რომელსაც, ვიმედოვნებ, უკვე გაეცნობოდით.

ჩვენი ყურადღება, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად ძუძუმწოვართა ერომა სახეობამ მიიპყრო. ისინი აზროვნებენ, თავიანთ თავს „ადამიანს“ უწოდებენ და ჩვენც, მიღებული ტრადიციისამებრ, ასე დავუძახოთ.

ადამიანები საკმაოდ მოზრდილნი არიან. ჩვენზე რამდენჯერმე უფრო დიდნი. მათი სხეულის ტემპერატურა გარემოს ტემპერატურაზე მაღალია. აქვე მინდა შეეწინშნო, რომ შეიძლება სწორედ ეს ფაქტორი — გარემოზე უფრო მაღალი ტემპერატურა — განსაზღვრავს მათი ფსიქიკის თავისებურებებს. მხედველობაში მაქვს ის ფაქტი, რომ გარემოზე უფრო მაღალი, მუდმივი ტემპერატურის შენარჩუნება ცოცხალი არსებისაგან დიდ ენერგეტიკულ დანახარჯებს მოითხოვს. ეს კი, თავის მხრივ, გადიდებულ მოთხოვნას უყენებს საკვებით ორგანიზმის უზრუნველყოფის პრობლემას. საკვები ადამიანებს განვითარების ამ ეტაპზე საკმაოდ აქვთ. თუმცა მისი მოპოვება გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ჩემი აზრით, სწორედ ეს სიძნელეები წარმოშობს ათასგვარ კონფლიქტს, როგორც თვით ადამიანებს, ასევე ადამიანსა და გარემომცველ ბუნებას შორის...

ადამიანებს ოთხი კიდური აქვთ. აქედან, ორ ქვედას ისინი პლანეტის ზედაპირზე გადასადგილებლად ხმარობენ, ორი კი თავისუფალი აქვთ სხვადასხვა მანიპულაციებისათვის. მართალია ცენტ-

ვ. ორინი მიშველაძე
ზეცადიდა

ELIBRARY.GE

რი სხეულის ზემო ნაწილში, საკმაოდ მაგარ კოლოფში აქვთ მოთავსებული. ეს კოლოფი ხშირად იცავს ცენტრს ტრავმებისაგან, რომლებიც ესოდენ ხშირია საკვების მოპოვების პროცესში. გარე სამყაროსაგან ინფორმაციას ადამიანები ძირითადად ტალღების საშუალებით იღებენ. ამისათვის, ყოველ მათგანს ოთხ-ოთხი მიმღები გააჩნია (უფრო სწორად, ორი წყვილი მიმღები). პირველი წყვილი **შედარებით მცირე სიგრძის ელექტრომაგნიტურ ტალღებს აღიქვამს,** მეორე კი — **პლანეტის ატმოსფეროში** გავრცელებადი დრეკადი ტალღების დეტექტორს წარმოადგენს. ერთმანეთს შორის კავშირსაც სწორედ ამ დრეკადი ტალღების საშუალებით ამყარებენ, რისთვისაც, ყოველ მათგანს ტალღების თითო გამომწვეველ-ვიბრატორი გააჩნია. ასეთი სახის კავშირს ისინი ლაპარაკს ეძახიან... თუმცა, ბატონო დირექტორო, ვშიშობ, ძირითად სათქმელს დადავუხვიე. ამ არსებების, ესე იგი, ადამიანების დაწვრილებით ანატომიურ-ფიზიოლოგიურ, ფსიქიკურ დახასიათებას თქვენ მესამე დანართში გაეცნობით.

ჩვენ პლანეტის ახლო ორბიტაზე მოვეწყეთ. შეძლებისდაგვარად დაწვრილებით შევისწავლეთ კვლევის ობიექტი. შემდეგ, როგორც ამას ინსტრუქცია ითვალისწინებს, გადავწყვიტეთ პლანეტაზე რობოტი — „ეფსილონ-2“ ჩაგვეგზავნა პროგრამით გათვალისწინებული ოდი ამოცანების გადასაჭრელად, რომელთა შინაარსი თქვენ უკეთ მოგეხსენებათ. სწრაფად ჩავატარეთ მოსამზადებელი სამუშაოები, მაგრამ ერთმანმა მოულოდნელობამ შეგვაჩერა: რობოტის ტესტ-სქემაზე ყოველმხრივმა შემოწმებამ მისი მეხსიერების მეთექვსმეტე ბლოკში უწესივრობაზე მიგვითითა. ასეთი ტიპის დაზიანების აღმოფხვრა კი ჩვენი ძალებით არ შეგვეძლო. ამიტომ, ბუნებრივია, რობოტის ჩაგზავნაზე ხელი ავიღეთ.

ნი ჩვენგან უკვე შორს იყო. რაკეტაზე კი რობოტის მეხსიერების ნაპრალ-ბლოკები არ გაგვაჩნდა. უქმად დროის ფლანგვა, მოგეხსენებათ, ძალზე დიდი ფუფუნებაა და თავს ამის უფლებას ვერ მივცემდით. არადა, იმ დროში, რაც პლანეტის მახლობლად უნდა გაგვეტარებინა, ეარსკვლავმფრენი თავისი კურსით იფრენდა. მოზრდილ რკალს მოხაზავდა და, უკან დაბრუნებისას, დათქმულ დროზე, გარკვეულ ადგილას უნდა დავხვედროდით (ამ ადგილის კოორდინატებს სანავიგაციო რუკაზე ადვილად ი**ა**ოვით). ეარსკვლავმფრენთან ჩვენი შეხვედრის მომენტამდე ჯერ კიდევ საკმაო დრო იყო დარჩენილი. მეტი რა გზა ვეძონდა, განვაგრძობდით პლანეტის შესწავლას, ადამიანებზე დაკვირვებას. სულ მალე გავშიფრეთ ადამიანთა რამდენიმე დიდი ჯგუფის-პოპულაციის ენა, დავამზადეთ დრეკადი ტალღების მიმღებ-გადამცემები. ტალღებისა, რომლებსაც ისინი ბგერას უწოდებენ. მოკლედ რომ ვთქვათ, თავს ვერთობდით ამგვარი წვრილმანი სამუშაოებით. თუკი მოისურვებენ, ბატონო დირექტორო, ამ სამუშაოთა შესახებაც ცალკე დანართს შევადგენთ.

ჩემი თანაშემწე. ზშირად განმარტოდებოდა ხოლმე თავის ნაკვეთურში. ეფიქრობდი, ალბათ დაზიანებულ რობოტს ჩაჰკიდებოდა, უნდა აღვნიშნოთ, რომ თავის ასაკთან შედარებით, საკმაოდ მაღალკვალიფიციური სპეციალისტი გახლავთ. ამიტომ გავბედავ შევნიშნო, რომ სასჯელის ის ზომა, რაც მას გადაუწყვიტეს, ზედმეტად მკაცრი მეჩვენება.

ერთ დღეს (ასე უწოდებენ ადამიანები დროის იმ მონაკვეთს, როცა მათ პლანეტას ეარსკვლავი ანათებს), (ჩხირკედელაობას რომ მორჩა, თანაშემწე ჩემთან შემოვიდა და მთხოვა წაყყოლოდი. წავყევი. ნაკვეთურის კარი შევაღე თუ არა, სახტად დავრჩი: მის ოთახში ადამიანი იდგა. დიახ, ნამდვილი ადამია-

ნი, ისეთი, როგორსაც პლანეტაზე ათასობით ვუკვირდებოდით. ჩვენი შესვლისთანავე ადამიანმა რამოდენიმე ნაბიჯი გადმოდგა. მშიშარა არსებიდან ყოფილვარ, მაგრამ, ნებისთ, თუ უნებლიეთ, სხივური იარაღის ტარი მოვსინჯე. მერე ის იყო, თანაშემწემ შემაჩერა, ადამიანთან მივიდა და ერთი შეხებით გააშეშა. შემდეგ სიცილით ითმიბრუნდა და ამიხსნა, რომ ეს „ადამიანი“ მისი ნახელავი იყო. ათასსაირად შეეამოწმე, მართლაც უზადოდ იყო შესრულებული. სამართავი სამარჯვები შიგნიდან ჰქონდა გაკეთებული, თანაც ისე კომპაქტური, რომ სიღრუეში კიდევ საკმაო თავისუფალი ადგილი იყო დარჩენილი.

ჩემმა თანაშემწემ ჯერ თავისი ნახელავის დინამიური შესაძლებლობები მაჩვენა: სიარული, სირბილი, კიდურების მოძრაობები. შემდეგ კი დეშიფრატორთან მიმიყვანა და ამ ხელოვნური ქმნილების „ლაპარაკი“ მომასმენინა. მოკლედ, ნამდვილი ადამიანისაგან ვერ გაარჩევდით.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, პირდაპირ ვეტყვით: ჩემმა თანაშემწემ პლანეტაზე დაშვების ნებართვა მთხოვა. ინსტრუქციით, ამის უფლება არ მქონდა. მაგრამ უარი ვერ ვუთხარი. ახლა ხშირად ვფიქრობ ჩემს ამ ნაბიჯზე. შეიძლება მარტო მისი ვირტუოზული ნახელავი და დაკინებული თხოვნა არ იყო ჩემი თანხმობის ერთადერთი მიზეზი. ალბათ ამ გადწყვეტილების მიღებაში გარკვეული როლი იმ სურთო მოწყენილობამაც ითამაშა, კოსმოსში შორეულ მოგზაურობას მუდამ თან რომ ახლავს, უფრო მეტად კი იმან, ხანდაზმულობის გამო, ეს ჩემი უკანასკნელი კოსმოსური მოგზაურობა იყო და მინდოდა ყველაზე დასამახსოვრებელი ყოფილიყო. ასე თუ ისე, თანაშემწემ ადგილად დამიყოლია...

გეგმა ასეთი გახლდათ: იგი მის მიერ შექმნილი „ადამიანის“ გარსში შეძვრებოდა და ასე „გადაცმული“, პორტატული პლაზმფრენის დახმარებით დაეშვებოდა პლანეტის ზედაპირზე. დეშიფრატორები და სიცოცხლის უზრუნველსაყოფად საჭირო სხვა აპარატურა თავისუფლად ეტეოდა ხელოვნური „ადამიანის“ სიღრუეში.

ჩემი თანაშემწის იდეა ზოგადად მისალები გახლდათ, თუმცა პლანეტაზე სამოქმედოდ მისთვის კონკრეტული მითითებები არ მიმიცია. არ მმიცია იმიტომ, რომ უბრალოდ, არ ვიცოდი პროექტ „ალფას“ თანახმად, სხვა ცივილიზაციის წარმომადგენლებთან კონტაქტი რობოტ „ეფსილონ-2“-ის მოგალეობაში შედიოდა და სათანადო ინსტრუქციებიც მისი მეხსიერების ბლოკებში ინახებოდა. ამიტომ გადავწყვიტეთ გვესარგებლა უცხო მოაზროვნე არსებებთან შემთხვევითი კონტაქტის დროისათვის გათვალისწინებული მითითებებით. ამ სახელმძღვანელო დებულებებმი გარკვეულადაა ნათქვამი, რომ არავითარ შემთხვევაში ძალადობისათვის არ მიგვემართა. რაც შეეხება საკითხის მეორე, ჩვენი ცივილიზაციის უშიშროების თვალსაზრისით მთავარ მხარეს, აქ შეიძლება სრულიად დამშვიდებული ყოფილიყავით: პლანეტის მცხოვრებთა განვითარების დონე ჯერ კიდევ დაბალი იყო, ტექნოკრატიული ერის დადგომამდე მთი პლანეტა კიდევ მრავალ მილიონ ბრუნს გააკეთებდა თავის მნათობის ირგვლივ. აქედან შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ გამორიცხული იყო შესაძლებლობა არასასურველი ინფორმაციის გაჟონვისა (მაგალითად, ჩვენი ადგილსამყოფელისა და სხვა). უფრო სწორად, მათ კიდეც რომ მიეღოთ ასეთი ინფორმაცია, ვერაფერს მიხვდებოდნენ, და, ამდენად, არ არსებობდა არავითარი საშიშროება ჩვენი ლოკალური კონტაქტის კოსმოსურ კონფლიქტში გადაზრდისა.

ზემოთ ინსტრუქციის თაობაზე მო-

ვორის მიშველაძე
შეცდომა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბსენებდით, კერძოდ, იმაზე, რომ ძალადობისათვის არავითარ შემთხვევაში არ მიგვემართა, მაგრამ მათი მხრივ ხომ არსებობდა შესაძლებლობა ჩემ თანაშემწის სიცოცხლის ხელყოფისა? ამიტომ მივუთითე ამაზე. მისი პასუხი ასეთი იყო: პორტატიულ პლაზმფრეს ბერი მოდერნიზაციის შემდეგ ელვის სისწრაფით შეეძლო გაერიდებინა იგი სახიფათო ზონისათვის და ამით უზრუნველეყო სრული უშიშროება. ამიტომაც იყო, რომ ჩემს თანაშემწეს არავითარი იარაღი არ წაუღია.

ანგარიშში, რომელიც ამას წინათ გაახელით, ვფიქრობ, საკმაოდ დაწვრილებით იყო ადწერილი ჩემი თანაშემწის თავგადასავალი პლანეტაზე. უფრო დაწვრილებით ცნობებს კი მისივე პატაკიდან შეიტყობდით. ამიტომ, ვიმეორებენ, რომ არათანმიმდევრულობას არ დაშვამებთ, თუკი ამჯერად ჩემი თანაშემწის მოქმედების მხოლოდ ზოგიერთ ასპექტს შევეხები.

ზემოთ აღვნიშნე, ადამიანები მოზრდილ ჯგუფებად ცხოვრობენ-მეთქი. ამ ჯგუფებს ერთმანეთთან ბევრი საერთო აქვთ, მაგრამ განმასხვავებელი ნიშნებიც გაჩნიათ, უპირველესად ეს განსხვავება ლაპარაკში, ქცევაში და ზოგიერთ გარეგნულ ნიშანში გამოსჭვივის. ცხადია, ყველაფრის გათვალისწინება შეუძლებელი იყო, მაგრამ ჩვენ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩენოდა მთავარი: კერძოდ ის, რომ ჩემი თანაშემწის მიერ დამზადებული „ადამიანი“ არ იყო ზუსტი ასლი რომელიმე კონკრეტული პიროვნებისა, ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ტიპიური გარეგნობა ჰქონდა. ამ მხრივ, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ ადამიანთა არჩეული ჯგუფის ენის გაშიფვრის დროს ჩემი თანაშემწე თურქე სიძნელეებს წააწყდა. სამაგიეროდ დეშიფრატორებმა შედარებით ადვილად გაართვეს თავი მეზობელი პოპულაციის ენის გაშიფვას და ჩემმა თანაშემწემაც (ალბათ დროის მოგების მიზნით) გადაწყვიტა, რომ თავი ზედმეტად არ ემტვრია: სწეეოდა ადამიანთა იმ ჯგუფს, [illegible] ენაც უკვე გაშიფრული ჰქონდა.

ჰოდა, იგი დაუშვა პლანეტაზე. თქვენ-დამი გამოგზავნილ მის პატაკში, ვიმეორებ, ყველაფერი დაწვრილებითაა აღწერილი, მაგრამ მოვლენათა განვითარების მიზეზებზე კი, ჩემი აზრით, არაფერია ნათქვამი. თავადვი მიზეზი ვფიქრობ, ის გახლდათ, რომ ჩემი თანაშემწე თავიდანვე გამორჩეულის როლში აღმოჩნდა, უპირველესად, თავისი ოდნავ განსხვავებული გარეგნობით, შემდეგ კი იმითაც, რომ მხოლოდ ზოგადად იცოდა ადამიანთა ზნე-ჩვეულებები და, ბუნებრივია, „ადამიანს“, რომლის როლსაც იგი თამაშობდა, კონკრეტული „მეობა“ არ გააჩნდა. ეს ჩემმა თანაშემწემ პლანეტაზე ყოფნის პირველსავე საათებში იგრძნო. იმასაც მიხვდა, რომ ადამიანებს ადვილად ვერ გააცურებდა და მათთან კონტაქტის შენარჩუნებისათვის ყოველ ღონეს მიმართავდა. ალბათ ამით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ „გამორჩეულის“ მანტიაში გახვეული, საკმაოდ პრიმიტიულ დისკუსიებში ებმებოდა ადამიანებთან. ეს დისკუსიები უმეტესად რადაც ზებუნებრივ ძალებს ეხებოდა, იმ ძალებს, რომელთა წარმოგზავნილი თითქოსდა ჩემი თანაშემწე გახლდათ. ასეთი განცხადებები კი დამტკიცებას საჭიროებდა. ამიტომაც იყო, რომ მან რამოდენიმე „სასწაულიც“ (რა თქმა უნდა, ადამიანთა აზრით) მოახდინა. ამ „სასწაულებზე“ უკვე გწერდი. ესენი პრიმიტიული ცდებია: ერთი სოფლის მეორე სოფლად გადაქცევა, მფინარეზე ფეხით გასვლა (აი სად გამოოგა პლაზმფრენი!), ზოგიერთი პარაფსიქოლოგიური ეფექტი და სხვა.

რას მიაღწია ამით ჩემმა თანაშემწემ? ჩემი აზრით, ბევრს: მას მოუსმინეს, დაუჯერეს! მოკლე ხანში შეიძინა მომხრეები და, რა თქმა უნდა, მტრებიც. იგი აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში და მდგომარეობის ბატონ-პატრონი გახდა. ამის შედეგ მოვლენების ისე წარმართვა, რომ ადამიანთა ფსიქიკის

ოთვისებურებები მაქსიმალურად გამოვლენილიყო. ეს კი საშუალებას აძლევდა, ადამიანები ყოველმხრივ შეესწავლა და ექსპედიციის მიზანიც ხომ ეს იყო!

ზემოთ მომხრეები და მტრები ვახსენე. სწორედ მათ ჭიდილში უნდა გამოკვეთილიყო ადამიანთა სამოგადოების მორალური სახე. ასეც მოხდა. ფინალი იცით. ამჯერად „მტრებმა" იმარჯვეს, დაატყვევეს იგი. თუმცა მათ გამარჯვებაში ერთ-ერთ „მომხრესაც" უდევს წილი... აქ არ შევუდგები დატყვევებულის წამების აღწერას. იგი ადამიანებს მორჩილების მაგალითს აძლევდა. ამასთან უნდოდა, დაედგინა მათზე სატყვიები ზემოქმედების მაქსიმალური ეფექტი, მაგრამ ამჯერად არ გაუგონეს, არ შეიბრალეს. თუმცა ეს გასაგებიცაა: ადამიანები ჯერ კიდევ განვითარების დაბალ საფეხურზე დგანან და მათ ფსიქიკაში ბუნებრივია, ქვეშა ინსტინქტები ჭარბობს.

...ჩემი თანაშემწე მოკლეს (ყოველ შემთხვევაში, ადამიანებს ასე ეგონათ), ჩაფლეს მიწაში და კვლავ მიაშურეს თავიანთ კერას — ხისგან გაკეთებულ ცილინდრს.

ჩემი თანაშემწის მისია დამთავრებული იყო. იგი კი, ჩემდა გასაოცრად, ხომალდზე არ ბრუნდებოდა: თურმე გაწამაწიაში პლაზმის ძრავას ჩამოფეული დაზიანებოდა და გადამცემი ანტენის ნაწილიც დაჭარგვოდა (ერთმანეთზე ურთიერთმართობულად გადაჭიდებული ორი გამტარი). მივხვდი, რაღაც უჭირდა, ბევრი აღარ მიფიქრია, ხომალდიდან გაგზავნილი მძლავრი სხივების ნაკადით მოვახდინე პლაზმის ძრავას კონტაქტების პირდაპირი ჩართვა. მაქსიმალური ინტენსივობით მომუშავე პლაზმფრენიდან გამოტყორცნილი გადარეულებული გაზის ჭავლი პირდაპირ ხის კერას მოხვდა და ფერფლად აქცია. ჩემი თანაშემწის გარსაცმის თავთან შეხების შედეგად იონიზებული ჰაერის მოლეკულები მის ირგვლივ კაშკაშა, რკალისებურ ნათებას ჰქმნიდნენ. დაუფიქრებელი ... ეს ... ეს ... ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაყვალა გონაშვილი

დიალოგი

გიყვარს ბუნება? — ერთხელ
მკითხეს და,
მე ვუპასუხე — მე პოეტი ვარ.
— სატრფო გყავს? — მკითხეს, მე
გამეცინა
და ნელა მკერდზე დავიდე ხელი.
— რა ფერი მოგწონს, გიყვარს რა
ფერი?—
მე დავანახე ქართული ზეცა
და როგორც ჩემი ტკბილი ოცნება —
ზეცას ცისფერი სამოსი ეცვა.
— ბედნიერი ხარ? კვლავ შემეკითხნენ
მე ვუპასუხე:
— მე ქართველი ვარ.

სხვაი რა ძალმიძს

ფეხზედ მაცვია ქალამნები სხივით ნაქარგი,
ჰა, გიშრის თმაზეც მზემ თავისი ჯიღა დამადგა,
ეს ხარ-ჯიხვია, დღეს მეუფე და ჩემი სწორი,
და ეს ბერმუხა უბერები — მინდვრის თამადა.
რა ბევრსა ნიშნავს ეს მზის რკალიც თითზე ბეჭდადა,
ჰო, დღეის იქით სულ სხვაგვარი მედება ვალი,
გადვილეწები თავთუხებში ექვსჯერ კივილით,
დედას მიწოდებს ოთხი ვაჟი და ორიც ქალი.
ვაჟებს ყოველჟამს ამირანის ზღაპარს ვუამბობ,
ეთერის ზღაპარს და წიქარას მოვუთხროშ ქალებს,
ვასწავლი ქალებს ერთგულებას, ვაჟებს — სიმხნეევს,
სიკეთის ნერგი სიპ ქვაზედაც რომ გაიხარებს.
თუმცა ავკაცნი ზოგჯერ ამ ნერგს ამტვრევენ ტოტებს,
ჰო, ასეც ხდება, ზოგჯერ ქვეყნად ყვავი არწივობს,
ასე ექვსივეს ხელთ სიმართლის მივცემ კელაპტარს,
რომ საქართველოს მზეი ლამაზ მხრებით ასწიონ.
ვეტყვი, რომ სხვა მზე მეც არადეს დამიფიცია,
რომ არასოდეს არ მიცვლია ფერი და ნირი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხილავ ხელმა გამიმთალა ლერწმის ლეროდან,
მინას სიმღერით მოვუქარგო რომ გულისპირი.
სხვაი რა ძალმიძს, მეც ამ მიწის ვარ ერთი ბელტი,
ადევნებული ოცნებებით უხედნავ ქარებს,
და ჩემი სულის, ჩემი სულის თეთრი შროშანაც,
მხოლოდ ამ ცის ქვეშ, ჰო, ამ ცის ქვეშ
თუ გაიხარებს.

მზის ცრემლი

ლალი თოთაძეს

შენ არ ხარ ქალი,
შენა ხარ ლექსი,
შენ არ ხარ სხივი,
შენ მზის ცრემლი ხარ,
მოგიქსოვია სიზმრის პერანგი,
მერე სიზმარსაც გამოქცევიხარ.
და გაგიშლია თეთრი ლოგინი
და თუმც ეკრძალვი სწორფერს და
სატრფოს,
ჯერ დაუკრეფი შენი მტევნები
აგვისტოს ხვატს და მზის ტორებს
ნატრობს...
რა შორს წასულა შენი მებალე,
დაუკოცნავი გრჩება თვალები.
გადიდგულდები, თუ დაგივიწყა,
დასწყევლი, თუკი შეებრალები.
და შეიკვეცავ სევდისფერ დალალს,
რამეთუ ქარებს ამაოდ სდიე,
შემოვა შენი ლამაზი ლმერთი
და სასთუმალთან დაგიწყობს იებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღუდა აჩაბული

●

მე ისეთ ჭაბუკს რა ვუთხარი და ისეთ ასულს,
იმ ლექსის მწერალს,
    რკინის მჭედელს,
        თუ ყანის მომკელს, —
ხედავდეს ამ ცას,
    ვერ ხედავდეს აწმყოს და წარსულს,
იცოცხლოს რისთვის, არ იცოდეს
    და რისთვის მოკვდეს.

არ ღვაროს, — თუნდაც,
    დავუშვათ და ეს იყოს სისხლი,
არ ღვაროს სისხლი,
ვთქვათ და მამულს დასჭირდა თუკი...
მაშ, აბა, რისთვის, —
    ფრთა შეეისხით
    სიტყვის და ფიქრის, —
ნუთუ მარტოდენ გულისთვის ლუკმის.

ეს ღმერთმა ნუ ქნას, —
    არც ქალის და მითუფრო კაცურს, —
საქმეს ეს არ გავს და ეს საქმე არ გახლავთ სხვისი...
მე ისეთ ჭაბუკს რა ვუთხარი და ისეთ ასულს,
რომელმაც, — მამულს თუ დასჭირდა, —
არ მისცეს სისხლი...

●

თუკი არ ლექსით მოცაკვდა, —
ულექსოდ მოსაკდომელი,
ვინ და სადაა ქართველი? —
ქართველი —
    ვინ და რომელი?

მოიმღეროდა არაგვიც, —
ჭალები არაგვისები...
ყელყელაობდა
    ხოხობი, —
ეყარა შუქი მზისები...

ცხენიდან ლაღად მოლექსე
ჩამო-ვინმე-ხდა მხედარი, —
ცხენს წყალი დაალევინა,
ჩრდილ მოიძია ხეთანი...

დღე იყო მოსაფერები,
მზე — რიდედ მოსახდომელი...
ვინ და სადაა ქართველი,
ულექსოდ მოსაკდომელი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნეტა კი იმას, —
ვინ სიზმარში ხედავს სამოთხეს, —
მე ვნახე — სახედ ჯოჯოხეთის;
(დღის წინ სამოთხის).
პირით სატანის კაცნი ვინმე მოვიდნენ ბნელნი;
მიგლიჯმოგლიჯეს,
მიმოყარეს მთანი და ველნი.
ვის ტყე არგუნეს,
ვის შემკული კეთილად მტილი
წყლით და ჰაერით,
ზაფხულ გრილით
და ზამთარ ტფილით.
ჩვენ კი ნაგლეჯი ერთიცახე მოგვიგდეს მიწის —
შიგაც ურიცხვი
ჩაგვისახლეს
დიაცი სიძვის...
კაცნი იგინი:
ეშმას გულით,
სატანის პირით,
ჩვენთვის მცირედით,
სხვისთვის დიდით წონიდნენ პინით.
გასცეს ყოველი,
ხიზნებად და დაგვყარეს შიშვლად,
ჩვენთვის არც ჩვენი
სადმე ქვა და დატოვეს ქვიშა...
მერე ადგნენ და დაერივნენ ერთმანეთს ლახვრით, —
ტანში მზარავდა
მათი სახის და საქმის ნახვით...
მტრისას ეგეთი, —
მე რომ ოფლი
ვინურე ჭირის...
და ბოლობოლო
გამოვედი სიზმარსა შინით, —
მტერს ეგ სიზმარი;
იმ საქმით და
იმ კაცთა პირით...
გავხედავ არეს, მზე ანთია, ქვეყანა ჰყვავის, —
სამშობლოს თითქოს ჩაუცვია ავაზის ტყავი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრიდონ ხალვაში

ძალი ქარში

რომელიღაც თვის რომელიღაც დღეს,
სოფლის ბოლოში,
ბექობის ძირას,
სველ ქარში,
მარტოდ-მარტო დგას ქალი.

დასცქერის მიწას,
გასცქერის სივრცეს,
და სუფთა-სუფთა ნისლის
ფურცლებზე
წერს თავის ფიქრებს.

მხრები მოხრია
ორმოცი წლის მარტოობის
ზიდვით...

ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ,
სადღაც, ბერეზინასთან
გათხარეს მიწა,
აკრიფეს ძვლები,
და, არაფერი ვატკინოთო,
ხელის კანკალით დაალაგეს
დედის დაქექილ,
ნისლისფერ ლეჩაქზე,
გახვიეს ცოლის საქორწინო
ფერმომქრალ მერდინში,
შეკოჭეს, შეკრეს,
შეახვიეს ულალ ფარაჯაში,
თმაში ჭალარაშერეულმა,
შუახნის გლეხმა, —
იმ ძვალთა შვილმა,
გადმოინვინა მკლავზე ჩვილივით
და საკუთარი ყმანვილი მამა
ჩამოასვენა მშობელ მთაში და
ჩალის ზვინთან

ბოხჩა გახსნეს და
ხელმეორედ, ისევ, უბრალოდ
ააგეს კაცი,
და შვილმა დედის წინაშე გლოვით,
ჩვილ, მჭლე მიწაში, ხელმეორედ,
მამის ძვლები დასასფლავა.

აქ ურბენია მას ფეხშიშველას,
ჩიტზეც არ ჰქონდა
თოფი ნასროლი,
იმ დღეებამდე...

ომის მესამე საღამოზე,
ლურჯ, ცხელ და მნარე ზაფხულში,
დასავლის ტყიდან,
წივილით გამოვარდა ტყვია,
სანგრიდან ამდგარს ეტკინა მხარი,
ხელი მიიდო, —
ლურჯ თითებზე სისხლი დიოდა
მდორე ლეკერტად,
ცხელი და სქელი,
როგორც კინტრიშის ლანქერი
მარტში.

გაშავდა ველი,
დაიძრა მინა ცისკენ,
ცა კი, ზღვასავით ლურჯი და სველი,
დაიქცა ველზე....

მაგრამ იქ, ბუჩქთა შემჭკნარ
სარკმლიდან
იცქირებოდა ქალი, — ლოდინი.
ახლა აქ, მიწის პატარა,
ნედლ გორაკთან,
დგას ქალი ქარში
და ნისლებზე წერს თავის ფიქრებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ნააღრევი ჭალარა,
მზერა სევდანარევი,
გნახავ, გაინასკვება
გულში ნაიარევი.

მიკვირს, როგორ შევძელით,
როგორ გადავივიწყეთ
ის იები, ის ხევი,
ის სახლკარი, ის მიწა.

რა საკეტით ჩაკეტე
ის ლამაზი კარები? —
ველარ ვაღებ, გარი-გარ
ნაღვლით დავიარები.

●

მშობელო, ვერ დავივიწყებ
რა მზეც მაგ ღიმილს ერია,
ბავშვების ყველა ყვირილზე
შენი სახელი წერია.

●

ცხოვრება თუმცა მკაცრია,
კარგია, თუ კი მაცლიან.
თუნდ უნამუსოდ ნამუსრი,
ნაზელი აურზაურში,
ამ წუთისოფლის ნაგლეჯიც
ხელიდან ველარ გავუშვი.

შენ გეუბნები

მიყვარს სმა წინანდალის,
უფრო მიყვარს მანავი,
ჩხავერი კი ყველას ჯობს,
რაა დასამალავი?!

სასახლეს მირჩევნია
ჩემი ყავრის კარავი,
მისი ჭერის დირე ვარ,
ფუძე მისი ბალავრის.

მისი დარდის მთქმელი ვარ
და ალალი სალამის,
ის ნატვრაზე მეტია,
თავზეც უფრო მთავარი.

ვჩქარობ, მიადვილდება
ყველა გადასავალი,
შუბლზე ნისლი მეპნევა,
როგორც სატრფოს დალალი.

მალალი და თამამი
პატივს ითხოვს თავანი,
ჯაჭვზე — დედის კარდალი,
უკვე მოსაკალავი.

მისი ნაცარკვერა ვარ,
გვიან გამონაცხვარი,
მის კლარჯულის მტევანში —
ერთი მწიფე მარცვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მქონდეს ვალი ამ მთების,
მე არ მინდა სხვა ვალი,
  აქ ხიფათიც მელოდეს
მრავალი და მრავალი.

აბა უფრო ლამაზი
  ქვეყანაზე რა არის, —
რომ პატრონობ სიცოცხლეს
  და წინაპრის სამარეს.

მჯერა, ეს დღე ჩემსავით
  არ უყვარდა არავის,
თუ არ გიყვარს, ვერც უმღერ,
  რაა დასამალავი?!

●

ეს დღეც მოსულა.
  სხვა ნათელით აშენებული,
როცა ფოთლები წერენ
  ისეთ მწვანე სტრიქონებს,
არ მემეტება წასაკითხავად, —
რომ არ გათავდეს და არ დაღამდეს.

— იქროლე! — ნიავს ვეხვეწები
  და ფოთლის ენით
ამბობს ნიავი:
  დიახ, ვიქროლებ.

„...საჭიროა, რომ ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა თავისი განათლება, თავისი სწავლა და აღზრდა შეაერთოს მუშათა და გლეხთა შრომასთან, რომ ის არ ნაიკეგოს თავის სკოლებში და არ დაკმაყოფილდეს მხოლოდ კომუნისტური წიგნებისა და ბროშურების კითხვით. მხოლოდ მუშებსა და გლეხებთან საერთო შრომაში შეიძლება გახდეს ნამდვილი კომუნისტები“.

ლენინი
(თხზ., გ. 31, გვ. 358).

აგერ რამდენი წელიწადია

ჩემს ფიქრს და მზერას
მუდამ სწადია,
გასცდეს, თვალისთვის
რაც ხილვადია,
აგერ, რამდენი
საუკუნე და
აგერ რამდენი
წელიწადია.

ჩემს სულს, უცნაურს,
მუდამ სწადია,
ჩასწვდეს, დიადზე
რაც დიადია,
მისთვის სრულიად
არარას ნიშნავს,
რაც ნაპირზეა
და რაც ცხადია.

ჩემს ფარულ ძალას
მუდამ სწადია,
შექმნას ის, რაიც
არაქმნადია,
ჩემს სამყაროში
მარად ამგვარნი
ჯერ არშექმნილნი
სულნი დადიან.

ჩემს მწყურვალ მზერას
მუდამ სწადია,
შუქი იქ ნახოს,
სად წყდიადია,
და თვით ეს მზერაც იმ მიწისქვეშა
მდინარეების
შენაკადია.

სულს — დიდ მებაღეს —
მუდამ სწადია,
გაზარდოს ის, რაც
არაზრდადია,
არაა კერძო ეს
ღრმა სურვილი,
ის — უძიროა,
ის — ყოვლადია.

და ოცნებანიც
ურიცხვ ბადიან
იდუმალების
ფსკერზე დადიან,
აგერ რამდენი საუკუნე და
აგერ რამდენი
წელიწადია!

●

მარტოობისკენ
რად გვიბიძგებს ყოველი წამი?
რაა ცხოვრება?
გრძელი სრბოლა?
თუ მცირე ჩქამი?
ყოველი დილა —
სიკვდილია კიდევ ერთ ღამის,
გამარჯვებებიც —
დაკარგვაა მრავალი რამის
(გასავლელი გზის, სურვილების...),
და რბოლა თუა —
ესაა რბოლა ორ გაუვალ
უფსკრულეთს შუა!

სიბნელინაკენ სიბნელიდან —
ამნაირ სცენარს
ვემორჩილებით. ხან კი ჩვენვე
ტაშს ვუკრავთ ზენარს!
ჩართული არის საათები —
გვღვიძავს თუ გვძინავს.
ცოტა ხანს დავტკბები —
ცისკიდური ამიტომ ბრწყინავს.
ნუ ჰკითხავთ „რისთვის?“ —
ხმას ჩაახშობს ზუზუნი ქარის,
და ამას გარდა,
მოპასუხეც არავინ არის...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგონებები სულს სევდას აცრის
(თოლია თეთრ ფრთებს იქნევს),
არ შეიძლება გაჩხრეკა ნაცრის —
დაბლა ცეცხლია იქნებ!

დაბინადრებას ფიქრს ვინღა აცლის,
რამდენი ზარი რეკავს!

არ შეიძლება გაჩხრეკა ნაცრის
მაგრამ მე მაინც ვჩხრეკავ.

არსად ამოხსნილ კითხვებს შეები,
გარს სიოეთრეა ცარცის,
შვებას არ გაძლევს შენ სივრცეები:
არც ეს, არც ეგ და არც ის...

უსაზღვროება

უსაზღვროება! — გაჩირაღდნებულს არ ეკარება ღამის ცას რული;
უსაზღვროება! — არ დაჰყოლია არც დასაწყისი, არც დასასრული;
უსაზღვროება! — ფიქრი ყოველი დაინისლება, დაილიბრება,
უსაზღვროება! — არავის უფრთხის და არც არავის არ ეჯიბრება;
უსაზღვროება! — არა აქვს არსად მას გზა განვლილი თუ გზა სავალი,
მასში ერთნაირ ძალით ინთქმება არსი მუდმივი და წარმავალი,
უსაზღვროება! — იგი გარს გვეკვრის, ის გვერდით არის და თან შორია,
მას ყველაფერი მიმოულწავს, ნაულეკია, დაუტბორია;
უსაზღვროება!—ის ჩვენ გვანათებს, როგორც ანათებს ბნელ ღამეს მთვარე!
მისით იწყება ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სიმშვიდე და სიმშფოთვარე,
სიგრძე გზებისა, სიღრმე უფსკრულთა, სიმაღლე ცისა, სიფართე მზერის—
იგი მდუმარებს, იგი მრისხანებს, ბორგავს, განგაშებს, მბრძანებლობს,
მღერის.
უსაზღვროება! — ჩვენი კითხვები, ჩვენი ეჭვები, ჩვენი მიზნები,
მარადმბორგავი ზღვის ლურჯი ყურე — შესაფარებელ-შესახებნები,
ერავალი ლტოლვა უგზო-უკვალო, ზვირთთა-ტალღათა მიმოქანება,
დაუსრულები მფრინავი ფიქრი, ქარიშხლად ქცევა და მრისხანება;
უსაზღვროება — გრძნობათ აკლება, ფიქრების ელვა, ხმათა თარეში,
მას ვერასოდეს ვერ შევედრებით ვერც სიმდოვრეში, ვერც სიჩქარეში,
ვერ ამოგნურავთ სურათებს მისას ჩვენ ვერც სიცხადით და ვერც ზმანებით,
ვერც გულგრილობით და ვერც უსაზღვრო დაუოკებელ აღფრთოვანებით.
უსაზღვროება! — მასში გრძნობათა ნამარხებია ფენად და ფენად,
მაგრამ ცივია — ის არ ისწრაფვის თავისი არსის წარმოსაჩენად,
მისთვის ყოველი სულერთი არის, რადგან მასშია ისიც ყოველი,
უსაზღვროება — ათასნლეულთა დაუნანებლად მიმომთოველი.
სადა აქვს არსი, სადა აქვს გული, სადა აქვს ფიქრი, სადა აქვს გრძნობა?
რა უნდა იყოს იმისთვის მარცხი, რა უნდა იყოს მისთვის ჭირლობა?
ის სამყაროთა სრულქმნილებაა, უცხო სხივებით ოქროცურვილი,
ღით შეიძლება ჰქონდეს მიზანი, ვით შეიძლება ჰქონდეს სურვილი?
უსაზღვროება! — ეს არის ერთად სრული ტყვეობა, სრული მეფობა,
მისი ტკივილი — ეს მარტოდმარტო არის ტკივილის არარსებობა;
და მაინც — თითქოს აშკარად ვხედავ, თითქოს ვგრძნობ მე მის საზღვარს
და კიდეს:
რომ, ყოვლისშემძლეს, არ შეუძლია თავისი საზღვრის გარეთ გავიდეს!

უსაზღვროება! — ყოფიერების ნახტომი შორი, თავგანწირული,
როგორც გრიგალში, როგორც მორევში ჩვენ მარად მასში ვართ ჩაძირულნი!
უსაზღვროება! — გაჩირაღდებულს არ ეკარება ღამის ცას რული,
არ დაჰყოლია ფიქრები, ზომა, გზა, დასაწყისი ან დასასრული...

ი ყ უ ჩ ე თ!

ყოველდღიურნო იყუჩეთ ხმანო,
მინდა მივაპყრო მარადიულს არხი სმენისა, —
გადაშლილია კოსმოსი — პანო,
უსაზღვროების წიაღებმა მზერა შენისა;
ყური მიუგდეთ — მარადისი ისმის შრიალი,
იგი ისმოდა ათასწლის წინაც,
გადაფენილან სილურჯენი ათასშრიანნი, —
ცისფერი, მწვანე, იისფერი გარსები ბრწყინავს.
იყუჩეთ ერთწამს, ნუთუ ასე ძვირად ითმობა
თქვენი ფუსფუსი? სხვა მხარეთა მინდა ძიება,
ეპატიება ლექსს ურითმობა,
უსაგნობა კი მას არაფრით ეპატიება;
აგერ — ჯუნგლები ვარსკვლავების. პლანეტა იწვის;
სინათლის წლები. ძახილი მუნჯი.
წევს გალაქტიკა სპირალებზე. დე იწვეს, იწვეს!
ვიღაცა ხატავს. იღლება ფუნჯი.
თქვენ კი ფიქრები წარმავალი რად შემიქუჩეთ?
ყოველდღიურნო ხმანო, იყუჩეთ!

ფიქრის ქარი

აიშალა კვლავ სამყარო, სახეების უცხო გუნდი,
მოდი, ფიქრის მძაფრო ქარო, ახალ ძალით აგუგუნდი!
არის ჩემი ხსოვნის წლები მრავალ ფიქრთა შეერთება,
გრძნობათ ხშირი ხვეულები ჩუქურთმებად იკვეთება.
შორმა ხმებმა სული ჰმოსეს, აზრი შეჰკრეს, როგორც ლოდი,
ფიქრებს, ვნებებს და ქაოსებს მე არასდროს გავურბოდი.
მე წრფელ განცდებს ცეცხლზე ვწვავდი, წუთებს
ნთქავდა დროის ღელე,
მე მტკრულ ძალებს დავუზავდი მხოლოდ როცა გადავთელე.
იზრდებოდა მთებზე დეკა, მასაც ზეცის ხილვა სურდა,
რამდენი რამ წაილეკა, რამდენი რამ განადგურდა,
მაგრამ ჰქროდა მაინც ელვა და წიაღში ურიცხვ ხმათა
დაიბადა სულის ღელვა, რამაც დროსთან იკამათა.
მინდორ-ველნო, სიოს ხმებო, არის ნეტარ წუთთა ჯერი,
სასურველი, საოცნებო შეპოავლეთ სივრცეს ფერი,
აიშალა კვლავ სამყარო, სახეების უცხო გუნდი,
მოდი, ლექსის მძაფრო ქარო, ახალ ძალით აგუგუნდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ზ ე ბ ი

გ ზ ე ბ ი და გზები, გზები თელილი—
გულზე ნახმლეკად მაქვს დაჩენილი.

მე სხვაზე ადრე ავიდგი ფეხი,
მე სხვაზე მეტი დამატყდა მეხი.

მე სხვაზე ადრე გამიტყდა ანძა.
და განსაცდელის მომიხდა განცდა.

მე სხვაზე მეტად მცემდა პირქარი,
გზებს კი... აოასი გზებით მივყავდი!

ვიარე წლობით,
ვიარე წლობით,
საუკუნეებს ვთელავდი ფეხით,
ხან სიღატაკეს, შიმშილს ვებრძოდი
და ხანაც მეფის მეჭირა კვერთხი.

მწვავდა აფრიკის უდაბნო ცხელი,
განვვლე აზია,
ველი ინდოთა,
ვიარე ფეხით, ვიარე ცხენით,
ქართული მიწა მუჭით მიმქონდა.

არაბეთს ვიყავ: მეფე როსტევანს
მე დავეთხოვე მოყმის საძებრად,
რომში ბედკრული ეპოქის მსტოვარს
პაპი ქრისტეს ჯვრით ნუგეშს
მაძლევდა.

იერუსალიმს — ჯვრის მონასტერში
ერთი სანთელი მეც ამინთია,
ვიარე ქარში,
ვიარე მტვერში,
ეს არც სიცრუე და არც მითია.

ფერეიდნამდე ფეხით ვიარე,
გავკვალე გზები სისხლით და
ოფლით,
ამყვა სიმღერა სამგლოვიარო,
ვით სამძიმარი მუხთალი სოფლის.

ირანის მზეთა ასაბრწყინებლად
ვლეწდი ბაღდადის ციხის გალავანს,
ცვეთდა შაგბნელი დროის დინება
ქართულ მახვილს და ქართულ
ქალამანს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვოლგაზე თავქვე დავყევი ხომალდს,
ასტრახანამდე რომ მომეღწია,
უკრაინაში თმას დამათოვა,
ბოროდინოზე ვიყავ მესია!

ვიარე,
ვიარე,
ვიარე,
ვიარე,
გზებით ვუხვევდი მამულს იარებს!

გზები და გზები... გზები თელილი
გულზე ნახმლევად მაქვს დაჩენილი,

მე სხვაზე მეტად მცემდა პირქარი,
გზებს კი... ათასი გზებით მივყავდი!

●

ვუძღვნი ფ-ს.

ჩემი ღვინით, ძველი ღვინით ვავსებ თიხის ფიალებს,
ჩემს ციხეზე ისევ ჩემი ბაირაღი ფრიალებს!

ისევ ჩემი ზღვის ტალღა მლოკს საყვარელი
ძაღლივით,

კვლავ ახალი ენერგიით ფეთქავს მაჯა დაღლილი.

ისევ მიხმობს მეციხოვნის მოწოდების საყვირი,
მოვარდნილა ჩემი ლაფშა გაქაფული აღვირით.

ისევ ჩემი სიმღერაა ქარს რომ მოაქვს მთებიდან,
მეგობარო, ბანი მომეც ძველი აღმაფრენითა.

ჩემი ღვინით, ძველი ღვინით ვავსებ თიხის ფიალებს,
ჩემს ციხეზე ისევ ჩემი ბაირაღი ფრიალებს!

ვ რ ე დ ო

რაა ცხოვრება, თუ არ იომე,
არ შეელენე ფრთებით ქარიშხალს,
გზას რომ დაეძებს, გზას საიოლეს,
ის გუდაფშუტა გული დაიფშვნას.

დაიწვას ქვეყნად ყოველი სიტყვა,
თუ გულს ზღვის ტალღად არ მოესია,
ხმლით აჩეხილი ლექსები მიყვარს
და სისხლნადენი მწამს პოეზია!

იოსებ აფციაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ აფციაურმა და მე ოცი წლის წინ ერთად დავამთავრეთ უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. სანიმუშო სტუდენტი იყო, მორცხვი და თავმდაბალი ყმაწვილი. ლექსებს მაშინაც წერდა, მაგრამ იშვიათად თუ გამოაჩენდა, ერიდებოდა. არც იმხანად და არც მერე რედაქციები არ შეუწუხებია, ჩემი ნაწერები გამოაქვეყნეთო, თავის კუთხეს, თიანეთის რაიონის სოფელ ზემო ნაქალაქევს დაუბრუნდა და დღემდე ბავშვებს მშობლიურ ლიტერატურას ასწავლის. დარწმუნებული ვარ, მასწავლებელიც ისეთივე გულდადებული იქნება, როგორიც სტუდენტი იყო.

ადამიანის გონება წარმოუდგენელ სივრცეებს დაეუფლა, თანამედროვე ასტრონომიულმა ხელსაწყოებმა საშუალება მოგვცა აღმოგვაჩინა კვაზარი, რომელიც 18 მილიარდი სინათლის წელიწადით არის ჩვენგან დაშორებული. იგი აღმოაჩინეს ოპაიოს უნივერსიტეტის ასტრონომებმა და უწოდეს OH —471.

ოდესაც მაინც რომ წარმოვიდგინოთო, რამოდენა მანძილია ეს კვაზარი ჩვენგან დაშორებული, გავიხსენოთ, რას ნიშნავს სინათლის წელიწადი. სინათლის სხივი ერთ წამში გადის 300 000 კილომეტრს, ანუ 1 მილიარდ სინათლის წელიწადი ზედან ამ მანძილს, რასაც სინათლის სხივი გაიარებენ ერთი წლის მანძილზე. ანგარიშით, რომ თავი არ შეგაწუხონთ, პირდაპირ ვიტყვი, ეს მანძილი დაახლოებით ათას მილიარდ კილომეტრს შეადგენს. ერთი სიტყვით, ჩვენგან ამ უშორეს კვაზარამდის მანძილი ადამიანის ყოველგვარ წარმოდგენებს აღემატება. იგი უფრო 18 მილიარდჯერ ათას მილიარდ კილომეტრს. ბეერიც რომ ვეცადოთ, ჩვენი გონება ვერ ეიაქნაბერებს ამოდენა სივრცეს.

მაგრამ ადამიანი მარტო სივრცეში როდი აფართოებს თავისი ცოდნის ... რადიუსს. იგი მატერიის სიღრმეშიც შეიჭრა.

„ატომი", ანუ „განუყოფელი" — ოცი საუკუნის წინ წარმოთქვეს ეს სიტყვა ძველმა ბერძენმა მატერიალისტებმა. ოცი საუკუნე დასჭირდა ამ მითის გაჭარწყლებას და აღმოჩნდა, რომ თვითონ ატომია მთელი სამყარო. დაამტკიცეს, რომ იგი შედგება გაცილებით მარტივი ელემენტებისაგან. ესენი არიან პროტონები, ნეიტრონები და ელექტრონები. სულ მალე კი აღმოჩენილი ელემენტარული ნაწილაკების რაოდენობამ ორასს გადააჭარბა. ეს ნაწილაკები მეცნიერებმა „მატერიის პირველსაფუძვლების" სახით მონათლეს. მაგრამ არიან კი ისინი „მატერიის პირველსაფუძვლები?" ამ ნაწილაკებით იწყება კი ყველაფერი და ნამდვილად წარმოადგენენ განუყოფელ ატომებს?

ასეა თუ ისე, ადამიანი უკვე შეიჭრა მატერიის 10-13 რადიუსის მჭიდე ბირთვში. აქვეყარად დღესდღეობით მეცნიერების დაკვირვების არეშ მოაწია 10-41. ს.

როცა მეცნიერება და ტექნიკა ასე წავიდა წინ, რა იცის დღეკვანდელმა ადამიანმა ამის თაობაზე? ბუნებრივია, ცალკეული დარგების სპეციალისტებს არ ვგულისხმობთ.

ადამიანებმა იციან, რომ არსებობს ალბათობის თეორია, არსებობს ფარდობითობის თეორია, კვანტური მექანიკა, ელემენტარული ნა-

წილაკების სამყარო, მეტეოგალაქტიკა, ნაწილაკები და ანტიწაწილაკები... მაგრამ ისინი არ იცნობენ ამ თეორიებსა და ცალეული მოვლენების არსს. რადგან მათი ცოდნა მხოლოდ ჟურნალისტურ ინფორმაციაზეა დაფუძნებული. ინფორმაციები ძალზე ზედაპირული ჩანან და ადვილშესაწვდომ მხოლოდ მოვლენას, როგორც ფაქტს, და არ ეკუთვნიდნენ ამ მოვლენის არსს.

სკოლაში დღესაც ფიზიკისა და ასტრონომიის თითქმის იმავე პროგრამით ასწავლიან, როგორც ათიოდი წლ<u>ის</u>ის წინ. ძალზე ფრთხილდა რომ ასწავლიან, სკოლის პროგრამა მაინც ვერ დაიტევს თანამედროვე თეორიული ფიზიკისა თუ ასტრონომიის მიღწევებს, ან როგორც ფიზიკოსი და მწერალი ფაინიდ წერს: „ჩვენ სკოლაში ვსწავლობთ მხოლოდ ძველი ფიზიკის საწყისებს და ყველასთვის საჭიროებულ საშუალო სკოლა კაცობრობის უმეტეს ნაწილს რატომღაც დღემდე მხოლოდ კლასიკურ წარმოდგენებს ასწავლის. სკოლის დამთავრების შემდეგ კი მოსწავლეთა დიდი ნაწილი უკვე ალარ უბრუნდება ფიზიკას: ყოველ ადამიანს საკუთარი ცხოვრება, ინტერესები და საზრუნავი უჩნდება მისი მოდგენეობის მიხედვით. სკოლის მერეზე ჩვენ ვაბრუნებთ, გავდგეთ ნიუტონის თანამედროვეენი, მაგრამ ანიშნებანამდე ვეღარ ვაღწევთ...“

არის კი საჭირო, ადამიანი ღრმად იცნობდეს ფიზიკისა და ასტრონომიის დღევანდელ მიღწევებს? — შეიძლება ვინმემ დასვას ასეთი შეკითხვა. არ შეეძლებინ თუ ვიტყვე, რომ ამ შეკითხვას ამ ცხოვრებამ გასცა პასუხი, — დამოკიდებულებით, ჰუმანიტარული დარგის წარმომადგენლებიც დაფუძენელ ლტოლვას იჩენენ მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებისადმი. მეცნიერებისა და ტექნიკის ჩემი მეგობარი ფილოლოგებიც შეუწერებენ ჩემი მეგობარი ფილოლოგების ლაპარაკი ფარდობითობის თეორიაზე თუ კვანტურ მექანიკაზე. კამათიც თავდავიწყებით, კამათიც ეატაცებით და ამ დროს... არ იციან რა არის კვანტი...

ეფიკრძ, აუცილებელია ყველას ჭკოდეს გარკვეული წარმოდგენა თანამედროვე ფიზიკის უსლეს მიღწევებზე. წარმოუდგენელია დღევანდელი მოაზროვნე ადამიანი ფიზიკისა თუ ასტრონომიის იმ საიაფლთა ცოდნის გარეშე, რომაც მთელი გადაჯარიალება მოახდინა ბუნებისმეტყველებაში. ამით ისის თქმა როდი მსურს, რომ ყოველი ადამიანი ღრმად დაეუფლოს ფიზიკას. მაგრამ მჯერა, სწორია მოსაზრება, რომ სასურველია ყველი ინტელიგენტმა იცოდეს, დღეევანდელმა ფიზიკამ როგორ შეცვალა ადამიანის წარმოდგენა სივრცესა და დროზე, მატერიისა და ენერგიაზე. სამწუხაროდ, საკმაოველოლმი არ არსებობს ტექნიკურ-სამეცნიერო მწერლობა და ჟურნალისტიკა. არ მაგონდება არც ერთი პოპულარული წიგნი ტექნიკისა თუ მეცნიერების საკითხებზე, რომელიც ადვილად მაინც ამოიცანოს ჩვენი მწერალ-ჟურნალისტიკის ეს ვაკუუმი. გავიხსენოთ, რამდენი მშვენიერი წიგნი დაიწერა ფიზიკის, ასტრონომიის და სხვა მეცნიერებათა ბრწყინვალად საკითხებზე რუსულში და საბჭოთაკავშირეთ. ქართველ ენაზე მხოლოდ მათ უმნიშვნელო ნაწილის თარგმნაება თუ მოგვეკოფება. ხასურველი კი ის უფროა, საკუთარი მწერლებმა ან ჟურნალისტებმა წიგნები ამშვენებ-დნენ ქართველი მეთხველების წიგნის თაროს.

ჩემი ღრმა რწმენით, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში აუცილებელია ერს ჰქონდეს მაღალგანათლებული სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალისტიკა. მაგრამ ეს პრობლემა არაა იოლად გადასაწყვეტი. სამეცნიერო-ტექნიკურ ჟურნალისტიკაში ჟურნალისტი ვერ იმოქმედებს, მას თუ სერიოზული ტექნიკური ვანალოლება არა აქვს მიღებული. ამიტომ, ეფიქრობ, ამ დარგისათვის ტექნიკურ დარგებზე მოწაფეთა სტუდენტთა შორის უნდა მოყვებოდნენ ლიტერატურული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები, შემდეგ კი დევანიტეტსთან და ჩაგვანთ ჟურნალისტურ მუშაობაში. რაც უფრო ღრმად ჩასწვდებიან ისინი დღევანდელ ფიზიკის, ასტრონომიისა თუ სხვა სამეცნიერო დარგების არსს, მით უფრო სადად და გასაგებად დაწერენ ამა თუ იმ საკითხზე.

მაგონდება ერთი მშვენიერი წიგნი „ფიზიკა ყველასთვის“. წიგნის ავტორები არიან ლ. ლანდაუ და ა. კობეიგოროწსკი. წინასიტყვაობაში ავტორები წერენ: „როდესაც მკითხველი ამ წიგნს ხელში აიღებს, პირველად ასეთი კითხვა დაებადება: „ვინ „ყველასთვის““

რასაკვირველია, ეს ხალოური ცოტა გადაჭარბებულია. ჩვენი მეთხველისათვის საკმარისია ასსაოლი ალგებრის საფუძვლანი ცოდნა...“

ჰუმანიტარული დარგების წარმომადგენელი, ვისაც ეს წიგნი ხელთ აუღია, ალბათ დამეთანხმებიან, რომ შიგ ბევრი ვერაფერი გიგიგია. ან ძალზე მცირეოდენ რამ შემორჩა მათ მეხსიერებას. ისინი, დარწმუნებული ვარ, ნახტომებით კითხულობენ ნაწილებს თავისთავად ძალზე მშვენიერ წიგნს. ახტებიდნენ... ფორმულებს. ფორმულებში კი ძალზე უხვადაა ამ სქელლანანი წიგნის ვეკრიდებზე.

არ უნდა დაგვვიწყოდეს ერთი ჭეშმარიტება: მოსწავლეთა ის დიდი ნაწილი, რომელიც ჰუმანიტარული დარგებისადმი ამეღავნებს მიდრეკილებას, მწერალად არიან ალგებრასთან, ფიზიკასთან და სხვა ტექნიკურ სამეცნიერო დარგებთან. ხოლო სკოლის დამთავრების შემდეგ მალე ავიწყდებათ ნიუტონის ბინომი თუ

ბურაბ შანგლიანიძე
ციანსკი-ფიზიკა — XX საუკუნის
ბარბაროსებრა?

ავოგადროს კანონი, ვექტორი თუ მექანიკური ენერგიის მუდმივობის კანონი.

სწორედ ამის გამო, რომ გარდა ტექნიკური განათლების მქონე ადამიანებისა, ლ. ლანდაუსა და ა. კიტაიგოროდსკის წიგნი მკითხველისთვის გაუგებარი რჩება.

მინდა ერთ მშვენიერ წიგნზე ვივამახვილო ყურადღება, რომელიც კარგა ხნის წინ გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა". ესაა დანიელ დანინის „უცნაური სამყაროს გარდუვალობა".

სათაური ნუ შეგვაშინებს. იგი არაა ისე მიმზიდველი, როგორც, ვთქვათ, იგივე „ფიზიკა ყველასთვის" ან „ფარდობითობის თეორია ყველასთვის". პირიქით, სათაური არც კი მოგვანიშნებს რაზეა წიგნი დაწერილი, და სანამ მთარგმნელთა მოკლე წინასიტყვაობას არ წავიკითხავთ, ვერც მიეხვედრებით ფიზიკის რა კარდინალურ საკითხებს მოიცავს იგი. რით განსხვავდება დანიელ დანინის წიგნი სხვა მეცნიერთა მიერ შექმნილი ანალოგიური წიგნებისაგან? უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ავტორმა ხუთასგვერდიან წიგნში ისე მოგვითხრო ფარდობითობის თეორიისა და კვანტური მექანიკის იდეებზე, ისე გაგვაცნო ელემენტარული ნაწილაკების სამყარო, რომ თითქმის არ უსმარია ფორმულა (წიგნის ფურცლებზე გვხვდება მხოლოდ ალბერტანის ნაწილაკის მახისა და ენერგიის დამოკიდებულების ფორმულა $E=Mc^2$; დე ბროლის ელექტრონული ტალღების სიგრძის ფორმულა $\lambda=\frac{h}{MV}$; ჰაიზენბერგის უზუსტობათა თანაფარდობის კანონის გამომხატველი ფორმულა $\Delta x \cdot \Delta p \geqslant h$ და პლანკის ფორმულა $E=h \cdot \nu$. ეს უკანასკნელი გვიჩვენებს თუ როგორ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სხივური ენერგიის სხვადასხვა კვანტები ელექტრომაგნიტური ველის რხევის სიხშირით ანუ ელექტრომაგნიტური ტალღების სიგრძით).

არც ესაა მთავარი. ავტორის ლაღი ენა, მეცნიერული მოვლენების საფუძვლიანი გაანალიზება, მისი შესაბამისი მაგალითების მოყვანა და სხვა მრავალი მწერლური თუ ჟურნალისტური ხერხი ძალზე გასაკვნს ხდის თანამედროვე ფიზიკის ურთულესი საკითხებისადმი მიძღვნილ წიგნს.

თავიხებური ხერხი აირჩია მწერალმა თავისი წიგნის შესაქმნელად. იგი მოგზაურის ჩანაწერებია, დიახ, მოგზაურისა, მაგრამ... სად იმოგზაურა წიგნის ავტორმა? ყური მივუდგთ თვითონ დანიელ დანინს. იგი წიგნს პატარა შესავალით იწყებს, სადაც ვეთხოვლობთ: „მოგზაურები შორეულ კვეყნებში მიღებულ შთაბეჭდილებებზე წერენ. მოგვითხრობენ, რამ მოხიბლა ისინი, სად რას წაიწყდნენ ახალს და უჩვეულოს. ისინი მათთვის წერენ, ვინც ამ ქვეყნებში არ ყოფილან.

თანამედროვე მეცნიერებაში ბევრი რამ ახალ. ყოველი ჩვენგანისათვის უცნობი. ეს წიგნი თავისებური მოგზაურის ჩანაწერებია. ავტორი მოგზაურობს მატერიის ელემენტარული ნაწილაკების განსაცვიფრებელ სამყაროში, სადაც მის თვალწინ მოულოდნელი იდეებთა და წარმოდგენებით აღსავსე თანამედროვე ფიზიკის საოცრებანი იშლება, შემდეგ კი თავის შთაბეჭდილებებს მოუთხრობს იმით, ვისაც ჯერ არ უფლია ამ გზით".[1]

მართლაც უცნაურ „ქვეყნებში" გადაუუყვია ეს მოგზაურობა ავტორს. ჯერ იგი მკითხველს აცნობს იდუმალ სამყაროს, სადაც ალბერტანის ფარდობითობის თეორიის კანონები ბატონობენ, მერე კი ვვაცნობს კიდევ უფრო იდუმალ და უცნაურ შიდაატომურ სამყაროს.

მეგზურებიც თან ახლავენ მწერალს ამ „ქვეყნებში" სამოგზაურად. შეიძლება მკითხველმა ეაიკვირვოს, რომელ მეგზურებზე შეიძლება აქ ლაპარაკი. დიახ, მეგზურებიც ძალზე თავისებურნი არიან. პირველ სამყაროში ავტორს თან მიჰყვება სინათლის ელემენტარული ნაწილაკი— ფოტონი, ხოლო მეორე — შიდაატომურ სამყაროში მწერალს მეგზური იქნება მუხტის ელემენტარული ნაწილაკი ელექტრონი.

სანამ ვილაპარაკებდე როგორი ოსტატობით გადმოგვცა ნაწილი დანინმა თავისი „ტურისტული შთაბეჭდილებანი" მინდა მკითხველს ფართოდ გავაცნო ის საკითხები, რომლებსაც ეძღვნება წიგნი „უცნაური სამყაროს გარდუვალობა".

ფიზიკის ისტორიაში მრავალ მნიშვნელოვან თარიღთან ერთად შეიძლება ორი თარიღიც დავასახელოთ. პირველია 1895 წელი, ხოლო მეორე — 1896 წელი. პირველ თარიღთანაა დაკავშირებული რენტგენის სხივების, ხოლო მეორესთან რადიოაქტიობის აღმოჩენა. ეს ორი თარიღი მხოლოდ იმიტომ ვამოვყავით მრავალი მნიშვნელოვანი თარიღისაგან, რომ უშუალო კავშირი აქვს განსახილველ პრობლემასთან.

სწორედ რადიოაქტიობისა და რენტგენის სხივების აღმოჩენის შემდეგ შეიძლებოდა კაცს დამდგარიყო აზრი, რომ ატომოფერშიც არსებობს ყველგან შემდწვეი რადიაცია. ამ რადიაციას შემდგომში კოსმოსური სხივები უწოდეს. კოსმოსური სხივებს სადღაც შორს, სამყაროს უსასრულო სიღრმეში უნდა ჰქონდეს დასაბამი. ისინი ყველა მიმართულებით სერავენ სამყაროს

[1] აქაც და ყველგან ციტატები მოყვანილია ზ. ტრეშჩაძის, გ. ტრეშჩაძისა და ვ. ხიღერეულის მშვენიერი თარგმანიდან. წიგნის რედაქტორია ზ. ახლელიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ბუნებრივია, ჩვენს პლანტაჟდეც აღწევენ. ფიქრობენენ, რომ სწორედ ისინი იყვნენ მატერიის პირველსაფუძვლები. მაგრამ, როგორც შემდგომი გამოირკვა, ისინი მეორადი კოსმოსური სხეულნი ყოფილან, რომლებიც ატმოსფეროში წარმოიშობიან პირველადი ნაწილაკების ატმოსფეროსთან შეჯახების შედეგად.

სანამ შეკვეხებოდეთ თვით ელემენტარულ ნაწილაკებსა და მის ბუნებას, მანამდე რამდენიმე სიკეთისა უნდა განვიხილოთ. ამ საკითხების განხილვის გარეშე ძნელი იქნება ელემენტარული ნაწილაკების ბუნების დახასიათება.

არსებობს ერთი ქიმიური პროცესი, რომელსაც იონიზაცია ეწოდება. იონიზაცია რომ არ ყოფილიყო, ელემენტარული ნაწილაკების საიდუმლოება საშუალამდე დარჩებოდა საიდუმლოდ. „იონი“ ბერძნული სიტყვაა და „მოგზაურს“ ნიშნავს. იგი ფარადეიმ XIX საუკუნის შუა წლებში შემოიტანა მეცნიერებაში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფარადეიმ არაფერი იცოდა ატომის აგებულების თაობაზე, თუმცა ქვეელთა-განვე ცნობილი იყო ერთი მოვლენა — ნეიტრალური ატომები ადვილად გარდაიქმნებიან ელექტრულად დამუხტულ იონებად. ატომი საერთად ნეიტრალურია, ეს სასკოლო პროგრამადანაც ვიცით. ნეიტრალურია იმიტომ, რომ ატომის ბირთვის გარშემო მოძრავი უარყოფითი მუხტების — ელექტრონების რიცხვი ტოლია დადებითი მუხტების — პროტონების რიცხვისა. როგორც კი ტოლობა დაირღვევა, ატომი უმალვე იქცევა დამუხტულ იონად.

ატომი რომ ხელოვნურად ვაქციოთ იონად, ტოლობის დარღვევისათვის პროტონის ამოგლეჯა არ ივარგებს, რადგან თუ ატომის ბირთვში პროტონის რიცხვი შეიცვლება, დაკარგავთ თვით ატომს. ატომის ბირთვში პროტონის რიცხვის შეცვლა იმას ნიშნავს, რომ იგი სულ სხვა ელემენტად გადაიქცევ. ამიტომ, ბუნებრივია, რჩება ორი გზა: ატომის გარსს ან ავაგლეჯოთ, ან მივუერთოთ ელექტრონი.

იონიზაციის გარეშე, როგორც შესანიშნავად ამბობს დანიელ დანნინი, „ატომები მარადიცა სამუდამოდ დალუქულნი და უცვლელნი იქნებოდნენ და სავსებით გაამართლებდნენ თავიანთ პირველყოფილ სახელწოდებას — „განუყოფელი“.

იონიზაციის პროცესის თაობაზე ჯერჯერობით ამით დაკმაყოფილდეთ. მერე კიდევ მივუბრუნდებით ბუნების ამ საინტერესო მოვლენას.

თავში ვთქვეთ, რომ ერთერთი თავის თანამგზავრად დ. დანნმა ფოტონს აირჩია.

რა არის ფოტონი? ფოტონი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „სინათლის ნაწილაკს“.

სხვათა შორის, ფოტონის ცნება აინშტაინმა 1905 წელს შესძინა მეცნიერებას. ხოლო სახელი ფოტონი მან გაციალებთან გვიან, 1926 წელს უწოდა კალიფორნიელმა მეცნიერმა ჯილბერტ ლიუისმა. ფოტონისაგან განსხვავებით ელექტრონი პირიქით — ჯერ იკარაუდეს, სახელიც მშვენიერი შეურჩიეს და შემდეგ აღმოაჩინეს.

ცნება — „სინათლის ნაწილაკი“ — ჩვენი საუკუნის პირმშოა. რა იყო მანამდე?

მანამდე იყო „სინათლის ტალღები“, ტალღური თეორიის ფუძემდებელი ჰოლანდიელი ფიზიკოსი ჰიუგენსი ან როგორ ხსნიდა სინათლის ტალღების არსს. ტალღები რომ არსებობდეს, რადაც უნდა იარსებოდეს. მაშ რა არსებვა?— ბუნებრივი იყო ახეთი შეკითხვის დაბადება, როგორც კი იტყოდი, რომ არსებობენ სინათლის ტალღები.

ჰიუგენსს მიაჩნდა, რომ... ირხეოდა ეთერი. სიდიან ვაჩნდა ეთერის ანუ „ჰაეროლადის“ ცნება?

იგი თვით ჰიუგენსმა შემოიტანა მეცნიერებაში სინათლის ტალღებთან ერთად?

არა.

ეთერის იდეა ჯერ კიდევ ნატურფილოსოფოსების ძველისძველი იდეა იყო. მათ მიაჩნდათ, რომ სამყაროში ცეცხლის, მიწის, წყლისა და ჰაერის გარდა არსებობდა „მეხუთე სტიქია“ უწყვრილესი მატერიის სახით, რომელიც ყველგან ატანდდა და სამყაროს ავსებდა.

ეთერის ცნება რომ საეჭვო ჩანდა, ამას ნიუტონიც ვარაუდობდა. იგი ხან ალიარებდა, ხან კი უარეყოფდა მის არსებობას.

ჰიუგენსიან მაქსველამდე, ე. ი. თითქმის ორასი წლის მანძილზე მიაჩნდათ, რომ სინათლე ტალღურად ირხეოდა ეთერის ოკეანეში. მაგრამ ვერავის ეეხნა, რა იწვევდა ამ რხევას. მხოლოდ მაქსველმა გამოთქვა აზრი, რომ მოვლენის არსში ცენტრალურ ადგილს ელექტრონი ეჭირდა; რომ მოძრავი მუხტებიან ირგვლივ წარმოიშობა ელექტრომაგნიტური ძალების ველი, ეს ველი, სინათლის მსგავსად, სივრცეში იგივე სიჩქარით ვრცელდება.

მაგრამ რა იყო ეთერი? აი, ამაზე ვერ გაეცა პასუხი ვერც ერთ მეცნიერს. თუ იგი გაზის მაგვარი რამ იყო, მაშინ გაფაროთებისა და შეკუმშვის უნარიც უნდა ჰქონოდა. მაგრამ იქვე ისაუბრიდა საწინააღმდეგო აზრი: თუ ეთერი ხან იკუმშება, ხან კი ფართოვდება, სინათლე რატომ მოძრაობს მასში თანაბარი სიჩქარით? და თუკი იგი არ იკუმშება, იქნებ მყარი სხეულია? იქვე ჩნდება ახალი წინააღმდეგობაც: მაშ როგორ მოძრაობენ მასში თავისუფლად ციური თუ სხვა სხეულები? და თუ ეთერი მართლაც არსებობს, აქვს თუ არა მას წონა?

ზურაბ ფაღ
იციძე
ფიზიკო-ფიზიკა — XX საუკუნის ამბრაკადაბრა?

ეი რა შეკოთხვებზე უნდა გაეცა მეცნიერებას პასუხი.

პირველად ეთერის არსებობის იდეა ფიზიკოსმა ალბერტ მაიკელსონმა დაამტკიცა. მან ასეთი ცდა ჩაატარა. მაშინდელი თეორიის თანახმად სინათლე ვრცელდება უძრავ ეთერში. ამავე ეთერში მიჰქონის ჩვენი დედამიწაც და თუ ეთერი მართლა არსებობს, მაშინ თუ გავუშვებდით ორ სხივს, ერთს დედამიწის მოძრაობის, ხოლო მეორეს მისი მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებებით, შემდეგი მოვლენის მოწმენი გავხდებოდით: ვინაიდან დედამიწა პირველ სხივს გამოედევნებოდა, შეამცირებდა კიდეც შეფარდებით სიჩქარეს. მეორე სხივის მიმართ კი პირქით, გაიზრდებოდა შეფარდებითი სიჩქარე. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სხივი ორივე მიმართულებით ერთნაირი სიჩქარით მოძრაობს.

ერთი სიტუაცია, ეთერის არსებობის იდეა არ დადასტურდა, ხოლო ამ იდეას საბოლოო განაჩენი მაინც აინშტაინის ფარდობითობის თეორიიან გამოუტანა. აინშტაინმა დაამტკიცა, რომ არ არსებობს აბსოლუტური უძრაობა, არ არსებობს აბსოლუტური სიერცე, რომელშიც გალაქტიკები ისე დაცურავენ, როგორც თევზები აკვარიუმებში. ამგვარ აკვარიუმში, — როგორც სამართლიანად დასძენს დ. დანინი,— თევზების გადაადგილება შეიძლება უძრავი კედლებიდან ათოვალი, სამყაროში კი არ შეიძლება იპოვო აბსოლუტურად უძრავი სხეული.

ეთერის იდეის განადგურებას მოჰყვა ფოტონის დაბადება. რა იყო ეს? კანონზომიერება თუ უბრალო თანმიმდევრობა დიდი მეცნიერული აღმოჩენებისა?

თუ არ არის ეთერი, არც სინათლის ტალღები არსებობს. ეს დასკვნა ლოგიკურად გამომდინარეობს ეთერის იდეის დასაბრუნებიდან. მაშ ყოფილა არა სინათლის ტალღები, არამედ სინათლის ნაწილაკები.

სწორედ სინათლის ნაწილაკების ნაკადები დაკრიან უკიდეგანო სამყაროში, არავითარი ტალღები არ არსებობსო, — შეიძლებოდა გამოგვეტანა ძალზე ბუნებრივი დასკვნა მას შემდეგ, რაც ვფიქრობთ, რომ ეთერის ცნება მხოლოდ მეცნიერული გაუგებრობა იყო.

მაგრამ...

მოდით, ნუ ვიჩქარებთ.

სინათლის ნაწილაკებს ხომ არ გააჩნიათ რაიმე სხვა თვისებაც?

მართმა აქვე ეიტყვი. მომავალში გამოჩნდა სინათლის ხასიათის ორმაგი ბუნება, მას აქვს როგორც ნაწილაკის, ასევე ტალღის თვისებები. ერთი სიტყვით, ფოტონი ნაწილაკი-ტალღაა (ან ტალღა-ნაწილაკი), მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ეს აღმოჩენა ჩვენი საუკუნის ფიზიკის უკეთესუ უთავსახრნოვეთა მონაპოვარია. „იგი იმდენად მოულოდნელი და ღრმა, — წერს დ. დანინი, — რომ მიკოსამყაროს ფიზიკა: მეცნიერ მეცნიერების ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ლუი დე ბროილმა ტალღა-ნაწილაკის ორმაგი ბუნების აღმოჩენას „თანამედროვე ფიზიკის ყველაზე დრამატული მოვლენა“ უწოდა.

ახლა კი თანმიმდევრულად მოვიყვეთ ამ აღმოჩენის ისტორიას. მაგრამ ჯერ მაინც კიდევ ერთ ახალ მოვლენაზე უნდა ვისაუბროთ, სანამ სინათლის ფოტონის ამ ორმაგ ბუნებას ვაღიარებდეთ.

ამჯერად ყველა საშუალო სკოლადამთავრებულისათვის ცნობილი სიტუაცია მინდა გაგახსენოთ — კვანტი.

ეს სიტუაცია (ანეგბავთ ტერმინი) 1900 წელს შემოიტანა მეცნიერებაში დიდმა ფიზიკოსმა მაკს პლანკმა. კვანტის ცნება მთელი ხუთი წლით ადრე დაიბადა ფოტონის იდეის დაბადებამდე. ყველფერი ძალზე წესრიგდა, უსენსაციოდ დაიწყო. პლანკმა მიიღო ახალი ფორმულა, რომელიც სითბური გამოსხივების ბუნებას გადმოსცემდა. ეს ფორმულა გულისხმობდა, რომ მან ენერგიის გამოსხივების ყოველდ უჩვეულო თვისება — ნიფოიერების თვისება!

შეიძლება ფიზიკაში გაუთვითცნობიერებელ ადამიანს ეს ბევრს არაფერს ეუბნებოდეს, მაგრამ ამ ჰიპოთეზას დღემდე უწოდებენ რევოლუციურს.

ახლა უფრო კონკრეტულად ვილაპარაკოთ:

კვანტიც, უფრო სწორად კვანტუმიც, ლატინური სიტყვაა და ნიშნავს „რამდენს“. პლანკმა სწორედ კვანტი დარქვა ულუფებს, რომლის სახითაც ენერგია ცალ-ცალკე გამოსხივდება და შთანთქმეზა.

ეს ერთი რამ გააოცებს მკითხველს. ნიფოიერება რომ წყვეტილია, მარცველოვანია, ეს ცხადია, მაგრამ ენერგია? ადამიანის გონებასათვის წარმოუდგენელი იყო, გამოსხივებული ენერგია როგორ შეიძლებოდა წყვეტილი ან მარცველოვანი ყოფილიყო.

პლანკის ჰიპოთეზა ამტკიცებდა, რომ გამოსხივების ენერგიის ულუფები — კვანტები — განუყოფელი ულუფები არიანნი. და რ ომ კვანტზე თუნდაც ერთი მემილიონედიდან ნაკლები ენერგიის გამოსხივება ან შთანთქმა არ შეიძლება — კვანტი არ იყოფა, არც ნაწილდება.

ამ ჰიპოთეზამ თავისი გამეფდულებით თვით პლანკიც კი შეაშინა. მეცნიერმა იგი უბრალო, ხამუშაო ჰიპოთეზის სახელით მოსათვალა, რადგან უიმისოდ ფორმულა არ გამოდიოდა.

მინდა ერთი ნაუუეტი მოვიტანო დ. დანინის წიგნიდან: „მაკს პლანკს სამუდამოდ დაამახსოვრდა ის დღე, როცა იგი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, სამოდგალთი წლის მოხუცთან, პროფესორ ფოლისთან (ფოლი პლანკის მასწავლებელი გახლდათ, გ. ფ.) მივიდა და უთხრა, გადაწყვეტილი მაქვს მთელი სიცოც-

ხლე თეორიულ ფიზიკას შეეწიროო. „უმაწვილო, — გააფრთხილა მასწავლებელმა მოსწავლე, — რატომ იფუშები ცოფივნის, თეორიული ფიზიკა ზომ ძირითადად დასრულებულია... ღირს კია ამგვარი უკერსენტივო ხაქმითვის ხელის მოკიდებაა?“ ფილიპ ლენარდ 1884 წელს გარდაიცვალა, იგი ვერ მოესწრო იმ დროს, როცა მისმა მოწაფემ სიტყვა „კვანტი“ წარმოსთქვა.

მაგრამ ეს ყველაფერი რადია, თვითონ პლანკიც ვერ მიხვდა, რა შორს გადაუხვია მამეხის გზიდან. ფილიპ ლენარდ შეცდომა მან ნათლად დანახა არა 1900 წელს, არამედ გაცილებით უფრო გვიან, როცა სხვა მეცნიერებმა (პირველი მათგანი კი ალბერტ აინშტაინი იყო) მისი სამუშაო ჰიპოთეზა მთელი თანამედროვე ფიზიკის ერთ-ერთ პრინციპულ საფუძველად აქციეს.

დიახ, აინშტაინი მაშინ ჩაეჭიდა კვანტებს, როცა მსოფლიოს ცნობილი ფიზიკოსები საერთოდ არ ახსენებდნენ ამ სიტყვას. ხოლო თვით პლანკიც კი, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, მაინცდამაინც არ იყო დარწმუნებული თავისი აღმოჩენის რეალობაში. 1905 წელს სრულიად უცნობმა ახალგაზრდა მასწავლებელმა ალბერტ აინშტაინმა გამოაქვეყნა სამი ნაშრომი. ამ სამიდან ორი მოწმენდილ ცაზე ბეხრა გავარდნას ჰგავდა. ერთი იყო ფარდობითობის თეორია, ხოლო მეორე — სინათლის კვანტური თეორია.

აინშტაინის გზას შეიძლება ეწოდოს ამრეული სითამამის გზა. მან კვანტებში დანახა ფიზიკური რეალობა და ასე გაჩნდა ფოტონები — სინათლის ნაწილაკები. ერთი სიტყვით, კვანტები და ფოტონები ფიზიკურად ერთი და იგივეები არიან.

ახლა ცოტა რამ ისტორიიდან.

ჩქონდათ თუ არა მსგავსი მოსაზრებანი ფიზიკოსებს პლანკამდე და აინშტაინამდე?

რასაკვირველია, ჩქონდათ. ნიუტონს მიაჩნდა, რომ არსებობდა სინათლის ნაწილაკები, ხოლო მის თეორიას სინათლის ნაწილაკების თაობაზე გადმოდინების თეორია შერქვეს. ნიუტონმა სინათლის ნაწილაკები კორპუსკულებად მონათლა (ლათინურად „პატარა სხეულები“), ამიტომ მის თეორიას მეორე სახელწოდებაც ჩქონდა „კორპუსკულარული“. სხვათა შორის, ამიტომაც, აინშტაინის ფოტონურ თეორიას „კორპუსკულარულს“ უწოდებენენ.

ნიუტონის ეპოქა, ე. ი. მე-18 საუკუნე, კორპუსკულარული თეორიის მომხრე იყო. მე-19 საუკუნეში კი გაბმარჯვა ჰიუგენსის ტალღურმა თეორიამ, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას ჩქონდა თავისი აქილევსის ქუსლი — ეთერი.

პლანკისა და აინშტაინის კვანტების და ფოტონების შემდეგ ისევ გაიხსენეს ნიუტონი და მისი გადმოდინების თეორია, გაიხსენეს კორპუსკულები. მეცნიერება დაუბრუნდა ნიუტონის ნაწილაკებს, მაგრამ ამ დაბრუნებამ, როგორც ზემოთ ვთქვით, არ უარუყვიათ სინათლის ტალღები. პირიქით, ალიარეს ფოტონის ორმაგი ბუნება: იგი ნაწილაკი-ტალღაა, მაგრამ მკითხველისათვის რომ ხარწმუნო გახდეს ფოტონის ორმაგი ბუნება, ჯერ ფარდობითობის თეორიაზე უნდა ვილაპარაკოთ.

ფოტონი.

დანიელ დანნის ერთგული მეგზური აინშტაინის მიერ აღმოჩენილ უცნაურ სამყაროში, სადაც ფარდობითობის კანონები მოქმედებენ.

გავიხსენოთ ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისება ფოტონისა — მისი უძრაობის მასა ნულის ტოლია.

აქ უცნაური წინააღმდეგობას ვაწყდებით: მატერიის ხაზობი ყოველთვის იყო და იქნება მასა, თუ სიდიდე ნულოვანია, იგი არ არსებობს. მაგ როგორ არსებობს ნაწილაკი მასის გარეშე?

შეიძლება დაგვეკითხოს ასეთი აზრიც: იქნებ არსებობენ არამატერიალური სხეულები? ამ წინააღმდეგობებს რომ თავი გავართვათ, პირველ რიგში უნდა გავერკვეთ, რომ აქ ლაპარაკია არა მასზე, არამედ უძრაობის მასაზე.

ე. ი. თუ ფოტონი უძრავია, მისი მასა ნულია ტოლია. აქედან გამომდინარეობს სრულიად ლოგიკური დასკვნა — იგი არაა ნაწილაკი.

მაგრამ...

მაგრამ, ნუ ვიჩქარებთ. თურმე შეიძლება გავეკითოთ ასეთი დასკვნაც. რაკი ფოტონის უძრაობის მასა ნულის ტოლია, ხოლო თვით ფოტონი რეალურად არსებობს, ეს იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს უძრავი ფოტონი.

ხოლო ვინაადან ფოტონი სინათლის ნაწილაკია, ე. ი. სინათლეა, აქვე შეგვიძლია გავაკეთოთ მეორე (ფაქტიურად იგივე) დასკვნაც: სინათლის შეჩერება არ შეიძლება.

მოდით, ისევ გავიმეოროთ ფოტონის თვისების გამომსახველი ფორმულა: ფოტონის უძრაობის მასა ნულის ტოლია. ხოლო თუ ფოტონის უძრაობის მასა ნულის ტოლია, მაგრამ არ არსებობს უძრავი ფოტონი, ე. ი. მას მოძრაობისას მასა ჩქონია. სხვანაირად იგი ვერ იქნებოდა მატერიალური.

აი, აქედან იწყება შეკითხვათა მთელი სერია: თუ უძრაობის მასა ნულის ტოლია, გამოდის რომ მასა დამოკიდებულია სხეულის მოძრაობაზე. მოძრაობა და უძრაობა კი შეფარდებითი სიდიდეებია. როცა რეგბისტს ხელში ბურთი უჭირავს და გარბის, ბურთი მისთვის უძრავია, მაყურებლისთვის — მოძრავი. სინათ-

---

ეურაბ ფანჯიკიძე
ვიკასი-ფიზიკა — XX საუკუნის
აბრაკადაბრა?

ლის ნაწილაკი კი მხოლოდ და მხოლოდ მოძრავი არსებობს. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ უსაზღვრო სივრცეში მჭრილავ ფოტონს წამოვწიოთ და მის გვერდით განვაგრძეთ ფრენა. მაშინ ის ფოტონი ჩვენთვის იმ ბურთივით უძრავი გახდება, რაკი უძრავი გახდება, მისი მასაც ნულის ტოლი იქნება, გამოვის, რომ ჩვენს გვერდით მჭრილავი ფოტონი ჩვენთვის აღარ არსებულმა, მაგრამ „მაყურებლისთვის?".

დამეთანხმებით, საოცარი მოვლენის მოწმენი ნი გავხდებით.

აქ კიდევ ერთი რამ უნდა გავიხსენოთ — სინათლის სიჩქარე წამში სამასი ათასი (უფრო ზუსტად — 299 792) კილომეტრია და თანაც... არც ერთ მატერიალურ სხეულს არ შეუძლია განვითაროს ეს ზღვრული სიჩქარე და დაეწიოს ფოტონს.

რატომ?

მოდით, ერთად ვიმსჯელოთ.

ვთქვათ, სხეული მოძრაობს სივრცეში. სანამ უცვლელია სიჩქარე, არ იცვლება ენერგიაც. როგორც კი მოიმატებს სიჩქარე, გაიზრდება ენერგიაც. მაგრამ როგორ? ბუნებრივია, სიჩქარის გასაზრდელად სხეულმა უნდა მიიღოს ენერგია. რაც უფრო დიდი მასა, მით უფრო ძნელია მისთვის ენერგიის მინაშეა.

ხომ არ შეიძლება ვირწმუნოთ, რომ განსაზღვრული ენერგიის მინიშნების შემდეგ მატერიალური სხეულს (ავიღოთ თუნდაც რაკეტა) შეუძლია განვითაროს ზღვრული სიჩქარე, ე. ი. წამში 300 000 კილომეტრი?

ახლა კი დასკვნა ჩვენ თვითონ გამოვიტანოთ: ვინაიდან ბუნებაში არსებობს ზღვრული სიდიდე წამში 300 000 კილომეტრი, ამ სიჩქარით მოძრაც სხეულს ვეღარავითარი ენერგია ვერ მიანიშნებს მეტ სიჩქარეს. მაგრამ როგორი უნდა იყოს სხეულის მასა, რომ მასზე ვერავითარმა ძალამ ვერ იმოქმედოს? პასუხი ერთია — უსასრულო.

ერთი სიტყვით, როცა მატერიალურ სიჩქარე, მატერიალურ სხეულის მასაც. ხოლო როცა მისი სიჩქარე მიაღწევს ზღვრულს, სხეულის მასა იქცევა უსასრულობად.

ეს მოვლენაც ძალზე დაუჯერებელი ჩანს. ატომების რაოდენობა, რომლისგანაც რაკეტა შედგება, უცვლელია, მაშ როგორღა იზრდება მასა?

ერთადერთი რამ, რაც სივრცეში მჭრილავ რაკეტას გადაეცემა, ენერგიაა. ამ ენერგიას იგი ენერგიის წყაროდან იძენს. გამოდის რომ, ენერგიის გადაცემა ზრდის რაკეტის მასას. რაკი ერთის მომატება მეორის მომატებასაც იწვევს, ენერგიასა და მასას შორის რადაც იგივეობა არსებობს.

მაშ ასე, ახპარეზზე გამოდის ახალი ცნება ენერგია-მასა.

ახლა ერთდროულად შევაჯამოთ ყოველივე. ზემოთ თქმული:

1. სინათლის ნაწილაკების უძრაობის მასა ნულის ტოლია. ყოველად შეუძლებელია დავეწიოთ მას და რაიმე სხეულის მიმართ უძრავად ვამყოფოთ.

2. სინათლის სიჩქარე ყველა შესაძლებელ სიჩქარეზე მეტია და არც ერთ მატერიალურ სხეულს არ შეუწევს უნარი განვითაროს იგი.

3. სიჩქარის ზრდასთან ერთად იზრდება სხეულის მასა, ხოლო სინათლის ზღვრული სიჩქარისას იქცევა უსასრულოდ.

4. მოძრაობის ენერგიის მატება იგივეა, რაც მასის მატება. ე. ი. მასასა და ენერგიას შორის არსებობს პირდაპირი ურთიერთკავშირი.

ახლა ისევ ფოტონს მივუბრუნდეთ. ეჭვი, რომელიც ადამიანს ფოტონის მიმართ უჩნდება, მაინც მისი მატერიალურობით არის გამოწვეული. ის ოთხი დასკვნა, წეღან რომ გავაკეთეთ, კიდევ უფრო საეჭვოს ხდის ფოტონის მატერიალურობას. დიახ, იგი მატერიალურია, სინათლის სიჩქარით კი მაინც მიფრინავს და მისი მასა არ ხდება უსასრულო. განა არა გვაქვს ეჭვის საბაბი?

ახლა კი დროა მოვიყვანოთ აინშტაინის სახელგანოჭქმული ფორმულა, რომელიც ენერგიისა და მასის კავშირს გამოხატავს: $E = Mc^2$.

აქ E ენერგიაა, M — მასა, ხოლო c — სინათლის სიჩქარე. ამ ფორმულიდან ნათელია, რომ თვით პაპუაწინა მასაშიც უდიდესი ენერგიაა მოქცეული, რადგან იგი 300 000-ის კვადრატზე ჰრავდება.

ვინაიდან სინათლის ნაწილაკი თავისი ბუნებით გამოსხივების კვანტია, ჩვენ შეგვიძლია ფოტონის მოძრაობის მასა დავადგინოთ.

გამოვლის შედეგად მიიღეს, რომ ფოტონის მასა 150 ათასკერი მსუბუქია ელექტრონის მასაზე. ხოლო ელექტრონი ყველაზე მსუბუქია ნივთიერების ნაწილაკთა შორის.

და აი, ეს უმცირესი ნაწილაკი რამდენი საათდენოს მოქცევი ყოფილა.

პრტონუნის გაიჩნიათ უძრაობის მასა. ისინი ხომ წყალბადის ატომების მირთვებია. მათი მასა ძალზე უმნიშვნელოა, მაგრამ მაინც მასაა, თანაც, ფოტონისგან განსხვავებით, უძრაობის მასა. ხელოვნურ ამჩქარებელში მისი მოძრაობის ენერგია ათ მილიარდ ელექტრონვოლტამდე იზრდება. ფოტონს კი ეს თვისება არ გააჩნია. მან უნდა განვითაროს წამში სამასი ათასი კილომეტრი, მაგრამ მისი უძრაობის მასა მაინც ნულის ტოლი იქნება.

„როგორღა აგროვებს ფოტონი თავის მოძრაობის მასას? — წერს დ. დანინი, — ან გამოდგება ამ შემთხვევაში სიტყვა „აგროვება"? დაგროვება ხომ თანდათანობით ხდება. ფოტონი კი დასაწყისში არ არსებობდა — ნული იყო. „არაფრის" აჩქარება არ შეიძლება, არ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლება ნულის გაორკეცება, გაათკეცება. ნულ ერთია, მაინც ნულად დარჩება. მაშ, როგორღა წარმოიშობა მოძრაგი ფოტონის მასა?"

შეკითხვა საინტერესოდაა დასმული. ახლე საინტერესოა პასუხიც. ფოტონი ერთბაშად იბადება და ერთბაშად იძენს თავის მასას. მისი დაბადება ნახტომსა ჰგავს. იგი არ ვითარდება, მას თავიდანვე აქვს მინეტბული ზღვრული სიჩქარეც და სათანადო ენერგიაც. ფოტონს არ შეუძლია არავითარი სხვა სიჩქარის დროს არსებობა. მისი მასაც უცვლელია და იგი წარმოადგენს იმ ელექტრომაგნიტური ენერგიის შესქელებას, რასაც კვანტური გამოსხივება ეწოდება.

კიდევ ერთი ლოგიკური შეკითხვა შეიძლება დაბადოს ფოტონის არსებობამ. განა არ შეიძლება ფოტონის მოძრაობა შევაფერხოთ? და თუ შეიძლება, იგი ხომ უმალვე დაკარგავს „სიცოცხლეს?"

დიახ, ახეა, თუ ფოტონი შეფერხებულ და დავაკარგვინეთ თავისი სიჩქარე, იგი აუცილებლად დაიღუპება, გაქრება...

მაგრამ...

დიახ, უმალვე იბადება კიდევ ერთი შეკითხვა. რას ნიშნავს ფოტონის გაქრობა? ჩვენ ხომ ვაღიარეთ, რომ იგი მატერიალური ნაწილაკია. განა შეიძლება გაქრეს ნაწილაკი? დაღუპვის წინ ფოტონმა ვიღაცას ხომ უნდა დაუტოვოს თავისი მატერიალური „ფასეულობა?"

ამაზე მოგვიანებით ვილაპარაკებთ. ფოტონის ბუნებას თვალნათლივ მაშინ ჩასწვდნენ მეცნიერები, როცა მიკრომოვლენებს, მიკროსამყაროს არსებობას იუბადა ფარდა. ამის შედეგად კი წამოიჭრა ისეთი საკითხები, როგორიცაა ნაწილაკებისა და ანტინაწილაკების წარმოქმნის საიდუმლოება, აქედან გამომდინარე ანტინივთიერების და ანტისამყაროების არსებობის შესაძლებლობა...

3

ახლა კიდევ ერთ საინტერესო, უფრო მეტად, საკვანძო საკითხზე გავამახვილოთ ყურადღება. თუმცა ფიზიკაში რა გამოლეკს საინტერესო და საკვანძო საკითხებს.

მგონი ზემოთ უკვე შევთანხმდით, რომ სინათლის სიჩქარე მუდმივია და იგი უდრის 300 000 კილომეტრს.

მაგრამ...

დიახ, იმავე წუთში ჩვენს გონებაში კვლავ იბადება სიტყვა „მაგრამ".

დავუშვათ სხეულმა გამოსხივა ფოტონი. თუ ეს სხეული უძრავია, მაშინ ყველაფერი რიგზეა. ფოტონი დაბადებისთანავე, მიიღებს თავის მასას და ფოტონურ სიჩქარეს — 300 000 კილომეტრს. აქედან გამომდინარე, სინათლის სიჩქარეც მუდმივი იქნება. მაგრამ თუ სხეული ლეს წყარო მოძრაობს? ვთქვათ, ან მისდევს თავის მიერ გამოსხივებულ კვანტს, ან პირიქით, საწინააღმდეგო მიმართულებით შორდება მას?

ხომ არ დაგავიწყდა, რომ ყოველი სინათლის წყარო პირობითია უძრავი, თორემ დედამიწა ხომ მოძრაობს თავისი ღერძის ირგვლივ წამში 30 კილომეტრის სიჩქარით, თან იგი ხომ მრუნავს მზის ირგვლივ? ხომ არ დაგავიწყდა ისიც, რომ თვით მზეც მოძრაობს გალაქტიკაში, ხოლო ჩვენი ირმის ნახტომი თავის მხრივ მოძრაობს სხვა გალაქტიკების მიმართ?

მაშ როგორღა იქნება ფოტონის სიჩქარე მუდმივი, როცა ირგვლივ არ არსებობს უძრაობა, მას ან მისდევს რაღაც, ან პირიქით, შორდება?

ავიღოთ უფრო კონკრეტული მაგალითი.

ვთქვათ, რაღაც წყარომ გამოსხივა კვანტი. იგი დაბადებისთანავე ავითარებს წამში 300 000 კილომეტრ სიჩქარეს. მაგრამ მის უკან მისდევს წყარო, რომელმაც იგი გამოსახივა. მისდევს წამში 200 000 კილომეტრი სიჩქარით. ერთის შეხედვით სრულიად ლოგიკური დასკვნის გამოტანა შეგვიძლია ამ შემთხვევიდან. ფოტონი თავის გამომსხივებელ წყაროს შორდება წამში არა 300 000 კილომეტრის, არამედ 100 000 კილომეტრის სიჩქარით (300 000 — 200 000 = 100 000). მაშ რა უფფლების ძალით ვამტკიცებთ, რომ ფოტონის სიჩქარე მუდმივია? და თუ ეს ასეა, მაშინ ხომ უაზრო ხდება აინშტაინის სახელგანთქმული ფორმულა $E = Mc^2$, ვინაიდან გაუგებარი რჩება რისი ტოლია C^2 (სინათლის სიჩქარე).

მეცხრამეტე საუკუნის ფიზიკოსები სწორედ ასე ფიქრობდნენ, მაგრამ 1881 წელს ამერიკელმა ფიზიკოსმა ალბერტ მაიკელსონმა (მისი გვარი ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ) თავისი გამოთვლებისა და გაზომვების შედეგად მიიღო ისეთი დასკვნები, რამაც ძალზე გააოცა უკლებლივ ყველა ფიზიკოსი.

მოკლედ გამოვხატოთ მაიკელსონის გაზომვებისა და დასკვნების მთავარი არსი: სინათლის სიჩქარე არ არის დამოკიდებული სინათლის წყაროს სიჩქარეზე.

უფრო ნათელი წარმოდგენისათვის მოვიყვანოთ მაგალითი. ვთქვათ, ფარანმა გამოყო ფოტონი. მას კვალდაკვალ დადევნეს პროტონი. ფოტონის სიჩქარეა 300 000 კილომეტრი. პროტონის — 299 000 კილომეტრი. ე. ი. მათ შორის მანძილი უნდა იყოს 1000 კილომეტრის ტოლი.

მაგრამ...

ბუბუა ანანიკიძე
ბიბასო-ფიზიკა — XX საუკუნის
ბარბაროსობანა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედავთ? ისევ „მაგრამ"...

დიახ, ახლა უნდა დავიჯეროთ ერთი ხასწაული. მართალია, ფოტონი მიჭრის 300 000 კილომეტრის სიჩქარით, მას ხპარნტერივით კვალდაკვალ მისდევს პროტონი 299 000 კილომეტრის სიჩქარით და, აქედან გამომდინარე, მათ შორის მანძილი 1000 კილომეტრი უნდა იყოს.

თითქოს ყველაფერი ნათელია და ლოგიკური.

მაგრამ... მათ შორის მანძილი მაინც 300 000 კილომეტრია.

მიუხედავად პროტონის 299 000 კმ/წ. სიჩქარისა, ფოტონი მას წამში მაინც 300 000 კილომეტრის სიჩქარით შორდება!

ძალზე ძნელი წარმოსადგენია ამ ხასწაულის მეკანიზმი.

მოვიშველიოთ დ. დანინის მაგალითი. წარმოვიდგინოთ, რომ პროტონზე მოთავსებულია ზეპატარა მაიკელსონი, ამ ხაოცრების აღმოჩენის პატივი ორეული. იგი მიჭერის ფოტონის კვალდაკვალ პროტონზე ამხედრებული, მაგრამ დედამიწაზე მაინც საოცარ ცნობას გადმოსცემს: „ფოტონი წამში 300 ათასი კილომეტრის სიჩქარით მშორდება".

— სისულელეა! — გავიცინცლდებით ჩვენ. — თქვენ ხამასკერ შეცდით: არა ხამასი ათასით, არამედ მხოლოდ ათასამდე კილომეტრით. დედამიწიდან ჩვენ ამას მშვენივრად ვხედავთ!

— ძვირფასო მკვიდრნო დედამიწისა! — ცივად გვიპასუხებდა მაიკელსონი. — ...მე არ მჩვევია შევცდე ხამასკერ! გიფრქნის წინ ჩემი ხაათი ზუსტად იმავე დროს აჩვენებდა, როგორსაც თქვენი. ჩემი ხახაზვები პარაზის მეტრის ეტალონებთან იყო შედარებული...

— უკაცრავად! — ბოდიშს მოვიხდიდით ჩვენ. — უნებლიეთ ეამოგვცდა... მაგრამ, იქნებ თქვენს ხაათსა და ხახაზვებს რაიმე დაემართა?

— არ ვიცი, ეარ ვამბნეკ! ჩემთან ყველაფერი რიგზეა".

აი, სწორედ აქ უნდა ვეძებთ ამ ხასწაულის მეკანიზმი:

დაგვრჩენია ვიფიქროთ მხოლოდ ერთი რამ: ჩვენი ხაათისა და ხახაზვებისაგან განსხვავებით მოძრავი პროტონის ხაათი და ხახაზვები სხვა წამებსა და სხვა კილომეტრებს აჩვენებენ.

თუ პატარა მაიკელსონის ხაათი და ხახაზვები დედამიწაზე უძრავად იყვნენ, ახლა მოძრაობენ სანიშნელი სისწრაფით.

გამოდის, სიჩქარე ყოფილი ყველაფრის მიზეზთა-მიზეზი.

დედამიწისეული სიჩქარეები, თუნდაც რაკეტის მეორე კოსმოსური სიჩქარე რომ ავიღოთ (11,2 კმ. წამში), ძალზე უმნიშვნელო და პატარა სიჩქარეებია, ამიტომ ძნელია ამ სიჩქარეების დროს მასის ან დროის რაიმე ცვლილებებზე ვილაპარაკოთ.

პროტონმა კი თავისი მასა სინათლის სიჩქარესთან მიახლოებული სიჩქარის წყალობით 12-ჯერ გაზრდილა, რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მასზე მოთავსებული ზეპაწყინნა მაიკელსონის ხაათის რიგში და ხახაზვის სიგრძეც 12-ჯერ არ შეიცვალა?

ლოგიკა გვიკარნახებს: სიჩქარის ცვლასთან ერთად იცვლება მოძრავი სხეულის მასა, მოძრაობის მიმართულებით მანძილები და თვითონ სხეულზე დროის დინება.

ახლა გასარკვევია ორი რამ: პირველი — სიჩქარის ზრდის დროს დამოკლდება თუ დგრძელდება ხაზოვი ხახაზვები? და მეორე, წინ წავა თუ რამორჩება ხაათის ისრები?

მაგრამ, იკითხავს გაოცებული მკითხველი, ხაათის ხვლა ხომ მექანიკური პროცესია, რომელიც გარკვეული მექანიზმის წყალობით თანაბრად ბრუნავს?

ვიმსჯელოთ ფიზიკური დებულებებიდან გამომდინარე.

ფიზიკოსები ასაბუთებენ: რაც უფრო უსაწლოდდება სხეულის სიჩქარე სინათლის სიჩქარეს, მით უფრო ნელდება მასზე ხაათის ხვლა.

რა ემართება თვით სხეულს? ეფიქრობ, არანაკლებ საინტერესოა სინათლის სიჩქარით მჭრილავი სხეულის ბედი. ამ სიჩქარით მჭრილავი სხეული სულ უფრო და უფრო მოკლდება მოძრაობის მიმართულებით. „სწორედ ამიტომაა, — დასძენს დ. დანინი, — რომ ზეპატარა მაიკელსონისათვის, როდესაც ის ფოტონის სიჩქარეს ზრდავდა, ათასმა მიწიერმა კილომეტრმა ერთ წამში „დიტია" ისეთი უზარმაზარი სიდიდე, როგორიც სინათლის სიჩქარეა: მან 300 ათასი სხვა კილომეტრი გაზრდა სხვა წამში — უფრო მოკლე კილომეტრები უფრო ხანგრძლივ წამში!"

დავუბრუნდეთ ხაათის მექანიკურ პროცესს. გამოდის, რომ რადგან მოძრავ სხეულზე სიჩქარის ზრდასთან ერთად ხაათი ხვლას ანელებს, მასში პროცესიც ნელდება. აქედან გამომდინარე, კრისტალურ ბადეში ატომებიც ნელა ირხევიან, ხოლო ატომებში ელექტრონები უფრო ზანნდად ბრუნავენ.

ფაქტიურად პროცესი შენარჩუნებულია, იგი ანსოლუტურად მსგავსია დედამიწაზე მიმდინარე პროცესებისა, რიცა ხდება ფუნდამენტალურ უძრავად იყო (უძრავად — სინათლის სიჩქარესთან მიახლოებულ სიჩქარეებთან შედარებით). მაგრამ მხოლოდ რიტმშია განსხვავება და სწორედ ესაა ამ ყადოსნური პროცესის საიდუმლოება.

ასევე, მოძრაობის მიმართულებით მოკლდებიან ხახაზვები.

ამ პროცესს ვერ შეამჩნევდა ზეპატარა მაიკელსონი, რადგან იგი უშუალო მონაწილე იყო სინათლის სიჩქარესთან მიახლოებული სიჩქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით მოძრაობისა, მაგრამ თავის თავთან შეფარდებით უძრავი იყო. მიიკელსონი ვერც იმას შეამჩნევდა, მისი სხეულის ატომები თანდათან როგორ ბრტყელდებოდნენ.

„მოძრაობის მიხედვით ბრტყელდება მოლეკულები, — დასძენს დ. დანინი, — კუბური კრისტალური უჯრედები პარალელეპიპედის ფორმას იღებს, სფერო — ელიფსოიდისას, წრეხაზი ელიფსისას. სინათლის სიჩქარე — აი ის უხილავი წინააღმდეგობა, რომელზეც ხდეულები ბრტყელდებენ.

იოლი გამოსათვლელია, რომ დედამიწა, რომელიც 8ჯის გარშემო წამში 30 კილომეტრს გადის, მოძრაობის მიმართულებით დიამეტრის სიბრტყეში დაახლოებით 6 სანტიმეტრით ბრტყელდება. დედამიწა რომ უფრო სწრაფად ბრუნავდეს 8ჯის გარშემო, ეს შებრტყელებაც გაიზრდებოდა, ხოლო მიწიერი საათები შეანელებდნენ რიტმს და უკვე ალარ იქნებოდნენ ძველი საათები.

არ არსებობს უნივერსალური საათი და უნივერსალური სახაზავი. ბუნებაში სივრცე-დროითი შეფარდებები ცვალებადია. ისინი მატერიალური სხეულების შეფარდებით მოძრაობებზეა დამოკიდებული".

ჩვენი საუბრის თემა ამ შემთხვევაში მიკროსამყაროა და არა თვით ფარდობითობის თეორია, მაგრამ ვინაიდან მიკროსამყაროში ფარდობითობის კანონები მოქმედებენ, ალბათ საჭიროა მცირედ მაინც გაეცალოთ ფარდობითობის თეორიის არსს.

კლასიკური ფიზიკის ფუძემდებლები იყვნენ გალილეი და ნიუტონი. ნიუტონმა თავისი სისტემა სივრცისა და დროის თაობაზე ფაქტიურად შექმნა გალილეის ცდების საფუძველზე. ნიუტონის კლასიკურ ფიზიკაში სივრცე სამი განზომილებით განისაზღვრება. ესაა სიგრძე, სიგანე და სიმაღლე. ამავე ფიზიკის მიხედვით, სივრცესა და დროს შორის არავითარი კავშირი არ არსებობს. ნიუტონის წარმოდგენით და სათანადო მტკიცებით სივრცე ამსოლუტურია, ესე იგი, უცვლელი და უძრავი დროში. ნიუტონის აზრით ყველგან მოქმედებს ეკვლიდეს გეომეტრიის კანონები, ესე იგი, სივრცე ეკლიდურია: არსებობენ პარალელური წრეები, რომლებიც უსასრულობაში კვეთენ ერთმანეთს, ხოლო სამკუთხედის შიდა კუთხეთა ჯამი უდრის 180 გრადუს. დრო კი მოელს სამყაროში ერთნაირად მიმდინარეობს.

გარდა ამისა, კლასიკური ფიზიკის მიხედვით, სხეულები ერთმანეთის მიმართ ასრულებენ ფარდობით მოძრაობას, მაგრამ ამავე კანონების მიხედვით არსებობს სხეულის აბსოლუტური მოძრაობაც აბსოლუტურად უძრავი სივრცის მიმართ.

აინშტაინის ფარდობითობის თეორიაში კი სამყარო არაევკლიდურია. აქ დრო ფიზიკურად ერთად განიხილება, ე. ი. ევკლიდისეულ სივრცის სამ განზომილებებს ემატება მეოთხე განზომილება—დრო. ერთი სიტყვით, სივრცე ფარდობითობის თეორიის თანახმად არის ოთხგანზომილებიანი. გაკიხსენოთ ჰატარა ნაწყვეტი ჰერბერტ უელსის ფანტასტიკური მოთხრობიდან „დროის მანქანა": „მაგალითისთვის ავიღოთ ადამიანის პორტრეტი, რაც იგი იყო რვა წლისა, შემდეგი პორტრეტი — როცა იგი იყო თხუთმეტი წლისა, მესამე პორტრეტი — როცა იგი იყო ჩვიდმეტი წლისა, მეოთხე პორტრეტი — როცა იგი იყო 24 წლისა და ასე შემდეგ. ნათელია, რომ ყველაფერი ეს არის მისი ოთხგანზომილებიანი არსებობის სამგანზომილებიანი წარმოდგენები, რომლებიც სავსებით განსაზღვრულ და უცვლელ სიდიდეს შეადგენენ".

რასაკვირველია, მწერალური წარმოდგენა ზუსტად როდი გამოხატავს ოთხგანზომილებიანი სივრცის არსს, მაგრამ მაინც საგულისხმო მაგალითია. ოთხგანზომილებიან სივრცე-დროში სივრცითი კოორდინატები განსაზღვრავენ მოელენის ადგილმდებარეობას სივრცეში. მეოთხე კოორდინატი — დრო — კი იმ მომენტს, როდესაც ეს მოვლენა მოხდა.

არსებობს სპეციალური ფარდობითობის თეორია და ზოგადი ფარდობითობის თეორია. სპეციალური ფარდობითობის თეორია, კლასიკური ფიზიკის მსგავსად, მოვლენებს მხოლოდ ათვლის ინერციულ სისტემებში განიხილავს. მისი მიხედვით, ბუნების ყველა მოვლენა ნებისმიერ ინერციულ სისტემებში ერთნაირად მიმდინარეობს. მაგრამ სამყაროში ბევრია არაინერციული სისტემაც. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია დამატებითი ინერციის ძალები, რომლებიც გამოწვეულია სხეულის არაინერციულობით. ამ შემთხვევისათვის უფრო მოგვიანებით კელვე ალბერტ აინშტაინმა შექმნა ზოგადი ფარდობითობის თეორია. ამ თეორიით მტკიცდება, რომ მასა გავლენას ახდენს მის ირგვლივ მყოფი სივრცის თვისებებზე. აქედან ავამოდინარე კი — ბუნებრივი მოვლენების მიმდინარეობაზე. ზოგად ფარდობითობის თეორიას გრავიტაციულსაც ეძახიან. გრავიტაციული ველის ძირითადი თვისებაა ერთი უცილობელი ფაქტი — მასში შეტანილი სხვადასხვა მასის სხეულები ერთნაირ აჩქარებას იღებენ. აქედან ფიზიკოსებმა გააკეთეს დასკვნა: გრავიტაციული მასა (რომელიც მსოფლიოს მიხედვლობის კანონში შედის) და ინერციული მასა (რომელიც მექანიკის კანონში შედის) ერთი და იგივე სიდიდეა. აინშტაინმა სწორედ ეს თვი-

---

ᲒᲘᲠᲩᲐ ᲨᲐᲜᲯᲘᲫᲔ
ᲤᲘᲖᲘᲙᲝ-ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐ — XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲐᲒᲠᲐᲙᲐᲓᲔᲑᲘᲡ?

სება დაუდო საფუძველად ზოგად ფარდობითობის თეორიას. სივრცისა და დროის ცვალებადობას გრავიტაციული ველი იწვევს. მას მოპყავს სივრცის გამრუდება და სხვადასხვა აღგილზე დრო სხვადასხვაგვარად მიედინ. ამ დროს სამკუთხედების შიდა კუთხეებს ჯამი აღარ უდრის 180 გრადუსს და ორ წერტილს შორის აღარც სწორი ხაზია უმოკლესი მანძილი.

ახლა უკვე შეგვიძლია თვალნათლივ წარმოვიდგინოთ სინათლის სიჩქარის ხმი თვისება, რომელთა გადალახვა არაფერი არ შეიძლება. სწორედ სინათლის სიჩქარის ამ ხამმა ხოცაარმა თვისებამ განაპირობა დღევანდელი ფიზიკის უმთავრესი მიმართულებანი, მისი ჭადოსნური ბუნება, ძნელად წარმოსადგენი და დასაჯერებელი პროცესები.

აი ისინიც:

1. სინათლის სიჩქარესთან მიახლოებისას მატერიალური სხეულის მასა უსასრულოდ აზრდება.

2. სინათლის სიჩქარესთან მიახლოებისას მოძრავი სხეულის დრო უსასრულოდ ნელდება.

3. სინათლის სიჩქარესთან მიახლოებისას სხეულის სიგრძე მოძრაობის მიმართულებით უსასრულოდ მცირდება.

სინათლის სიჩქარის ეს სამივე ბარიერი გადალახვია, ამიტომ არც ერთ მატერიალურ სხეულს არ შეუძლია გადაამეჯოს ამ ხამ პარიერს.

ბოლოს და ბოლოს, ვუახლოვდებით მთავარ სათქმელს. მაშ რა არის ეს ფოტონი, რომელიც მატერიალურია, მაგრამ მაინც ავითარებს სინათლის სიჩქარეს?

გავიხსენოთ, რაზე შევთანხმდით ზემოთ, არც ერთ მატერიალურ სხეულს, რომელსაც გააჩნია უძრაობის მასა, არ შეუძლია განავითაროს სინათლის სიჩქარე. ფოტონი, მართალია, ნაწილაკია, მაგრამ მას არ გააჩნია უძრაობის მასა. სწორედ ეს აძლევს მას საშუალებას განავითაროს 300 000 კილომეტრი წამში. მაგრამ იგივე სინათლის სიჩქარეზ ხომ უნდა იმოქმედოს მის ხამ განზომილებაზე? ფოტონმა ხომ უნდა დაკარგოს სიგრძე და იქცეს ბრტყელ, ორგანზომილებიან ნაწილაკად? და თანაც სინათლის სიჩქარის მეორე თვისებიდან გამომდინარე — ხომ უნდა დაკარგოს საკუთარი დრო? სინათლის სიჩქარის მეორე თვისებიდან გამომდინარე „ფოტონური საათის“ ყოველი წამი უსასრულობის ტოლია.

მაგრამ ზემოთ ხომ მოგვეკვეთა მეცნიერთა მოსაზრება, რომ ფოტონისათვის დრო არ არსებობს? ახლა ისიც უნდა ვიწამოთ, რომ მას არ გააჩნია სიგრძე სინათლის სიჩქარის მეხამე თვისების გამო.

აქ იმადება ერთი ყველაზე დიდი ფილოსოფიური ეკითხვა. თუ ფოტონი მართალი ნაწილაკია (ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება, იგი ნიდდად ნაწილაკია), არის თუ არა იგი მატერიალური სხეული იმ გაგებით, როგორც სხვა მატერიალური სხეულები წარმოგვიდგენია?

თუ ყველაფერს გავაანალიზებთ, შეიძლება ასეთი დასკვნა გავაკეთოთ — ფოტონი არ შეიძლება იყოს ჩვეულებრივი მატერიალური სხეულის მსგავსი რამ.

ჭერ ერთი: რაკი ფოტონმა დაკარგა მეხამე განზომილება, დაკარგა საკუთარი დრო, იგი არ გამოდგება ათვლის სხეულდ. ვინაიდან ფოტონს ვერავითარი ფიზიკური სხეული ვერ დაეწევა, არ შეიძლება მოიძებნის მაძინილოს და დროის ათვლის ისეთი სხეული, რომლის მიმართაც ფოტონი უძრავი იქნება, მაგრამ... ხომ შეიძლება ათვლის სხეულდ რომელიმე სხვა ფოტონი ავიღოთ, რომელიც მის პარალელურად მიფრინავს? მაშინ ისინი ხომ უძრავნი იქნებიან ერთმანეთის მიმართ? ხოლო, გავიხსენოთ ზემოთ თქმული, უძრავი ფოტონები ბუნებაში არ არსებობენ. მაგრამ ვინაიდან ეს ერთმანეთის პარალელურად მფრინავი ფოტონების წყვილი მაინც არსებობს?

ფოტონი რომ გამომდგარიყო ათვლის სხეულდ, ამ მაგალითის შემთხვევაში გარკვეული მოსაზრების გამოთქმა ძალზე გაგვიჭირდებოდა. იქნებ ვერფფერიც ვეკითქვა არსებითი, მაგრამ ვინაიდან ფოტონს არ გააჩნია მეხამე განზომილება და საკუთარი დრო, იგი ვერ გაზომავს სხვა სხეულის სიჩქარეს, ვერც მის მოძრაობას დაკვირვებავს.

სინათლეს კიდევ ერთი თვისება ახასიათებს — დიფრაქცია. მკოხველმა იცის, რას გულისხმობს ეს სიტყვა. სინათლეს აქვს თვისება, შემოეაროს დაბრკოლებას. ამით დასტურდება სინათლის ტალღური ბუნება. ხოლო რომ გიმმართველნით სინათლის ტალღურობა, როგორც მკოხველს უკვე ახსოვს, შემოიღეს ეთერის ცნება.

მაგრამ ეთერის არსებობა არ დადასტურდა. ფიზიკიდან უკვე სამუდამოდ გამოითიშა ეთერში ელექტრომაგნიტური რხევა. იგი არაფერს არ შეუცვლია და ამით სინათლის მატერიალურობა დადასტურდა.

ერთი სიტყვით, მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი ფიქრობდა, რომ სინათლის ბუნება ტალღურია. მეორე ჯგუფი კი ფიქრობდა, რომ თვით სინათლეა მატერიალური.

რომლები იყვნენ მართალნი?

ნაწილობრივ ერთნი, ნაწილობრივ — მეორენი.

რომლები იყვნენ მტყუანნი?

ასევე — ნაწილობრივ ერთნი, ნაწილობრივ— მეორენი.

მაშ ვინ იყვნენ ბოლომდე მართლები და რაში გამოიხატება მათი სიმართლე?

პასუხი ერთადერთია — მართალი იყვნენ ისინი, ვინც აღიარეს ფოტონის ორმაგი ბუნება: იგი ნაწილაკი-ტალღაა (ან ტალღა-ნაწილაკია).

დავუუგდოთ ყური თვით დ. დანინს:

„როდესაც ფოტონი ელექტრონთან ურთიერთობაში ებმება და თავის ენერგიას გადასცემს მას, მეცნიერებს ბილიარდის ბურთების შეჯახება აგონდებათ. უნებლიეთ იქმნება შთაბეჭდილება, რომ სინათლის ნაწილაკი მართლაც ნაწილაკია და მხოლოდ ნაწილაკი! აქვს მას მასა? აქვს. ეს მისი ენერგიის მასაა. გაკვირვებრობის მიმართულებაა? გაკვირვა. ეს სხვიის მიმართულებაა. მები რაღაა საჭირო?

როდესაც ფოტონები გარს უვლიან წინააღმდეგობას, მეცნიერებს ტალღები აგონდებათ. ამჯერად იქმნება შთაბეჭდილება, რომ სინათლე მართლაც ტალღებია და მხოლოდ ტალღები! არის გარკვეული სიხშირის რხევა ელექტრომაგნიტურ ველში? არის. ველი უწყვეტია? უწყვეტია. მაშ რაღა კიდევ საჭირო?

გამოდის, რომ ერთ შემთხვევაში სეტყვაა, მეორეში — ნიავი. სინამდვილეში რაღაა? — ძალაუნებურად ბაღდება კითხვა. სინამდვილეში ასეთი შეკითხვა უაზროა. უაზროა, რადგან ერთისაც აქვს სინამდვილეში ადგილი და მეორესაც! ფოტონების თვისებები, როგორც ნაწილაკებისა, ფიზიკური რეალობაა. ასეთივე ფიზიკური რეალობაა ისიც, რომ ფოტონები ტალღის თვისებებსაც ამჟღავნებენ".

აი, რა ყოფილა ფოტონი, რომელმაც მეგზურობა უნდა გაგვიწიოს ა. აინშტაინის მიერ აღმოჩენილ სამყაროში, სადაც მისი ფარდობითობის კანონები ბატონობენ.

●

ერთხელ უჩვეულო ამბავმა მიიპყრო ფიზიკოსთა ყურადღება. ეს იყო მე-19 საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის დამდეგს. დამუტყული ელექტროსკოპი თავისით განიმუტყებოდა ხოლმე. თანაც გამოსაკლისს ადგილი არ ჰქონია. როცა ეს მოვლენა შენიშნეს, ელექტროსკოპები ჰერმეტულად დახურულ ჭურჭლებში შეინახეს. ელექტროსკოპი კი მაინც განიმუტყებოდა.

იფიქრეს, იქნებ მასში რადიოაქტიური ან რენტგენის სხივები იპარებიანო და ელექტროსკოპს ტყვიის ხელი ფუძელები შემოარტყეს. გაკვირვებაში მიხედით ტყვიის კედლებს მთლიანად უნდა შთანთქავს რადიოაქტიური თუ რენტგენის სხივები. ელექტროსკოპი კი მაინც განიმუტყებოდა.

ფიზიკოსები ძალზე დაფიქრა და ალელეცა ამ მოვლენამ. რა უნდა ყოფილიყო ის ზემოქმედი სხივები, რომლებიც ასე თავისუფლად აღწევენენ ყოველმხრივ დაცულ და იზოლირებულ ელექტროსკოპში?

რადიოაქტიური და რენტგენის სხივების აღმოჩენის შემდეგ (1895-1896 წ.წ.) ფიზიკოსები ფსიქოლოგიურად უკვე მომზადებულნი იყვნენ, მაგ გონებაში ყველაზე გბედული ჰიპოთეზები წამოჭრილიყო. ერთი სიტყვით, რენტგენისა და რადიოაქტიური სხივების აღმოჩენის შემდეგ, დ. დანინის სიტყვები რომ ვიხმაროთ, — „ფიზიკოსები სხივური ციებ-ცხელებით დაავადდნენ. მკვლევარებს ასულდგმულებდათ იმედი, რომ კვლავ დაიპერყნენ ნივთიერების წიაღიდან წამოსული რაიმე დაშიფრული ცოდნას".

მაინც რა უნდა ყოფილიყო ეს ზეენერგიული სხივები? აი, რაზე იმტკრევდნენ თავს ფიზიკოსები. ერთხანს ხელიც კი ჩაიქნიეს. აკ რადაც გაუგებრობას უნდა ჰქონდეს ადგილი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა, ზემძლავრი, ზეენერგიული, ყველაზე შემღწევი სხივები ნამდვილად არსებობდა.

ახლა უკვე სხვანაირად დადგა საკითხი, საიდან მოდიან ეს სხივები, ან საიდან იძენენ ამ ფანტასტიკურ ენერგიას?

ჯერ ეგონათ, სხივები დედამიწის შუაგულიდან ამოდიანო, შემდეგში სულ ოლიად დადასტურდა, რომ სიმაღლის მატებასთან ერთად ელექტროსკოპი სულ უფრო და უფრო ზშირად განიმუტყებოდა.

გადამწყვეტი მომენტი დადგა 1910 წელს, როცა ავსტრიელი მეცნიერი პეში ზღვის დონიდან ხუთი კილომეტრის მანძილზე ავიდა და ცდები იქ ჩაატარა. ნათელი გახდა, სხივები ზეცადან მოდიოდა.

სხივებს „კოსმოსური" უწოდეს. მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა. მაშინ ფიზიკოსებმა ამ კოსმოსური სხივების თაობაზე იცოდნენ მხოლოდ ორი რამ: პირველი — ისინი ნამდვილად კოსმოსიდან მოდიოდნენ. და მეორე — მათ უზარმაზარი, დაუჯერებელი სიდიდის ენერგია გააჩნდათ!

მკითხველი იკითხავს, ეს იყო ამ საუკუნიდან წლის წინ, მაგრამ დღეს? დღეს რა ვიცით ამ სხივების თაობაზე?

პასუხი ახლავე შეგვიძლია გავცეთ ამ შეკითხვაზე: ბევრი რამ, თუმცა მთლიანად მაინც არ არის საკითხი შესწავლილი და არც იმის თქმა შეიძლება, როდის ამბდება ბოლომდე ფარდა კოსმოსური სხივების მეკანიზმს.

ხოლო თუ რა ვიცით მათ თაობაზე, ვისაუბროთ თანმიმდევრულად.

ვიცით, რომ კოსმოსური სხივები ჩვენამდე

გურამ შანჯიკიძე
ბიკასო-ფიზიკა — XX საუკუნის

ფანტასტიკა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდიან სამყაროს უსასრულო სიღრმეებიდან ისინი ყველა მიმართულებით სერავენ ჩვენს მეტაგალაქტიკას. კოსმოსური სხივების წყარო, უნდა ვიფიქროთ, რომ არ უნდა იყოს ერთადერთი.

კიდევ ერთი რამ უნდა ვთქვათ დასაწყისში, სანამ კოსმოსური სხივების ბუნებასა და მეკანიზმზე ვილაპარაკებდეთ. „კოსმოსური სხივი" არ არის ამ მოსაზრის ზუსტად გამომხატველი ტერმინი. „სხივი" თავისთავად გულისხმობს „უუნკტს". ბოლო კოსმოსური სხივები კი, როგორც შემდგომში დადასტურდა, მატერიის ნაწილაკებია. მაგრ გაიოკვა, რომ კოსმოსური სხივები, რომლებიც ჩვენამდე აღწევენ, მეორადი სხივები არიან. ისინი წარმოიქმნებიან პირველადი სტუმრების დედამიწის ატმოსფეროსთან შეჯახების შედეგად.

თანამგზავრებზე დადგმულმა კოსმოსურმა ლაბორატორიებმა საშუალება მოგვცა დადგენგინა, როგორი არიან თვით პირველადი სხივები ატმოსფეროსთან შეჯახებამდე. (აქვე უნდა ვთქვათ, შეიძლება მათ მიმართ გამოიქმა „პირველადი" პირობითი აღმნერნდეს. არიან კი ისინი პირველადნი, ანუ მატერიის პირველასფუძელები?).

ამ პირველად კოსმოსურ სხივებში მდგრადი ელემენტის ბირთვები აღმოაჩინეს. მეცნიერებას შეუძლია მათი ქიმიური შემადგენლობა გაარკვიოს. და რა აღმოჩნდა, რაც უფრო მძიმეა ატომმბირთვი, მით უფრო იშვიათად გვხვდება ფერმე. ყველაზე მეტი ყოფილან პროტონები (ანუ იგივე წყალბადის ბირთვები), გაცილებით მცირე — ალფა-ნაწილაკები (მომდევნო მსუბუქი ელემენტის — მეელიუმის ბირთვები), კიდევ უფრო ნაკლებია ნახშირბადის, აზოტის, ფანგბადის, რკინის ბირთვები...

როგორც უკვე ვთქვით, კოსმოსური სხივების ატმოსფეროსთან შეჯახების შედეგად წარმოიშობიან მეორადი სხივები. ერთი სიტყვით, ატმოსფერო რომ არ ყოფილიყო, არც ეს მეორადი ზენენერგიული სხივები წარმოიშობოდა. მოხდენილად ამბობს დანიელ დანინი: „მეორად სხივებს თითქმის ორმაგი ქვეშეკრდომობა აქვთ: კოსმოსიანა და დედამიწისა. კოსმოსი მოკნეული ურთა, დედამიწა — გრდემლი. ნაპრწყლები კი — მეორადი სხივებია".

ახლა ცოტა უფრო გაეარიოულოთ საკითხი. მე-19 საუკუნის მეოთხე თოეულში ფიზიკოსებ, რომ ატომების ბირთვები აშენებულია პროტონებისა და ნეიტრონებისაგან. მათი წონა 2000-ჯერ აღემატება უმსუბუქესი ელექტრონის წონას. მაგრამ მეცნიერებს ვერ დაედგინათ, რა ძალა ჭიკავდა ჭათ მეკიცე ატომურ ბირთვად. აქ ფიზიკოსებს არ გამოადგებოდათ არც მაზიდულობის ძალები (რადგან ისინი ძალზე მცირე სიდიდისაა), არც ელექტრომაგნიტური ძალები (რადგან პროტონები — როგორც ერთნაირად დამუხტულნი — ერთმანეთს ეგზიზღებიან, ხოლო ნეიტრონები ნეიტრალურნი ნაწილაკები არიან).

ცხადია, მათ აკავშირებდა სრულიად სხვა, ძალზე ძლიერი ძალა.

ამ ძალების მიხაგნებად სწორი მიმართულება მონახა სამეთოდ მეცნიერმა ოგორ ტამმა.

1932 წელს აღმოაჩინეს ნეიტრონი, ი. ტამი სწორედ მაშინ მიხვდა, რომ ნეიტრონი პროტონთან ერთად აშენებდა უმტკიცეს ატომურ ბირთვს. მაგრამ მაღე გაიოკვა, რომ ნეიტრონი დიდხანს ვერ ცოცხლობს, იგი გარდაიქმნება პროტონად, ელექტრონად და პაწაწინა მესამე ნაწილაკად.

რა იყო ეს პაწაწინა მესამე ნაწილაკი?

რამდენიმე წლით ადრე, კერძოდ, 1931 წელს, როცა შეეიკარეთი ფიზიკოსი ვ. პაული ბეტა-დაშლას სწავლობდა, მიხვდა, რომ ამ პროცესის დროს წარმოიშობოდა რაღაც მესამე სხეული.

ბეტა-დაშლა, იხილე როგორც ალფა-დაშლა, ადვილად ახსნება. რადიოაქტიური ელემენტები ასხივებენენ როგორც ალფა-სხივებს, ასევე ბეტა-სხივებს. ეს ალფა და ბეტა სხივები ჩვეულებრივი ელექტრონებია. ამ დაშლის მექანიზმი ასეთია — ბირთვი ისე იშორებს ელექტრონს, როგორც თოფი ტყვიას. მაგრამ თოფისა და ტყვიისგან განსხვავებით, ამ სხივებს არა აქვთ გარკვეული მიმართულება, ხოლო არც თოფის უკუცემის მსგავსად „უკუცემის ბირთვები" ისე „ეჯახებიან მხარს" განსაზღვრული მიმართულებით, როგორც ეს თოფის გასროლის დროს ხდება ხოლმე. ამიტომაც იყო, რომ პაულმა მოიგონა ნამეცავ, პატარა „ტყვია". რომელიც ბირთვიდან ელექტრონთან ერთად უნდა გამოტყორცნილიყო.

1933 წელს ენრიკო ფერმიმ ხაბოლოოდ დაადასტურა ამ პაწაწინა კალთბრის ტყვიის არსებობა და მას პატარა ნეიტრონი ანუ ნეიტრინო უწოდა.

როდესაც ი. ტამმა ნეიტრინოს არსებობის ამბავი შეიტყო, დაეჭვდა, იქნებ ბირთვულ ნაწილაკებს შორის ელექტრონებისა და ნეიტრინოების მუდმივად ნიმდინარე გაცვლა წარმოშობდა ახე ეტალეცად შედეგადებულ ბირთვებს და მათ შემადგენლებად ბირთვულ ძალებს?

ამ სრულიად ახალ მოსაზრებას პირველი გამოეხმაურა იაპონელი ახალგაზრდა ფიზიკოსი ხიდეკი იუკავა. ოცდარვა წლის იაპონელმა ფორტეკოსმა კიდევ უფრო ფაკიზარეტა ტამის მოსაზრება. მან ივარაუდა, რომ პროტონები და ნეიტრონები ერთმანეთში ცვლიან არა ელექტრონებს და ნეიტრინოებს, არამედ სრულიადაც სხვა, უცნობ ნაწილაკს. სწორედ ეს ნაწილაკი უნდა ინკუბდეს ბირთვად შედეგადებას. მანვე ივარაუდა, რომ პროტონებსაც და ნეიტრონებსაც ირგვლივ ისევე არტეთიო ძალური ვე-

ლი, როგორც მუხტების ელექტრომაგნიტურ ძალთა ველი. და თუ ეს ასეა, რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც მოქმედებენ ა. ინშტაინის კვანტური კანონები?

როგორც ზემოთ არაერთხელ ვთქვით, ფოტონები ელექტრომაგნიტური ველების კვანტებია, ე. ი. ელექტრომაგნიტური ველების ულუფებია. იქნებ არსებობენ ბირთვული ძალური ველების კვანტები, ანუ ულუფები?

დათუ ეს ასეა, მაშინ იაპონელი მეცნიერი იგორ ტამის სქემას — ბირთვულ ნაწილაკებს შორის ელექტრონებისა და ნეიტრინოების მუდმივ გაცვლა-გამოცვლას — ძალეკ სრულიად ხმა ეცემა. იუკავას სქემაში ელექტრონი და ნეიტრინო შეცვლილია ბირთვული კვანტებით.

ბუნებრივია, ბირთვული კვანტები არ იქნებიან ნეიტრინოს უკან ნაცნობი ფოტონები სრულიად განსაკები მიზეზის გამო — მათ გააჩნიათ უძრაობის მასა. აქედან გამომდინარე, მათ არ შეუძლიათ გაჩვეთიორო სინათლის სიჩქარე. ამა რიგად კვანტებზე ლაპარაკობდა იაპონელი მეცნიერი? ამიტომაც იყო, რომ იუკავამ ბირთვულ კვანტებს „მძიმე ფოტონები" უწოდა. იაპონელის აზრით, ეს კვანტები ძალზე მცირე ხანს „ცოცხლობენ" და მერე კი იშლებიან ელექტრონად და ნეიტრინოდ.

უცნობი ნაწილაკი, იუკავას გამოანგარიშებით, „ცოცხლობს" წამის ერთ მემილიონედს, ხოლო მისი უძრაობის მასა 200-ჯერ და ორმაგი 300-ჯერაც მეტია ელექტრონის მასაზე.

რამდენ ნაწილაკს იცნობდნენ ამ დროს ფიზიკოსები? მხოლოდ ექვსს: ატომის შემადგენელ ელექტრონს, ნეიტრონს და პროტონს; სინათლის ენერგია-მასის წარმომადგენელს ნაწილაკ ფოტონს, ელექტრონის დადებითად დამუხტულ ტყუპისცალ პოზიტრონს და ნეიტრინოს.

ელემენტარული ნაწილაკების ამ რაოდენობიდანაც ნათლად ჩანს, რომ მაშინ უცნობი იყო ის შუალედური ნაწილაკი, რომელიც ელექტრონზე მძიმე, ხოლო პროტონზე მსუბუქი იქნებოდა.

იაპონელი თეორეტიკოსის ვარაუდით ასეთი ნაწილაკები მხოლოდ მეორადი წარმოშობისა უნდა ყოფილიყვნენ. ე. ი. როდესაც მძლავრი პირველადი სხივები ატომოსფეროს ეჯახება და წარმოიქმნება მეორადი სხივები, მოსალოდნელია, რომ ბირთვული ენერგია სივრცეში „ბადმოიშიფოს". სწორედ ესენი არიან ბირთვული კვანტები, ზემოთ რომ ვ

ცოცხლის ბანგრძლივობა შეადგენდა წამის მემილიონედ ნაწილს. თუ ამ ფიზიკურ მონაცემებს შევადარებთ პაულის მეზონის მონაცემებს, რასაკვირველია, განსხვავებას დავინახავთ, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ იაპონელმა თეორიულად, მიახლოებით განსაზღვრა შუალედური ნაწილაკის მასა და „სიცოცხლის" ბანგრძლივობა.

ანდერსონის მეზონებს მიუ-მეზონები შეარქვეს, პაულისას კი — პი-მეზონები.

როგორც შემდგომმა კვლევაძიებამ და უთავლავმა ექსპერიმენტებმა დაადასტურა, პი-მეზონები წარმოიშობა ატმოსფერის ზედა ფენებში კოსმოსური პროტონების ატმოსფეროსთან შეჯახების შედეგად. ხოლო თავიანთ ხანმოკლე სიცოცხლეს ისე ამთავრებენ, რომ არც ამერიკელ ანდერსონს სტკენენ გულს, „ხიკვილის" წინ ოშლეთან მიუ-მეზონებად და ნეიტრინოებად. შემდეგ კი, როგორც დ. დანინი ამბობს, „მიუ მეზონები თავის მხრივ ოშლეთან ელექტრონებად და ოხეკ და ოხეკ — ინსულის, ენერგიის, მუხტის შენახვის ენონების გადამრჩენ სიმპატიურ, მაგრამ უკარება ნეიტრინოებად. ელექტრონისა და ნეიტრინის სიცოცხლე კი განუსაზღვრელია — მათ, თავისთავად, სხვა ნაწილაკებად გარდაქმნის საშიშროება აღარ ელის, ყოველ შემთხვევაში, დღეს ფიზიკოსები ამაში სავსებით დარწმუნებულნი არიან".

აქვე მინდა მკითხველს მოვუთხრო ერთ ახალ მეზონზე, რომლის არსებობაც ორიოდე წლის წინ ბაბად ცნობილი. ექსპერიმენტატორთა ორმა ჯგუფმა, რომლებიც სრულიად განსხვავებულ მეთოდებით შუმობდნენ, აღმოაჩინეს ერთი და იგივე ნაწილაკი — ნეიტრალური მეზონი, რომლის მასა ორჯერ აღემატება პროტონისას. ამავე დროს დადასტურდა, რომ ახლად აღმოჩენილი ნაწილაკი განეკუთვნება განსაკუთრებით ხანმოკლე სიცოცხლისუნარიანთა რიცხვს და წარმოიშობა მილიონჯერ უფრო ინეთათად ვიღრე პი-მეზონი.

ახალ ნაწილაკს შეარქვეს „აშ-მეზონი".

ალბათ არც პაულის და არც ენრიკო ფერმის თავდაპირველად არც კი უფიქრიათ, თანამედროვე ასტროფიზიკაში რამოდენა ადგილს დაიჭერდა პირველის მიერ ნავარაუდევი, ხოლო მეორის მიერ ექსპერიმენტით აღმოჩენილი ნეიტრინო. საოცარია ამ ელემენტარული ნაწილაკის თვისება. მას შეუძლია ისე გაიაროს ერთ მწკრივში ჩაუნებუული მილიონი დედამიწა, ვითომ სცაროილეში მიჰკოდეს. ამიტომაც დაინტერესდნენ უკანასკნელ წლებში ასტროფიზიკოსები მისი ბუნებით. ნეიტრინოები ხომ ვარსკვლავების წიალდან გამოდიან და ყოველი მიმართულებით სერავენ მეტავალჩტკეას. ნეიტრინო გადმოიყოფა ყველგან, სადაც კი თერმობირთვული რეაქციები მიმდინარეობს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. თაკუნელიძე „პრავდაში" წერდა: „ეს ნაწილაკები (ანტინეიტრინოებმა ბ. ფ.) თავისუფლად გამოდიან ვარსკვლავების წიალიდან და თან მოაქვთ უშუალო, ზუსტი, სხვა ნაწილაკებისა და ველებისგან დაუშბინეველი ინფორმაცია (გავიხსენოთ რა ემარიებთან დედამიწის ატმოსფეროში შემოჭრილი სხვა კოსმოსური სხივებს. ბ. ფ.) იმის შესახებ, თუ რომელ პირობეკით რეაქციებში და რა პირობებში იკვნენ ისინი...

... ახლა ნეიტრინოები, თავის მხრივ, ხამყაროს ფუნდამენტური კანონების შესახებ ჩვენი ცოდნის შემდგომი გაფართოების ინსტრუმენტი ხდება" („პრავდა", 11. II. 79 წ.).

უფრო ზორს მიდის ხსრა მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ა. ლარგუნოვი: „... გაფართოებადი ხამყაროს (ფალულისხმება ფრიდმან-ლემეტრეტის გაფართოებადი ხამყაროს მოდელი. ლემეტერის მოდელის მიხედვით ხამყაროს წარმოიშვა „დიდი აფეთქების" შედეგად. 14-18 მილიარდი წლის უკან აფეთქდა კოლოსალური ხიმკვრივის მკორე მატერია, რომელიც ამჟამად ხიმეტრიულად ფართოვდება ყველა მიმართულებით. გ. ფ.) ჰიპოთეზის თანახმად მოსალოდნელია ზემაღალი ენერგიის ნეიტრინოების არსებობა, რომლებიც შემორჩენენ ხამყაროს ის ნათელი სტადიიდან, როცა ინტენსიურად მიმდინარეობდა ვარსკვლავებისა და გალაქტიკების დაბადების და აფეთქების პროცესები. ამ ნეიტრინოების აღმოჩენა და შესწავლა წარმოადგენს უაღრესად ღიმბნიშვნელოვან ექსპერიმენტულ ამოცანას". („პრავდა", 10. XI. 77 წ.). მკონი, მეთოდელეთათვის ნათელია, რამოდენა როლი დაეკისრა ამ ზეპაწაწინა ელემენტარულ ნაწილაკს.

ახლა ისევ დავუბრუნდეთ ჩვენი ხაუკუნის ოცდაათიან წლებს. ფიზიკოსებმა ინ პეტროფში ინსტიტუტმეტყველეს ნაწილაკის ორეულის — ანტინაწილაკის არსებობა. თითქოს ყველაფერი უბრალოდ დაინეკა. ანმზაინის ფორმულა ენერგია-მასისათვის კვადრატულ ფესვს შეიცავს. კვადრატულ ფესვს კი, როგორც მათემატიკის ხასელო პროგრამიდან ვიცით, ორი ნიშანი აქვს. დადებითი და უარყოფითი.

რა იყო ეს, ხუფთა მათემატიკა თუ ხამყაროსეული რეალობა?

ინგლისელმა მეცნიერმა პოლ დირაკმა ვაბედულად იწინასწარმეტყველა ანტინაწილაკის არსებობა.

თავდაპირველად დირაკს ელექტრონის ანტანაწილაკად დადებითად დამუხტული პროტონი მიაჩნდა, თუმცა თვითონვე ეშვიობდა თავისი მოსაზრების გამო. ეშვს მასთა უზარმაზარი განსხვავება ბადებდა. ამ რეალურმა ფაქტმა დაიფიქრა ინგლისელი მეცნიერი, მაგრამ რწმენა მაინც არ შეუყეთია. მხოლოდ ორი წლის შემდეგ, 1932 წელს ალმოაჩინეს ელექტრონის ტუპინსალი, დადებითად დამუხტული ანტი-

ელექტრონი—პოზიტრონი. მათი მასები კი ზუსტად თანაბარი იყო და ეჭვისათვის ადგილიც აღარ რჩებოდა.

1978 წლის 26 აგვისტოს გამოქვეყნდა ცნობა საოცარი „საუკუნის მიღწევა". ევროპის ბირთვული კვლევის ცენტრმა გამოაცხადა, რომ შესძლეს შეექმნათ ანტინივთიერების მარაგი ანტიპროტონების სახით. თურმე რამდენიმე ასეულმა ანტიპროტონმა 85 საათს იარსება 24 მეტრი დიამეტრის მქონე მაგნიტის რკალში, რომელიც აშენდა ანტიპროტონების სტოქასტიკური გაცივების ცდებისათვის.

მანამდე ანტიპროტონის სიცოცხლის ხანგრძლივობა, რომელიც სხვა მეთოდით, ბუშტუკოვან კამერაში ცდებით გაიზომა, წამის მეათასათასედ ნაწილს უდრიდა.

ერთი სიტყვით, ანტინაწილაკის არსებობას ფიზიკის დღევანდელი დონიდან თუ შევხედავთ, ამ სფეროშიც დიდი ნაბიჯი გადადგა მეცნიერებამ. ფიზიკოსები იმასაც კი ვარაუდობენ, რომ ნაწილაკებისა და ანტინაწილაკების ურთიერთგანადგურების პროცესი ანიგილაცია, როდესაც ყველაფერი გამოხსივნებად გადაიქცევა, მომავლის ენერგიის წყაროდაც კი გამოიყენონ.

●

ახლა დადგა დრო, კვლავ მივუბრუნდეთ ფარდობითობის თეორიას. ისევ გავიხსენოთ სინათლის სხივის სიჩქარე და ისევ გავიხსენოთ ფოტონი.

ზემოთ უკვე ვიქვით, რომ მეზონები წარმოიშობიან ბირთვული გარდაქმნების შედეგად სადღაც ზორს, სტრატოსფეროში. გავიხსენოთ ისიც, რომ მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა წამის ორი მემილიონედია. ისინი საშინელი სიხშირეთი მოჰქრიან დედამიწისაკენ, მაგრამ ვინაიდან გაანჩინან უძროობის მასა, ეერავითარ შემოხვევაში ვერ განავითარებენ სინათლის სიჩქარეზე მეტ სიჩქარეს. ხოლო თვით სინათლის სხივს წამის ორ მემილიონედ ნაწილში მხოლოდ ექვსასი მეტრის გავლა შეუძლია! აბა რაღა უნდა ჰქმნან მეზონებმა? მათ თავიანთი „სიცოცხლის" მანძილზე შეიძლება მხოლოდ 500 მეტრი გაიარონ (სინათლის სიჩქარესთან მიახლოებული სიჩქარით) და შემდეგ კი დაიშალონ. დიახ, კვლევაფერი სწორია, მაგრამ მაშ როგორღა გადიან მეზონები თითქმის 15 კილომეტრიან მანძილს.

გაუგებრობის ბუფუსი რომ გავფანტოთ, გავიხსენოთ, რომ მეზონები რელატიური ნაწილაკებია (რელატიური ლაბირინთად ნიშნავს ფარდობითს). და თუ ისინი რელატიური ნაწილაკებია, როგორც ვიცით, აქ უკვე აღარ გამოგადგება ნიუტონის ელასიკური მექანიკის კანონები. მეზონებზე საუბრისას მხოლოდ აინშტაინის ფარდობითობის თეორია უნდა მოვიშველიოთ. ან როგორც დ. დანინი ამბობს: „საინტერესოა ვიკითხოთ, რომელი საათი გვაზომეს მეზონების სიცოცხლის ხანგრძლივობის სწორად მეზონზე მოთავსებული საათი გაცილებით ნელა მუშაობს, ვიდრე დედამიწაზე, რომელს მიმართ იგი გიგანტური სიჩქარით მოძრაობს. რელატიურ მეზონზე დრო ისევე მიედინება, როგორც პიპოთეზური ფოტონური ძრავას მქონე კოსმოსურ ხომალდზე: „მეზონური წელიწადი შეიძლება უდრიდეს 10 „მი წიერ წელიწადს", ოღ. ოცდაათ ან მაშავალ ჩვენს საუკუნეს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა სიჩქარით მოძრაობს მეზონი დედამიწის მიმართ, რამდენად უახლოვდება მისი სიჩქარე სინათლისას".

აი, როგორ დადასტურა პატარა მეზონმა ფარდობითობის თეორიის სიმართლე, ალბერტ აინშტაინის იდეების სიღიადე.

●

შეიძლებოდა აქ დაგვემთავრებინა ლაპარაკი ელემენტარული ნაწილაკების ჯადოსნურ სამყაროზე და ამ სამყაროში ჩვენს მეგზურ ფოტონზე, მაგრამ ეფიქრობ, ფოტონის თაობაზე კიდევ ერთი განმარტებაა საჭირო. ელექტრონული ნაწილაკი ფოტონი წამში ზღვრული 300 000 კილომეტრის სისწრაფით დაქანის სივრცეში. ეს არაერთხელ აღენიშნეთ და თან ისიც დავუმატეთ, — ფოტონი მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა მისი სისწრაფე 300 000 კილომეტრია. ამ დროს ჩვენ ათასგვარ ლიტერატურაში შეგვიძია წავიკითხოთ, რომ სინათლის ხხივის სიჩქარე წელში 225 ათასი კილომეტრია, ალმასში 129 ათასი. ეჭნენ ნივთიერებაში შეჭრილი ფოტონი ანელებს სისწრაფეს, ხოლო შემდეგ, როცა ამ ნივთიერებას გაიელის, კვლავ აღწევს ზღვრულ სიჩქარეს? რასაკვირველია, არა. ანჩარება-შენელება, კიდევ ერთელ ვიმეორებ, არ არის ფოტონის თვისება.

მაშ რა ხდება?

ძალზე საინტერესო და საოცარი რამ.

შეიძლება ჩვენ დაგვიფიწყად გვეთქვა, რომ სიჩქარის ზღვარი 300 000 კილომეტრი წამში არის სინათლის სიჩქარე თავისუფალ სივრცეში. ხოლო ფოტონების გზა ნივთიერებაში ეს არის „სიკვდილ-დაბადების" ურთულესი გზა, თავისებური კრიალოსანი, სადაც ატომები ნთქავენ მათთან შეჯახებულ კვანტებს, ალიგზნებიან შემდეგ მდგრად მდგომარეობას უბრუნდებიან და უკვე თვითონ გამოსცემენ სხვა კვანტებს. აი, რაზე იბარჯება დრო, აი, რატომაა, რომ სინათლის ნაწილაკი წყალში 225 ათასი კილომეტრი, ხოლო ალმასში 120 ათასი კილომეტრი სიჩქარით ვრცელდება.

ზურაბ ფანჯიკიძე
ბიკასო-ფიზიკა — XX საუკუნის
აბრაკადაბრა?

ახლა კი გამოვეთხოვოთ ფოტონს და აინშტაინის მიერ აღმოჩენილ მიკროსამყაროს, სადაც ფარდობითობის თეორიის კანონები მოქმედებენ.

ხოლო სამყარო, რომელსაც ახლა გავეცნობით, არანაკლებ საინტერესოა და ჯადოსნური, — ეს არის შიდაატომური სამყარო. აქ ჩვენი მეგზური, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იქნება ელექტრონი.

რა არის ელექტრონი?

ამ კითხვამ შეიძლება ბავშვიც კი გააოცოს.

დღეს ბევრ ყველას იცის რა არის ელექტრონი. ელექტრონი გვაძლევს სინათლეს, ენერგიას, სითბოს. თვით ელექტრონს კი გვაძლევს მიდროელექტროსადგურები, თბოელექტროცენტრალები, ატომური ელსადგურები და სხვა ათასგვარი საშუალებანი.

დიახ, ჩვენ ვიცით რას გვაძლევს ელექტრონი და რა გვაძლევს ელექტრონს.

მაგრამ არ ვიცით, რა არის თვით ელექტრონი.

ეს საკითხი არც ისე ადვილია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს დღევანდელ ადამიანს.

ფიზიკოსებს შორის პოპულარობით სარგებლობს ერთი ახალი ანეკდოტი. პროფესორი სტუდენტს ეკითხება, აბა ერთი მიპასუხეთ, ელექტრონი რა არიხო. სტუდენტი მხრებს იჩეჩავს და ამბობს, დალაჯიროს ეშმაკმა, დამავიწყდა, ამ დილით კი ვიცოდით. თქვენ ეს აუცილებლად უნდა გაიხსენოთო, — ჩაიცინებდა მას პროფესორი, — თორემ გამოდის, რომ არსებობდა მსოფლიოში ერთადერთი ადამიანი, ვინც იცოდა რა არის ელექტრონი და იმასაც დავიწყდაო.

ამ ანეკდოტში არის დიდი სიმართლე. ზოგნი ხოლმე, რომ ხშირად თვით უდიდესი მეცნიერებიც კი ვერ იგრძნობენ განსაკუთრებულად მნიშვნელოვან აღმოჩენას და მთელი სისატაკით ილაშქრებენ ეკუმარიტების წინააღმდეგ. ასე გაილაშქრა რენტგენმა ელექტრონის წინააღმდეგ. მის სიცოცხლეში მიუხედავ უნივერსიტეტის ფიზიკის ინსტიტუტში სიტყვა „ელექტრონის“ უბრალო ხსენებაც კი აკრძალული იყო.

დიახ, ასეთი კატეგორიული უარყოფილი შეხვდა ვილჰელმ რენტგენი ელექტრონის ცნებას. ეს მით უფრო საოცარია და დაუჯერებელი, თუ გავიხსენებთ, რომ რენტგენის სხივები წარმოიქმნებიან ატომგულის ახლოს სწრაფად მჭრელი ელექტრონების დამუხრუჭებით. თუმცა რენტგენმა მაშინ არ იცოდა თავის მიერ აღმოჩენილი სხივების წარმოქმნის მექანიზმი.

და სწორედ იმ პერიოდში მოხდა ელექტრონის აღმოჩენა, როცა ზედიზედ ფიზიკაში ბევრ დიდ რენტგენის სხივებით, რადიოაქტიურობით, კვანტებით, ფარდობითობის თეორიით.

მისი აღმოჩენი გაბლდათ ინგლისელი ჯოზეფ ტომსონი. მაშინვე გაირკვა ელექტრონის რამდენიმე თვისება:

1. იგი ყველაზე მსუბუქია (ჭერეერობითაც არ აღმოუჩენიათ ელემენტარული ნაწილაკი, რომელსაც უძრაობის მასა ელექტრონზე ნაკლები აქვს).

2. ელექტრონი ატომის სამყაროზე უფრო მცირე სამყაროს პირველი წარმომადგენელია.

3. მუხტისა და მცირე მასის წყალობით ელექტრონი გადაიქცა მაკრო და მიკრო სამყაროში მიმდინარე თითქმის ყველა ფიზიკური მოვლენის აუცილებელ მონაწილედ.

4. ელექტრონს აღმოაჩნდა ნაწილაკური ბუნება. აქედან გამომდინარე, წარმოდგენა რომ ელექტრონა არის უწყვეტი მდინარის მსგავსი რამ, მცდარია. გამოოქმა „მავთულში დენი მიედინება“, სულაც არ გამოხატავს ელექტრონის ბუნებას.

აღმოჩნდა ელექტრონი და დღის წესრიგში დადგა ატომის საკითხიც.

„თავდაპირველად არავის მოსვლია აზრად, — წერს დ. დანინი, — იდეათა რა ცხარე ომი გაჩაღდებოდა ატომას ნამეცავა პლადაჩაზე ეს ომი დღესაც გრძელდება და ფარდა უკვე აღარასდროს ჩამოშვებაზ“.

რაკიმ დაადგინა ელექტრონის აღმოჩენამ მექანიკურად ატომის აღნაგობის რეალური მოდელის აღმოჩენის საკითხი?

თავიდანვე ნათელი გახდა, რომ მზოლოდ უარყოფითად დამუხტული ელექტრონები ვერ შექმნიდნენ ნეიტრალურ ატომებს. მაგრამ ელექტრონი გაჩნერილი იყო ყველგან, სადაც კი რაიმე ენერგიენერი ჩაბარდებოდა. ელექტრონები თავისუფლდებიდნენ ionიზაციის დროს, ბეტა-სხივების სახით გამოიყოფოდნენ რადიოაქტიური დაშლისას.

მეოცე საუკუნის პირველი ათი წლის მანძილზე ატომის მრავალი მოდელი შექმნეს ფიზიკოსებმა. მათ შორის იყო თვით ელექტრონის აღმოჩენი ჯოზეფ ტომსონიც. მაგრამ რადლობან პირველმა ერნესტ რეზერფორდმა მიაკვლია. ეს იყო 1911 წლის ზამთარში: იგი შევიდა თავის ლაბორატორიაში, სადაც მისი მოწაფე, შემდგომში ხასელგანქმული მეცნიერი ჰანს პეიგერი მუშაობდა და რწმენით აღსავსე განაცხადა: „ახლა მე უკვე ვიცი, როგორ გამოიყურება ატომი!“

მალე მსოფლიომ გაიგო ე. რეზერფორდის მიერ დამუშავებული ატომური მოდელი. ეს იყო ატომის ეგრეთწოდებული პლანეტარული მოდელი — მზე-პირთვი და პლანეტა-ელექტრონები.

ე. რეზერფორდს ატომის მოდელის კონსტ-

რუქცია ჩვენი მზის სისტემის აღნაგობამ უკარნახა.

თუმცა, აქვე უნდა დავძინოთ, ატომის მოდელი რომ მართლაც მზის სისტემის მსგავსი ყოფილიყო, იგი ერთ წამსაც კი ვერ იარსებებდა. დღეს არახეციალისტებს მაინც ახე. ეუარნესისტური ზერელეობით აქვთ წარმოდგენილი ე. რეზერფორდის პლანეტარული მოდელი. ამიტომ ჩემს თავს ნებას მივცემ, უფრო დაწვრილებით ვილაპარაკო დიდი მეცნიერის ამ აღმოჩენაზე.

ერთის შეხედვით თავისი უმნიშვნელოვანესი ატომური აღმოჩენა ძალზე მარტივი ხელსაწყოთი განახორციელა. ეს იყო ტექნიკური ოვალსაზრისით სრულიად უბრალო დანადგარი, რომელშიც მხოლოდ ორი დეტალია ძვირფასი — რადიუმის პრეპარატი და ოქროს ფირფიტა.

რადიუმის მიერ გამოსხივებული ალფა-ნაწილაკები ბომბავენ ოქროს ფირფიტას (მკითხველს შევახსენებ, რომ რადიოაქტიურ სხივებს ახასიათებთ ალფა და ბეტა დაშლა. ეს დაშლები ჩვეულებრივი ელექტრონებია. ისინი ისე გამოიტყორცნებიან ბირთვიდან, როგორც ტყვია თოფიდან, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ „ტყვიებს" არ აქვთ გარკვეული მიმართულება). „ბომბების" გარკვეული ნაწილი ისე გადიოდა ოქროს ფირფიტას, რომ არავითარ წინააღმდეგობას არ აწყდება. მეორე ნაწილი კი ირეკლებოდა სხვადასხვა მიმართულებით. გაბნეული სხივები ირეკლებოდა გოგირდოვანი თუთიის ეკრანზე. მაგრამ ყველაზე საოცარი ერთი რამ იყო, იშვიათად, მაგრამ მაინც, ხდებოდა საოცარი უკუფრეკული. ალფა-ნაწილაკი თითქმის ზუსტად უკანვე ბრუნდებოდა. რეზერფორდი მიხვდა, რატომ ბრუნდებოდა უკან ალფა-ნაწილაკი — მას ოქროს ატომები ირეკლავდა...

და კვლავ მზის სისტემის მაგალითს იშველიებს რეზერფორდი. ეთქვათ, კომეტამ ელვის სანრგოფი ჩაუქროდა მზეს. უცებ კომეტა გზას პირდაპირ კი ვეღარ აგრძელებს. არამედ მზის მიზიდულობის შედეგად იგი გარს შემოუვლის მზეს. შეიძლება საკითხი უბრალოდ გადასაწყვეტი მოგვეჩვენოს. ოქროს ატომი ისე მიიზიდავს ალფა-ნაწილაკს, როგორც მზე — კომეტას. მაგრამ მოლაც ასე არაა საქმე. მასების სიმეორის გამო მათი მიზიდულობა ძალზე უმნიშვნელოა. ასე რომ, ატომის მიერ ალფა-ნაწილაკის მიზიდვა გამოთიშულია. მაშ რა მოკლენასთან გვაქვს საქმე? ე. რეზერფორდი მიხვდა, რომ მათ ერთმანეთთან იზიდავს ელექტრული ძალები. ალფა-ნაწილაკი დადებითადაა დამუხტული. ეს თვითონ რეზერფორდმა აღმოჩინა მეოცე საუუკუნის დასაწყისში. გამოდის, რომ ოქროს ატომები ყოფილან უარყოფითად დამუხტული.

თითქოს ახლაც ყველაფერი გასაგებია. ... გრამ აქაც ხომ ეიცოდით, რომ ატომები ნეიტრალურია?

ალბათ, — ფიქრობდა ე. რეზერფორდი, — ნეიტრალური ატომებიც არ არის ერთგვაროვანი. იქნებ მათში დადებითი და უარყოფითი მუხტები თანაბრად კი არ არის შეერეოებული, არამედ დიდი მანძილით არიან ერთმანეთისაგან დაშორებულნი? რატომ არ შეიძლება დაეშუშათ, რომ ერთი ნიშნის მუხტები ერთად არიან თავმოყრილნი და ჰკმნიან ატომურ მზეს, ხოლო მეორე, საწინააღმდეგო ნიშნის მუხტები კი ატომურ პლანეტების მსგავსად სადღაც მოშორებით მოძრაობენ?

რეზერფორდის მოსაზრება მჭაცეე ლოგიკას ემყარებოდა. და ეი, თუ ატომი მართლა ასეთი აღნაგობისა და მასში შეიერება ალფა-ნაწილაკი, ამ ნაწილაკისათვის იგი ადარ იქნება ნეიტრალური. მაშინ კი ნაწილაკი ისე იერაძნობს ატომგულის მუხტს, როგორც კომეტა — მზის მასას.

მაგრამ... თუ დადებითად დამუხტულ ალფა-ნაწილაკს ავიღებთ, კომეტის მაგალითზე უნდა გამოდიოდეს, რომ ბირთვს მიზიდვის უნარი უნდა ჰქონდეს და არა განზიდვის. მუხეებრივია, იგულისხმება, რომ ბირთვი შეიძლება უარყოფითად ყოფილიყო დამუხტული, მანამდე კი ეცოდნენ, რომ ბირთვი შეიძლებოდა მხოლოდ დადებითი ყოფილიყო. უარყოფითი ელექტრონები კი ბირთვის ირგვლივ ბრუნავდნენ ორბიტებზე. პირველმა სწორედ ე. რეზერფორდმა ოფქრა, ბირთვი უარყოფითად დამუხტულიც უნდა არსებობდეს. მაგრამ კომეტის მაგალითმა აშკარად მოამწყვდია ჩიბში რეზერფორდი. თუკი ატომური „მზის სისტემის" ირგვლივ უარყოფითად დამუხტული ელექტრონები მოძრაობენ, როგორ შეიძლება ატომური ბირთვიც უარყოფითი იყოს?

ახლა მეორე წინააღმდეგობაც განვიხილოთ. თუ ატომის ბირთვი დადებითია, ალფა-ნაწილაკი უკვე ადარ დაეშვებაზეა მზის გარშემო მოძრავ კომეტას.

რეზერფორდი ვერ შეაშინა ამ ლოგიკურმა დასკვნებმა. მან წამოაყენა სხვანაირი მოსაზრება — იქნებ ალფა-ნაწილაკი სულაც არ უფლის ბირთვს გარშემო, პირიქით, იქნებ მასთან მიახლოებამდე ბრუნდება უკან განზიდვის ძალებით?

და მან ავიგო დადებითი ატომური ბირთვის მიერ დადებითი ალფა-ნაწილაკების განზიდვის დიდი მოდელი. რეზერფორდმა მაგიდაზე დაამაგრა დიდი მაგნეტი, ^ მისი ჩრდილოეთი პოლუსი ზემოთ მოაქცია. ამავე დროს მის საპირდაპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდ ჩამოსკიდა პატარა მაგნტი, რომლის ჩრდილო პოლუსი დასჩერებოდა მაგიდაზე დამაგრებულ დიდი მაგნტის ჩრდილო პოლუსს. როცა მეცნიერი პატარა მაგნტს შეარხევდა, დიდი მაგნტი მას უკუაგდებდა.

ახე დაიბადა ატომის პლანეტარული მოდელი.

მაგრამ მოსდა საოცრება. მეცნიერება თითქოს უკან დაბრუნდა. კლასიკური ფიზიკა, რომელიც კვანტებმა და ფარდობითობის თეორიამ მხლოდ ლოკალურ, კერძო შემთხვევად აქცია, ისევ დადგა დღის წესრიგში.

რატომ?

ახლავე მოგახსენებთ.

თუ მართალი იყო ე. რეზერფორდი და თუ სწორი იყო ატომის მიხეული პლანეტარული მოდელი, როგორ მოძრაობენ პლანეტები მზის ირგვლივ? რასაკვირველია, ელექტრის და ნიუტონის მიერ აღმოჩენილი კანონების მიხედვით, ე. ი. კლასიკური მექანიკის კანონების მიხედვით!

ე. რეზერფორდის ატომის პლანეტარული მოდელიდან შეიძლება გავაკეთოთ ძალზე ზოგადი და ლოგიკური დასკვნა — სამყაროში ყველაფერი, დიდიც და პატარაც, ვრანდიოზულიც და ზეპაწაწინაც ერთი პრინციპით არის აგებული.

თუკი პლანეტები მზის ირგვლივ ბრუნავენ ელექტრის და ნიუტონის კანონების თანახმადაც, მისი მსგავსი ატომის პლანეტარულ სისტემაში ელექტრონები რატომ არ უნდა მოძრაობდნენ ატომური ბირთვის ირგვლივ იმავე კანონების შესაბამისად?

აი რა დრამატული მომენტებითაა სავსე დიდი აღმოჩენების ისტორია. დამეთანხმებით, მათზე ისევე საინტერესოა (და იქნებ უფრო მეტად საინტერესოდაც) შეიძლება წერა, როგორც ისტორიულ ქარტეხილებზე.

ახლა მივყვეთ საქმის დინებას.

პლანეტები მზის ირგვლივ მოდმივ ორბიტებზე მოძრაობენ. მოძრაობენ ისეთ სიჩქარეში, რომელიც ფაქტიურად არ შეიცავს არავითარ ნივთიერებას, აქედან გამომდინარე, არც რაიმე წინაღობა ჩნდება პლანეტების გზაზე. ისინი არაფერს არ ეჯახებიან და ოდესღაც შეძენილი ენერგიას სრულებით არ კარგავენ.

თუ მათ შევადარებთ ჩვენი დედამიწის ირგვლივ მბრუნავ ხელოვნურ თანამგზავრებს, უზარმაზარ განსხვავებას დავინახავთ. უზარმაზარს და თანაც პრინციპულს. ხელოვნური თანამგზავრის ფრენა დედამიწის ირგვლივ პირველი წამებიდანვე დედამიწაზე ვარდნაა. ნელი, ძალზე ნელი, მაგრამ მაინც ვარდნა. ადრე თუ გვიან იგი ატმოსფეროსთან ხახუნის შედეგად დაჯარჯვის მინიგებულ ენერგიას და დედამიწის მიზიდულობის ძალის შედეგად მაინც დაეშვება ატმოსფეროში.

პირველ შემთხვევაში პლანეტებზე, ეს კარგავენ ერთხელ და სამუდამოდ მინიგებულ ენერგიას და ისინი კლასიკური მექანიკის კანონების თანახმად მოძრაობენ მზის ირგვლივ.

მეორე შემთხვევაშიც კლასიკური მექანიკის კანონები მოქმედებენ. ხელოვნური თანამგზავრი ატმოფეროსთან ჰიდლეში ნელ-ნელა კარგავს თავდან მინიგებულ ენერგიას და ბოლოს ეცემა დედამიწაზე.

ახლა ვნახოთ, რა სტატუსია იქმნება რეზერფორდის პლანეტარულ მოდელში. აქ ელექტრონები ატომგულის ირგვლივ კიდევ უკეთეს პირობებში მოძრაობენ, ვიდრე პლანეტები მზის ირგვლივ, პლანეტებს ხომ პრაქტიკულად თითქმის უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ელობება კოსმოსური გაზის ნაწილაკები. ელექტრონებს კი წინ არაფერი არ ელობება. აქედან გამომდინარე, ელექტრონ-ნიუტონის კანონების თანახმად, მათი მოძრაობა სამარადჟამო უნდა იყოს.

მაგრამ ელექტრონები ამავე დროს უნდა დაემორჩილონ ელექტრონების კლასიკურ კანონებსაც. ისინი ხომ დამუხტული ნაწილაკებია. ამიტომ, ელექტრონები, თანამგზავრების მსგავსად, ატომგულს უნდა დაეცენ. და ეხლე კლასიკური თეორიის კანონების შესაბამისად უნდა ხდებოდეს.

ხაკითხი რომ უფრო ნათელი იყოს, ერთი მოკლენაც უნდა განვმარტოთ. ელექტრობის კლასიკური თეორიის მიხედვით მოძრავი მუტტი ვერ შეიცვლის ხაჩქარეს ან მიმართულებას ისე რომ რაღაც „ფათერაკი" არ შეემთხვას. როცა მუტტი თანაბრად და სწორხაზოვნად მიჰქრის, მას თან მიაყვება თავის ძალური ველიც. თუ მუტტი მიმართულებას შეიცვლის, აუცილებლად გამოასხივებს რაღაც ენერგიას. ვინაიდან მუტტს განსაზღვრული აქვს ენერგიის მარაგი, ხოლო მისი მოძრაობა კი წრიულია და აქედან გამომდინარე, მუტტი განუწყვეტელ ახსნიგებს ენერგიას, საბოლოოდ იგი ატომგულზე უნდა დავარდეს.

დავარდება და ატომიც აღარ გვეკნება.

აი, რა წინააღმდეგობებს წაეკუდა რეზერფორდი, მაგრამ იგი არ შეშნებულა, ფარხმალი არ დაუყრია.

მიუხედავად ამისა, პლანეტარული მოდელი გადაარჩენს მოითხოვდა.

და იგი გადაარჩინა... ნილს ბორმა.

ნილს ბორი... რეზერფორდის ახალგაზრდა მოსწავლეი... შემდგომში დიდი ფიზიკოსი. აინშტაინმა მშვენივრად დაახასიათა დანიელი მეცნიერი: მას გენიალური ინტუიცია და დიდებული ალღო აქვსო, თანაც კიდევ ერთი უშვენვენერესი ფრაზაც მინდა მკითხველს შევახსენო, ნილს ბორის მიმართ რომ გამოთქვა. აინშტაინმა ახალგაზრდა კოლეგის ინტუიციის ნაკოფს უწოდა „უდიდესი მუხიკალობა აზროვნების სფეროში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, ასე შეიფასა აინშტაინმა ნილს ბორი, თავისი მომავალი მოწინააღმდეგე. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

რაკი პლანეტარულ მოდელს მაინც გამოუჩნდა დამცველი, ხოლო თვით რეზერფორდი ჯიუტად იცავდა მას, ეს უკვე ნიშნავდა, რომ ნილს ბორი ამ მოდელში ხედავდა ბუნების რეალურ სურათს. მაგრამ აქვე უნდა გარკვეულიყო რამდენიმე საკითხი. პლანეტარული მოდელის მიხედვით უნდა ველოდეთ, რომ ან გამოსხივების გარდუვალობაა ყალბი, ან მუტატის მიზნადსოდა. მეორე პირობის უარყოფა შეუძლებელი იყო, იმდენად ნათლად მტკიცდებოდა დადებითი და უარყოფითი მუტატების ურთიერთმიზიდულობა. მაშ გასარკვევი რჩებოდა ერთი საკითხი: არის თუ არა გარდუვალი გამოსხივება? თუ გამოსხივება გარდუვალია, მაშინ ატომი აღარ არსებობს, ხოლო თუ არ არის გარდუვალი, ატომი მყარი უნდა იყოს.

მაგრამ ატომები ხომ მყარია?

ნილს ბორი ჩასწვდა ატომის მექანიზმის საიდუმლოს. იქნება ატომში არის გზები, რომლებზეც მოგზაურობისას ელექტრონები არ ასხივებენ ენერგიას?

აი, ასე მიაგნო რეალობის სათავეს დანიელმა ფიზიკოსმა.

ახლა მთავარია განსაზღვრულიყო ეს გზები. თუ ელექტრონები ამ გზებზე არ კარგავენ ენერგიას, მაშინ უკვე უნდა ვილაპარაკოთ რაღაც უცნობ კანონებზე, რომელიც ელექტრონს მოძრაობისას უკრძალავს ენერგიის გამოსხივებას. ელექტრონი კი მაინც ასხივებს ენერგიას, რასაც უტყუარად მოწმობენ გამოსხივების სპექტრები.

მაშ რა ხდება?

ახლა კი დაგრწმუნდებით, რა ლოგიკურია დანიელი ფიზიკოსის დასკვნები.

ატომის სტრუქტურა ძალზე რთულია. ატომგულის ირგვლივ მზოლა და მის ირგვლივ მბრუნავ პლანეტების მსგავსად, არსებობს ელექტრონების მოძრაობის მყარი გზები, სადაც ისინი არ კარგავენ არავითარ ენერგიას. ამ შემთხვევაში ელექტრონები ამსოლუტურად ემორჩილებიან კლასიკური მექანიკის კანონებს.

მაგრამ, ვთქვათ, რადაც უცნობი მიზეზის გამო ელექტრონი ასცდა თავის მყარ ორბიტას. გამოსახივებს თუ არა იგი ენერგიას?

რასაკვირველია, გამოსახივებს.

და თუ ელექტრონი გამოსახივებს ენერგიას, დეიმსგავსება ხელოვნურ თანამგზავრს და დაეცება ატომგულზე.

მაგრამ ხომ შეიძლება ატომგულისაკენ მიმავალ გზაზე იგი მოხვდეს რომელიმე მყარ ორბიტაზე? შეიძლება და იგი კვლავ მდგრადი გახდება.

შესანიშნავი მაგალითი მოჰყავს დ. დანინს: „უკ იმან წაადგა, როცა, ვთქვათ, ბუნური მეექვსე სართულის დერეფანში მიგორავს და მიუხედავად დედამიწის მიზიდულობისა, მაინც არ ვარდება ძირს. მაგრამ საკმარისია უცაბედად ხელიქნი მოხდეს და იგი მაშინვე დაიწყებს ვარდნას, ვარდნილი ბუფთს მეოსე მეაჩრეტის მეზუთე სართულის იატაკი, ამ სართულის დონეზე ბურთი ისევ ნელა გაგორდება, ვიდრე აქაც ხერელი არ შეხედება. ახალი ხერელიდან მას მეოთხე სართულზე მოუწევს ჩასვლა, მეოთხიდან მესამეზე და ასე სარაულიდან სართულზე“.

მართლაც ხომ მოგვაგონებს ნილს ბორის მდგრადი ორბიტები ბურთის სართულ-სართულ ვარდნას?

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ატომის ორბიტებზე მოკმედებენ კლასიკური კანონები, როცა ელექტრონები არ ასხივებენ ენერგიას. მაგრამ მოკმედებენ კლასიკური ელექტროდინამიკის კანონებიც, რომლის მიხედვითაც ელექტრონები ასხივებენ ენერგიას.

ასე და ამგვარად ბორმა უკვე ჩამოაყალიბა კანონი, რომელსაც ვერაფერით ვერ უწოდებენ კლასიკურს. ატომის ელექტრონებს აქვთ მდგრადი ორბიტების წყვეტილი წყება, ატომებს კი — შესაბამისი მდგრადი ენერგეტიკული მდგომარეობები.

მაგრამ იყო თუ არა ეს არაკლასიკური კანონი საკმარისი, რომ ნათლად წარმოგვედგინა ატომის რთული მექანიზმი?

გასარკვევი დ ადასდგენი რჩება ერთი ასეთი საკითხიც: ნილს ბორს უნდა აღმოეჩინა ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის კანონი. ესე იგი, უნდა მიეგნო ატომის გამოსხივების კანონისათვის.

ერთი მდგომარეობიდან მეორეში თანდათანობითი გადასვლა გამორიცხული იყო ყოველივე იმის გამო, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ. რჩებოდა ერთი დასკვნა, რომელიც თამამად ირწმუნა ნილს ბორმა: ორბიტიდან ორბიტაზე ელექტრონები გადადიან ნახტომებით და მხოლოდ ნახტომებით.

ნახტომების დროს არ შეიძლება ელექტრონმა ასე უწყვეტად დაკარგოს ენერგია, როგორც დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი კარგავს. იგი ნახტომის დროს მხოლოდ ერთ ულუფად კარგავს ენერგიას.

გავიხსენოთ სინათლის ნაწილაკები, რომლის ბუნებაც ასე ღრმად გაშიფრა ალბერტ აინშტაინმა. ნილს ბორმა კი ელექტრონსა და სინათლის ნაწილაკებს შორის, ე. ი. ელექტრონსა და კვანტებს შორის დიდი ნათესაობა დაინახა.

აბრამ ფაბრიკიანი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპიპალო-ფიზიკა — XX საუკუნის ბარბაროსობა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველმა არ იფიქროს, რომ რეზერფორდის მიერ აღმოჩენილი ატომის პლანეტარული მოდელი და ნილს ბორის არაკლასიკური კანონები იმავე წუთში აღიარეს ფიზიკოსებმა.

არც ის უნდა გვფიქროთ, რომ ამომწურავი და საბოლოო იყო ნილს ბორის ვარაუდები. მისი ატომის აქილესების ქუსლი გახლდათ ატომში ელექტრონის ერთი ორბიტიდან მეორეში ნახტომთან გადახვედა.

კლასიკურმა ფიზიკამ მეცნიერთა გონება მხოლოდ უწყვეტ გარდაქმნებს მიაჩვია.

ნილს ბორის „ნახტომების" გაგონებაც არ უნდოდა იხვლისელ მეცნიერს ლორდ რელეის. მან თქვა, რომ არ სჯერა „ბუნების ასეთი უცნაური ხაჭუელი". სხვათა შორის, ეს ის მეცნიერია, რომელსაც ეკუთვნის, ჩემის აზრით, გენიალური გამონათქვამი: „ადამიანებმა, რომლებმაც ხამოცდაათ წელს გადაალახეს, არ უნდა იჩქარონ აზრის გამოთქმა ახალ თეორიებზე".

ხამწუხაროდ, ოვითონ კი იჩქარა...

მაგრ პლანკმაც კატეგორიულად უარყო ნილს ბორის „ნახტომები". თუმცა, რა გასაკვირია, პლანკი ხომ ბოლომდე ეოოქმნიდა" და ვერ დაეჯერებინა ხაკუთარი აღმოჩენა — კვანტები!

გასაოცარი იყო, რომ მიკოსამეცარის თანამედროვე ჩეკნაის ერთ-ერთი შემდეგნირი ერვინ შრედინგერიც კი „მტრულად" შეხვდა ნილს ბორის მოსაზრებებს. „თუ ჩვენ ამ წყეული კვანტების შენარჩუნებას ვაპირებთ, მაშინ მე ვნანობ, რომ ხაერთოდ ხაქმე მქონდა კვანტურ თეორიასთან", — განაცხადა მან.

ალბერტ აინშტაინიც კი შეაცბუნა ნილს ბორის „ნახტომებმა".

„მე, ალბათ, სირაქლემას ვგავარ, რომელსაც თავი ფარდაბიბოთის ქვეშაში აქვს ჩარგული, რომ ხაზიზღარ კვანტებს არ შეხედოს", აინშტაინის ამ კვანტში იგულისხმება ელექტრონის მიერ ბგმოყოფილი ენერგიის ულუფა.

ახლა კი უნდა ვთქვათ ის უმთავრესი, რამაც ამდენი დავა გამოიწვია ფიზიკოსთა შორის. ფერო წერაში, დავარქვათ თავიხი ხახელი იმ მოვლენას, რაზეც ზემოთ ვლაპარაკობდით. მიკოსამეყარო თანამედროვე ფიზიკის მიხედვით წარმოგიდგება როგორც დაკარგული ტრაკტორიები ხამყარო. დ აქვე ორი ქვეგანმარტებაც, თუ შეიძლება ახე ითქვას: 1. კვანტური მექანიკიდან გამომდინარე — უაზრობაა ილაპარაკო ატომურ ხიერცეში ელექტრონის ტრაკტორიებზე. 2. ელემენტარული ნაწილაკები არ ემორჩილებიან ზუსტ ცალსახა კანონებს.

ამ პერიოდში ხცენაზე გამოდის კიდევ ერთი შესანიშნავი ფიზიკოსი ლეი დე ბროილი. ეს ის ბროილია, რომელსაც ალბერტ აინშტაინმა მისწერა — მე ალბათ სირაქლემას ვგავარო... მისწერა, რადგან მას, იხეკე როგორც დე ბროილს, არ სჯეროდა, რომ მიკროსამყაროში ნაზიზ ხწორად ხსნიდა კვანტური მექანიკა.

ვინ იყო ლეი დე ბროილი? იგი საფრანგეთის სამეფო დინასტიის შთამომავალი იყო. მოსწრებულად წერს მასზე დ. ლანინი: „ცხრა ხუკუნის განმავლობაში ბურბონებმა, როგორც ეჭნა, ვერაფერი მეფეს!"

რა გაკვეთა მან ფიზიკაში ისეთი, როგორც იგი აღიარეს დინასტიის ერთადერთ ბეუმარიტ მეფედ?

გავიხსენოთ, რომ 1905 წელს ალბერტ აინშტაინმა სინათლის ტალღებს ნაწილაკთა თვისებები შეამჩნია.

მას შემდეგ გავიდა წლები და აი, 1923 წელს დე ბროილმა თეორიულად იწინასწარმეტყველა, რომ ტალღის თვისებები გააჩნია ნივთიერების ნაწილაკებსაც.

ხხვათა შორის ნივთიერების ტალღური თვისებები სჯეროდა თვით აინშტაინსაც, მაგრამ დიდმა მეცნიერმა დადებითი შედეგები ვერ მიიღო, რომ თავიხი ნაფიქრი გამოეხატა.

დე ბროილმა კი მიიღო ხათანადო შედეგები. დიახ, ჯერ იწინასწარმეტყველა „მატერიის ტალღები". შემდეგ კი მიიღო. ამ ვარაუდიერებელმა და ძალზე გაბედულმა წინასწარმეტყველებამ აქცია დე ბროილი სწორედ ბურბონთა დინასტიის ნამდვილ მეფედ.

როგორც უკვე ალენშნეთ, 1913 წელს ნილს ბორის ორბიტებმა „გადაარჩინა" რეზერფორდისეული ატომის პლანეტარული მოდელი.

დიახ, ბორმა გადაარჩინა რეზერფორდის მოდელი, მაგრამ ახლა გადაარჩენი იყო თვით ბორის მოდელი.

რა კიბოლეს ელექტრონს ნახტომისებურად იმოძრაოს ერთი მყარი ორბიტიდან მეორეზე? რატომ იქმნება ატომში ენერგიის ნებადართულ დონეთა კიბე?

ატომური მდგომარეობის სწორედ ამ წყვეტილობამ მიანიშნა დე ბროილს ნივთიერების ტალღურ თვისებებზე.

თითქოს გაუგებრობაა, ტალღურობა ხომ უწყვეტი მოვლენის თვისებაა. ხოლო ბორის ნახტომები ხომ ნამდვილად წყვეტილია? დე ბროილმა სწორედ აქ იპოვა გასაღები და ივარუდა, რომ მოძრაკი ელექტრონი რაღაცას „მოჰყავს", რადაც აწესრიგებს მის მოძრაობას.

როდესაც ელექტრონი თავის მყარ ორბიტაზე მოძრაობს, იგი არაფერს არ იძენს და არაფერს არ ჰკარგავს. ასეთი ორბიტა ნებადართულია და, როგორც უკვე ვთქვით, მყარია. მაგრამ ელექტრონისათვის ხომ არ არსებობს წინასწარ გაკვანილი ორბიტა? ელექტრონი ხომ თვითონ ხაზავს თავის მყარ ორბიტას?

დე ბროილმა მიაგნო ამ მექანიზმის საიდუმლოებას. მეცნიერის აზრით, ელექტრონი მდგრადად მოძრაობს ისეთ ორბიტებზე, რომელთა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რშემო ერთ ბრუნზე ტალღების მოელი რიცხვი თავსდება. სწორედ ახეთი ორბიტებია ნებადართული ორბიტები. ელექტრონის ტალღური ბუნებაში დე ბროილმა შეამჩნია ატომის შდგომარეობების კვანტური წყვეტილობის შესახლებელი მიზეზები, შეამჩნია მასში ენერგიის დონეების კვანტური კიბეები.

ყველაფერი რა იოლი იქნებოდა, დასამტკიცებელი რომ არ ყოფილიყო ელექტრონის ტალღურობა.

დიახ, ელექტრონის ნაწილაკობა დასაბუთებას არ საჭიროებდა. ეგი საბუდამოდ იყო დასაბუთებული და დამტკიცებული. ახლა ჭერი ელექტრონის ტალღურობაზე მიდგა. გავიხსენოთ, რომ ტალღურობის ყველაზე უტყუარი მოწმეი დიფრაქცია, წინადროსასთვის გარს შემოდგა.

როგორც ამ წერილის დასაწყისიდანვე ვვახსოვს, სწორედ დიფრაქციამ დაამტკიცა სინათლის ტალღურობა. ახლა კი ცდებით დადასტურდა, რომ ელექტრონებსაც გააჩნია დიფრაქციის უნარი.

სამართლიანად ამბობს დ. დანინი: „ეს იყო ელექტრონის მეორედ აღმოჩენა...

...ფოტონმა აინშტაინის დასმარებით და ელექტრონმა დე ბროილის დასმარებით ფიზიკოსებს ამცნო, რომ მატერია თავის წიაღში ორსახეა. ორსახეა ორსახეა როგორც ნივთიერების ატომურ წიაღში, ასევე ძალური ველების სტრუქტურულ წიაღშიც. ასე რომ, განსხვავება ნივთიერებასა და ველებს შორის ელემენტარული ნაწილაკების სამყაროში წაშლილია: მატერიის ყველა „პრიველსაწყისი" წარმოადგენს კენტკვარს — ტალღური თვისებების მქონე ნაწილაკს, ან ნაწილაკის თვისებების მქონე ტალღას".

ამიტომ დაიბადა ხელახლა ელექტრონი.

ნილს ბორის კვანტური ნახტომებით და ლუი დე ბროილის ტალღებით მიეცა დასაბამი ახალი მექანიკის შექმნას.

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ ლოგიკურად და ნათლად დამოკიდებ ყველაფერია. რაოდენ დიდი იქნება მისი გაოცება, როცა შეიტყობს, რომ ჭერეტრეობით არაფერი არ დამთავრებულა. მთავარი სათქმელი ჭერ კიდევ წინაა...

ჩვენ ერთ ადგილზე ატომური სპექტრი ვახსენეთ. სპექტრის ხაზები ატომის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის კვანტია. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ სპექტრში უამრავი ხაზია, იგი მეხერხ წაადგეს თავისი ალნაგობით. არც ესაა მთავარი. ხაზები ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ზოგი მკვეთრია, ზოგი — მკრთალი. აქედან დასკვნა, კვანტური ნახტომები თანაბარი არ ყოფილა!

გამოდის, რომ ნილს ბორის თეორიის რაღაც აკლდა. ეს რაღაც სრულიად არ გაბლდათ უბრალო და უმნიშვნელო. საიდუმლოებით იყო მოცული კვანტური ნახტომების კანონზომიერებანი.

ახე რომ, როგორც სამართლიანად დასძენს დ. დანინი, — ბორის მიკრონაწილაკთა მექანიკა „...ჭერ კიდევ არ იყო მიკრონაწილაკთა მექანიკა".

მაგრამ დე ბროილი და მისი მატერიის ტალღების? განა მატერიის ტალღებმა ბოლომდე არ ახსნა ტალღური ნახტომების ბუნება? დე ბროილის მიერ აღმოჩენილმა ელექტრონის ტალღურმა თვისებებმაც ბევრ საიდუმლოს ვერ ახადა ფარდა. მის მოდელში ელექტრონის მოძრაობის მეთხიერი სურათი იყო თვალსაჩინო და არა „მატერიის ტალღების" მოძრაობის კანონება.

ერთი სიტყვით, არც დე ბროილის თეორია იყო ელექტრონის ტალღების მექანიკა.

და აი, ამჭერად ავანსცენაზე გამოდის ორი დიდი მეცნიერი ვერნერ ჰაიზენბერგი და ერვინ შრედინგერი.

ისევ დრამატული მომენტი. დრამატული, საერთან ლოგიკური და... კვლავ მოულოდნელი ფინალი. თუმცა ნუ ვიჩქარებთ.

შრედინგერმა და ჰაიზენბერგმა ჩვენი საუკუნის ოცდა წლებში შექმნეს მიკროსამყაროს ორი მექანიკა.

— „ორი მექანიკა?!" — ალბათ გაოიცებს მკითხველი, — განა შეიძლება ბუნების ერთი და იგივე მოვლენის ირგვლივ შეიქმნას ორი სრულიად განსხვავებული მექანიკა თავები გაჩნხვავებული კანონებით?

იმიტომაც ვთქვი, კიდევ ერთი დაძაბული სცენა გათამაშდა-მეთქი ფიზიკის უზარმაზარ სცენაზე.

შრედინგერი მაშინ ორმოცი წლისა იყო. მან ფეოხეები წარსულ, მე-19 საუკუნეში ჭერნდა გადგმული, გასულ საუკუნეში გატარებულმა თითქმეტმა წელმა თავისი კვალი დაჩჩნია გამოჩენილი ფიზიკოსის სულსა და გონებას. მის ხისხლში კლასიკური ფიზიკის ბურთულები სხვარბობდნენ და ამიტომაც ცდილობდა დამტკიცებინა „ტალღურობა და უწყვეტობა".

მეოცე საუკუნის დასაწყისში დაბადებული ჰაიზენბერგი შრედინგერზე თხუთმეტი წლის ახალგაზრდა იყო და მის არსებაში ნოვატორი ბობოქრობდა. ამიტომაც ჰაიზენბერგი პრინციპულად დაპირისპირებული აღმოჩნდა შრედინგერთან — „ნაწილაკები და წყვეტლობა" იყო მისი კვლევის ლოზუნგი.

ჰაიზენბერგი გაბედულად შეება ნილს ბორის ნახტომების კიბეზე მოძრაობის წესების ამოსნის ურთულეს პრობლემას.

მის პარალელურად (და სრულიად დამო-

ბურამ ფანგზიკიძე
პიაასნო-ფიზიკა — XX საუკუნის
აბრაკადაბრა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკიდებლად ვარაუდობენ, რომ 1926 წლამდე ისინი არც კი იცნობენენ ერთმანეთს) შრედინგერი ციურიხში ცდილობდა დაემუშავებინა „მატერიის ტალღურობის“ იდეა, რომლითაც სრულიად განსაგებულებენ ატომური მდგრადობის წყვეტილობის თეორიას.

„შრედინგერი და ჰაიზენბერგი — წერს დ. დანინი — სხვადასხვა გზით იმედოვნებდნენ მიკრომეკანიკის აგებას. მაგრამ ისე, რომ ტალღა-კორპუსკულისა თუ კორპუსკულა-ტალღის (ეს იგივეა, რაც „ტალღა-ნაწილაკი“ თუ „ნაწილაკი-ტალღა“. გ. ფ.) უცნაური ორსახეობა გამოეშალრავებინათ. ორივეს სურდა ეჩვენებინა, რომ ელემენტარულ ნაწილაკებს მხოლოდ ერთი ნამდვილი სახე აქვს, მეორე კი ნაღდია. მათი აზრით, ერთი ნამდვილი სახე ელემენტარული ნაწილაკის მატერიალური არსს შეესაბამება, მეორე კი მხოლოდ მისი რთული ქცევის ხასიათს ასახავს“.

ხედავთ? ნივთიერების არავითარი ორსახეობა! მხოლოდ ერთი სახე — ნამდვილი და ერთიც — ნიღაბი, ან, მათი აზრით როგორი ყოფილა მატერიის ელემენტარული ნაწილაკი. ოღონდ ერთისთვის მატერიის ნამდვილი სახე ტალღურობა იყო, მეორისთვის ნაწილაკურობა.

მაგრამ სწორი იყო მათი მოსაზრება?

ასე იყო თუ ისე, 1925-26 წლებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა ერთმანეთის საწინააღმდეგო მიკროსამყაროს ორი მექანიკა: მატრიცული და ტალღური. ანუ, მექანიკა წყვეტილობისა და მექანიკა უწყვეტობისა.

აი, სწორედ ამ თეორიების ურთიერთდაპირისპირების შედეგად შეიქმნა საოცარი სიტუაცია: თეორიები სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს, ცდები კი ერთდროულად ორივე თეორიას ამართლებდა!

და მოხდა საოცრება, ორივე თეორია შეერთდა!

ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა მიკროსამყაროს ორსახეობა — მისი ტალღა-ნაწილაკობა.

ბუნებრივია, ეს ორი თეორია ერთმანეთს უნდა დამთხვეოდა, რადგან ორივე ერთი სინამდვილიდან ამოდიოდა. ორივე თეორია ცდებს ემყარებოდა. ცდები კი ერთნაირ შედეგებს იძლეოდა, ვინაიდან მათ საფუძველს რეალური მიკროსინამდვილე შეადგენდა.

მაგრამ უმჯობეს დაიბადა ექვი, ხომ შეიძლება მომავალში ატომმა ისეთი თვისება ვამოაჩინოს, რომ მისი მექანიზმის ახსნისას ეს ორი თეორია ალარ დამთხვეს ერთმანეთს?

მოვიშველიოთ დანინი:

„...1926 წელს ზუსტმა მათემატიკურმა ანალიზმა დადასტურა ამ ექვის უსაფუძვლობა, შრედინგერმა უბრალოდ ცხადყო, რომ ამ ორ თეორიას — ტალღების მიკრომეკანიკასა და ნაწილაკების მიკრომექანიკას — თითქოსდა თავიანთი მათემატიკური აპარატების გაცვლა შეუძლიათ. ორივე მიკრომექანიკა ერთი და იგივე კანონზომიერების ნინანერია ბუნების ერთიანი ფიზიკური ენის სხვადასხვა მათემატიკური კილოზე: ატომური კარნავალის აღწერილობაა, სადაც შეუძლებელია ნამდვილი სახისა და ნიღბის გარჩევა, რადგან კარნავალის ყველა მონაწილე ერთსახეა“.

„ატომურ კარნავალში“ დ. დანინი გულისხმობს ცალკე შრედინგერისა და ცალკე ჰაიზენბერგის მცდელობას — დაემტკიცებინათ, რომ ელემენტარული ნაწილაკი არ არის ორსახა, მას მხოლოდ ერთი რეალური სახე აქვს, ხოლო მეორე — ნიღაბია. ამის თაობაზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ახლ დამკვიდრდა კვანტური მექანიკა.

ნურუ ახლა ავჩქარდებით. შეკითხეთ, როგორ მოძრაობს ელექტრონი, ჯიუტად მოითხოვეთ პასუხს. მაგრამ როცა ჩვენ ელექტრონის მოძრაობაზე ვლაპარაკობთ, ბუნებრივია, გვსურს ქვალდებულ გამოვსახოთ ან ხელის მოძრაობით ვაჩვენოთ, როგორ მოძრაობს სივრცეში ატომური სამყაროს წარმომქმნელი ტალღა-ნაწილაკები. ერთი ხატვითი, როგორც დ. დანინი დახმეტნა, — „ჩვენ ჩვენს შეკითხვაზე კლასიკურ პასუხს ოოვითოოოთ, რომელზეც სწორედ არაკლასიკურმა, ანანიუტონისეულმა მიკროსინამდვილემ უნდა გვიპასუხოს“.

კლასიკური წარმოდგენები ეს ალარ გამოგვადგება. ისინი ოდნავადაც ვერ მოგვცემენ ნათელ სურათს ელექტრონების მოძრაობის თაობაზე.

უკვე მივადექით ჩვენი საუბრის იმ ნაწილს, სადაც შეიძლება მეკერი რამ ვერ წარმოვიდგინოთ, უფრო მტანც, ვერ ჩაეწვდეთ, ვერ გავიგოთ, მაგრამ უნდა დავიჯეროთ.

ვფიქრობ, ჩემი გამონათქვამი შეუოაცხოოფას არ მიაყენებს მკითხველს. ოუნდაც მან შემდეგ მინნე მაპატიებს ამ კატეგორიულ განცხადებას, როცა გაიგებს, რომ თვით ამ თეორიის შემქმნელებს არ ჩქონდათ ყველაფერი ზუსტად წარმოდგენილი. აი, მაგალითად, რას ფიქრობდა ნილს ბორი ელემენტარული ნაწილაკების თაობაზე: — ნაწილაკი არის „სასრულო სივრცულ-დროოელ საზღვრებში მოთავსებული არამყოფოდ განსაზღვრული ერთეული“. დიდი მეცნიერის ამ განსაზღვრებიდან ალაზე ძნელია მატერიის ელემენტარული ნაწილაკის ფიზიკური სურათის დანახვა. ამატომაც თქვა ალბათ შეფარული ირონიით დე ბროილმა — ბორი თანამედროვე ფიზიკის რენბრანდტია.

მთავარი კი, როგორც ზემოთ ვთქვით, ერთია, ნეტავ, უბრალოდ, უნდა დავიჯეროთ ის, რასაც ფიზიკოსები ელექტრონის მოძრაობაზე ამბობენ. უნდა დავიჯეროთ, რადგან მთელი თა-

ვიანი ფიზიკური და მათემატიკური აპარატური რომ დავასაბუთოთ ელექტრონის მოძრაობის გაურკვეველობა, მაინც ვერაფერს წარმოვიდგენთ. თავი, მოდი, ითქი დავიმშვიდოთ, რომ ვერც ალბერტ აინშტაინი გაერკვა ამ დასლართულ საიდუმლოში.

დიახ, ჩვენ უბრალოდ უნდა დავიჯეროთ, რომ ელექტრონს ტრაექტორიებზე მოძრაობა არ შეუძლია. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ზუსტად განსაზღვროს მისი მდებარეობა და სიჩქარე, რადგან ელექტრონის კოორდინატები და სიჩქარე ხასიათდება ამოუცნობი გაურკვევლობით.

ორივე ამ გაურკვევლობის მიზეზია ელექტრონის ტალღურობა. იგი რომ მხოლოდ ნაწილაკი ყოფილიყო, მაშინ მშვენივრად იმოძრავებდა განსაზღვრულ ტრაექტორიებზე. მაგრამ ელექტრონი ტალღა-ნაწილაკია. ტალღა-ნაწილაკის კოორდინატებისა და სიჩქარის კლასიკური განსაზღვრა შეუძლებელია. თავს ნებას მივცემ ვამოვტოვო რამდენიმე უმთავრესი მოსაზრები, რომლებსაც მეცნიერები ამ დასკვნამდე მიიყვანნენ. ეს არის ფოტონის საშუალებით ელექტრონის „მილურსმვა“, რაც მისი კოორდინაციის გარკვეული სიზუსტით დადგენის საშუალებას იძლევა; ეს არის „ფუზულტობათა სენაკი“ (ოთხე) ბუნებაზე ვერავითარი ექსპერიმენტალური ძალდატანებით ვერ მივაღწევთ ამ სიგანის ფართის შემცირებას); ეს არის ნაწილაკი, რომელიც რაღაცნირ ტალღებში შეფუთული მოძრაობს. ცნებაა კი შემოვიდა — „ტალღური პაკეტი“. აქვე უნდა დავიჯეროთ ისიც, რომ პაკეტის ბედი ვერ იმოქმედებს მასში „სიიდუმლოდ გაგვეყოფა“ ელექტრონის მატერიალური არსებე. ტალღური პაკეტი შრედინგერის ვანტლინების ამოხსნის დროს მიიღება. შემდგომში მატეიდება ამ ტალღების არამატერიალურობა. აღნიშნული მოვლენა პირველად იგრძნო მაქს ბორნმა და თქვა კიდეც, რომ ეს ტალღები არაა მატერიალური ტალღები, ესაა ნაწილაკის ქცევის ალბათური ტალღები.

ალბათობა!

აი ის სიტყვა, რომელიც პირველად მაქს ბორნმა იხმარა და რამაც ასე აფეთრიკა როგორც ფიზიკოსები, ასევე ფილოსოფოსები. თუმცა, ვიჩქარე ამ სიტყვის წარმოთქმა. ჯერ კიდევ დაგვრჩა მოსახსენებელი რამდენიმე უმთავრესი დებულება.

არ შეიძლება ელექტრონის მოძრაობის თვალსაზე ვილაპარაკოთ და არ აღვნიშნოთ მაიზენბერგის უზუსტობათა კანონი. მისი ბამოსაგელი ფორმულა, მკითხველს, რომელიც ამ გვერდამდე ვამომყვა, ალბათ ახსოვს, წერილის დასაწყისშივე მოვიხსენიეთ. შემდგომში მაიზენბერგის უზუსტობათა კანონს სამეცნიერო ფოკუს ფოკუსი ეფერ დიდი ფიპაზონი მისცა და „გაურკვეველობათა თანფარდობა“ ანუ „გაურკვეველობათა პრინციპი“ უწოდა. მაიზენბერგის „გაუგებრობათა თანფარდობა“ ბუნების ერთ-ერთი ძირითადი კანონი აღმოჩნდა. ამიტომაც ამბობდა ვამოჩენილი ფიზიკოსი ლეე ლანდაუ: გაურკვეველობათა პრინციპის აღმოჩენა, მე ვფიქრობ, ადამიანის გონების ერთ-ერთი უდიდესი ტრიუმფთაგანია.

აქ შეიძლებოდა მრავალი ფიზიკური და მათემატიკური ფორმულის მოყვანა და მსჯელობა მატერიის ამ საოცარ თვისებაზე. მაგრამ არ მინდა დავეშსგავსო ტელევიზორის დიქტორს, სხვის ტექსტს რომ კითხულობს დიდი შთაგონებით, ფაქტიურად კი ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს იმ საკითხების ფიზიკურ არსზე, ანუ პათეტურად რომ ამეფდის ტელემაყურებელს.

ეთანგით მოკლედ.

ბუნებაში ყველაფერი კანონზომიერია!

ბუნება არ არის ზუსტი.

ეს ორი დებულება ძალზე ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ჩვენ, თვით კვანტური მექანიკის ეპოქის შვილნიც კი პირველი დებულების მომხრენი ვართ შინაგანად. ხოლო მეორე დებულება ძალზე ძნელი გასაპრეზელია. კიდევ უფრო უნაეფოლია ამ ორი დებულების შერწყმაშეხანება. ბუნება კანონზომიერია, მაგრამ სრულებითაც არაა ზუსტი. დიახ, ძალზე ძნელი წარმოსადგენია, რადგან ჩვენ ტრადიციულად მიგვაჩნია, რომ ბუნებაში რაც კანონზომიერია, იგი ზუსტიცაა. სწორია დ. ფანნი როცა ამბობს: „ის არავის დაუდასტურებია ფიზიკურად, მაგრამ არც არავის უარუყვია ლოგიკურად (ოგულისხმეთ ჩვენი წარმოდგენა კანონზომიერებასა და სიზუსტეზე), ანუ „განუსაზღვრელობის პრინციპისგან“ განსხვავებით „განსაზღვრულობის პრინციპისა“ გ. ფ.) და ალბი, რომ ის არსებობს და ბუნების ყველა მოვლენას უნდა ედოს საფუძვლად — ეს მხოლოდ მრავალსაუკუნოვანი ცრურწმენაა. ჩამოყალიბებული მყარი, მაგრამ მაინც რწმენა და არა ეკუმპარიკი ცოდნა“.

ერთი სიტყვით, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, მატერიის წიალში, ელემენტარული ნაწილაკების მიკროსამყაროში მოქმედებენ ალბათური კანონები.

ესაა ჩვენი საუკუნის ყველაზე დიდი და ყველაზე უცნაური აღმოჩენა. გავა ათწლეულები და ვინ იცის, კიდევ როდის შესძლებენ უფრო დიდი მნიშვნელობის მქონე კანონები დაადგინონ, ბუნებაში რომ ბატონობენ.

ახლა უფრო კონკრეტულად შინდა ალვნიშნო ალბათობის მექანიზმი. ეფიქრობ, ასე თუ

გუნარა ფანჯიკიძე

ბიკასო-ფიზიკა — XX საუკუნის ამბრაკადაბარა?

ისე, მაინც შეგვეძლება გარკვეული აზრი ალბათობის ურთულეს ბუნებაზე.

წელან „ტალღური პაკეტი" ვახსენეთ, რომელშიც მოთავსებულია ელექტრონი. ისიც ვთქვით, რომ არაფინ არ იცის „პაკეტში" რა ალაგასაა ელექტრონი. შეიძლება გვეფიქრა, ელექტრონის კოორდინატი ისიტომ არ ვიცით, რომ სათანადო ცოდნა არ გაგვაჩნია და ამის გამო იძულებული ვართ ეამოვთვალოთ მისი ალბათური ადგილშეფბარეობა.

ეს რომ ასე ეყოს, მაშინ თავსატეხი არაფერი გვექნებოდა. მეცნიერების წინსვლის შედეგად ჩვენი ცოდნა შესაბამისად გაიზრდება და ფიზიკისგან უშეცდომოდ შესძლებენ ელექტრონის კოორდინატის დადგენას.

მაგრამ ასე რიდი-ა საქმე. კვანტური მექანიკის მთელი არსი ისაა, რომ ეერავითარი ცოდნის გაფართოება ვერ მოგვცემს იმედს—ზუსტად დავადგინოთ სად იმყოფება ელექტრონი. კვანტური მექანიკის არსის წვდომას სწორედ ის ირთულებს და თითქმის წარმოუდგენელს ხდის, რომ არ არსებობს ელექტრონის არავითარი ზუსტი კოორდინატი და, აქედან გამოქ, დინარე, ცოდნის ეერავითარი გაფართოება ვერ მოგეხმარება მის აღმოჩენაში, რადგან აღმოსაჩენი არაფერია. თუ ჩვენ მაინც გვინდა აღმოვაჩინოთ ელექტრონი, უნდა შეეკმნათ ეთანხმებები, რათა ყველა ის შესაძლებლობიდან, რომელიც „ტალღურ პაკეტშია" თავმოყრილი, რომელიმე მარილაც განხორციელდეს.

ეარა მგონია, მამაზეციერი კამათელს აგორებდეს, — თქვა ალბათურ სამყაროზე ალბერტ აინშტაინმა.

მაგრამ ბუნება თურმე უწყვეტი ექსპერიმენტია და იგი განუწყვეტლივ „აგორებს კამათელს".

რაც აქამდე ვილაპარაკეთ, მხოლოდ ნაწილაკის კოორდინატის ალბათობას ეულისხმობდა. მაგრამ სამყაროს ალბათურობამ თავისთავად წარმოშვა ცნებები: „მდგომარეობის ალბათობა", „ეამოსხივებლის ალბათობა", „დაშლის ალბათობა", „შეჯახების ალბათობა", „სიცოცხლის ალბათური დრო".

აინშტაინი დიდხანს ებრძოდა ალბათობებს. ცნობილია მის მიერ ადებული პარადოქსები, სადამდეც კვანტურ თეორიას უნდა მიეეანა ეეშმარიტება. მაგრამ დიდი მეცნიერის მოწინააღმდეგე ამ შემთხვევაში ბუნება, მისი რეალური არსი იყო.

ა. აინშტაინი მაინც ჯიუტობდა. „სადაც გაუსაზღვრელობაა, იქ ალბათობაცაა"—ეს სუპერნოვატორული დებულება აეოფებდა მას. იგი ეეკამათებოდა ბორს, ბორს. მას გაგონებეა არ უნდოდა ჰაიზენბერგის გაუსაზღვრელობათა თანაფარდობის კანონისა, რადგან სწორედ ამ კანონის აღმოჩენის შემდეგ აეხადა ფარდა სამყაროს ალბათურობას.

ELIBRARY.GE

ალბერტ აინშტაინის ყოველ დარტყმას ბორი ისეთივე გონებამახვილობით იცდენდა, როგორითაც დარტყმა იყო მომზადებული. და კვანტურმა მექანიკამ გაუძლო ყველაზე ძლიერ იერიშს, რომელიც XX საუკუნეში შეიძლება ყოფილიყო ფიზიკური თეორიის წინააღმდეგ: თანამედროვე ნიუტონის იერიშს.

როგორც ჩანს, კვანტური მექანიკის მხარეზე ბუნება იდგა".

1961 წელს ნილს ბორი თბილისს ესტუმრა. აკადემიოსმან ე. ანდრონიკაშვილმა მოგვიანებით გამოაქვეყნა წერილი „სამი დღე ნილს ბორთან", სადაც კვოთხულობთ:

„უეცრად ბორის აზრმა გააკეთა ნახტომი— მან აინშტაინზე დიაწყო ლაპარაკი... აინშტაინი უკვე ადარ იყო ცოცხალი, მაგრამ ცოცხლობდა ორი გენიოსის უთანხმობა ფიზიკის, სპეციალურ ალგებულების ფილოსოფიის კარდინალურ საკითხებზე, არსებობდა ღრმა სიყვარული და მოურიგებელობით, უკვე სამოცოო მოურიგებელობით გამოწვეული ღრმა სევდა, არსებობდა განუზომელი პატივისცემა დიდი მეგობრისადმი. ბორი ლაპარაკობდა მისთვის მუდამ ცოცხალ აინშტაინზე"....

მოგზაურობა უცნაურ სამყაროში დამთავრდა, მაგრამ სურათი რომ ნათელი და სრული იყოს, კიდევ ერთ საკითხზე უნდა ვიმსჯელთო, ორივემ მკითხველი ვერ წარმოიდგენს იმ ენებათალელვებს, კვანტურმა მექანიკამ რომ მოიტანა თანამედროვე მსოფლაგებაში.

ჩვენ ზემოთ უკვე ვთქვით, რომ სამყაროს ალბათურობამ ძალზე აფორიაქა ფიზიკოსებიც და ფილოსოფოსებიც. დიახ, სამყაროს განუსაზღვრელობამ და ალბათობის თეორიამ სამყაროს მატერიალურობაში შეიტანა ეჭვი. ერთმა პროფესორმა, როგორც წიგნის ავტორი წერს, კვანტურ მექანიკას იმპერიალიზმის აგენტიც კი უწოდა, მეორეს — კი XX საუკუნის ბბრაკადაბრა.

მომბრაწილა ბევრნი იყვნენ. ერთმა მათგანმა მოხდენილი სახელიც შეარქვა მას — „პაკასო-ფიზიკა".

ჩემს გონებაში „პიკასო-ფიზიკამ" ასეთი ასოციაცია აღძრა: ფარდობითობისა და კვანტური კანონები ისე განსხვავდებოდა კლასიკურისაგან, როგორც პიკასოს კუბისტური პერიოდი და იტალიის კლასიკური რენესანსი.

ასეა თუ ისე, კვანტურმა მექანიკამ მაინც გაახსენა ზოგიერთებს მამაზეციერი.

ბევრმა სამყაროს ალბათობაში ღმერთის ნება-სურვილს დაუწყო ძებნა. ამ აზრებს დასაბამი ინგლისელმა მეცნიერებმა დრაკამა და ედინგტონმა მისცეს.

როდესაც დრაკე ჰკითხეს — „როგორ მოძძიათს ელექტრონი?" მან უპასუხა: „როგორც უნდა, მისი ნება თავისუფალია".

დრაკეის ნიტყვებს მთელის მონდომებით ჩაეჭიდა ეკლესია. იქნებ ელექტრონის ნება, მატერიის პრინციპსაწყისის ნება ზენაარის, ღმერთის ნების გამოხატვის? აი, რას ქადაგებდნენ ისინი.

ედინგტონმა კი პირდაპირ განაცხადა: „თანამედროვე მეცნიერების საბუთები იქნებ იძლევა შესაძლებლობებს გაეკიდეს დასკვნა, რომ თანამედროვე ხალი მეცნიერული აზრისათვის, 1927 წლიდან მოყოლებული (1927 წელს დადასტურდა სამყაროს ალბათურობა. გ. ფ.) რელიგია მისაღები ვახდა".

სხვათა შორის, რელიგიური წრეები მაშინაც გამოცოცხლდნენ, როცა სამყაროს არასტაციონარულობა დასაბუთდა. დიდი აფეთქების თეორიამ და ფრიდმან-ლემეტერის სამყაროს გაფართოებულმა მოდელმა ისეე დასცა დასაწყისისა და დასასრულის საკითხი, რაც ალე ძძლევდა ხელს ღვთისმსახურთ.

ამ უკანასკნელ პერიოდში დადასტურდა, რომ სხეულ უფრო და უფრო ახლო კაკშირში ყოფილან ერთმანეთთან მეტაგალაქტიკა და ელემენტარული ნაწილაკების სამყარო. კოსმოსში, როგორც ეიცით, აღმოჩნდა სადიფშლეოვნთ მოცული ობიექტები: კვაზარები, პულსარები, შავი ხვრელები. ფიქრობენ, რომ იქ მიმდინარე უცნობი პროცესები შეიძლება ამოიხსნს ზოგიერი ფარდობითობის თეორიისა და ელემენტარული ფიზიკის კანონებით. ან, ფიზიკოსი ბ. მირიანაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „როგორც ეტყობა, მიკროსამყაროს საკითხები გადაჯაჭვულია კოსმოსოლოგიასთან და ასტროფიზიკასთან. ამ უკვე ზოგადი ფარდობითობის თეორია უძლურია ეს საკითხია ახალი იდეები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ზოგადი ფარდობითობის თეორიისა და კვანტური მოცულობის ერთმანეთთან დაკავშირება "(გ. მირიანაშვილი, „ფარდობითობის თეორია და სამყაროს თანამედროვე სურათი". გვ. 5).

საოცარი სურათის მიწვნენ ვხდებით: მეტაგალაქტიკისა და ელემენტარული ნაწილაკების სამყაროს ფიზიკურ ნათესაობაშიც ღვთიური ვინგაება დაინახეს ეკლესიის მსახურებმა. (დაინტერესებული მკითხველი ამ საკითხებს უფრო ფართოდ გაეცნობა ჩემს წერილში „რა ელის ჩვენს პლანეტას).

ეერნერ ჰაიზენბერგი წერდა: „კრიტიკულ შენიშვნები კვანტური თეორიის მისამართით, ჩვეულებრივ, იწყება შიშით, ვაითუ კვანტურმა თეორიამ მეცნიერებს მისცეს მიზეზი, რომ

ᲞᲔᲠᲐᲛ ᲨᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔ

ᲞᲘᲙᲐᲡᲝ-ᲤᲘᲖᲘᲙᲐ — XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲐᲑᲠᲐᲙᲐᲓᲐᲑᲠᲐ?

მთ ობიექტური, რეალური სამყაროს არსებობა უარჰყონ, ე. ი. საქართველო თავისებური ილუზიაა". ჰაიზენბერგს სჯეროდა, რომ ანინშტაინსა და მის მომხრეებს ბოლომდე არ ეწინააღმდეგებიან ფილოსოფიის დოქტრინა.

რატომ აღმოჩნდნენ ნილს ბორი, ვერნერ ჰაიზენბერგი და სხვები იდეალიზმის მხარეს?

საამუსაოოდ, როგორც ფილოსოფოსები ანინშტაინენ, ეს დიდი ფიზიკოსები შეუდარებელნი იყვნენ ფიზიკური კანონების აღმოჩენის, მაგრამ ძალზე ფუტკი — ამ აღმოჩენის მოყალენებზე ფილოსოფიური მსჯელობისას. კვანტური მექანიკის პრინციპების ულაბმა ფილოსოფიურმა გაგმაჯატებებმა ბევრი გაუგებრობა გამოიწვია არა მარტო საზოგადოებაში, არამედ, საერთოდ, მეცნიერებაში.

საბოლოოდ ნილს ბორმა მაინც ცნო მიზეზობრიობა, ოღონდ უარყო ლაპლასური დეტერმინიზმი (იგივე „ლაპლასური ფატალიზმი", გ. ფ.).

ასევე ჰაიზენბერგმაც ნილს ბორის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში გამოაქვეყნა წერილი, სადაც იგ ამბობს: „ფიზიკოსთა თავის მეცნიერებაში უნდა გამოდიოდეს იმ დებულებიდან, რომ ის სწავლობს ბუნებას, რომელიც მას არ შეუქმნია და რომელიც იარსებებდა მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე, ეს ფიზიკოსი საერთოდ რომ არ ყოფილიყო".

ეი, ახლა კი ნამდვილად დავამთავრით ხაუბარი. ჩვენ, ახე თუ ახე, წიგნის ავტორთან ერთად ვიმოგზაურეთ ჯერ ანინშტაინის უცნაურ სამყაროში, სადაც ფარდობითობის თეორიის კანონები ბატონობენ, ხოლო შემდეგ შიდაატომურ სამყაროში, სადაც კვანტურ მექანიკას ეუნპარეთო.

ამ ბუოსგვერდიან წიგნში მართლაც საოცარი ისტატობითაა გადმოცემული თანამედროვე ფიზიკის განვითარების მღელვარე, ეტშარიტად რევოლუციური პროცესი. დანიელ დანინის წიგნის წაკითხვისას კიდევ ერთხელ ერწმუნდებით, თუ რა სანტტერესოდ, ლიტერატურულად, უფრო მეტიც, მწერლურად შეიძლება წერა მეცნიერების ნებისმიერ უფთოულს საკითხზე.

დანიელ დანინის წიგნს არც პეიზაუეი ეკერლია, არც მახვილგონიერული შედარებები, არც იუმორი. ეგი ისტატურად, მწერლურად გვიხატავს მეცნიერთა პორტრეტებს. მკვეთრი, ნათელი შტრიხებით წარმოდგენილი მეცნიერი ჩვენს გონებაში აღიქმება თავის მეცნიერულ მსოფლმხედველობასთან შერწყმული.

მინდა მკითხველმაც გაიზიაროს ჩემი აღტაცება:

„...ორივე დიდი ფიზიკოსი ეტრფოდა ფანტაზიას, ბუნებრივია, ეს ფანტაზია მეცნიერული ფანტაზიაა. ეს ფანტაზია ეიო, კოსმეკი—პაინსაები. გადმოგაცემენ, რომ ანინშტაინი არა მარტო მშვენიერად ასრულებდა თავის საყვარელ მელოდიებს, არამედ იმპროვიზაციაც ეხერხებოდა... ალბერტ შვაიცერმაც იცოდა კლასიკური მუსიკა, მუშაობდა მუსიკის თეორიაში. ერთხანს ბერლინის უნივერსიტეტში ლექციებსაც ეკითხულობდა ამ საკვანძო.

იქნებ სწორედ ამაში მეძიებენ ბოლოდ განსხვავება მათ შორის, როგორც მეცნიერ-მოაზროვნეებს შორის, განსხვავება ტემპერამენტებსა და მთელ სულიერ აღნაგობაში — ერთის წინდახედული პედანტიზმი (იგულისხმება მაქს პლანკი. გ. ფ.) და მეორის ღრმა არტისტიზმი" (გვ. 72).

როდესაც ნილს ბორმა კვანტური ნახტომები აღმოაჩინა, ალბერტ აინშტაინმა არ გაიზიარა დანიელი კოლეგის აღმოჩენილი ტეშარიტება. ეი ამ ბოვლენას როგორ გამოხატავს დანიელ დანინი: „აინშტაინი რაღას ფიქრობდა? თქვენ გგონიათ, მისი გაბედული და უშიშარი გონება მსუბუქად და უდარდელად დასეირნობდა კლასიკური თეორიის ნანგრევებზე?" (გვ. 252).

კიდევ ორი მაგალითი და ეს ფაქტი ალარ შეგაწუხებენ მკითხველს.

„ტალღური მექანიკის შემქმნელის სულში (იგულისხმება შრედინგერი. გ. ფ.) მუდამ ცოცხლობდა კლასიკური, რომელიც მხოლოდ ფიზიკური პროცესების უწყვეტობას ენდობოდა. სწორედ ეს „კლასიკური შრედინგერი ვერ ეგუებოდა ქვანტურ ნახტომებს"... გენიალურ კლასიკოსმაც მოკალათებულმა კონსერვატორმა უჩვეულო როლი შეასრულა. მან სიმხდალისა და სიფრთხილისაკენ კი არ უბიძგა ნოვატორს, არამედ, პირიქით — გააორკეცა მისი შეშფოთება. ბუნების სურათში კლასიკური, ყველაგან გაბატონებული უწყვეტობის შენარჩუნების — ნებისმიერი ფასით შენარჩუნების — მიზნით, მან, ამ ფხიზელმა კლასიკოსმა, შრედინგერი აიძულა არა მარტო შეეძულებინა ნახტომების ახალი იდეა (იგულისხმება პლანკტარული ატომში ორბიტების დალუპვა. გ. ფ.), არამედ ძველ კორპუსკულებზეც ეიღო ხელი. „შესწორე ყველაფერი!" უბრძანა მას კლასიკოსმა. და შრედინგერმაც გაბედა ზენოვატორულ ამოცანას შემოდგა — სამყაროს მთელი მატერია უწყვეტ ტალღებამდე დაეყვანა!" (გვ. 367).

„თუმცა ვერნერ ჰაიზენბერგის ჩამოსვლას ელოდნენ (იგულისხმება მაღალი ენერგიის ნაწილაკების ფიზიკისადმი მიძღვნილი მე-9 საერთაშორისო კონფერენცია კიევში 1959 წელს. **გ. ფ.), მის გამოჩენაში მაინც იყო რაღაც უჩ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეულო: სასტუმროს ვესტიბიულში მასთან ერთად კვანტური ფიზიკის ცოცხალი ისტორია შეშვიდა. „ისტორიას“ მოყვეული ბაქმანი პორტფელი ეკავა ხელში და ბევრად უფრო სადად გამოიყურებოდა, ვიდრე სასტუმროს კარებკაცი. მასზე არავითარი გარეგნული პრეტენზიისა არ იყო — მხოლოდ ბუნებრივიმაგ სიცხისგან შეწუხებულ „ისტორიას“ ჰალტუნი მოეხსნა და ხაკინძეგახსნილი დიაღრეზილა. ისევე, როგორც საუკუნე, ჰაიზენბერგიც არ იყო მაშინ ხამოცის“. (გვ. 438).

დანიელ დანინი შესაბრაში იუმორით გამოხატავს ამა თუ იმ მეცნიერული მოვლენის არსს.

მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს:

„...შედარებით ცოტა ხნის წინათ ექიმებმა არაფერი იცოდნენ მიკრობების არსებობის შესახებ, თუმცა კაცობრიობა ყოველთვის განიცდიდა მათ მავნე ზემოქმედებას. კოლეგები დასცინოდნენ პასტერს და ამავე დროს მიკრობებით ხავსე წყალს აყოლებდნენ თავიანთ გრძელ-გრძელ ხაპროტაცენი გამოსვლებს“ (გვ. 100).

„...მეცნიერებაში ცდა უმაღლესი ინსტანციაა, მხოლ განაჩენის გასაჩივრება აღარ შეიძლება“ (გვ. 113).

„...თუკი ამ წუთში ავსტრალიაში ვიღაცამ დაამბენნარა, ზზეზე პროტუბერანეცი აიფფრა, ობსერვი ელვამ გაკვეთა, ხოლო ოქვენ ამ ვეფრდის ჩითავება დაგეზარათ, არ იფიქრით, რომ ამ ცხადად დაშორიშორებულ მოვლენებში „ბედ-ია ნენის“ დანახვა არ შეიძლება“ (აქ დ. დანინი ეულისხმობს, რომ კლასიკური შეკნიკის ფატალისტური გაგებით ბედის ნენის დანახვა შეიძლება, მაგრამ კვანტურმა მექანიკამ უარო იგი. გ. ფ.) (გვ. 405).

„...მოვიდა ის დღეც, როდესაც ჰაიზენბერგიც შეება მიკროფონში და გრძელი ზონარის“ თრევა დაიწყო. საზეიმო შემთხვევის გამო მან მტანწყეული მატერიალური ჰალტუფი გაიკეთა...“ (აქ დანინი იუმორით შეავსებსენებდა ჰაიზენბერგის იდეალისტურ შეხედულებებს. გ. ფ.) (გვ. 442).

საოცარია დ. დანინის მხატვრული სახეები: აქაც მხოლოდ რამდენიმე ნიმუშის მოტანით დავკმაყოფილდებინ:

„ყოველ ფიზიკოსში ფილოსოფოსი თვლემს“ (გვ. 361);

„ელექტრონა თანამედროვე ტექნიკის ნერვული სისტემაა“ (გვ. 44).

„სამყარო ინონიზაციის გარეშე სამუდამოდ დალუქული ატომების სამყაროა, სადაც თითქმის შეუძლებელია ურთიერთმედეგა... ინონიზაციის გარეშე სამყარო დიემსგავსებოდა წერილებით დამეშდილ საფოსტო ყუთს, სადაც ... შეუძლებელი იქნებოდა წერილების ამოღება და წაკითხვა“ (გვ. 26-27).

„ედ ბრილიმა საოცარად დროულად გამოთქვა თავისი ვარაუდი (იგულისხმება ენერგიის დონეების კვანტური კიბეები. გ. ფ.), იგი, მართალია დაუსახლებელი კუნძულისაკენ მიფრინავდა, მაგრამ ფიზიკას უკვე შზად ჰქონდა ასეთი ფრენისათვის საჭირო სანავიგაციო რუქები“ (გვ. 278).

კიდევ ერთ რამეზე მინდა საგანგებოდ გავამახვილო ყურადღება. ავტორი ბევრ ფიზიკურ მოვლენას იხილავს ლიტერატურასთან კავშირში.

„...ახალი მეცნიერული იდეების დაბადებაში მკაცრ ლოგიკასთან ერთად პოეტური წარმოსახვაც მონაწილეობს, — წერს იგი, — ისინი კი არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, პირიქით, ეხმარებიან“. (გვ. 281).

ხედავთ? პოეტური წარმოსახვები ეხმარებიან ფიზიკოსებს, ქიმიკოსებს, ასტრონომებს...

მეორე ადგილეზე იგი წერს: „ხომ არ დაგვწყებიან ლანდაუს სტატეები, რომ ამჟამად ფიზიკოსთა გონება ისეთ სფერიოზში იღეზრნს, სადაც ჩვეულ წარმოდგენებს მათთვის არავითარი სამსახურის გაწევა არ შეუძლიათ? (იგულისხმება აკადემიკოს ლანდაუს მიერ წარმოთქმული სიტყვა 1958 წლის 17 აპრილს მაკს პლანკის დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე). შემდგომ იგივე მოსაზრებანი ლანდაუმ წყრილების წინაშეც გაიმეორა. გ. ფ.)... იქნებ ამბობდეა, რომ თეორეტიკოსები დროდადრო პოეზიას იშველიებენ: პოეზიას მათი ფიქრები ღრუბლებს გადადგა სიმაღლეებიდან ისევ ჩვენს მიწიერ კლასიკურ-მიზეზობრივ სამყაროში ჩამოყავს... ისევე როგორც ჩვენ, მათაც სანეები ეხმარება გაუგებრობის უყეთ გადებში... მაგრამ ჩვენც და ფიზიკოსებმაც არ უნდა დავიიწყოთ, რომ ეს სანეებია — მხოლოდ და მხოლოდ სახეები! ირმის ნახტომს არავითარი კავშირი არა აქვს ირეკთან, ისევე, როგორც ალფა-ნაწილაკი მილიარდი წლების განმავლობაში არავითარ გეფრაპს არ თხრის“ (გვ. 417).

მართლაც რამდენი პოეტური გამოთქმა და ტერმინი შეეხვედრებთ ამ წიგნში ფიზიკოსთა მიერ შექმნილი. ეს არის „ტალღა-ნილოტი“, „რეალური სამყაროს ხაიდუმლო ელჩი“, „ტალღური პაკეტი“, „უზუსტობათა სენაკი“, „ანწყრეული ატომი“, „მიკროკენტავრები“, „ბოძღერანი ელექტრონები“, „ხხიური ციებ-ცხელება“, „ალფა-ნაწილაკების გეეონვა“, „დროის მიღმა მოარული ოორეენება“, „ატომური ყანაველი“, „კოსმოსი მოქნეული ურთა, დედამიწა—

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრდელი. ნაპერწკლები კი მეორადი სხივები“...

ისიც ხდება, რომ ერთი ფიზიოლი უფრო ახალგაზრდა მეორე შექმნილ გარკვეული ფიზიკური პროცესის გამომხატველ სახეს. ინგლისელმა ფიზიკოსმა ჯატრაე ალეკტმა 30-იან წლებში ასე გამოსცა კოსმოსური სხივების ატმოსფეროსთან შეჯახება და მათი დაშლა: „პირველადი კოსმოსური სხივები სწრაფ, მაგრამ მეჩხერ წვიმას წაგავს, მეორადი კი — ღვარს“.

მოგვიანებით ფრანგმა მეცნიერმა პიერ ოჟემ შენიშნა, რომ „ღვარ“ ძალიან უხდება წვიმიან ინგლისს. მზიერ საფრანგეთში, მიწათმოქმედების ქვეყანაში ჩვენ ერთფეროვად წარმოქმნილი ნაწილაკების კონებს ბნელს ვუწოდებთ“.

ჩვენ? ჩვენ მწერალი როგორ აღვიქვამთ დღევანდელ მოვლენებს? განა დღევანდელი სამეცნიერო ტექნიკური რევოლუციის სწრაფი დინება არ უნდა ახლეხდეს გაფლენას მწერლობის სპეციფიკაზე, მის გამომსახველ ხერხებზე, რიტმზე?

ხომ არ ჩამოვრჩით ეპოქის წინადან? და თუ ჩამოვრჩით, რამდენად შესაფერისი იქნება ჩვენი სახეები, შედარებები დღევანდელი ცხოვრების მფეთვარე რიტმისათვის? ისევ მეცხრამეტე საუკუნე ხომ არ ფაფალებს ჩვენს ლიტერატურულ ემოციებსა? ბაროკოს არქიტექტურის ეპოქიდან ლიტერატურაც ხომ არ მოგვაგონებს ბაროკის არქიტექტურის პერიოდის ლიტერატურა?

უნებურად ერთი ამბავი გამახსენდა და თუ მკითხველი კაცნერებაში არ ჩამოვლის, მინდა თქვენც მოგითხროთ. მწერალთა კავშირში ჩემს რომანს „ატლანტიდაზე“ ეწერა „ეროვნული ენციკლოპედიაში“ ეწერა. ეროვნული ენციკლოპედიაში ეწერა. ეროვნული ენციკლოპედიაში ეწერა. ეროვნული ენციკლოპედიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ემთხვეოდეს ეპოქის რიტმს, არ შეიძლება ნაწარმოების სული არ ემთხვეოდეს ეპოქის სულს, არ შეიძლება ნაწარმოებში სიახლის იგივე შემადგენლობა არ სჩქეფდეს, როგორც ეპოქის სიახლეში სჩქეფს! ნაწარმოების ტალღები უნდა ემთხვეოდეს ეპოქის ტალღებს, თორემ იგი ისევე დაკარგავს თავის მყარ ტრაექტორიას, როგორც ელექტრონები, რომელთა ბრუნვაში ტალღების მთელი რიცხვი არ თავსდება.

ნუ შეგვაშინებს ახალის უჩვეულობა, თემის უცხოობა და სტილური სიახლეები. ეპოქას წინ უნდა მივუძღოდეთ და არა უკან მივჩანჩალებდეთ. არ დაგვავიწყდეს, დრო ყოველთვის ნოვატორის სასარგებლოდ მუშაობს.

ძალდა ჩემი ვრცელი წერილი დანიელ დანინის სიტყვებით დავამთავრო:

„დრო კი კვანტური მექანიკის პრინციპების სასარგებლოდ მუშაობდა. ის ამ პრინციპებს, ისევე როგორც ფარდობითობის თეორიას ეხმარებოდა ნეცესპებს, თანდათან გარდაქმნის ახალ კლასიკად — XX საუკუნის კლასიკად — თანამედროვე ბუნებისმეტყველების საფუძველთა საფუძვლად.

ახე იქცა წლების განმავლობაში პოეზიის თანამედროვე კლასიკოსად ზეარაკლასიკური მაიაკოვსკი, ასევე დადგა ჩვენს თვალწინ თანამედროვე არქიტექტურის კლასიკოსთა გვერდით არაკლასიკური კორბიუზიე. დრო არ ჩქარობს, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც აკანონებს ახალს“.

P. S. იქნებ ამ წერილმა რამდენიმე ახალგაზრდა მწერალს ან მეცნიერს მაინც ალუძრას სურვილი, თავისი ნიჭი დაუკავშიროს მეცნიერულ-ტექნიკურ ჟურნალისტიკას. მაშინ ავტორი გამართლებულად ჩათვლიდა თავის შრომას.

„როდის აქეთ არის, რომ ცუდის წინააღმდეგ **მწერალი** გონი მავნეა, არასწორია... ვნებს ყოველდღიური გაზეთს? პირიქით... მავნეზე წერა „წყრომის“ გარეშე მოსაწყენად წერას ნიშნავს“.

ლენინი

(თხზ., ტ. 35, გვ. 31).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაბროვოული იუმორი

გაბროვოელი კიბით სხვენში ადიოდა, ფეხი დაუსხლტა, დაბლა ზღვრთანი მოადინა და გრძნობა დაკარგა.

როგორც იქნა, მოასულიერეს.

— კიბე მოვლილია? — იკითხა მილეული ხმით, როგორც კი თვალი გაახილა.

— დეიდა ეს კვერცხები ძველია, შიგ ალბათ წიწილები ხხედან.

— შენ კვერცხის ფული მომეცი, შვილო, წიწილებს უფასოდ გაგატან.

გაბროვოელის შვილმა ქირურგობა გადაწყვიტა.

— სულელო, — უთხრა მამამ, — კბილის ექიმი გამოდი, კაცს ერთი გული აქვს, კბილი კი — ოცდათორმეტი.

— არ ვიცი, ხვალ ბანკეტზე წავიდე თუ არა.

— ბანკეტს ვინ მართავს?

— მე.

— პაპა, კბილები გაქვს:

— არ მაქვს, შვილო.

— მაშინ ეს ბუტერბროდი დამიჭირე, ეზოში სათამაშოდ მივდივარ.

ცოლი: ძველ პალტოზე ღილები სულ ამძვრა, სირცხვილით ქუჩაშიც ვეღარ გავსულვარ.

ქმარი: არა უშავს, ხვალ გიყიდი.

ცოლი: პალტოს?

ქმარი: არა, ღილებს.

გაბროვოელმა გადაწყვიტა, სახლის სახურავი თვითონ შეეკეთებინა, მაგრამ ფეხი მოუსხლტა და მაღლიდან გადმოვარდა. სამწარეულოს ფანჯარას რომ გაუსწორდა, სამრალოამ სამწრით შესძახა ცოლს: ქალო, დღეს საკმელი ერთი ულუფით ნაკლები გაიყეთ!

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკრის" დამატება — 72-17-01, ხელოვნ. ტორო — 72-43-75.

გადაეცა ასაწყობად 19. 12. 79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 2. 80 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ.-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 3105. უე 00627. ტირაჟი 40.150.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

1 37 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ